ქვეყნის ქრონიკა

2 ლ

N50/726/ 14-20 დეკემბერი 2015 წ. ფასი 2 ლ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 2003 წლიდან

## რატომ ანადგურებს შს მინისტრი „ქართულ ოცნებას“ და რამ დაადუმა მთავრობა? 3

რას აპირებს ათასობით გამწარებული მძღოლი?





## „პირდაპირ დავასახელებ, ვინ იგულისხმა ელისაშვილმა“ 27

## ვინ შეეწირება „ქართული ოცნებიდან“ „ელისაშვილის სკანდალს“? 26



## რატომ ჩაიყვანეს ამერიკაში შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი? 10



## „ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრს უნდა აეტეხათ ერთი ამბავი! “

„გასაგებია, რუსეთის თვითმფრინავს ვერ ჩამოაგდებ, თურქეთი არ ხარ, მაგრამ განცხადება მაინც ხომ უნდა გააკეთო!..“ 16

## ივანიშვილს უთქვამს, — როგორ ბედავენ პატიმრებზე ფულის კეთებას, თუ ეს დამტკიცდა, რაც არ უნდა ჩემთვის პატივსაცემი ადამიანი იყოს, ამ დანაშაულს არ შევარჩენ! 9



## „უსუფაშვილი მართალია!“

რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ღარიბაშვილი და უსუფაშვილი? 14





„პოლიტიკა არ არის ბიძინა ივანიშვილის სფერო, ის აბსოლუტურად ვერ ერკვევა ადამიანებში, თუ ვისთან ერთად შეიძლება გააკეთო პოლიტიკა, ამიტომ ღიად თუ მობრუნდება , უარესად წააგებს!“ 12

## რატომ დაუბრუნა ღირსების ორდენი პრეზიდენტ მარგველაშვილს ნოდარ ნათაძემ? 24



„მე ყველაფერს გავაკეთებ, რომელიც ამ ორივე ყალბ პარტიას, „ნაციონალურსა“ და „ქოციონალურს“, პანღურს ამოჰკრავს ერთ ადგილას!

ამათაც უნდა გადააფსან ერთმანეთს“

## რა ინფორმაციები მოიპოვა „ქრონიკამ“ მოძალადე ტაქსის მძღოლზე და რას ამბობენ ტაქსისტები? 6




## რატომ რჩებიან სკოლის დირექტორებად შაშკინისდროინდელი მანდატურები? 25



## „ჩემი ქონების დეკლარაციის შესავსებად აგენტი მოვიდა! ერთი შვილი მყავს და ძაღლი, რომელიც უძრავ ქონებად ჩათვალეს და დახმარება შემიჩერეს!“ 30



კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და წამების საქმეზე კალანდაძესა და სამუშიას პატიმრობა შეეფარდათ



თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და წამების საქმეზე პასუხისგებაში მიცემული 5 პირიდან სასამართლომ ბრალდების შუამდგომლობა ორ პირთან დაკავშირებით დააკმაყოფილა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, გიგი კალანდაძესა და გიორგი სამუშიას აღმკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. დაცვის მხარე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. ბრალდებულთა ადვოკატები აცხადებენ, რომ პროკურატურა პოლიტიკური მოტივებით მოქმედებს.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობა მიესაჯა გიგი კალანდაძეს. პატიმრობაში დარჩება კიდევ ერთი ბრალდებული გიორგი სამუშია. გიორგი სამუშია, რომელიც რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ ადამიანის გატაცებისა და მისი წამების ბრალდებით დააკავა და სხვა 4 პირთან ერთად ერთი ადამიანის წამებაში დაადანაშაულა, ბრალს არ აღიარებს.

თბილისის საქალაქო სასამართლო ელბერტ გვეტაძის წამების საქმეზე ბრალდებულებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე რამდენიმე საათის განმავლობაში მსჯელობდა. ამ საქმეში ბრალდებულები არიან თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ახალაია, გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი კალანდაძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა, შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა და შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი სამუშია. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა მოქალაქე ელბერტ კობერიძე სამხედრო პოლიციის შენობაში სასტიკად აწამეს. პროკურატურის განცხადებით, აღნიშნული პირები კობერიძისგან ამ დროისთვის დაუდგენელი მიზნით, არარსებული ტერორისტული აქტის აღიარებას ითხოვდნენ. (პირველი რადიო)

## „შუსუსუს“ რომ ჰკითხო, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა ხალხს არ დააზარალებს — 20 პროცენტით რომ გაძვირებულა უკვე, აბა, ვინ დაზარალდება, ჩვენი ფულით ნაყიდ ჯიპებზე შემოსკუპებული მთავრობა?!



ცოტა არ იყოს, უცნაური კი გვგონია მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გაძვირება, მაგრამ, ზოგადად, პარადოქსების ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ე.წ. საგზაო უსაფრთხოების პროგრამამ ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. ინიციატივის ავტორები ყველანაირად ცდილობენ, დაგვაჯერონ იმაში, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი სახიფათოა და უნდა აიკრძალოს. ამას ამბობს შს სამინისტრო, რომელიც პროექტის ავტორია და უწყებასთან ხმაშეწყობილად იმეორებენ ამ სისულელეს მთავრობის სხვა წარმომადგენლებიც.

კაცო, თუ სახიფათოა, 400 ათასამდე მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ყოფილა რეგისტრირებული საქართველოში და მინიმუმ 400 ათასი ადამიანი ჯანდაბას, ფეხებზე იკიდებთ, მთავარია, მარცხენასაჭიანი ავტომფლობელები გადაარჩინოთ?!

მოკლედ, როგორც ავტოდილერები ამბობენ, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები დაახლოებით 20 პროცენტით არის გაძვირებული, რაც, ვიმეორებთ, უცნაურად გვეჩვენება – როცა მათ აკრძალვაზეა საუბარი, როცა შესაძლოა, აიკრძალოს რეგისტრაცია და რამდენიმე წელში ჯართად იქცეს, გაძვირება რა ლოგიკაში უნდა ჯდებოდეს?!

ასეა თუ ისე, ფაქტი სახეზეა და როცა რომ შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილიცა და მისი მოადგილე არჩილ თალაკვაძეც გვარწმუნებენ, აკრძალვა არავის დაგაზარალებთ, პირიქით, სიახლის დანერგვა თქვენზე რომ ვზრუნავთ, იმისთვის გვინდაო, გვიპასუხონ – 20 პროცენტით რომ გაძვირდა ფასი, ზარალდებიან თუ არა რიგითი მოქალაქეები? რა თქმა უნდა, ზარალდებიან და თან საკმაოდ სერიოზულადაც, თუმცა ჩვენი დაზარალება ამით არ დასრულდება – მარჯვენასაჭიანი ავტომობილები სულ რამდენიმე წელში ჯართად იქცევა და ბუნებრივია, მისი შეძენის მსურველი, უბრალოდ, აღარავინ იქნება.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-

## ვინ არის „ოცნების“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ყველაზე მეტი შემოწირულობა „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო – 9 დეკემბრის მონაცემებით „ქართული ოცნების“ ანგარიშზე 536 355 ლარია. მეორე ადგილზეა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“ – 279 710 ლარი; „ნაციონალურ მოძრაობას“ 260 240 ლარი და 73 თეთრი შესწირეს, „პატრიოტთა ალიანსს“ – 171 170 ლარი და 50 თეთრი, „დევნილთა პარტიამ“ მიმდინარე წელს შემოწირულობის სახით 52 151 ლარი მიიღო; „თავისუფალმა საქართველომ“ – 34 546 ლარი, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ – 29 368 ლარი, „ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ“ – 23 360 ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“ ანგარიშზე, შემოწირულობის სახით, 14 120 ლარი შევიდა, პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ – 2 875 ლარი, „კონსერვატიულმა პარტიამ“ 1 320 ლარის შემოწირულობა მიიღო, „ხალხის პარტიამ“ – 1135 ლარი, „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ – 1 107 ლარი, „ქართულმა პარტიამ“ – 100 ლარი. ყველაზე მცირე თანხა წელს „ქართულ დასს“ შესწირეს – 861 ლარი.

წელს „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი შემომწირველი ოზურგეთელი ბიზნესმენი ილია კეჭაყმაძეა – მმართველ პარტიას მან 60 000 ლარი შესწირა, მისმა მეუღლე მარინა დოლიძემ კი – 40 ათასი ლარი.

კეჭაყმაძე და მისი მეუღლე ბოლო წლებში, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ მსხვილ შემომწირველებად ითვლებიან – გასულ წელს კეჭაყმაძემ „ოცნების“ ანგარიშზე 60 000 ლარი შეიტანა, მისმა მეუღლემ – 20 000 ლარი.

კეჭაყმაძე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახი კალაძის მეგობარია და როგორც ამბობენ, პარტიის ანგარიშზე შეტანილი თანხა კალაძეს ეკუთვნის:

– რა შუაშია კახი კალაძე? მე მის გაცნობამდეც მქონდა ფული და ახლაც მაქვს. არავის მითითება არ მჭირდება, რა და როგორ გავაკეთო. კი, ბატონო, ყოველ წელს ვწირავ „ქართულ ოცნებას“ გარკვეულ თანხას, რადგან მიმაჩნია, ეს არის ძალა, რომელიც ხელისუფლებაში უნდა იყოს და რომელმაც ქვეყანა გადაარჩინა, – ამბობს „გურია ნიუსთან“ საუბრისას კეჭაყმაძე, რომელიც მედიის ყურადღების ქვეშ ხშირად ხვდება.

უფრო მეტიც – გასულ წელს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კრიმინალური ავტორიტეტის რომან ბარბაქაძის (რემენა) საქართველოში დეპორტაციისა და „თბილისის აეროპორტიდან მისი გაქრობის“ საქმეში კეჭაყმაძე დაადანაშაულა.

ირმა ნადირაშვილის თქმით, რომან ბარბაქაძე აეროპორტის ტერიტორიიდან ეს კლასის „მერსედესით“ გაიყვანეს, რომელიც მოქალაქე მარინა დოლიძე-კეჭაყმაძის (ილია კეჭაყმაძის მეუღლე) მფლობელობაში იმყოფება.

ბრალდებებს კეჭაყმაძემ უპასუხა და აღნიშნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ ბრალდებების გამო სასამართლოში უჩივლებდა. თუმცა, საბოლოოდ სასამართლო არ შედგა.

კეჭაყმაძე ამბობს, რომ ეს საკითხი იურისტებთან გაირა:

– ამ თემაზე მქონდა კონსულტაციები და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ ღირს იმდენად, სასამართლოში ვუჩივლო, – აცხადებს კეჭაყმაძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ კეჭაყმაძეს „გურიის რუხ კარდინალსაც“ უწოდებენ. პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ სწორედ კეჭაყმაძეა ის პირი, რომლის რეკომენდაციით ადამიანებს თანამდებობებზე ნიშნავენ და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ოცნების“ კანდიდატების შერჩევაც მას ავალია. ამ ხმებს კეჭაყმაძე კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ პოლიტიკაში არ ერევა:

– არც გურიის რუხი კარდინალი ვარ და არც პოლიტიკაში ვერევი. მით უმეტეს, კანდიდატებს არ ვარჩევ – სისულელეა ეგ, – აცხადებს კეჭაყმაძე. (gurianews.com)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-

## რუსულმა გემმა თურქულ გემს ცეცხლი გაუხსნა — რუსეთი და თურქეთი ომის ზღვარზე!



რუსულმა საგუშაგო ხომალდმა „სმეტლივი“ ეგეოსის ზღვაში თურქულ სეინერს ცეცხლი გაუხსნა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ცეცხლი გემების შეჯახების თავიდან ასაცილებლად გახსნეს. უწყების მტკიცებით, სეინერი რუსულ გემთან კავშირზე არ გადიოდა.

– 09:03 საათზე ათასი მეტრის დაშორებით აღმოჩენილი იყო თურქული გემი, რომელიც ღუზაჩაშვებულ რუსულ გემ „სმეტლივის“ მარჯვენა ბორტიდან უახლოვდებოდა. „სმეტლივის“ არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, თურქული სეინერი რუს მეზღვაურებთან რადიოკონტაქტზე არ გავიდა და არ პასუხობდა სემაფორის სპეციალურ ვიზუალურ ნიშნებსა და სასიგნალო რაკეტებს, – განაცხადეს თავდაცვის უწყებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც თურქული სეინერი რუსულ გემს 600 მეტრის მანძილზე მიუახლოვდა, გემების შეჯახების თავიდან აცილების მიზნით, გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შემდეგაც, თურქულმა გემმა კურსი მკვეთრად იცვალა ისე, რომ რუს მეზღვაურებს კვლავ არ დაკონტაქტებია. (marshalpress.ge)

## თბილისის ზოოპარკი ისევ დაზარალდა, ამჯერად ხანძრით



ზოოპარკის თივის სათავსში გაჩენილი ხანძრის შედეგად 80 კვადრატული მეტრი ფართობი დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ხანძარი იმ ადგილზე გაჩნდა, სადაც თივა ინახებოდა.

ადგილზე 7 სახანძრო მანქანა მუშაობდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ცეცხლის გაჩენის მიზეზი. (ინტერპრესნიუსი)

## თქვენი ვერაფერი გავიგეთ, ბატონო პრემიერო — პატრიარქის პოზიცია ხან გაღელვებთ, ხან — საერთოდ არ გაინტერესებთ?!



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე უმასპინძლა.

– 2012 წელს, როდესაც ჩვენ მოვედით ქვეყნის სათავეში, ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა ისეთი მთავრობა, როგორიც შეეფერება ჩვენს ხალხს, რომელსაც ის ემსახურება. ჩვენ ვამაყობთ ანტიდისკრიმინაციული კანონით, რომელიც ახლახან მივიღეთ და რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვის საკითხები, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას. (რეპორტიორი)

თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონო პრემიერო, ანტიდისკრიმინაციული კანონი „თქვენი ხალხის“ აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო. რაც მთავარია, მიუღებელი იყო ეს კანონი პატრიარქისთვის. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის წინ ილია მეორის პირველივე სიტყვას – მასაც ჰქონოდა პატიმრების შეწყალების საშუალება, დაუყოვნებლივ გამოეხმაურეთ, არიქა, განიხილოს პრეზიდენტმა და პარლამენტმაო...

ვერაფერი გაგიგეთ, ბატონო პრემიერო – პატრიარქის პოზიცია ხან გაღელვებთ, ხან – საერთოდ არ გაინტერესებთ?!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



# რატომ ანადგურებს შს მინისტრი „ქართულ ოცნებას“ და რამ დაადუმა მთავრობა?

## რას აპირებს ათასობით გამწარებული მძღოლი?





**13 დეკემბერს კიდევ ერთხელ შემოულაწუნეს „ქართულ ოცნებას“ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლებმა მასშტაბური საპროტესტო აქციით.**

**ჯერჯერობით მმართველი გუნდი დუმს და თუ წინა აქციას შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე „ფეისბუკით“ მაინც გამოეხმაურა, ამჯერად ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა.**

**საერთოდ, ასეთი დუმილი უფრო საეჭვო და საშიშია ხოლმე, მაგრამ ის კი ავიწყდება „ქართულ ოცნებას“, რომ აფეთქება სოციალურ ფონზე განსაკუთრებით სახიფათოა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის!**

**ასეა თუ ისე, ჯერჯერობით სურათი ასეთია — ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის...**

13 დეკემბრის აქცია კიდევ უფრო მასშტაბური აღმოჩნდა – თუ წინა კვირას 500-ზე მეტი მძღოლი იყო ქუჩაში გამოსული, ამჯერად საპროტესტო ტალღას 800-900 ადამიანი მაინც შეუერთდა. იყვნენ ახალგაზრდებიც, ასაკიანებიც, მამაკაცებიც, ქალებიც და იყვნენ ოჯახები პატარა ბავშვებთან ერთად, რომლებიც, ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ხვდებიან, რომ მოსალოდნელი აკრძალვა სიკეთის მომტანი არავისთვის იქნება.

მსვლელობა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიიდან, ე.წ. ჩინური დასახლებიდან დაიწყო და სულ 2-3 კილომეტრში გზა პატრულმა გადაუღობა:

– ჭკუა დაგვარიგეს, ფრთხილად იარეთო, თითქოს გვეხალისება კვირა დღეს სახლიდან გამოსვლა და „სიგნალებით“ სიარული. თავად გვაიძულეს და ახლა ვითომ ზრუნავენ ჩვენზე, – მითხრა გლდანელმა თამაზ ხვადაგიანმა, რომელიც, სხვათა შორის, საუცხოოდ ორგანიზებულ კოლონას წინ ერთ-ერთი პირველი მიუძღოდა.

პირველი გაჩერება შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან გვქონდა, რომელსაც როგორც კი მივუახლოვდით, თითქოს მიწა გაიხსნაო, ცამოწმენდილზე საიდანღაც რამდენიმე „ყველგანმყოფი“ „შკოდა“ გამოჩნდა, კოლონას წინ გადაეღობა და მოძრაობა ჩაკეტა. პატრული კი გაჰყვიროდა – „მოძრაობას ნუ აფერხებთ! დაუჩქარეთ! დაუჩქარეთ!“

თქვე დალოცვილებო, რა იცით ხოლმე ეს, „დაუჩქარეთ! დაუჩქარეთ!“ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები გვყავს ჩვენ, მფრინავი მანქანები კი არა. თანაც, მაგ „შკოდებს“ რომ მიხედოთ, ნებისმიერ დროს ყველანაირ წესსა და კანონს რომ არღვევენ, ეგ გირჩევნიათ!

კაი ხანი „ვასიგნალეთ“ „შუსუსუთან“ და ჩემდა გასაკვირად, ერთი უცენზურო სიტყვა არ დასცდენია არავის, ერთი გამომწვევი და პროვოკაციული ნაბიჯი არ გადაუდგამს არც ერთს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცივილიზებულად, ადამიანურად სურს ხალხს პრობლემის მოგვარება და არა ქვების სროლით. ამის ფონზე კი რას ვიღებთ? მხოლოდ დუმილს მთავრობისგან და სულელურ, ყოვლად ალოგიკურ ახსნა-განმარტებებს.

**აქციის მონაწილეებში ერთი ცისფერთვალება ახალგაზრდა გოგო გამოვარჩიე — მარიამი მქვია, 25 წლის ვარო, მითხრა და საკმაოდ საინტერესოდ მესაუბრა:**

– მე პირადად ყველაზე მეტად გადასატანი რადარები და თვალთვალი მაღიზიანებს. ეს არ არის დემოკრატია, ეს არ არის განვითარებულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკა. ვფიქრობ, ამით ნებისმიერი ადამიანის თავისუფლება შეიზღუდება და იქნება ტოტალური თვალთვალი. რისთვის უნდათ ეს ყველაფერი, რა უნდათ, გაიგონ და რა შედეგს ელოდებიან? აი, ამას ვერ ვხვდები ვერაფრით!

**— მარიამ გულწრფელად მითხარი, გიჭირს მარჯვენასაჭიანი ავტომობილის მართვა?**

– დიდი ხნის მძღოლი არ ვარ, დაახლოებით 2 წელია, რაც საჭესთან ვზივარ და რა ვიცი, არანაირი პრობლემა არ მქონია. არც არავის დავჯახებივარ, არც არავინ დამჯახებია. საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ინდივიდუალურია ყველა შემთხვევა. თუ ვიცავ მოძრაობის წესებს, არც მარცხენასაჭიანით შემექმნება პრობლემა და არც მარჯვენასაჭიანით. ამ ხნის მანძილზე ერთადერთი ჯარიმა მაქვს – წითელზე გავიარე, ისიც უნებურად, შესახვევი იყო, რომელიც ჩავკეტე და წინ წავედი, უკნიდან მოახლოებულებისთვის გზა რომ დამეთმო. ზუსტად ამ დროს გამოიარა პატრულმა. სხვა არანაირი წესი ერთხელაც კი არ დამირღვევია...

რა თქმა უნდა, ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აქციაში მონაწილე ყველა მძღოლი წესებს ზედმიწევნით ზუსტად იცავს და მხოლოდ ამის გამო უნდა გადაიფიქროს ინიციატივის ავტორმა კანონპროექტის კანონად ქცევა. არავითარ შემთხვევაში!

ჯერ ერთი, ამ აკრძალვით უამრავ ადამიანს მოესპობა იმის საშუალება, შეღავათიან ფასად შეიძინოს კომფორტული და გამართული ავტომობილი. ესეც რომ არ იყოს, ამ აკრძალვით ჩვენი კონსტიტუციური უფლებებიც ირღვევა!

**ვასო ურუშაძე,**
**არასამთავრობო ორგანიზაცია ეკოტრანსპორტის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი:**

– პირველი აქცია წინა კვირას გავმართეთ, რომელიც გამაფრთხილებელი ხასიათის გახლდათ და რომლის შემდეგაც ველოდებოდით კანონპროექტის პარლამენტში დარეგისტრირებას, რაც არ მომხდარა. შესაბამისად, გავმართეთ რიგით მეორე აქცია, ესეც გამაფრთხილებელი. ამ აქციის მიზანია ის, რომ პარლამენტის წევრებს მოვუწოდოთ, კანონპროექტს მხარი არ დაუჭირონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გავაგრძელებთ როგორც აქციებს, ასევე კანონპროექტს საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრებთ, რადგან ეს არის არაკონსტიტუციური, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ეწინააღმდეგება ადამიანების უფლებებს...

**— რატომ, რაში ეწინააღმდეგება, დაკონკრეტება ჯობია.**

– კონსტიტუციით ნებისმიერ ადამიანს გარანტირებული აქვს არჩევანის თავისუფლება, საკუთრების უფლება. ასევე, საქართველოში არსებობს კანონი პროდუქციის უსაფრთხოებისა და საგნების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომლის ძალითაც არავის შეუძლია აკრძალოს ქვეყნის მიერ წარმოებული პროდუქტი, ამ შემთხვევაში – ავტომობილი, ვგულისხმობ იაპონურ ავტომობილს, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებულია როგორც უსაფრთხო პროდუქტი, უსაფრთხო ავტომობილი. ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ლიტვასა და პოლონეთში, სადაც ადგილობრივმა ექსპერტებმა გაასაჩივრეს დაგეგმილი აკრძალვა ევროპის სასამართლოში და ევროპის სასამართლომ კანონპროექტის განხილვა შეაჩერა.

**— მე რამდენადაც ვიცი, ლიტვაში აკრძალეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, ყოველ შემთხვევაში, ინტერნეტში ასეთი ინფორმაცია მოვიძიე.**

– ნამდვილად არ არის ლიტვაში აკრძალული, არც სხვა ქვეყნებში და მათ შორის, არც იაპონიაში და არც დიდ ბრიტანეთში „სხვასაჭიანი“ ავტომობილი არ აუკრძალავთ, ვინაიდან აკრძალვა ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას, რომლითაც ადამიანებს აქვთ უფლება, ჰყავდეთ, ვთქვათ, მხოლოდ იაპონური ბაზრისთვის წარმოებული ავტომობილი.

**— ვასო, გამაფრთხილებელი აქციები იყო ეს ორი აქციაო, მერე რა ხდება, რა გეგმები გაქვთ?**

– რა თქმა უნდა, ეს არ არის არც პირველი და არც ბოლო აქცია. პირველ რიგში, ველოდებით პარლამენტს, მაინც იმედს ვიტოვებთ, რომ გამოჩნდებიან უმრავლესობაში გონიერი დეპუტატები, რომლებიც ამ მახინჯ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერენ.

**— და რადგან ეს არ არის პირველი აქცია, ამ დღეებში ვინმე შეგეხმიანათ, გამოთქვა სურვილი, მოესმინა თქვენი არგუმენტები?**

– არა, სამწუხაროდ, არავინ. ერთადერთი, აქციას „ფეისბუკით“ გამოეხმაურა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე...

**— ეკონომიკის მინისტრმაც გააკეთა რაღაც მსუბუქად რომ ვთქვათ, უცნაური კომენტარი — ხალხის უსაფრთხოებაზე ვზრუნავთ და იმიტომ მოხდა ამ პროგრამის შექმნაო.**

– კი, ბატონო, მთავრობის ყველა წარმომადგენელი საუბრობს მოძრაობის უსაფრთხოებაზე. რეალურად კი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ვერც ერთმა ექსპერტმა, ვერც ერთმა სტატისტიკამ და კვლევამ ვერ დაადასტურა, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი იწვევს უფრო მეტ ავარიას, ვიდრე – მარცხენასაჭიანი.

მოკლედ, ყველა თანხმდება იმაზე, რომ შს სამინისტრო და მთავრობა თითიდან გამოწოვილ მიზეზებზე გვესაუბრება და რეალურად არანაირ საფრთხეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილები არ ქმნიან. თუმცა არა, „გვესაუბრება“ ძალიან ხმამაღალი ნათქვამია – შემოაგდეს თემა, რაღაც სულელური არგუმენტები მოაყოლეს და მორჩა – თავში ქვა გიხლიათ, ჩვენ რაც გვინდა, იმას ვიზამთო. ყოველ შემთხვევაში, უკვე ამდენი ხანი გავიდა და კაციშვილს სიტყვა აღარ დაუძრავს, აღარავის უთქვამს, რას აპირებენ, რა გეგმები აქვთ.

მომდენო დღეებში აუცილებლად შევეცდებით იმის დადგენას, როგორ აფასებენ შს სამინისტროს ინიციატივას პარლამენტის წევრები, შევეცდებით, თითოეულ მათგანს ჩამოვურეკოთ და მათი პოზიციები შემოგთავაზოთ...

საპროტესტო აქციის ბოლო გაჩერება რუსთაველზე, პარლამენტის შენობასთან იყო, სადაც მოძრაობა პრაქტიკულად, გადაიკეტა და აქციის მონაწილეების შესაქებად უნდა ითქვას, რომ თითოეული მძღოლი ერთმანეთს მოუწოდებდა, ეცადეთ, სასწრაფო დახმარების მანქანები არ შეაფერხოთ, კიდეზე გაჩერდითო. მართლაც, არც ერთ სასწრაფოს რაიმე სერიოზული დაბრკოლება არ შეჰქმნია.

**გურამ ზურაბაშვილი,**
**საორგანიზაციო ჯგუფის წევრი:**

– ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ ხელისუფლებას, რაოდენობრივად რამდენად ბევრნი ვართ და რამდენად ბევრი გამოვხატავთ ამ პროტესტს. დღესვე ამ აქციის პარალელურად აქციები ჩატარდა ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, თითქმის მთელ საქართველოში.

ჩვენი მიზანია, ხელისუფლებას მოვუწოდოთ, არ მიიღოს კანონი მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ. ეს იყო კვლავაც გამაფრთხილებელი აქცია და თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, აქციები უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს და უფრო მეტ პრობლემას შექმნის. დღევანდელი აქცია ნამდვილად არ ისახავდა მიზნად, შეფერხებულიყო მოძრაობა, ვინმეს დისკომფორტი შეჰქმნოდა და კვირა დღე სწორედ ამიტომ ავირჩიეთ...

**— გურამ, თქვენ წინა კვირასაც იმას ამბობდით, დაველოდებით, რას იტყვიანო. ფაქტია, არავინ არაფერს ამბობს და არ ინტერესდება ხალხის პოზიციით.**

– კი, ნამდვილად უპასუხოდ დაგვტოვეს და თუ კვლავ ასე გაგრძელდა, მასშტაბებს გავზრდით და დავიწყებთ მასშტაბურ მსვლელობებს მთელ ქალაქში და უკვე არამხოლოდ კვირაობით. როგორ ვიმოქმედებთ მომდევნო დღეებში, მოვითათბირებთ და საზოგადოებას ინფორმაციას ძალიან მალე მივაწვდით.

## თბილისელებო, ნარმანიას უჩინმაჩინის ხეები დაურგავს, თქვენ კი არ უფასებთ შრომას და საყვედურობთ — არ გრცხვენიათ?!



თბილისის მერის თქმით, დედაქალაქში 2014 წლის შემოდგომიდან დღემდე ნახევარ მილიონამდე ხე არის დარგული, ხოლო 2016 წლის გაზაფხულის ჩათვლით, 2 წლის განმავლობაში ქალაქის ტერიტორიაზე 632 ათასი ძირი ნერგი დაირგვება, რაც 11-ჯერ აღემატება წინა 5 წლის განმავლობაში დარგული ხე-მცენარეების რაოდენობას.

– ჩვენ ძალიან აქტიურად ვიმუშავეთ ქალაქში რეკრეაციული ზონის განვითარებაზე, ისევე როგორც არსებული ტერიტორიების დაცვაზე. მეორე მხრივ, ძალიან აქტიურად მიდიოდა გამწვანების პროგრამა. მილიონიანი პროგრამიდან ნახევარი მილიონი ხე დაირგო, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ქალაქის შემოგარენში გამწვანებაზე, ეს ყველაფერი აუცილებლად მოგცვემს შედეგს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, თუმცა ჩვენ მიერ შემუშავებული სტრატეგია არამხოლოდ გამწვანებას, მოიცავს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, – განაცხადა ნარმანიამ. (ipress.ge)

**არ ვუფასებთ შრომას ამ კაცს, რა, სულ ვსაყვედურობთ და ა, ბატონო, თუ არ მუშაობს და თუ არ ასრულებს დაპირებას, — მილიონ ხეს დავრგავო. 500 ათასი ხე უკვე დარგულა დედაქალაქში, რომელიც მართალია, თვალით არავის უნახავს, მაგრამ, რადგან მერი ამბობს, დავრგეო, ესე იგი დარგო და „ვსიო“, გასაგებია?!**

**არა, თუ მართლა 500 ათასი ძირი ხე დარგეთ, თუ ამხელა შრომა გასწიეთ, თქვე დალოცვილებო, ხალხმა რატომ არ იცის, რატომ არ ეუბნებით, რომ აგერ, რასაც დაგპირდით, ვასრულებთო?!**

**როგორ უნდა უთხრათ ეს ამბავი ხალხს და კიდევ ერთხელ გეტყვით, კიდევ ერთხელ დაგარიგებთ ჭკუას — უნდა გააპიაროთ გაწეული მუშაობა, აბა, როგორ? მარტო პრემია-დანამატებისთვის და უზარმაზარი ხელფასებისთვის რომ ხარჯავთ დედაქალაქის ბიუჯეტს, პატარა პიარკამპანიისთვისაც გამოძებნეთ თანხა, მოიტანეთ რეკლამა და ერთად ვაპიაროთ, როგორ შენდება და მშვენდება ჩვენი საყვარელი თბილისი. რა, ცუდი აზრია?**

**ცუდი კი არა, გადასარევი, უნაკლო აზრია, მაგრამ არ გინდათ გაიგოთ, არ გინდათ, გაითვალისწინოთ და მერე გემოზე რომ შეგაფუცხუნებთ, ცხვირის ჩამოშვებას იწყებთ და ტელეფონზე ნორმალური პასუხის გაცემა აღარ გინდათ.**

**ვერ აშენდება, ბიძიკოებო, ასე ვერც ქვეყანა, ვერც დედაქალაქი და ვერც სოფელი — თუ არ დაგვანახეთ, რას აკეთებთ, ვისთვის და რისთვის აკეთებთ, მორიგი არჩევნები რომ მოვა, ისეთ შედეგებს მიიღებთ, ცხვრის ჩამოსაშვები მიზეზი მერე ნახეთ თქვენ!..**

**მოკლედ, დავით ნარმანიამ 500 ათასი უნიკალური ჯიშის — უჩინმაჩინის ხე დარგო თბილისში, რომელსაც ვერავინ ამჩნევს, თავად მერიის თანამშრომლების გარდა...**



## დავით ჭოჭუა გარდაიცვალა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი დავით ჭოჭუა 33 წლის ასაკში გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა.

დავით ჭოჭუას გარდაცვალებას „ფეისბუკზე“ ადასტურებს მისი მეუღლე ნინო სალინაძეც.

– ჩემი დათო გარდაიცვალა. მასთან ერთად ჩემი გულიც მოკვდა, – წერს გარდაცვლილის მეუღლე.

თანამშრომლის გარდაცვალების შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც იუწყება.

– ჩვენი უსაყვარლესი მეგობარი დათო ჭოჭუა აღარ არის ჩვენთან. ძალიან დაგვამძიმა ცნობამ მისი გარდაცვალების შესახებ. გამორჩეული ადამიანი, კეთილშობილი, ერთგული, უაღრესად ნიჭიერი. ყველას დაგვაკლდება – მის კოლეგებს, მეგობრებს, უამრავ სტუდენტს. ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო, ჩვენ დავკარგეთ კიდევ ერთი პატრიოტი, რომელიც ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა თავისი ქვეყნისთვის. ნათელში იყოს მისი სული. ჩვენი ფიქრები დათოსთანაა, – წერს სამინისტროს ოფიციალური „ფეისბუკ“-გვერდი. (ambebi.ge)

**„კვირის ქრონიკა“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს!**

## და რომ არ გვჯერა გამოძიების, რა ვქნათ, ბატონო მინისტრო?!



დევნილთა მინისტრი სოზარ სუბარი შეწყალების კომისიაში არსებულ კორუფციასთან დაკავშირებით ალეკო ელისაშვილის განცხადებას ეხმაურება. მისი თქმით, ზეწოლები ხშირად ხდებოდა, თუმცა ეს იყო ემოციური ზეწოლა პატიმრების ახლობლების მხრიდან.

– ეს არის სამუშაო პროცესი. ბუნებრივია, ატირებული დედა რომ მოდის, ეს გავლენას ახდენს. ვიღაცა ზეწოლას ცდილობს. ოჯახის წევრი ყოველთვის ცდილობს ზეწოლას. ვიღაცა პირიქით, ზეწოლას ცდილობს მუქარით, ჩხუბით, განგაწყობს პირიქით, საწინააღმდეგოდ და ეს ჩვეულებრივი პროცესია. მე გამოვრიცხავ, რომ აქ სხვა რამე იყოს. დანარჩენზე მოდი რა, დაველოდოთ გამოძიებას. რამდენიმე დღეში თუ არა, რამდენიმე კვირაში მაინც ყველას ყველაფერი გვეცოდინება, – აცხადებს სოზარ სუბარი. (ნიუპოსტი)

**სამწუხაროდ, ეჭვი გვეპარება, რომ გამოძიებამ რამე დაადგინოს. უფრო სწორად, რომც დაადგინოს, მაინც არ გაახმაურებს, რადგან ელისაშვილსა და ქორიძეს თუ დავუჯერებთ, საქმეში საკმაოდ მაღალი ჩინები არიან გარეულები. ეჭვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე რატომღაც ამდენი ხანია, დუმილს ინარჩუნებენ!**

# თბილისის სამი დიდი საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებული ტენდერი მალე დასრულდება

## ვალერი კვარაცხელია: „კადრებს ვერ შევამცირებთ, პირიქით, რაოდენობა უნდა გაიზარდოს

**ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელიამ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარე და სამომავლო ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ბრიფინგი გამართა. როგორც მან აღნიშნა, ამჟამად ოთხი ახალი კლინიკის მშენებლობა მიმდინარეობს დედოფლისწყაროში, ზუგდიდში, ლენტეხსა და ხარაგაულში.**



გარდა მიმდინარე პროექტებისა, ვალერი კვარაცხელიამ სამომავლო პროექტებზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, დაგეგმილია ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბავშვთა ახალი 20-საწოლიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც 2016 წლის აგვისტოს ბოლოს უნდა დასრულდეს. გარდა ამისა, დაგეგმილია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი ხარჯები, ჯამში, დაახლოებით 60 მილიონ ლარს შეადგენს.

ვალერი კვარაცხელია სამინისტროში მიმდინარე და სამომავლო ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, ასევე დაგეგმილ და უკვე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამი დიდი კლინიკის მართვაზე გამოცხადებულ ტენდერსაც შეეხო. როგორც მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ბავშვთა ინფექციური, ონკოლოგიური და რესპუბლიკური საავადმყოფოები მაღალი დონის მრავალპროფილიან სამედიცინო დაწესებულებებად სახელმწიფო და კერძო სექტორის თანაარსებობით ჩამოყალიბდებიან.

**— სამი დიდი დაწესებულება — ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო, ონკოლოგიური ცენტრი და რესპუბლიკური საავადმყოფო დაუბრუნდა სახელმწიფოს და კონკურსი მიმდინარეობს პარტნიორის შერჩევაზე. ეს იქნება ე.წ. „PPP პროექტი , რაც სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის თანაარსებობას გულისხმობს. მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ქვეყნისთვის ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია და ამავე დროს სწორი გადაწყვეტილებაა. მსგავსი პროექტების მუშაობის გამოცდილება არსებობს დიდ ბრიტანეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში. ასე რომ, ახალი ველოსიპედის გამოგონება არ დაგვჭირდება. ესენი იქნება მრავალფუნქციური და მაღალტექნოლოგიური, ე.წ. „მესამე დონის“ კლინიკები, სადაც პაციენტები გართულებებისა და მძიმე შემთხვევებში მოხვდებიან, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.**

მინისტრს მიაჩნია, რომ ეს ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ამავე დროს სწორი გადაწყვეტილებაა. სახელმწიფო სექტორისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის აღნიშნული სისტემა მუშაობს ინგლისში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში, საქართველოში სწორედ აღნიშნული გამოცდილების გადმოტანა განხორციელდება.

**— ჩვენ მივიღებთ ძალიან მაღალი დონის საავადმყოფოებს, ეს იქნება მრავალფუნქციური, მაღალტექნოლოგიური კლინიკები, ე.წ. მესამე დონის კლინიკები, სადაც პაციენტები მხოლოდ გართულებულ, მძიმე შემთხვევებში მოხვდებიან, — ითქვა ბრიფინგზე.**

ვალერი კვარაცხელიას ინფორმაციით, ჯანდაცვის ობიექტებთან მიმართებაში კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების თანაარსებობის შესახებ კანონის შექმნაზე ეკონომიკის სამინისტრო ამჟამად მუშაობს, ვინაიდან არ არსებობს დღემდე შესაბამისი რეგულაციები.

– ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს შესაბამისი კანონის შექმნაზე, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლის დასაწყისისთვის შემუშავდება, – აღნიშნა კვარაცხელიამ.

როგორც ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, კლინიკების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვასთან ერთად იგეგმება მედპერსონალის გადამზადებაც.

**— კადრებს ვერ შევამცირებთ, პირიქით - რაოდენობა უნდა გაიზარდოს. მოგეხსენებათ, დღეს არსებული რესურსის გამო კლინიკების 10 პროცენტი ფუნქციონირებს. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ტენდერის პირობების მიხედვით კადრების გადამზადებაც უნდა უზრუნველყოს. წელს საკმაოდ კარგი სიმულაციის ცენტრი გავხსენით და მუშაობა მიმდინარეობს სწორედ იმ კუთხით, რომ დავგეგმოთ პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც სწორედ იქ მოხდება კადრების გადამზადება. სამივე კლინიკა, ჯამში, დაახლოებით 570-საწოლიანი უნდა იყოს, შესაბამისად, კლინიკის მმართველმა უნდა გადაწყვიტოს, რამდენი მედპერსონალის გადამზადება იქნება საჭირო. ზუსტ ციფრებს ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, — განაცხადა ვალერი კვარაცხელიამ.**

**შეგახსენებთ, რომ რესპუბლიკური საავადმყოფოს, ონკოლოგიური ცენტრისა და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებული ტენდერის მეორე ტურში მხოლოდ ავსტრიული კონსორციუმი „ალფამედიკი“ გადავიდა. სრული დოკუმენტაცია ვადებში სწორედ აღნიშნულმა კომპანიამ წარადგინა. სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად, ზემოაღნიშნული 3 კლინიკა დაპროექტებული, აშენებული და/ან რეკონსტრუირებული უნდა იქნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, აღიჭურვოს მაღალხარისხიანი სამედიცინო ტექნოლოგიებით. გამარჯვებულმა კონსორციუმმა უნდა უზრუნველყოს განხორციელებული პროექტის JCI სტანდარტების შესაბამისად აკრედიტაცია, ხოლო პერსონალისთვის ატესტაციის გავლა და სწავლება პერსონალის განვითარების სპეციალური პროგრამის შესაბამისად. პროექტი უნდა წარიმართოს გაერთიანებულ სამეფოში მიღებული ჯანდაცვის მოდელის მსგავსად. პირობების მიხედვით, გამარჯვებული კონსორციუმი ვალდებული იქნება, პრინციპით, სახელმწიფოსთან ერთად მოახდინოს საავადმყოფოების მართვა, ფლობა და ოპერირება.**



## როგორ აღმოჩნდა პატრულის მანქანა სამების ტაძრის კიბეზე

ფოტო რამდენიმე დღის წინ სამების საკათედრო ტაძარშია გადაღებული.

ფოტოს ავტორის განმარტებით, სამების ტაძრის ეზოში მყოფი პატრულის ავტომობილი ეზოდან გასვლას ცდილობდა, თუმცა სავალი გზიდან კიბეზე მოხვდა. ფოტოზე სწორედ ეს მომენტია ასახული. (ambebi.ge)

**და ალბათ, პატრულის ამ თანამშრომელს რამდენი მძღოლისთვის ექნება „პრავა“ წართმეული, რამდენ მძღოლს დააჯარიმებდა...**

**არა, დამრღვევი უნდა დაჯარიმდეს, მაგრამ ვინ აჯარიმებს, ამასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, არა?!**

## რუსული ატომური შეიარაღების 95 პროცენტი საბრძოლო მდგომარეობაშია მოყვანილი



რუსული ატომური იარაღის 95 პროცენტი საბრძოლო მზადყოფნაშია, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ სპეციალურად დაგეგმილ სხდომაზე განაცხადა.

როგორც „ინტერფაქსი“ ციტირებს, მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრატეგიული ობიექტები, ატომური იარაღის გადამზიდი საჰაერო სისტემები, კონტინენტთაშორისი რაკეტები ასევე საბრძოლო მზადყოფნაშია. მინისტრმა დაამატა ისიც, რომ 200-მდე ატომური ბომბი ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპის ტერიტორიაზე აქვს განთავსებული. (live24.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## „ორმოების გამოფენა“ — აქცია-პერფორმანსი თბილისის მერიასთან



თბილისის მერიის წინ, „ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ აქცია-პერფორმანსი მოაწყო. ლეიბორისტებმა წარმოადგინეს დედაქალაქში ბოლო ორი დღის განმავლობაში გადაღებული სურათების მცირე ნაწილი, რაც მათი თქმით, ქალაქში გზების სავალალო მდგომარეობას ასახავს.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ რამდენიმე დღის წინ განცხადება გააკეთა, რომ თბილისში ორმოები აღარ არსებობს. (ნიუპოსტი)

**ახლა რაღას იტყვის მერი — მებრძვიან, სპეციალურად ამოთხარეს ორმოებიო?! ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხალხი ამათ ბრმა ჰგონია. ყოველ შემთხვევაში, უნდათ, ყველაფერზე თვალებს ვხუჭავდეთ, მაგრამ არ გამოვა ასე, არ ივარგებს და ხალხზე მეტად თავად დაზარალდებით, ჩინოვნიკებო — პრემიებსა და ფუფუნებას მიჩვეულებს ძალიან გაგიჭირდებათ „უბრალო მოკვდავებად“ ქცევა, რაც აუცილებლად მოხდება!!!**

## ხადურის ეს პროგნოზი გვაფიქრებინებს, რომ, სამწუხაროდ, ლარს არც მომავალი წლისთვის ეშველება



ფინანსთა მინისტრმა ლარის დევალვაციაზეც ისაუბრა. ნოდარ ხადურის განცხადებით, ეროვნული ვალუტის გაუფასურება აღარ არის მოსალოდნელი და ის შეიძლება მომავალ წელს 10 პროცენტით გამყარდეს.

– პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. „საქართველოს ბანკის“ ღონისძიებაზე იყო ჩამოსული ერთ-ერთი ექსპერტი, რომელმაც თქვა, რომ ის მომავალ წელს ელოდება ლარის გამყარებას დაახლოებით 10 პროცენტით. ვნახოთ, რა იქნება. ლარის კურსზე საგარეო ფაქტორებზე არაფერი თქვათ და შიდა ფაქტორები რამე ხომ არ არისო – პავლე კუბლაშვილმა იკითხა და ალბათ, ბიუჯეტს გულისხმობდა. თუ საგარეოზე არაფერი უნდა ვთქვა, მაშინ გიორგი ქადაგიძის სიტყვებს გავიმეორებ, რომ ბიუჯეტი იყო ნეიტრალური და ბიუჯეტს ამაზე ზეგავლენა არ მოუხდენია, – აცხადებს ნოდარ ხადური. (პირველი რადიო)

**ჰო, ნუ, „ერთ-ერთმა ექსპერტმა“ თუ ასე თქვა, რაღა უჭირს აბა, ჩვენს ეროვნულ ვალუტას. ეეჰ!..**

# „გალტ ენდ თაგარტისა“ და „პაშა ბანკის“ მიერ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ობლიგაციები ქართულ საფონდო ბირჟაზე განთავსდა




2015 წელი საკმაოდ საინტერესო და წარმატებული აღმოჩნდა საქართველოში მომუშავე კომპანიების განვითარების თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ამჯერად საფონდო ბირჟაზე „გალტ ენდ თაგარტმა" და „პაშა ბანკმა", შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" (GWP) 6 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები წარმატებით განათავსა. ობლიგაციების ვადა 2 წელია და მისი ოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრება: ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7,5-პროცენტიანი მარჟა. შესაბამისად, ობლიგაციის ეფექტური ღირებულება, დღეის მდგომარეობით, წლიურ 15 პროცენტს შეადგენს და გადახდა ყოველკვარტალურად განხორციელდება. განთავსების აგენტები, „პაშა ბანკი" და „გალტ ენდ თაგარტი", უზრუნველყოფენ, რომ GWP-ის ობლიგაციები დაშვებულ იქნას საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

გიორგი ცხადაძე, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორი:

–¬მოგახსენებთ, რომ ჩვენი და „პაშა ბანკის" თანამშრომლობა დაიწყო მიმდინარე წლის დასაწყისში და აქტიურად გაგრძელდება მომავალშიც. ფაქტია, დღეს უფრო მეტი ფინანსური ინსტიტუტი გამოხატავს მზადყოფნას, ჩვენს კომპანიაში სახსრების დაბანდება მოხდეს. ამას ადასტურებს Fitch-ის რეიტინგიც, რომელიც, GWP-ს მიენიჭა. ყველაფერი ეს კი მიუთითებს ჩვენი კომპანიის სანდოობაზე, რაც დაგვეხმარება სამომავლო გეგმების განხორციელებაში.

**გიორგი ვახტანგიშვილი, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური დირექტორი:**

– „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის" საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში არსებითია საკრედიტო რესურსების დივერსიფიკაცია. ჩვენი კომპანიისთვის ეს უკვე ობლიგაციების ემისიის მეორე რაუნდია, ამჯერად უკვე 6 მლნ ლარზე. გამოშვებული ობლიგაციები სრული მოცულობით თავსდება. პირველად, ობლიგაციების განთავსება მიმდინარე წლის აგვისტოში 2,6 მლნ ლარის ოდენობით მოხდა. GWP-ის ახალი მენეჯმენტი მზად არის, ითანამშრომლოს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტთან და ფონდებთან იმისთვის, რომ განხორციელდეს ის პროექტები, რაც მნიშვნელოვანია კომპანიის განვითარებისთვის.

**არჩილ გაჩეჩილაძე, „გალტ ენდ თაგარტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– fitch-რეიტინგი, რომელიც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" მიანიჭეს, არის ყველაზე მაღალი რეიტინგი, რაც ქვეყნების მიხედვით ენიჭებათ კომპანიებს და ეს მენეჯმენტის დიდი დამსახურებაა. ეს ნამდვილად დიდი მიღწევაა და ვულოცავ კომპანიის მენეჯმენტს ამ ტრანშის წარმატებულად განთავსებას. რაც შეეხება „გალტ ენდ თაგარტს", მან უკვე შეუწყო ხელი, ჯამში, 100 მილიონი ლარის მოცულობის ადგილობრივი ობლიგაციების განთავსებას, რითაც მხარს უჭერს საქართველოში კაპიტალის ბაზრების ჩამოყალიბებასა და კომპანიებისთვის, მათი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფინანსურ რესურსზე წვდომას. ამ დროისთვის „გალთ ენდ თაგარტი" საკუთარი პროფესიონალთა გუნდისა და გამოცდილების წყალობით გახდა საინვესტიციო საბანკო მომსახურების მიმწოდებელი წამყვანი კომპანია ქვეყანაში. მსურს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც იმუშავა აღნიშნულ გარიგებაზე და წარმატება ვუსურვო GWP-ს.

არჩილ გაჩეჩილაძის განმარტებით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების კუთხით, პირველი ნაბიჯები სწორედ ახლა იდგმება. მისი პროგნოზით, 2016 წელი იქნება გარდამტეხი და ბაზარზე ძალიან ბევრი ობლიგაცია განთავსდება. მისი თქმით, ამ მიმართულების ხელშეწყობისთვის ხელისუფლებასაც საინტერესო ინიციატივები აქვს.

**შაჰინ მამმადოვი, „პაშა ბანკის“ გენერალური დირექტორი:**

– მოხარულნი ვართ, რომ ამჯერად „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან" და „გალთ ენდ თაგარტთან" პარტნიორობაც წარმატებით შედგა. ამ თანამშრომლობით ჩვენ კიდევ უფრო გავამყარეთ პარტნიორობა GWP-თან. ეს არ არის ჩვენი პირველი ტრანზაქცია საქართველოში. მაისში ჩვენ უზრუნველვყავით „ფინკა ბანკის" 20 მილიონი ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების განთავსება. ამ ყველაფერს საფუძველი მიმდინარე წლის მარტში ჩაეყარა, როდესაც „პაშა ბანკმა", „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ და „რუსთავის წყალი" 22,5 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო რესურსით უზრუნველყო.

**მარიკა არღვლიანი**

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



სოციალურ ქსელ „ფეისბუკის" მომხმარებელმა ელე სარიშვილმა 13 დეკემბერს გამოაქვეყნა სკანდალური პოსტი და განაცხადა, რომ თბილისში მოძალადე ტაქსის მძღოლი დადის, ქალბატონებს კი სიფრთხილისკენ მოუწოდა:

„SOS! SOS! SOS! ყურადღებით წაიკითხეთ და ჩემი დიდი თხოვნაა, გაავრცელოთ. ქალბატონებო და არამარტო ქალბატონებო, ჟურნალისტებო და უბრალოდ მოქალაქეებო, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ მეორე დღეს ტელევიზიით და ჟურნალ-გაზეთებით ვრცელდება ინფორმაციები და შუქდება ქალებზე ძალადობის ფაქტების შესახებ, კვლავ და კვლავ მოიძებნებიან ისეთი ნაძირალები, რომელიც თქვენი დახმარებით უნდა ვიპოვოთ და დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით, რადგან ბოლოს და ბოლოს, ამ უმსგავსობას ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული?

1-ელ დეკემბერს, ღამის 2-3 საათზე ტაქსის მძღოლის მიერ იქნა განხორციელებული ფიზიკური ძალადობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა ახალგაზრდა ქალბატონის მიმართ. ამ ეტაპზე ამ ქალბატონის სახელს არ ვასახელებ გარკვეული მიზეზების გამო. ეს ნაძირალა, რომელიც ამ ეტაპზე მოძრაობს სედანის ტიპის მანქანით, მუქი ფერისაა და სამწუხაროდ, მარკა ვერ ამოიცნო დაზარალებულმა, რადგან შოკურ მდგომარეობაში მყოფი მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე ამ მხეცის შემოტევისგან თავი დაეცვა, როცა ძირს დაგდებულს წიხლებით ურტყამდა, მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მხეცური სურვილისა და ჟინის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს. მუქი ფერის, სახელმწიფო ნომრით 213 და სერია ამ ეტაპზე დაუდგენელია, მამაკაცი არის დაახლოებით 40-50 წლის, საშუალო სიმაღლის, საკმაოდ ჩაფსკვნილი და დამახასიათებელი ნიშანი – არა აქვს მარცხენა თვალი. ამ პირუტყვის საქციელებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მისი პირველი შემთხვევა არაა, რადგან საკმაოდ თავხედურად და უწმაწური სიტყვებით იხსენიებდა სამართალდამცავ ორგანოებს, რომ ისინი თითსაც არ დააკარებენ და ასე შემდეგ. მინდა გავაფრთხილო თბილისის მოსახლეობა და განსაკუთრებით ქალბატონები, მსგავს პიროვნებას ერიდონ, რადგან ეს არამზადა ჯერჯერობით თავისუფლად დადის. ყველას, ვინც კი ამ პოსტს წაიკითხავს, ვთხოვ, პირადში მომწეროს თუ ასეთი აღნაგობის მამაკაცი ეცნობა. გპირდებით, რომ არ გავამხელ თქვენს ვინაობას და იმედი მაქვს, რომ დაინტერესდებიან ამ საკითხით და თქვენი დახმარებით შევძლებთ ეს „არსება" წარდგეს სასამართლოს წინაშე და მთელი სიმკაცრით აგოს პასუხი, მადლობა ყურადღებისთვის.

**P.S. და ორმაგად ამაზრზენი ის მინდა დავამატო, რომ ამ ამბავს შეესწრო რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც ავტომობილი გააჩერეს და იმის მიუხედავად, რომ ძირს დაგდებულ ქალს დახმარებოდნენ, პირიქით, ამაყად დასძახოდნენ, მოგიხდება მასე, ეგდე ძირსო...**

**ხალხო, რა ხდება, სულ დაიკარგა ადამიანობა? ძაღლს რომ სცემენ ქუჩაში, იმას გამოუჩნდება დამცველი, და როგორ შეიძლება, ადამიანი თუ გქვია, შეესწრო ქალის ასეთი ცემის ფაქტს და კიდევ დაუმატო შეურაცხყოფა, გადაგვარდა სულ საქართველო? რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და ამ ამბავს ასე არ დავტოვებ, სადაც დამიძახებენ, თუ რომელიმე ტელევიზია იქნება, თანახმა ვარ, ხმამაღლა ვილაპარაკო ამ საკითხზე".**

# რა ინფორმაციები მოიპოვა მძღოლზე და რას






**„კვირის ქრონიკა" თბილისის სხვადასხვა უბანში, ისეთ ადგილებზე მივიდა, სადაც ტაქსის მძღოლები დგანან ხოლმე და დაინტერესდა, თუ სმენიათ ამ ფაქტის შესახებ? იცნობენ თუ არა ცალთვალა კოლეგას და ზოგადად, რას ფიქრობენ მომხდარზე?**

მეტროსადგურ „ვარკეთილის" მიმდებარე ტერიტორია:

– აქ მასეთი მონაცემის პიროვნება ნამდვილად არ ტაქსაობს, ყოველ შემთხვევაში, აქ არ დგას. ძალიან ცუდი რამ მითხარით, მასე როგორ უნდა მოიქცეს ტაქსის მძღოლი? კლიენტმა რაც არ უნდა გითხრას, მით უმეტეს, ქალმა, როგორ შეიძლება გადმოიღო და სცემო? ეგ არაკაცი ყოფილა, შემოგევლე, ავადმყოფი და მართლა საშიშია. ალბათ, პოლიცია უკვე დაინტერესდა მაგ ამბით და გამოიძიებენ, ვინაა, საიდან მოეთრა და პასუხისგებაში მისცემენ! შეგიძლიათ, სხვა ტაქსის მძღოლებიც ჩაწეროთ, მაგრამ ისინიც იმავეს გეტყვიან, რაც მე გითხარით, – ცალთვალა პიროვნება აქ არ ტაქსაობს, ალბათ, გამვლელი ტაქსია და მისი პოვნა შეიძლება, ცოტა გაჭირდეს.

იქვე მდგარ სხვა ტაქსის მძღოლებსაც ვესაუბრე და მათგანაც იგივე პასუხი მოვისმინე, რაც პირველმა ტაქსის მძღოლმა მითხრა.

მეტროსადგურ „სამგორთან" მდგარი ტაქსის მძღოლებისგანაც ანალოგიური პასუხები მივიღე, მიმდებარე ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული აღწერილობის პიროვნება არ ტაქსაობს და ისინიც ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ეს პიროვნება ქალაქში მოძრაობს და კლიენტებს ისე პოულობს. მომხდარი ფაქტი კი ყველანაირად დაგმეს და გაუმართლებელი უწოდეს.

მეტროსადგურ „300 არაგველთან" მდგარი ტაქსის მძღოლებიდანაც არც ერთი არ იცნობს მათ ცალთვალა კოლეგას და არც არსად შეხვედრიათ, თუმცა ერთ-ერთმა მათგანმა აბსოლუტურად რადიკალური განცხადება გააკეთა:

– ჩვენ ღამე არ ვმუშაობთ, რაიონებიდანაც იმდენი ტაქსი დადის... ჯერ ის გაიგონ, ის ქალი როგორი იყო? შეიძლება, ქალმა შესთავაზა რამე და მერე უარი უთხრა... ზოგი კლიენტი ქალი ისეთ რამეს გეტყვის, ყელში ამოგიყვანს.

– და მერე უნდა სცემო?

– სცემო კი არა, უნდა მოკლა, „კაროჩე", ისეთ რამეს გეტყვის! პატარა გოგო ხარ და როგორ გითხრა, რა შეიძლება თქვას ზოგმა?..

მდააა... ასეთებიც არიან თურმე....

მეტროსადგურ „ავლაბართან" მდგარ რამდენიმე ტაქსის მძღოლსაც გავესაუბრე,

# რამდენი მღვდელმსახურია საქართველოს ეკლესიაში და აფინანსებს თუ არა მათ საპატრიარქოს ბიუჯეტი?




**რამდენი მღვდელმსახურია საქართველოში, რა შემოსავალი აქვთ სასულიერო პირებს და რაში იხარჯება სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ამბები.გე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს, მამა მიქაელ ბოტკოველს ესაუბრა:**

– ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს, სავარაუდოდ, ალბათ, 2 000-მდე მღვდელმსახურია, 1 000-მდე ბერი და 500-მდე მონაზონი. ეს არის სავარაუდო ციფრები, რადგან ზუსტი მონაცემი არ გვაქვს.

— **საიდან ფინანსდებიან სასულიერო პირები? რა წარმოადგენს მათ საარსებო საშუალებას?**

– მოძღვრებისთვის შემოსავალი არის ის შემოწირულობა, რომელსაც მრევლი გადაუხდის მღვდელმსახურების შესრულებაში, იქნება ეს ნათლობა, ჯვრისწერა, პანაშვიდი, წესის აგება და ა.შ. რასაც შესაწირის ყუთში შეწირავენ, ის არის სასულიერო პირის შემოსავალი. საპატრიარქოს ბიუჯეტიდან არც ერთი მღვდელმსახური არ ფინანსდება, რადგანაც ეს არ არის ნორმა. ეკლესიაში სასულიერო პირები თანხას ჩვეულებრივ შესაწირიდან იღებენ.

— **საზოგადოებაში ხშირად უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ საპატრიარქოს ბიუჯეტი ყოველ წელს იზრდება, როგორ ნაწილდება ეს თანხები?**

– თანხა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დასაფინანსებლად გამოიყოფა, არის ერთგვარი კომპენსაცია იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც წინა ხელისუფლების დროს, ანუ ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში სახელმწიფოსგან ეკლესიას მიადგა, ვგულისხმობ 20-იან წლებს, როდესაც ბოლშევიკურმა რეჟიმმა ეკლესიები პრაქტიკულად დააცარიელა.

ეს ნორმა არსებობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ასეა, გამოყოფილია გარკვეული თანხა, რომელსაც საკომპენსაციოდ ეკლესიას უხდიან, რადგანაც ის ხელისუფლება, რომელიც დღეს არის, რა თქმა უნდა, იმ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეა, რომლის დროსაც ეკლესიამ მატერიალური ზარალი მიიღო. აქედან გამომდინარე, მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ხმარდება საპატრიარქოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ძალიან მცირე ნაწილი სოციალურ მიმართულებებს. რადგანაც ჩვენ მომავალს ვხედავთ სასულიერო პირების აღზრდაში, სასკოლო დაწესებულებების შექმნაში, სადაც ჩვენი ახალგაზრდები მიიღებენ შესაბამის განათლებას, ეს თანხა მთლიანად აქეთკენ არის მიმართული. ამ თანხიდან სასულიერო პირები, როგორც ასეთი, ხელფასს არ იღებენ.

არსებობს ორი სასულიერო აკადემია, ორი უმაღლესი სასწავლებელი – უნივერსიტეტი, საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, ოთხი სემინარია, სკოლები, გიმნაზიები და გამოყოფილი თანხა მთლიანად ამ მიმართულებებზე იხარჯება. თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, რომ ეს 25 მილიონი არის იმდენი, რამდენითაც ფინანსდება ერთი უმაღლესი სასწავლებელი. თუ არ ვცდები, „ილიაუნის" 40 მილიონამდე აქვს გამოყოფილი, რომ იფუნქციონიროს, პრაქტიკულად ერთი უნივერსიტეტი რასაც მოიხმარს მთელი წლის განმავლობაში, იმას იხმარს ჩემ მიერ ჩამოთვლილი დაწესებულებები და თუ ასე გავაანალიზებთ, ვფიქრობ, რომ ამხელა ეკლესიისთვის 25 მილიონი ძალიან დიდი თანხა არ არის, თუ ქვეყანაში ერთი უნივერსიტეტის დაფინანსებას 30 და უფრო მეტი მილიონი ლარი სჭირდება.

— **გამოყოფილ ბიუჯეტში თუ შედის სოციალური დახმარება უმწეოთათვის?**

– არა, ასეთი მიმართულება პრიორიტეტად არ გვაქვს, უბრალოდ, ეპარქიებში როგორც ახერხებენ სასულიერო პირები და მღვდელმთავრები დახმარებას, ამას ახორციელებენ. ჩვენ რომ თანხა სოციალურ დახმარებაზე გავანაწილოთ, საპატრიარქოსთან, ალბათ, ხალხის რიგი არ შეწყდება იმიტომ, რომ დღეს პრაქტიკულად ყველას უჭირს. (ამბები.გე)

# „ქრონიკამ“ მოძალადე ტაქსის ამბობენ ტაქსისტები?



მათაც არ სმენიათ იმ მოძალადე ტაქსისტის შესახებ და ასეთ პიროვნებას არ იცნობენ – მოსაკლავია მასეთი ადამიანი, ქალმა რაც არ უნდა გითხრას, როგორ უნდა სცემოო, ამბობს ერთ-ერთი მათგანი. სხვა ტაქსის მძღოლი კი ამბობს – ადამიანი არ ყოფილა, ეგ როგორ შეიძლება?! შეიძლება, იმ ქალმა ფული არ მისცა, ან რამე სხვა მიზეზი იყო, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, ქალის ცემა შეიძლება?! ამ ბოლო დროს ცუდი რაღაცები აღარ ხდება, ადრე მეც მქონია შემთხვევები, როცა კლიენტს იარაღი ამოუღია და დაუდია... იყო შემთხვევაც, როცა ჩანგალი მომადეს ყელზე... ეს წლების წინათ იყო და კიდევ კარგი, ახლა ასე აღარ ხდება.

მეტროსადგურ „ვაგზლის“ მიმდებარე ტერიტორია:

– მაგ ნომრისა და მონაცემის მანქანა აქ არ დგას სატაქსაოდ, არც ცალთვალა ტაქსისტი ვიცი. საერთოდ, ვინც ბირჟაზე დგას ხოლმე, ის ტაქსის მძღოლი მასეთ რამეს არ ჩაიდენს, არ გაბედავს, იმიტომ, რომ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. დღესდღეობით, ათასი გიჟი დადის ქალაქში, რას გაიგებ, ვინ რისი ჩამდენია? შეიძლება, ვინმე ახალია, ვინც ახლახან გამოვიდა სატაქსაოდ.

მ ე ტ რ ო ს ა დ გ უ რ „დიდუბესთან“ მდგარმა მძღოლებმა კი ძალიან საინტერესო ინფორმაცია მომაწოდეს იმასთან დაკავშირებით, სად შეიძლება იმ ტაქსის მძღოლს ჩაესვა ქალბატონი. ელე სარიშვილს თავის პოსტში არ ჰქონდა დაკონკრეტებული, რა ადგილას გააჩერა დაზარალებულმა ქალბატონმა აღნიშნული ტაქსი და როგორც შემდგომ ელესთან საუბარში გავარკვიე, „დიდუბესთან“ მდგარი ტაქსის მძღოლების ნათქვამი ერთი-ერთში დაემთხვა იმ ფაქტს, სად შეიძლებოდა მოძალადე ტაქსის მძღოლს ეტრიალა.

– აქ მასეთი პიროვნება და არც მასეთნომრიანი მანქანა არ დგას. ცალთვალა კი ყოფილა ეგ ადამიანი, მაგრამ დღეს ბევრი ხეიბარი ტაქსაობს, მაგალითად, აქვე დგას ერთი კაცი, რომელსაც ფეხები არ აქვს, საჭე ხელით მართვაზე აქვს გადაყვანილი და ისე ტაქსაობს. სხვათა შორის, ხეიბარი ტაქსის მძღოლები, ძირითადად, ელიავას მიმდებარე ტერიტორიაზე და წერეთელზე არიან ხოლმე, შეიძლება, მაგ პიროვნებამ ის ქალბატონი სწორედ იმ ტერიტორიებთან ჩაისვა... ქალმა რაც არ უნდა ცუდი რამ გითხრას, როგორ უნდა სცემო? როგორ შეიძლება?

– ეგ იქნებოდა რეკეტიორი ვირიშვილი! ყველა ვარიანტში, მძღოლს თმენის დიდი ხარისხი უნდა ჰქონდეს, იმდენი სხვადასხვა ხასიათის ადამიანის გადაყვანა უხდება და ყველას რომ სიტყვებზე გამოეკიდოს, ეს კარგს არაფერს მოუტანს.

– ეგ ტაქსისტი არ იქნებოდა! როგორ ახლა, მე ამ საქმით პურსა ვჭამ და შარი მინდა? ტაქსის ტრაფარეტი სამი ლარი ღირს, იყიდდა და გამოვიდოდა ვითომ სატაქსაოდ, სინამდვილეში კი მასეთი მამაძაღლობებისთვის. კარგად ეცოდინებოდა, რომ ჩვეულებრივ მანქანაში ქალი არ ჩაუჯდებოდა და ვითომ ტაქსი იყო, ჩაისვა და შეეცადა, თავისი საქმე გაეკეთებინა, რაც არ გამოსვლია და იმიტომაც სცემა ის ქალი. ხშირად გამიგია, რომ ეგეთი ვითომ ტაქსის მძღოლები რესტორნებთანაც გაივლიან ხოლმე, მთვრალ კლიენტს ჩაისვამენ, მთვრალს კიდე შეიძლება მიეძინოს და მერე ჯიბეებს უსუფთავებენ. შეიძლება, პოლიციასთანაც არის შეკრული, არაა გამორიცხული, არეულია ქვეყანა. ამას წინათ, მანქანამ კინაღამ გადაგვიარა აქ, განვაცხადეთ და არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია ამ ამბავს.

**„კვირის ქრონიკა“ ელე სარიშვილს „ფეისბუკით“ დაუკავშირდა და დაინტერესდა, რა ეტაპზეა საქმე? დაიკითხა თუ არა უკვე ის დაზარალებული ქალბატონი და კონკრეტულად, რა ადგილას გააჩერა მან ცალთვალა ტაქსის მძღოლი:**

**ელე სარიშვილი:**

– ის ტაქსი წერეთელზე მოძრაობდა და ქალბატონმა სწორედ წერეთელზე გააჩერა. პოსტი იმიტომ გამოვაქვეყნე, რომ მინდოდა, ხალხი დამხმარებოდა, იქნებ, დაენახა ვინმეს მსგავსი ადამიანი და მასეც მოხდა, ძალიან ბევრი მწერს და რამდენიმეს უნახავს კიდეც ეს პირი. ყველაფერი გამოძიებას უკვე გადავაწოდე. დაზარალებული, რა თქმა უნდა, უკვე დაკითხეს, საქმე დიდი დილმის ქვეგანყოფილებას აქვს წარმოებაში. დიდი მადლობა ყურადღებისთვის. იმედია, ერთ სტატიას მაინც წავიკითხავ, რომელიც ინტრიგების გარეშე იქნება და მართლა დაგვეხმარება ჩვენც და გამოძიებასაც, რაც შეიძლება მალე იქნეს აყვანილი ეს არამზადა, რადგან სხვა ორი ქალბატონის მიერ მოწოდებული ინფორმაციითაც დაემთხვა აღნაგობაც და ასაკიც. ეს ადამიანი საკმაოდ აგრესიული თვისებებით გამოირჩევა და, ფაქტობრივად, საშიშროებას წარმოადგენს! ხალხი საკმაოდ თბილად მწერს და თანაგრძნობასაც მიცხადებენ, რაც, იქნებ, თქვენს სტატიაშიც აღნიშნოთ. მერწმუნეთ, ნინო, ეს ის ფაქტი არაა, რომ მეამაყებოდეს ამის დაწერა და ამით თავის გამოჩენა. მეც საკმაოდ მეშინია იმ არამზადის, მაგრამ ჩემი შიში არაფერია იმ სურვილთან შედარებით, რომ მინდა ეს პიროვნება იზოლირებული იქნეს საზოგადოებისგან და მით უმეტეს, სხვა ქალს აღარ მიაყენოს მსგავსი სახის ტკივილი.

**„კვირის ქრონიკა“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურს, ნინო ცხადაძეს დაუკავშირდა და დაინტერესდა, რა მუხლით არის საქმე აღძრული და თუ არის უკვე ცნობილი მოძალადე ტაქსისტის ვინაობა?**

„გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რაც ცემას გულისხმობს (აღნიშნული მუხლის მიხედვით, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ას ოთხმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე, ანდა ტუსაღობით, ვადით ორ თვემდე. – ნ.ლ.). ამ დროისთვის ტარდება საგამოძიებო მოქმედებები და დანიშნულია ექსპერტიზები. ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია“.

# რატომ მართავს „ხალხის ხმა“ აქციას პროკურატურასთან?

ნინო ლაბარტყავა

571 99-92-33



**საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის მიერ გასაჯაროებული ინფორმაციის ირგვლივ ობიექტური გამოძიების მოთხოვნით, მთავარ პროკურატურასთან 15 დეკემბერს აქცია გაიმართება. აქციის ორგანიზატორი საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ხმის“ ლიდერი, უფლებადამცველი ნიკა მემანიშვილია:**

– ბოლო დროს გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით, მთავარ პროკურატურასთან 15 დეკემბერს, სამ საათზე ვაპირებთ აქციის გამართვას. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ძალიან რეზონანსული საქმე და მწვავე საკითხია, მიგვაჩნია, რომ ის მთავარმა პროკურორმა პირად კონტროლზე უნდა აიყვანოს. ბატონი შოთაძე ხომ სამართლიანობის აღდგენის თუ დაჩქარების პროცესის დაპირებით მოვიდა? სწორედ ამიტომ, ყველა იმ კითხვას უნდა გასცეს ამომწურავი პასუხი, რა კითხვების საზოგადოებაში არის. თავად აღნიშნულ თემას რაც შეეხება, სამწუხაროდ, ხაზს უსვამენ იმას, რატომ არ საუბრობდა ალეკო ელისაშვილი ამ ყველაფერზე წელიწად-ნახევრის განმავლობაში. მე ვფიქრობ, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების მხრიდან ამ მოსაზრებით აპელირება არის თემის გადაფარვის მცდელობა. პროკურატურას, ნებისმიერ დანაშაულზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, აქვს გამოძიების დაწყების ვალდებულება. როდესაც ელისაშვილი ამბობს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მაშინდელ მთავარ პროკურორს მიაწოდა, პროკურატურას გამოძიება უნდა დაეწყო და ის არგუმენტი, რომ ელისაშვილმა წერილობით არ მიმართა მაშინ პროკურატურას, არ არის ჩემთვის ღირებული და ფასეული, რადგან თუ მათ ჰქონდათ აღნიშნული საკითხის გამოძიების რეალური სურვილი, ელისაშვილის ნათქვამიც უნდა გამხდარიყო ამისთვის საკმარისი.

**— იმდროინდელი მთავარი პროკურორის მოადგილე გოგაძემ ახლახან განაცხადა, — კი, შევხვდით, მაგრამ იმ თემებზე არ გვისაუბრია, რასაც ელისაშვილი ახლა ამბობს და გამოძიება როგორ უნდა დაგვეწყოო?**

– შეგვიძლია, ვიმარჩიელოთ, ისაუბრეს თუ არ ისაუბრეს? ბუნებრივია, ჩვენ ვუშვებთ, რომ იყო ასეთი საუბარი ელისაშვილსა და იმჟამინდელი პროკურატურის მაღალჩინოსნებთან, რადგან ელისაშვილი პატარა ბავშვი არ არის, ჰაერზე ილაპარაკოს. თან ამბობს, „ესემესებიც“ და თუ არ ვცდები, სატელეფონო საუბრებიც მაქვსო და არამარტო ელისაშვილი, შეწყალების კომისიის დღევანდელი თავმჯდომარე ზვიად ქორიძეც მსგავს ფაქტებზე საუბრობს. საქმე ცალსახად რაღაც კონკრეტულ დანაშაულთან გვაქვს, რასაც ვუყურებ. კი, ძალიან კარგია, რომ დღეს მაინც დაიწყო ამ საკითხებზე გამოძიება, მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ, სამწუხაროდ, ხელისუფლება და ამ შემთხვევაში, მთავარი პროკურატურა არ აპირებს აღნიშნული საკითხის რეალურ გამოძიებას და არ აპირებს დამნაშავეების დასჯას, თუკი ასეთები არსებობენ.

**— რატომ არ აპირებს? ეს ხომ რეზონანსული საქმეა და ამის ჩაფარცხვა ხომ გაუჭირდებათ?**

– ჩემი შეფასებით, არ აპირებენ იმიტომ, რომ, თუ მართლაც გამოვლინდება კონკრეტული მაღალჩინოსნების დამნაშავეობა, მათთვის ეს პოლიტიკურად წამგებიანი იქნება და წინასაარჩევნოდ მმართველი ძალის, „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების დაკავება ნამდვილად უარყოფითად იმოქმედებს მის რეიტინგზე. თუმცა აქ მეორე მომენტიც არის: თუ პროკურატურა არ გამოიძიებს ამ საკითხს, ელისაშვილი იმ მაღალჩინოსნების საჯაროდ დასახელებას აპირებს, რაც, თავისთავად, უფრო სკანდალური იქნება და „ოცნების“ იმიჯზე აუცილებლად იმოქმედებს. როგორც ჩანს, ისინი არ ელოდნენ, რომ ელისაშვილი ასე ხმამაღლა იტყოდა იმას, რაც თქვა. ახლა კი ჩიხში არიან შესული და არ იციან, რა გააკეთონ.





ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# „ივანიშვილს კარგად ვიცნობ და არა მგონია, ვინმემ დაარწმუნოს, რომ პოლიტიკაში ხელახლა შემოვიდეს“



„ბევრს ცდილობს ქალბატონი ირმა ინაშვილი, თუმცა ეჭვი მეპარება, მისმა პარტიამ რაიმე გადამწყვეტ წარმატებას მიაღწიოს საპარლამენტო არჩევნებში“

მას შემდეგ, რაც პატრიარქმა პატიმარმა შეწყალების სურვილი გამოთქვა, არნახული სკანდალი დატრიალდა. საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა მმართველი გუნდი კორუფციაში ამხილა: „ისინი, ვინც ყველაზე მეტად აქტიურობენ, პრეზიდენტის ერთპიროვნული უფლება – შეიწყალოს პატიმრები, გადავიდეს პატრიარქის ხელში, დაინტერესებულნი არიან პატიმრის შეწყალებით, ხელი მოითბონ...“ – ამ განცხადებას მძივივით აჰყვა ელისაშვილის კომპრომატები და მან კონკრეტული ფაქტების მხილება დაიწყო. თუ როგორ ახდენდა ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსანი მასზე და შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძეზე ზეწოლას, რომ გაეთვალისწინებინათ კონკრეტულ პატიმრებზე მათი მოთხოვნები და შეეწყალებინათ ისინი. ელისაშვილმა პრეზიდენტ მარგველაშვილს წააკითხა სმს-გზავნილები, საქმის კურსში ჩააყენა პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი, თავის დროზე ბადაშვილის უწყებაც, რომ შეწყალების კომისიის წევრი ალეკო ელისაშვილი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. რით დასრულდება მეგა-სკანდალი და ვინ შეეწირება ამ საქმეს, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა ერთი რამ ცალსახაა, ხელისუფლების ავტორიტეტი ამ თემაზე გადის და თავად უნდა იყოს დაინტერესებული, გამოიძიონ ეს საკითხი, თუ ვის ჯიბეში მიდიოდა უზარმაზარი თანხები პატიმრების თავისუფლების სანაცვლოდ.

**„კვირის ქრონიკის“ სტუმარია ფილოსოფიის დოქტორი ზაზა ფირალიშვილი. ის ძალიან დაახლოებული პირი იყო ბიძინა ივანიშვილთან და ერთ-ერთი მათგანია, ვის სიტყვასაც ანგარიშს უწევდა ივანიშვილი. ვნახოთ, რას ფიქრობს ფილოსოფოსი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და როგორ აფასებს ის მმართველი გუნდის საქმიანობას, ვის მოიაზრებს ბატონი ზაზა კოალიციის სიის პირველ ნომრად, რით დასრულდება პატიმრების შეწყალების სკანდალი, შეიწირავს თუ არა ეს თემა მმართველ გუნდს?**

**— ბატონო ზაზა, რას ფიქრობთ მმართველ გუნდზე, როგორ ხვდება საარჩევნო წელს და რა შანსები აქვთ?**

– „ქართული ოცნების“ ხელისუფლების საქმიანობაში არის მომენტები, სადაც აშკარა გაუმჯობესებაა, მაგრამ არის მომენტები, როცა უკმაყოფილების ხარისხი მაღალია. შეძლებს თუ არა ამ ყველაფრის გათვალისწინებას „ქართული ოცნების“ ხელისუფლება 2016 წლის არჩევნებისთვის, ამის თქმა მიჭირს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ფლობს თუ არა საკმარის პოლიტიკურ ტექნოლოგიებს და საკმარის ადამიანურ რესურსებს, რომ სიტუაცია გააუმჯობესოს. უკვე დიდი ხანია, საუბარია ახალი სახეების გამოჩენაზე „ქართული ოცნების“ რიგებში. ვნახოთ. თუ ახალი სახეები ძველი საკადრო გემოვნებით იქნება შერჩეული, დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ. ნამდვილად ვიცი, რომ თავად პარტია „ქართულ ოცნებაშია“, სულ მცირე, რამდენიმე ადამიანი, ვინც გრძნობს მკვეთრი ცვლილებების აუცილებლობას. ძნელი სათქმელია, რამდენად შეძლებენ ისინი პროცესებზე გავლენის მოხდენას.

**— პატრიარქის ემოციურ განცხადებას, რომ მას აქვს სურვილი შეიწყალოს პატიმრები, სკანდალების სერიალი მოჰყვა. საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა ხელისუფლება კორუფციაში ამხილა. ფიქრობთ, რომ ეს სკანდალი მმართველ გუნდს დაასამარებს?**

– თუ ამ პროცესში ხელისუფლება ხელიდან გაუშვებს ინიციატივას, ალეკო ელისაშვილის განცხადებების შემდეგ მმართველი გუნდი, სულ მცირე, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, პროკურატურამ ეს საქმე უნდა გამოიძიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ისტორია ძალიან ცუდად იმუშავებს ხელისუფლების ავტორიტეტზე.

**— ხომ არ გაქვთ გონივრული ეჭვი, რომ ამ სკანდალის უკან პრეზიდენტის პოლიტიკური ინტერესი დგას? ჩვენ გვახსოვს, ეკა ბესელიას, მანანა კობახიძისა და მმართველი გუნდის წევრების პრეზიდენტის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები...**

– ეს არის ვარაუდების სფერო და პასუხი გამიჭირდება. პასუხის გასაცემად ზუსტად უნდა ვიცოდე, რა ხდება კულუარებში.

**— ელისაშვილი საქმის მოწმეებად ასახელებს პრეზიდენტს, თავდაცვის მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. უნდა დაიკითხონ ისინი?**

– მაღალჩინოსნების დაკითხვა პროკურატურის მიერ სწორედ იქნება ნიმუში იმისა, რომ ხელისუფლება ხელიდან არ უშვებს ინიციატივას ამ საქმეში. ეს აუცილებელია, როგორც სამართლის, ისე პოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისით. საქმე ბოლომდე უნდა იქნას გამოძიებული, სხვა შემთხვევაში ვიმეორებ, რომ ეს თემა მძიმე კვალს დაამჩნევს ხელისუფლების ავტორიტეტს.

**— ბატონო ზაზა, კოალიციის პირველი ნომერი ბიძინა ივანიშვილი არ იქნება და ამას ადასტურებს პარლამენტის თავმჯდომარე, პარტია „ქართული ოცნების“ უმრავლესობის ლიდერი... ბიძინა ივანიშვილის ნდობის გამო აირჩია ხალხმა კოალიცია და არა იმ სუბიექტების პატივისცემის ნიშნად, ვინც მასში არიან გაერთიანებული და თუკი ივანიშვილი არ იქნება სიის პირველი ნომერი, რა მოხდება, ამ კოალიციის ნდობა ხალხში ძალიან დაბალია...**

– როცა გაჩნდა განცხადება, რომ შესაძლებელი იყო, ბიძინა ივანიშვილი სიის პირველი ნომერი გამხდარიყო, მართალი გითხრათ, ძალიან დიდი ნდობითაც არ მოვეკიდებივარ ამას. მე მას ვიცნობ, საკმაოდ წინდახედული ადამიანია და არა მგონია, თავი დაირწმუნოს, ან ვინმემ დაარწმუნოს, რომ მისი ხელახლა შემოსვლა პოლიტიკაში იმავე შედეგის მომტანი იქნება, რა შედეგიც 2011 წელს მოიტანა. პირადად მე არ ვურჩევდი, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. მას აქვს საამისო ბერკეტები, რომ გავლენა მოახდინოს საარჩევნო სიების დახვეწაზე. უნდა გაიწმინდოს სია უცნაური გემოვნებით შეყვანილი ადამიანებისგან. 2012 წლის შემდეგ „ქართულ ოცნებასთან“ არ ვთანამშრომლობ, საკმაოდ ახლოს ვიყავი ბიძინა ივანიშვილთან, მაგრამ ლამის სამი წელია, ის არ მინახავს. არ ვიცი, სიებთან დაკავშირებით კონკრეტულად რას ფიქრობს ბიძინა ივანიშვილი.

**— თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ივანიშვილის გარეშე კოალიცია უმრავლესობას მოიპოვებს?**

– დღევანდელი მონაცემებით, არც ერთ პოლიტიკური მოთამაშეს არ ძალუძს, გარდამტეხი შფოთი შეიტანოს არჩევნებში. შესაძლოა, ვინმეს აქვს იმედი, რომ ივანიშვილის გამოჩენა გახდება ძლიერი და ოცნებისთვის პოზიტიური შფოთის გამომწვევი, მაგრამ მე ეჭვი მეპარება. ველი, რომ მოვლენები ამომრჩევლის პასიურობის ფონზე განვითარდება, პარლამენტში შევლენ წამყვანი პოლიტიკური ძალები, ვვარაუდობ, რომ ორი-სამი დამოუკიდებელი ადამიანი, მაჟორიტარების სტატუსით აღმოჩნდება პარლამენტში.

**— კონკრეტულად ვის ვარაუდობთ?**

– საკმაოდ კარგად მუშაობს ალეკო ელისაშვილი, მოგეხსენებათ, წამყვანი პოლიტიკური ძალები მონოპოლიურად ფლობენ სატელევიზიო სივრცეს, ალეკო ელისაშვილმა მოახერხა ამ სივრცეში შეჭრა და თავისი ადგილის დაკავება, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი უნარია ადამიანისთვის, რაც, უბრალოდ, მოსახერხებელი საქმე არ გახლავთ. ბევრს ცდილობს ქალბატონი ირმა ინაშვილი, თუმცა ეჭვი მეპარება, მისმა პარტიამ რაიმე გადამწყვეტ წარმატებას მიაღწიოს საპარლამენტო არჩევნებში, მას არა აქვს ის რესურსი, რომლითაც შეძლებდა, არჩევნებში სერიოზული კორექტივები შეეტანა.

**— მე მაინტერესებს, თქვენი აზრით, ვინ არის „ქართულ ოცნებაში“ ერთპიროვნული ლიდერი, ვინც სიის პირველ ნომრად დასახელდება?**

– შეიძლება უხერხულიც იყოს ამის თქმა, მაგრამ ახლა ვერ ვხედავ პარტია „ქართულ ოცნებაში“ ასეთ ლიდერს, სამწუხაროდ, ის ისეთი პრინციპით დაკომპლექტდა, რომელიც თავიდანვე გამორიცხავდა მეორე რიგის ლიდერების არსებობას, საზოგადოებაში ასეთი ავტორიტეტით არავინ სარგებლობს. საუბრობენ „ოცნებასთან“ პაატა ბურჭულაძის ალიანსზეც, შეიძლება კოალიციაში ვინმეს იმის იმედი აქვს, რომ მსგავსი პიროვნების სიის სათავეში აღმოჩენა ლოკომოტივის პრობლემას გადაწყვეტს.

**— საინტერესო განცხადებას აკეთებთ, თქვენ არ გამორიცხავთ, რომ პაატა ბურჭულაძე შეიძლება იყოს სიის პირველი ნომერი და პარტია, რომელსაც ის შექმნის, კოალიციის სუბიექტი გახდეს...**

– ეს არ არის განცხადება. დანამდვილებით არაფერს ვამბობ, უბრალოდ, მოვლენების ლოგიკა მკარნახობს, რომ, არ არის გამორიცხული, ასეთი სცენარით განვითარდეს პროცესები.

**— რას ფიქრობთ კიევის ყოფილი მერის პოლიტიკურ ამბიციაზე, რომელმაც პარტია „ბედნიერი საქართველოსთვის“ დააფუძნა. ლეონიდ ჩერნოვეცკი ეჭვმიტანილია კორუფციაში, ნარკოტიკების მოხმარებაში, ის გახლავთ ეპატაჟური ადამიანი, რომელიც საკუთარი ქვეყნიდანაა გამოქცეული... კიევის ყოფილი მერის ოცნება იყო, საკუთარ კატასთან ერთად კოსმოსში გაფრენილიყო, მაგრამ ის საქართველოში დაფრინდა...**

– კიევის ყოფილმა მერმა შეიძლება რაღაც ხმებს თავი მოუყაროს, ისე საკუთარ კატასთან ერთად კოსმოსში გაფრენილიყო, კარგი იქნებოდა, ჩვენც მოვისვენებდით და მისი კატაც. რაც ეხება პოლიტიკაში მისი შემოსვლის საკითხს, სიტუაცია საკმაოდ გამჭვირვალეა, მოდის ადამიანი, რომელიც ცდილობს, ქველმოქმედებით მოიპოვოს გავლენა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. დარწმუნებული იყავით, ის არ არის საიმისოდ მოსული, რომ ერთ-ერთი იყოს. ამ ადამიანს საქართველოსთან, ფაქტობრივად, არაფერი აკავშირებს. ბუნებრივად მიჩნდება ეჭვი, რომ მისი მიზანია, ქვეყანა აქციოს ერთგვარ ბიზნესკორპორაციად. კანონებსაც თვითონ გამართავს და აბსოლუტურად უსაფრთხო ბიზნესგარემოს შექმნის თავისთვის. ღმერთმა დაგვიფაროს და თუ წარმატებას მიაღწია, ჩვენ ვნახავთ, როგორ შეიძლება ოლიგარქმა ქვეყანა თავის სათამაშო მოედნად აქციოს. დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება. მეტიც, ეს ადამიანი, ალბათ, სულ მცირე ხანში დარწმუნდება, რომ ტყუილად წამოიწყო ეს საქმე. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მას რაიმე დამატებითი ინტერესები ჰქონდეს. ამ ეჭვს მიჩენს ის, რომ თავის მოღვაწეობას აჭარიდან იწყებს და არა თბილისიდან. შესაძლოა, სწორედ რეგიონალურ ლიდერად წარმოუდგენია თავი და ასლან აბაშიძის მოდელის განმეორებას ფიქრობს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ამ ბინძურ ხალხს პირადად მივიყვან მატროსოვის ციხემდე, – იმუქრება საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი. აშკარაა, რომ ალეკო ელისაშვილი დიდ პოლიტიკაში მოსასვლელად ემზადება. მისი განცხადებები უკვე სცდება ყოველგვარ ზღვარს და თუკი დაამტკიცებს, რომ ნამდვილად ჰქონდა მაღალჩინოსნების მხრიდან პატიმრის შეწყალებისას ფულის კეთებას ადგილი, ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ აფეთქდება, ელისაშვილს კი „ოცნების“ მესაფლავის ტიტული ერგება... და თუკი დამტკიცდა, რომ ელისაშვილი ცრუობს, მაშინ ცრუ დასმენისთვის პასუხს აგებს და შესაძლოა, საკრებულოდან ხელბორკილებითაც კი გაიყვანონ...

**იურისტი ვალერი გელბახიანი „კვირის ქრონიკასთან“ ინტერვიუში კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას აფასებს და აცხადებს:**

– ძალიან საინტერესო განცხადებებია თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, ის, რასაც აკეთებს ელისაშვილი, მაგრამ ამავე დროს სახიფათოცაა, რადგან ამას სჭირდება მტკიცებულებები, შეიძლება პიროვნებების დასახელება არ იყოს საკმარისი მტკიცებულება და ასეთ დროს, როგორც წესი, პროკურატურა მას აფასებს, როგორც მართლსაწინააღმდეგოს. თემა, რომელიც მან წამოსწია, თავისი შინაარსით, ძალიან აქტუალურია, იქიდან გამომდინარე, რომ, როცა ამნისტიის კანონი მიიღეს, 200 კაცს შეახეს პოლიტპატიმრის სტატუსი. აქედან, ალბათ, მხოლოდ 10% თუ იქნებოდა პოლიტიკასთან კავშირში, დანარჩენები კრიმინალები იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამნისტიის კანონი მე არ შემხებია და თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მე პოლიტიკური ნიშნით ვიდევნებოდი. ამიტომ გამიკვირდა, რომ მე არ მომახვედრეს იმ სიაში... ის, რომ მათ პოლიტპატიმრების ნაცვლად ციხიდან გამოუშვეს კრიმინალები, ჩემი მაგალითი ჰყოფნით მარტო იმისთვის, მე არ მცნეს პოლიტდევნილად და დანარჩენი კრიმინალები ცნეს პოლიტპატიმრებად. რადგან მე ციხეში არ ვიჯექი, არ შემიყვანეს ამ სიაში, არა აქვს მნიშვნელობა, ვიჯექი თუ არა, მე ვიყავი პოლიტიკური დევნილი. თქვენი გაზეთის საშუალებით დავსვი კითხვა, რატომ არ შემიყვანეს პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა სიაში, თქვენივე გაზეთის საშუალებით მივიღე პასუხი ბესელიასგან, რომ არ ვიყავი პატიმარი და ამიტომ არ შემეხო ამნისტია. 315-ე პოლიტიკური მუხლით მხოლოდ მე ვიყავი ბრალდებული, ერთადერთი პოლიტიკური მუხლია კანონში, დანარჩენი იმ 200 კაციდან არავინ არ იყო პოლიტიკური მუხლით პასუხისგებაში მიცემული. ამის შემდეგ ესენი ამბობენ, ჩვენ გამოვუშვით სამართლიანი ამნისტია და ის 200 კაცი სამართლიანად მოხვდა იმ სიაშიო... ბუნებრივია, ეს არ არის მართალი, ამის მაგალითი მე ვარ.

**— ელისაშვილის განცხადებებს რა პოლიტიკური ქვეტექსტი აქვს? ელისაშვილი 2013 წლის ინფორმაციას 2015 წელს აჟღერებს, რატომ?**

– როგორც თავად განმარტა, მაშინვე მიუმართავს პროკურატურისთვის, როგორც კი ზეწოლა განხორციელდა მასზე, თუმცა რეაგირება არ გაკეთებულა. ასე რომ, ელისაშვილს ეს ამბავი არ დაუმალავს, კეთილსინდისიერად მოიხადა ვალი მაშინაც და ახლაც... ახლა მით უფრო, ხმაურიან დაჭერებს. პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი ისედაც დგას, რადგან ეს ფაქტი მოხდა. ახლა კეთილი ინებონ და თავი იმართლონ კობახიძემ, ბესელიამ და სხვებმა, ვინც ამ საკითხში ფიგურირებს. აუხსნან საზოგადოებას, რატომ მოხდა იმ 200 პატიმრის განსაზღვრა პოლიტიკური სტატუსით, სახელობითად გაიარონ ყველა ადამიანი და აგვიხსნან, რატომ გამოუშვეს ციხიდან, რა ნიშნით იყვნენ ისინი პოლიტიკური პატიმრები..

**— გაიჟღერა ნარკობარიგების, კრიმინალებისა და ყაჩაღების გვარებმა, რომელსაც საერთო არ ჰქონდათ პოლიტიკასთან.** ასევე, დაიკითხება პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი, ვინაიდან მათ მოწმეებად ასახელებს ალეკო ელისაშვილი. ვინც ამ საქმეს არ გამოიძიებს, მის კისერზე იქნება მახვილი ჩამოკიდებული.

**— კულუარებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ ივანიშვილი ამ პროცესს ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს და ის აღშფოთებულია და ამბობს, როგორ ბედავენ პატიმრებზე ფულის კეთებასო. ყრუდ მესმოდა, რომ ვიღაცები პატიმრების საქმეში ხელს აფათურებენ, მაგრამ, თუ ეს დამტკიცდა, რაც არ უნდა ჩემთვის პატივსაცემი ადამიანი იყოს, ამ დანაშაულს არ შევარჩენო...**

წავიდნენ. ბოლოს შეგახსენებთ გოგი თოფაძის განცხადებას, რომ ის აპირებს, ვადაზე ადრე დატოვოს პარლამენტი. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუკი კონკრეტული დეპუტატები ვადაზე ადრე დაემშვიდობებიან პარლამენტს. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ უმრავლესობა ველარ მოხვდება პარლამენტში, ასეთი ფაქტები, რასაც ელისაშვილი აჟღერებს, იქნება კატალიზატორი, რომ ასეთი ტიპის ადამიანები პარლამენტში აღარ უნდა შევიდნენ. მე გითხარით წინა ინტერვიუში, რომ ივანიშვილი მუშაობს „ოცნების“ სიაზე, პიილე, ახალგაზრდა შალვა ხუციშვილი. ისე, უმრავლესობის დეპუტატებს ვკითხე, – არჩევნების პერიოდში რამ მოგაფიქრათ ისეთი მოდელის ამუშავება, რომელიც რეიტინგს გაკარგვინებთ, რაზეც მივიღეთ პასუხი, რომ ეს მათ რეიტინგზე არ იმოქმედებს, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ამას მოჰყვება მძღოლების გაღიზიანება და ზუსტადაც რომ მათ რეიტინგზე იმოქმედებს. მე რომ პოლიტიკოსი ვიყო, ამ საკითხს პოლიტიკურ თემად გადავუქცევდი ხელისუფლებას. ჯერ მიიღონ ეს კანონი და მერე ვილაპარაკოთ. იცით, როგორი მოდელი

# ბიძინა ივანიშვილს უთქვამს, — როგორ ბედავენ პატიმრებზე ფულის კეთებას, ყრუდ მესმოდა, რომ ვიღაცები პატიმრების საქმეში ხელს აფათურებენ, მაგრამ, თუ ეს დამტკიცდა, რაც არ უნდა ჩემთვის პატივსაცემი ადამიანი იყოს, ამ დანაშაულს არ შევარჩენო!



**„თქვენი გაზეთის საშუალებით დავსვი კითხვა, რატომ არ შემიყვანეს პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა სიაში, თქვენივე გაზეთის საშუალებით მივიღე პასუხი ბესელიასგან, რომ არ ვიყავი პატიმარი და ამიტომ არ შემეხო ამნისტია“**

**„ამათ ამ ახალი წესებით მძღოლებიც გადაიმტერეს და ნახავენ მაგის შედეგსაც, როგორ მოიგებენ არჩევნებს ასეთი კანონებით“**

საარჩევნო პერიოდამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და ცხადია, ახლა უფრო მეტი აქტუალობა ექნება ამ საკითხს. თქვენ გაინტერესებთ, ამოქმედდა თუ არა პრეზიდენტის ფლანგი და რა პოლიტიკური ქვეტექსტია ამ ყველაფერში. პირდაპირი პოლიტიკური ქვეტექსტი აქ არ იკითხება...

**— როგორ ფიქრობთ, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება და საერთოდ, თუკი გამოძიების ხაზი მივა რომელიმე კონკრეტულ დეპუტატამდე, ხმაურიან დაჭერებს გამორიცხავთ?**

– თუ პროკურატურა სწორად გამოიძიებს და იმ ფაქტებს დაადგენს, რაზეც ბატონი ალეკო საუბრობს, აუცილებლად იქნება რაღაც მტკიცებულებები, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვნახავთ **აგვიხსნან, თუ ამ შემთხვევაში ფული არ მუშაობდა, მაშინ, რა მუშაობდა? პოლიტპატიმრების სტატუსით რატომ გაათავისუფლეს?!**

– კრიმინალებზე სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტი თუ არ მუშაობდა, მაშინ მუშაობდა ფული. იმართლონ, ბატონო, თავი, ხომ არიან სუფთა და წესიერი ადამიანები. მათ ყველა ვარიანტში დაკითხავენ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება ვერ დადგეს იმის გამო, რომ ისინი დეპუტატები არიან, მაგრამ აუცილებლად მოუვათ მაგის დრო. კანონი ამბობს, რომ შეჩერდება სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ განახლდება მაშინ, როცა ისინი აღარ იქნებიან დეპუტატები.

– ივანიშვილი აუცილებლად გააკეთებს ძალიან მწვავე რეაქციას, რადგან ამ შემთხვევაში მას სხვა გამოსავალი არ აქვს, თუ გაინტერესებთ, რა იქნება მისი მკვეთრი რეაქცია, გეტყვით, რომ ვიღაც-ვიღაცებს განცხადებებს დააწერინებს და თანამდებობებსა და პარლამენტს დაატოვებინებს... ელისაშვილის ხელში თუკი ოდნავი სამხილიც კი აღმოჩნდება, იცოდეთ, რომ იმ პიროვნებებზე ბიძინა ივანიშვილი რეაგირებას გააკეთებს. სხვაგვარად ისიც იკიდებს ამ ბრალდებას. იცოდეთ, რომ ყველა შემთხვევაში რეაგირებას მოახდენს. ჩვენ ვნახეთ, იყო ასეთი პრეცედენტი, როცა დეპუტატებმა დაწერეს განცხადება და პარლამენტიდან რადად ჩართულია ამ საკითხში, აქცენტი კეთდება ახალ სახეებზე, ვისაც აქვს სათანადო განათლება მიღებული, მინიმუმ ორ ენას ფლობენ და არიან კვალიფიციურები. გეტყვით, რომ სიის შედგენისას უკვე აღარავის ენდობა და პირადი არხებით ცდილობს კონკრეტული ადამიანების გადამოწმებას. ჩვენს სახეებს ეუბნება, რომ აღარ იოცნებონ დეპუტატობაზე და ურჩევს, ბედი სხვა სფეროში სცადონ.

**— საარჩევნო წელს შს სამინისტრო, ფაქტობრივად, დაიპირისპირა მძღოლების უმრავლესობა და გამკაცრებულ სანქციებს აწესებს. ახალი წლიდან წამმზომსაც ჩაგვირთავენ მართვის მოწმობაზე...**

– ამბობენ, რომ ამის ავტორი არის მინისტრის მოადგშემოაქვთ? 3,5 ქულა აკლდება თითო დარღვევაზე მძღოლს, თუ წლის განმავლობაში დაახლოებით დარღვევები 30-მდე მიაღწევს, მძღოლს მართვის მოწმობა ჩამოერთმევა და თავიდან უნდა ჩააბაროს გამოცდები. რაც წინასაარჩევნო პერიოდში უნდა კეთდებოდეს, ხელისუფლება ამის საპირისპიროდ მოქმედებს და მათ ლოგიკას ნამდვილად ვერ ვხვდები. რატომ, მაინცდამაინც ახლა, როგორც ჩანს, ისინი არ აქცევენ ყურადღებას მნიშვნელოვან დეტალებს, რადგან დარწმუნებული არიან, რომ არჩევნებს იგებენ. აი, ნახავენ მაგის შედეგსაც, თუ როგორ მოიგებენ არჩევნებს ასეთი კანონებით...

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



# ვინ, როგორ და რა შემთხვევაში დაისჯება ეკლესიის შეურაცხყოფისთვის?

რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურების შეურაცხყოფისთვის, შესაძლოა, ფულადი ჯარიმები დაწესდეს. საუბარია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებზე, რომელიც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა. ცვლილებების მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ ახალი მუხლი უნდა დაემატოს, რომლის გათვალისწინებითაც, რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურისა და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან ისეთი მასალის გამოქვეყნება, ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, გამოიწვევს დაჯარიმებას.

**პარლამენტში აღნიშნული კანონპროექტის ინიციატორი ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანია, ხოლო კანონპროექტის ავტორი — „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის დირექტორი ზვიად ტომარაძე, რომელსაც დეტალები დავაზუსტებინეთ.**

**— თქვენ ამბობთ, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში რელიგიური გრძნობებისა და სიწმინდეების სხვადასხვა ფორმით შეურაცხყოფა არის სისხლის სამართლის დანაშაული. შეგიძლიათ, მაგალითები გვითხრათ?**

– დიახ. მაგალითად, იტალიაში სისხლის სამართლის კოდექსის 724-ე მუხლი „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის“ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სასჯელს, ჯარიმას 51-დან 309 ევრომდე; ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 505-ე მუხლით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ასევე ფულადი ჯარიმით ისჯება. ავსტრია: პირი, რომელიც დასცინის, ან მასხრად იგდებს ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას ან თაყვანისცემის საგანს ავსტრიის ტერიტორიაზე, ისჯება 6 თვემდე პატიმრობით, ან ფულადი ჯარიმით. პოლონეთი, სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი: პირი, რომელიც შელახავს რელიგიურ გრძნობებს, ღვთისმსახურების საგნის ან ადგილის მიმართ საჯარო ცილისწამებით, ისჯება ფულადი ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, მინიმუმ, 2 წლამდე. ჰოლანდია: სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც საჯაროდ, ან ზეპირად ან წერილობით, გამოსახულებით შეურაცხყოფს რელიგიურ გრძნობებს ბოროტად განზრახული მკრეხელობით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს სამი თვისა, ან ფულადი ჯარიმით; შვეიცარიაში ფულადი ჯარიმაა; გერმანიაში აღნიშნული სისხლის სამართლის 166-ე მუხლით ისჯება. დანიაში, ისლანდიაში, ფინეთში, საბერძნეთში და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში მსგავსი ქმედებებიც სხვადასხვა ფორმით ისჯება.

**— ვიღაც შეიძლება გამოხტეს, სიტყვიერად მიაყენოს შეურაცხყოფა რელიგიას, ხალხის რელიგიურ გრძნობებს და თქვას, ეს სიტყვის გამოხატვის თავისუფლებაა და რას მერჩითო.**

– კი, ოპონენტები ამას ხშირად ამბობენ და მათ ვუპასუხებ: სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და ის მთავრდება იქ, როდესაც იწყება სხვისი შეურაცხყოფა. მე მინდა ზუსტად გითხრათ, რაზეა კანონპროექტში საუბარი: მუხლი 1661. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა 1. რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურისა და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან/და ისეთი მასალის გამოქვეყნება ან ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. 2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით. 3. რელიგიური შენობებისა და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. 4. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

**— დღევანდელ ხელისუფლებას ლიბერალური კურსი აქვს აღებული, არც ისე დიდი ხნის წინ ანტიდისკრიმინაციული კანონიც მიიღეს. ამის ფონზე, რამდენად გაქვთ აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების იმედი?**

– სრულიად გეთანხმებით, ნამდვილად ლიბერალური კურსი აქვთ და მეტსაც გეტყვით: ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი რუსეთის, დანარჩენი 80 პროცენტი კი მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არის ოკუპირებული! კანონი ვერ მიგვიღია ისე, რომ გარკვეულმა არასამთავრობოებმა, რომლებსაც მე უცხო ქვეყნის ჯაშუშებს ვეძახი, არ განიხილონ. დარწმუნებული ვარ, ამ კანონპროექტს ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდება და ამას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ეგიდით დაუპირისპირდებიან. ამ ბატონებსა და ქალბატონებს ერთი რამ ავიწყდებათ: ისინი ხომ ყველას უფლებების დაცვას ითხოვენ ხოლმე? და რელიგიებსა და რელიგიური ადამიანების გრძნობებს დაცვა არ სჭირდებათ?

**— თქვენს კანონპროექტში ერთი და იმავე ხასიათის მხოლოდ ორჯერ ჩადენილ ქმედებებზე გაქვთ ჯარიმები. მესამედ განმეორების შემთხვევაში რა ხდება?**

– ეს ეხება პირს, რომელიც წელიწადის განმავლობაში მინიმუმ, ორჯერ მაინც ჩაიდენს ამ დანაშაულს და საქმეც ისაა, რომ ეს ძალიან ლიბერალურად არის დაწერილი და ნეტა, ეს მაინც მივიღოთ, ამაზე მკაცრს აღარ ვჩივი. თუმცა, როგორც გითხარით, სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და პატიმრობას ითვალისწინებს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**ამ დღეებში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორს, ჯეიმს კომეის შეხვდა, რომელმაც თქვა, რომ ამერიკელები მზად არიან, ჩვენი საექსპერტო-კრიმინალური სამსახურის თანამშრომლები და გამომძიებლები გადაამზადონ. გიორგი მღებრიშვილი, ასევე, შეხვდა ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დირექტორს, კენეტ მეიერსს და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ჩაკ როზენბერგს. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მხარეები სამომავლოდ ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და ურთიერთანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. რა ხდება, რატომ გააქტიურდა ამერიკის შეერთებული შტატები ამ კუთხით და რატომ გვაძლევს 50 მილიონი დოლარის გრანტის ფარგლებში „ ||“-ის ტიპის ორ ვერტმფრენს? ამ თემაზე „ქრონიკას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა დაიწყეს გასვლა ავღანეთიდან, ოთხჯერ გაიზარდა ჰეროინის წარმოებისთვის საჭირო ყაყაჩოს ნათესები. ამერიკელები კოსმოსიდან სურათებს იღებენ და გაგიჟებულები არიან. თუმცა ავღანეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, შვიდჯერ მეტი ითესება, ვიდრე აქამდე ითესებოდა.

**— ამერიკელები კი გავიდნენ ავღანეთიდან, მაგრამ ნატოს ნაწილები ხომ დარჩა?**

– ამ ნაწილებს სხვა ფუნქციები აქვთ, ისინი იცავენ სამხედრო ბაზებსა და ქალაქებს. ადრე ყაყაჩოს პლანტაციებს ბომბავდნენ, მერე ჯარი შედიოდა და წვავდნენ, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც ვერ მიიღეს. ბუნებრივია, ჰეროინის წარმოების გაზრდის პარალელურად დგინდება ახალი სატრანზიტო მარშრუტები და ეს ყველაფერი უახლოვდება საქართველოს. არსებობს ინფორმაცია, რომ ნარკობარონების სქემაში აზერბაიჯანი და ჩვენი ქვეყანა სერიოზულად განიხილება.

**— მსგავსი მარშრუტები იყო წინა ხელისუფლების დროსაც და შემდეგაც, ახალმა ხელისუფლებამ დააკავა რაღაც ნარკოტიკები. ასე რომ, სატრანზიტო ტერიტორია ყოველთვის ვიყავით.**

– კი, მაგრამ, როდესაც წარმოება იზრდება, საჭიროა დამატებითი მარშრუტები, ამჟამად ამ საქმეში რენესანსია, ანუ ბუმი. საერთოდ, ნარკობიზნესი სპეციფიკური რამეა, ყოველი ოთხი პარტიიდან სამიც რომ ჩავარდეს, ის ერთი იმდენ მოგებას იძლევა, რომ მაინც კარგად ფარავს ზარალს. ამიტომ ამ სფეროში ბრძოლა ძალიან რთულია, ერთი და ორიც რომ დაიჭირო, ათი მაინც გეპარება. აი, ამიტომ გვაძლევენ ვერტმფრენებსაც და ამიტომ ხდება შეხვედრები ამერიკაში. ამ კუთხით ამერიკელებს ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ, რაც პაბლო ესკობართან ბრძოლის დროს მაგათ გამოცდილება მიიღეს, ნურავინ დაიკვეხნის. თუმცა ტრასები მაინც ვერ გადაკეტეს მთლიანად, დღესაც შედის კოკაინი. ავღანეთი არის ჰეროინის მსოფლიო ცენტრი, როგორც ჰააგა არის ალმასების ბრილიანტებად ქცევის ცენტრი. ამერიკელები ჩვენ უკვე გვეხმარებიან 25 წელიწადია და უმადურობა იქნება, რომ ეს არ დავაფასოთ, მაგრამ ამით ისინი თავიანთ საქმესაც იკეთებენ, თუკი აქ არ იქნება კონტროლი, ნარკო-

# რატომ ჩაიყვანეს ამერიკაში შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი?





ტიკები წავა ევროპაში და მათ ქვეყანაში. სხვათა შორის, 2008 წელს დაგვეხმარნენ ყველაზე მეტად.

**— მაშინ მილიარდები ჩაგვაყარეს, მაგრამ სააკაშვილის გარდა არავინ იცის, სად წავიდა ეს ფული.**

– ფულს თავი დაანებე, იარაღიც კი შემოდიოდა... ღამის ხედვის დურბინდები შემოყარეს, რაც ძალიან ძვირი ღირს. პირადად ჩემთან აქვს ნათქვამი სააკაშვილს, ამ დურბინდების ხმარება არავინ არ იცის, დავურიგეთ ჯარისკაცებს და ვერ იყენებენო. ესე იგი, შეიარაღება იყო, მაგრამ ეფექტი არ ჰქონდა, ამ შეიარაღების დიდი ნაწილი რუსებმა წაიღეს. მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი ქვეყანა, რომელიც 100-პროცენტიანი ეფექტით იყენებს ამერიკელების დახმარებას, ეს არის ისრაელი.

**— რატომ არ გვეხმარება ასეთ საკითხებში ისრაელი, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო დაზვერვა ჰყავს? მარტო „სითი პარკი“ რომ შემოგვიგდეს, მხოლოდ ესაა საქართველოსთვის ისრაელი?**

– ამ საკითხზე ისრაელის გავლენიან პირებთანაც მქონია საუბარი და კაი პასუხიც მივიღე. სანამ ამაზე გადავალ, ორიოდე სიტყვით ჰუმანიტარულ დახმარებებზე გეტყვი: არ დაიჯერებ, შევარდნაძის დროს რომ ამერიკიდან დახმარებები მოდიოდა, მსგავსი არც სააკაშვილის პერიოდში ყოფილა და არც ახლაა. მაშინ შევარდნაძის მთავარი პოლიტიკური მრჩეველი ვიყავი და კარგად ვიცი, როგორ შემოიყარა ჰუმანიტარული დახმარებები – მედიკამენტები და საკვები პროდუქტები, მაგრამ ამავე დროს მარტო თბილისში უცებ გაიხსნა 200 აფთიაქი და ყველას უკან იდგნენ ის ჩინოვნიკები, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ ამ დახმარებებზე. დღეს რომ იძახიან, ალალი შრომით ვიშოვეთ ფული და ამ სფეროში ბიზნესი დავიწყეთო, ეს არის მტკნარი სიცრუე, ამათ გამდიდრება დაიწყეს ხალხისთვის გამოგზავნილი დახმარებებით. ასევე, პირველი ბანკირები გამდიდრდნენ ჩვენი ფულით, რაც შემნახველ სალაროებში გვქონდა შეტანილი. ასე დაიწყო ფარმაცევტული ბიზნესისა და საბანკო სისტემის „განვითარება“ საქართველოში, ვინმეს წინაპრებმა დაუტოვეს თუ ხელფასით დააგროვეს ამდენი ფული? რაც შეეხება ისრაელს, ეს ძალიან საინტერესო საკითხია... ჩვენი ელჩი რომ იყო ამერიკაში, თემურ იაკობაშვილი, იცი, ეგ პირველად სად გაიცანი? ერთხელ შევარდნაძესთან დამიძახეს და მითხრეს, ისრაელის „მოსადის“, ანუ საგარეო დაზვერვის დელეგაციაა ჩამოსული, საღამოს შეხვედრაა და უნდა მოხვიდეო. მივედი, „მოსადის“ ხუთი ოფიცერი დამხვდა და ივრითიდან თარგმნიდა თემურ იაკობაშვილი. მაშინ მე ვკითხე მათ, თუკი თანამშრომლობაზეა ლაპარაკი, თქვენ აზიისა და აფრიკის ქვეყნებსაც კი ეხმარებით სოფლის მეურნეობაში და უშიშროების სამსახურების შექმნაში, ჩვენ რატომ არ გვეხმარებით-მეთქი? გაიცინეს, ისინი გვთხოვენ და ვეხმარებით, თქვენებს არ უნდათ, ძალით ხომ არ შეგეტენებითო?

**— „სითი პარკი“ ვთხოვეთ?**

– არადა, „მოსადისგან“ ამერიკელებიც კი სწავლობენ. არ ვიცი, ჩვენ რატომ არ ვთანამშრომლობთ ისრაელთან, ებრაელების სავიზიტო ბარათად „სითი პარკი“ გვექცა? პრინციპში, ესეც ჩვენი ბრალია, ებრაელები აქ ძალით არ მოსულან. აქ პოლიტიკური სიბეცეც თამაშობს დიდ როლს, იყო დრო, ამერიკაზე ვლოცულობდით, ჩვენი მზე იქიდან ამოდიოდა, ახლა ეს ვექტორი ნელ-ნელა იცვლება, დაუკვირდი, ახლა ჩვენი მზე ევროპიდან იწყებს ამოსვლას. საქართველო ნატო-ში – ეს იდეა ცოტა ხანში გადავა ხელოვნურ სუნთქვაზე და წინა პლანზე წამოვა ევროკავშირი, ანუ მხოლოდ ევროპა. თუ ჩვენ მთელი 9 წლის განმავლობაში ვცდილობდით, ამერიკელებზე უფრო მაგარი ამერიკელები ვყოფილიყავით, ამიერიდან ვიწყებთ, ევროპელებს შევეჯიბროთ ევროპელობაში.

**— არ ვართ ევროპელებზე მაგარი ევროპელები თუ?**

– ჰოდა, რომ ვართ, ამიტომ გვავიწყდება ისრაელიც და საკუთარი ქვეყანაც. რაც მთავარია, ხშირად გამოვრიცხავთ რუსეთის ფაქტორს. რომ არა ამერიკის მონდომება და გეგმური მუშაობა, ჩვენ ამ ქვეყანასაც, ასევე, ზერელედ მივუდგებოდით. დღეს რუსულ პოლიტიკაზე ისეთები ლაპარაკობენ, რუსულად ორ სიტყვას რომ ვერ გეტყვიან. ასეთებისთვის ხშირად დამისვამს შეკითხვა: რამე ლიტერატურა რუსეთის შესახებ წაგიკითხავთ? აუ, რად გვინდა წიგნი, ვერ ვხედავთ, რეებს ლაპარაკობენო? ამათ ინტერნეტში წაკითხული ჰგონიათ განათლება. თუ წაიკითხავენ, პუტინმა ეს თქვა, პუტინმა ის თქვაო, უკვე მაგარი ბიჭები არიან. ახლა ამერიკელებისგან მიტოვებული ირაკლი ალასანია გამოდის და იძახის, რუსებთან ურთიერთობები გერმანიის გავლით უნდა დავალაგოთო. ეტყობა, ეს ახალი საარჩევნო ლოზუნგია. ალასანია მიხვდა, რომ ამერიკელებმა ხელი ჩაიქნიეს და რეზერვად „რესპუბლიკური პარტია“ მოიაზრეს. გერმანიას მეტი საქმე არ აქვს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ჩაერიოს. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ რაც ახლა ხდება, თუნდაც შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი ამერიკაში და უსაფრთხოებაზე ლაპარაკი, ჩვენზე მეტად სჭირდებათ ამერიკელებს, უკვე ვთქვი, საქართველოში ტონობით ჰეროინი რომ შემოვიდეს, ჩვენ არც გვჭირდება და ვერც ავითვისებთ, ბოლო ადრესატი მაინც ამერიკა და ევროპაა. ამიტომ მათ უღირთ, აქ დახარჯონ დიდი ფული. ახლა მანქანებიდან სარკეების მოპარვის გამო თავს არ შეიწუხებენ და მაგათთვის არც არის პრობლემა, ამისთვის ამხელა ღონისძიებები არ ჩატარდება. საქართველოს თავის ისტორიაში არასოდეს არ ჰყოლია ისეთი სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც მისი გულისთვის იომებდა, უბრალოდ, ვისაც ვჭირდებით, ის გვიფორმებს ქაღალდზე მოკავშირეობას და მერე თავად მართავს სიტუაციას. მოდი, იმასაც ნუ ვიტყვით, რომ რასაც დღეს ამერიკელები აკეთებენ, ჩვენ ხელი უნდა ვკრათ, ან არ გვჭირდება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ისინი მაინც საკუთარ ქვეყანას იცავენ. მაინც კარგია, უნდა ვისწავლოთ, საქმეში ჩავერთოთ და გამოცდილება მივიღოთ. შინაგან საქმეთა მინისტრს ამერიკაში ტყუილად არ ჩაიყვანდნენ, სხვა ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ სასეირნოდ დადიან. ვიზიტის მიზანი გასაგებია, თუკი უსაფრთხოებისა და თავდაცვის თანამშრომლობა წინ წაიწევს, თუნდაც მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც კარგი იქნება.

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



ჰო, დაუჯერებლად კი ჟღერს, მაგრამ სოციალურ ქსელში სწორედ ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, რომელიც, ბუნებრივია, გადავამოწმეთ და ორივე მხარეს ვესაუბრეთ, თუმცა ჯერ იმას მოგიყვებით, რაც მანამდე მოხდა და რის შემდეგაც გაჩნდა ასეთი მოსაზრება:

მოკლედ, ამა წლის 6 დეკემბერს ვენესუელის საკანონმდებლო ორგანოში ტრანსგენდერი ქალი, ტამარა ადრიანი აირჩიეს. ტამარა ვენესუელის პარლამენტში დედაქალაქის, კარაკასის წარმომადგენელი იქნება.

ეს ინფორმაცია წესიერად გავრცელებული არ იყო, რომ ქართველმა ტრანსგენდერმა ქალმა, კესარია აბრამიძემ, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გააზიარა და მინაწერი გაუკეთა: „დამელოდეთ, მოვდივარო“...

თხა თხაზე ნაკლებიო, ხომ გაგიგიათ? ჰოდა, რით ვართ ერთი იმ ვენესუელელზე ნაკლები? მით უმეტეს, რომ ჩვენს კესარიას ტამარა ადრიანის სადარი მარტო ფეხები აქვს და რა, პარლამენტის სავარძელს ვერ მოიხდენს, თუ დებატებში ვერ ჩაებმება თავისი ნარნარა ხმით? პრინციპში, „ოცნების“ ხელისუფლებისთვის კესარიას დეპუტატობა კიდევ ერთი პლუსი იქნებოდა ევროპა-ამერიკის თვალში – ა, ბატონო, მეტი ევროპელობა და ლიბერალობა რაღა გინდათ, ტრანსგენდერი ქალი გვყავს პარლამენტშიო?! ჰოდა, „მეოცნებეებო“, კარგად დაფიქრდით ამაზე და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვათ, მით უმეტეს, რომ კესარია მართლაც არ გამორიცხავს პოლიტიკაში მოსვლას...

# კესარია: „ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ვიქნებოდი აქტიური“



## კესარია აბრამიძე პარლამენტარობას აპირებს?

**დეტალების გასარკვევად კესარია აბრამიძეს დავუკავშირდით:**

**— მოკლედ, ერთი ამბავია ატეხილი იმაზე, რომ თითქოსდა, პოლიტიკაში მოსვლას აპირებ. აბა, გაგვარკვიე, რა ხდება?**

– ინფორმაცია გავრცელდა, რომ რომელიღაც ქვეყანაში ტრანსგენდერი დაინიშნა, ეს ჩემთვის სასიამოვნო იყო და გავაზიარე ჩემი „ფეისბუკის“ გვერდზე. სხვათა შორის, ეს საკმაოდ ხშირად ხდება ევროპის ქვეყნების პოლიტიკაში, როცა ტრანსგენდერებს წამყვანი ადგილები უჭირავთ ხოლმე. „მე მოვდივარ“ ჩვეულებრივი ნათქვამი იყო... უბრალოდ, ხალხი უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ ყველა ადამიანი არის თანაბარუფლებიანი და არ აქვს მნიშვნელობა, რა ორიენტაციის იქნება – თუ მას შეუძლია რაღაცების კეთება, აბსოლუტურად ჩვეულებრივია, რომ ის პარლამენტშიც იჯდეს და დროა, ქართველი საზოგადოება ამას შეეგუოს.

**— კონკრეტული პასუხი რომ მითხრა, მართლა მოდიხარ ქართულ პოლიტიკაში?**

– რაღაც პერიოდის უკან საკმაოდ სერიოზული შემოთავაზება მქონდა ადამიანის უფლებებისა და „ლგბტ“-ს უფლებებთან დაკავშირებით...

**— რომელიმე არასამთავრობოს გულისხმობ, თუ პოლიტიკურ პარტიას?**

– ვისგან მქონდა შემოთავაზება, მაგას რა მნიშვნელობა აქვს? რამდენიმე შეხვედრაც მქონდა ამ თემასთან დაკავშირებით და ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, ამ ყველაფერზე უარი ვთქვი. თუმცა ჩვეულებრივად შეიძლებოდა, ადამიანის უფლებებისა და სექსუალური ორიენტაციის დაცვის კუთხით ვყოფილიყავით მე ან ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი პარლამენტში. მეუბნებოდნენ, რომ ამ კუთხით მე იდეალური ვარიანტი ვიქნებოდი, მაგრამ უარი ვთქვი, არ ვარ ამისთვის მზად. დღესდღეობით, აბსოლუტურად სხვა ინტერესები მაქვს და სულ სხვა სფეროსკენ ვისწრაფვი.

**— დღეს რომ პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას აპირებდე, რომელ პარტიაში წახვიდოდი? რომელი იმსახურებს შენს სიმპათიებს? ან თუ ეს ნაბიჯი გადადგი, რას გააკეთებ, რომელ კანონზე იმუშავებ, რას შეცვლი?**

– არსად არ წავიდოდი, ჩემი აზრი მექნებოდა და არავის კუდს არ დავუქნევ, დამიჯერე, რა. ალბათ, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ვიქნებოდი აქტიური... კიდევ ერთხელ ვამბობ, სერიოზული შემოთავაზება მქონდა და ამ ეტაპზე უარი ვთქვი. მომავალში რა იქნება, არავინ იცის. აი, შენ იცი, რა მოხდება ხვალ? იქნებ, პრემიერ-მინისტრი ხდები? (იცინის).

# „პირდაპირ გეუბნებით, 2016 წელი გაცილებით ცუდი და მძიმე იქნება, ვიდრე 2015 წელი“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**რატომ იქნება საქართველოსთვის 2016 წელი ეკონომიურად და სოციალურად უფრო მძიმე, ვიდრე 2015 წელი იყო, რა ელოდება მოსახლეობას, რა ელოდება დასაქმების მომლოდინე მოსახლეობას, რას ჰპირდება საარჩევნო ციკლში მყოფი ხელისუფლება უკიდურესად გაღატაკებულ ადამიანებს, რა შეიცვლება მას შემდეგ, რაც თებერვლიდან აღარ იქნება „ნაციონალების“ ხელისბიჭად წოდებული ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და რამდენად სწორად დაგეგმა ხელისუფლებამ 2016 წლის ბიუჯეტი. ანალიტიკოსი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე „კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს.**

**— არჩევნების წინ ხელისუფლება პედაგოგებს, ექიმებს, პენსიონერებს ხელფასს უზრდის და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ პირობების გაუმჯობესებას ჰპირდება. როგორ ფიქრობთ, 2016 წლის ბიუჯეტი რამდენად სწორად არის განსაზღვრული და იგრძნობს თუ არა მოსახლეობა ამას საკუთარ ყოფაზე?**

– თავისთავად ცხადია, ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, რა მოცულობის ეკონომიკა გაქვს. ვფიქრობ, დღეს ბიუჯეტის თვალსაზრისით, დღევანდელ პირობებში მაქსიმუმია იმ ეკონომიკური აქტივობის ფონზე, რა ტემპებიც გვაქვს. ასევე, გასათვალისწინებელია ის პრობლემები, რომლებიც ქვეყნის გარეთ არის და ვხედავთ, რომ, გაუმჯობესების ნაცვლად, საგარეო ფაქტორები უარესდება. 2016 წელი იქნება მძიმე, რადგან საგარეო ფაქტორები უფრო გაუარესდება და ამის ნიშნები სახეზეა. ცუდია ერთი მომენტი, რომ ხელისუფლებას დასჭირდა საარჩევნო წლის ბიუჯეტი ოპოზიციის ზემოქმედებით შეეცვალა, რადგან მათ უფრო ადრე დააანონსეს საკუთარი ხელფასების, პრემიების, დანამატების ზრდა, ვიდრე პენსიების ზრდა. გამოვიდა ისე, რომ ოპოზიციის მოთხოვნის გათვალისწინებით გაზარდეს პენსიები, ვფიქრობ, ეს შეცდომა მათ არ უნდა მოსვლოდათ. ის, რომ ბიუჯეტში გაზრდილია ჯანდაცვის დაფინანსება, პედაგოგების ხელფასები, პენსიები, საერთო სურათს მაინც არ შეცვლის. ეს ცვლილებები ზეგავლენას ვერ მოახდენს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე. გაჭირვებული ისევ გაჭირვებული იქნება, ფასების ზრდის დინამიკა არ ჩერდება. ცალკეული ღონისძიებები, რასაც მთავრობა მიმართავს, ვერც ეკონომიკაში აუმჯობესებს მდგომარეობას და ვერც სოციალურ სფეროში. 20-ლარიანი პენსიის მომატება და პედაგოგებზე ხელფასების გაზრდა, ეს არის ნორმა და ამით არც რეკლამის გაკეთება არ შეიძლება, მით უფრო, რომ პენსიონერებს 20-ლარიანი დანამატი შვებას ნამდვილად ვერ მისცემს ინფლაციის ფონზე.

**— 2016 წელს ხელისუფლებისგან ხალხი გაცილებით მეტს ელოდება, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ მმართველი გუნდი ვითარების გამოსწორებას ცდილობს, ვერ აჩერებს ლარის ინფლაციას, არადა, ამომრჩეველი სააკაშვილის რეჟიმის დროს საარჩევნო წელს მაინც იღებდა მეტ-ნაკლებად სარგებელს, პროდუქტზე ფასების დაკლების, ვაუჩერების დარიგებით და სხვადასხვა პიარაქციების სახით. ეს ხელისუფლება ილუზორული გარემოს შექმნასაც კი ვერ ახერხებს, რომ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გამოსწორდება...**

– მე არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ასეთ ღონისძიებებს გეგმავს, ან შესაძლებელია ასეთი ღონისძიებების განხორციელება. ხელისუფლება გაცილებით მარტივად მოქმედებს, ის ჩვენი ხალხის მიამიტობაზე თვლის, რომ პოლიტიკური ლიდერის ავტორიტეტის და პატივისცემის გამო, ხალხი მათ ხმას მისცემს, თუმცა ვერ ვხედავ, სად არის ეს ავტორიტარული ლიდერი. ამასთანავე, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მისდამი პატივისცემას ვერ ვხედავ სამწლიანი არაეფექტური მმართველობის შემდეგ. ამიტომ ხალხი არჩევანს გააკეთებს უარესსა და ცუდს შორის და ამ უარესის როლს შესანიშნავად ასრულებს საპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც საზოგადოებას წარსული უბედურებებით თავს ახსენებს. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ხალხი „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმას არ მისცემს, „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს ეტყვის, – არ ვყაჩაღობთ, არ ვქურდობთ და ქუჩაში უდანაშაულო ადამიანებს არ ვკლავთ. ჩემი სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებთ, ამ მხრივ, ეს მთავრობა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შედარებით ანგელოზია. ეს დავის საგანი არ არის. არ შეიძლება ამ თაობისთვის არ იყოს საამაყო, რომ „ქართული ოცნება“ არ არის ყაჩაღი, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად შეძლებენ ამომრჩევლის გულის მოგებას, თანაც არჩევნებამდე არცთუ ისე დიდი დროა დარჩენილი. რა მოხდება, არავინ იცის, მით უმეტეს ახალი მესიები გამოჩნდნენ, ორი მესია უკვე აშკარა სახეზე გვყავს, – ერთი საოპერო მომღერალი, მეორე, კიევის ყოფილი მერი, რომელიც შეიძლება ქვეყნის გადამრჩენლად წარმოაჩინონ დაინტერესებულმა ძალებმა პოლიტიკური პიარტექნოლოგიებით. მოკლედ, წინ ძალიან საინტერესო, თუმცა არაფრისმომცემი ერთი წელია. არ ვფიქრობ, რომ ეს მესიები შეცვლიან პოლიტიკურ ძალთა განლაგებას. ვფიქრობ, 2016 წელი, ეს იქნება უკანასკნელი ილუზორული არჩევნები ხალხისთვის.

**— კიევის ყოფილი მერი ლეონიდ ჩერნოვეცკი საკუთარ კატასთან ერთად კოსმოსში გაფრენაზე ოცნებობდა, მაგრამ საქართველოში დაფრინდა. ეს ეპატაჟური, თაღლითობაში, კორუფციაში ეჭვმიტანილი პიროვნება, როგორ ფიქრობთ, ვისი პროექტია? შეძლებს კი ხმები მოპოვებას 500-ლარიანი პენსიების დაპირებით?**

– ძალიან მძიმე ფონია, არანორმალური სიღატაკეა, შემოსავლები არ არის, არ არის გამორიცხული, რომ ხელჩაქნეულმა ადამიანებმა წუთიერი სარგებლის მიღების გამო, მას ხმა მისცენ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ცნობადი სახეები აღმოჩნდნენ მესიის ირგვლივ, ჩვეულებრივი ქართული სიტუაცია თამაშდება ახალი მხსნელის მოლოდინში, რომელიც თითქოსდა რაიმეს გააკეთებს. ამ დროს ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ „მხსნელები“ პოლიტიკაში ძალიან სუსტები არიან, ყველაფერი მთავრდება ძალიან პრიმიტიული ამბიციებით, უაზრო გადაწყვეტილებით და საბოლოოდ, დიდი უშედეგობით. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება კიევის ყოფილმა მერმა გაზარდოს 500 ლარამდე პენსიები, შეიძლება მას ჯადოსნური ჯოხი აქვს, იმისთვის, რომ პენსია 500 ლარამდე გაზარდო, საჭიროა მძლავრი მოდერნიზაცია ეკონომიკის და ქვეყნის ეკონომიკა სულ სხვა რელსებზე უნდა გადაიყვანო, მაგრამ ტოტალური უმუშევრობის პირობებში 16-მილიარდიანი ეკონომიკის ფარგლებში, ასეთი დატვირთვები, უბრალოდ, შეუძლებელია 2016-2017 წელს. მაგრამ თუ სწორად იმუშავებს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ამის შანსი არის.

**— რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, საქართველომ ეკონომიკურად იხეიროს, რამდენიმე აზერბაიჯანელ ბიზნესმენს აქვს სურვილი, რომ თურქეთიდან საქართველოში გადმოიტანონ საკუთარი ბიზნესები. რას ფიქრობთ ამ მოსაზრებაზე?**

– ორი ქვეყნის დაპირისპირება მესამე მეზობლისთვის არ შეიძლება იყოს კარგი, ეს დაპირისპირება არ დასრულდება 2016 წელს, ეს იქნება ძალიან ხანგრძლივი და რთული დაპირისპირება, რომელიც არ მგონია, რომ თურქეთის სასარგებლოდ დასრულდეს, ამას უკვე დასავლეთშიც მიხვდნენ და სერიოზული უსიამოვნებები შეახვედრეს თურქეთის ხელმძღვანელობას. ასე რომ, ცხადია, ამ გართულებულ სიტუაციაში აზერბაიჯანელები, რომელთაც აქვთ ბიზნესი თურქეთში, მოსალოდნელი გართულებების გამო, უფრო კარგ ნავსაყუდელს ეძებდნენ, ცხადია, თუნდაც მცირე რაოდენობით ინვესტიციების შემოსვლა ქვეყნისთვის კარგია, მაგრამ ამის იმედად, რომ ის შეცვლის საქართველოს ეკონომიკაში ფუნდამენტურად არსებულ მდგომარეობას, რა თქმა უნდა სწორი არ იქნება, ფუნდამენტურად ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში შეიცვლება მაშინ, როცა ხელისუფლება ორიენტირს გააკეთებს ეკონომიკურ განვითარებაზე.

**— ხელისუფლება და საზოგადოება ერთმანეთს დაშორდა, მმართველი გუნდი და ბიძინა ივანიშვილი გვიმტკიცებენ, რომ საქართველოში 139 ქარხანა ამუშავდა, ხალხი დასაქმდა, დიდი მიღწევაა ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ზონის ამუშავება, მეორე მხრივ კი ვხედავთ, რომ ადამიანები კარგავენ ქონებას ლარის ინფლაციის გამო, ტოტალური შიმშილია ქვეყანაში და სოციალური აგონიიდან ხალხი ვერ გამოდის...**

– ხელისუფლება იმაზე მეტს ბაქიბუქობს, ვიდრე აკეთებს, ჩინეთიდან საქართველოზე ტვირთების გავლა, რა თქმა უნდა, კარგია და რაღაც სარგებელს მივიღებთ, მაგრამ, როცა 16-მილიარდიანი ეკონომიკა გაქვს, განადგურების პირასაა მისული მცირე და საშუალო ბიზნესი, როცა არაფერი მაღალტექნოლოგიური ქვეყანაში არ იქმნება, ეს არის წმინდა ნაცარქექიობა. ნახეთ, რა ხდება? არათანაზომადი ქვეყნები მოდიან შეხებაში, რაც არ უნდა ეცადო, გახვიდე ჩინეთის



**„პოლიტიკა არ არის ბიძინა ივანიშვილის სფერო, ის აბსოლუტურად ვერ ერკვევა ადამიანებში, თუ ვისთან ერთად შეიძლება გააკეთო პოლიტიკა, ამიტომ ღიად თუ მობრუნდება პოლიტიკაში, უარესად წააგებს! „ქართული ოცნება“ — ეს არის საკმაოდ უპერსპექტივო პოლიტიკური გუნდი, რომელსაც არ აქვს განახლების უნარი“**





**„თუ ეკონომიკური ზრდა არ იქნება და არ შეიქმნა სამუშაო ადგილები, ყველაფერი არის ნაცარქექიური განცხადება, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე ჩვენი ხეირი და რაღაც ზღაპრები... ეს არის უაზრო მოლოდინები...“**

უზარმაზარ ბაზარზე, შეიძლება გაიტანო უმნიშვნელო პროდუქტი, ისიც მცირე რაოდენობით, ეს იქნება სტიმული არა ხალხისთვის, არამედ ქართველი ბიზნესმენებისთვის. ხალხისთვის კი სტიმულს აჩენს ქვეყნის საშინაო პოლიტიკა და არა ჩინეთის ბაზარზე გასვლა. რამე გვქონდეს გასაყიდი და ჩინეთთან გზის მოძებნა რა პრობლემაა, კონკურენტუნარიანი ბიზნესმენები თავისუფლად გავლენ უცხოეთის ბაზრებზე და ისედაც შეძლებენ ოპერირებას. ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს მთავარი აქცენტები, თუ რას გააკეთებს ქვეყანაში. იმისთვის, რომ გაჩნდნენ კონკურენტული ბიზნესმენები, ხელისუფლება საკუთარი უმოქმედობის გადაფარვას აკეთებს, შედეგი სახეზეა. პირდაპირ გეუბნებით, 2016 წელი უფრო ცუდი და მძიმე იქნება, ვიდრე 2015 წელი, ამ ქვეყნიდან წამსვლელი არა ვარ და თუ არასწორ პროგნოზს ვაკეთებ, მომთხოვეთ პასუხი.

**— 2016 წელი რომ უფრო ცუდი იქნება, ამის ნიშნები სახეზეა. უფრო კონკრეტულად აგვიხსენით, რას ვარაუდობთ?**

– შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ლარის კურსის პრობლემა მოხსნილი არ არის, რადგან არც საშინაო და არც საგარეო ფაქტორები არ მოხსნილა, პირიქით, საგარეო ფაქტორი უფრო მეტად გაუარესდება, ამიტომ ამის იმედი საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს, საშინაო პოლიტიკამ უნდა ჩაანაცვლოს გართულებული საგარეო პრობლემები, ჯერჯერობით ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ, ჩვენი რესურსები უმოქმედოა, თურქულ ბაზარზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებული, ამასაც ვერ ვახერხებთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბოლო ნეგატიურ გასროლებს აკეთებს, რომ გაზაფხულზე მოხდება ლარის უფრო მეტად გაუფასურება. ჯერ ერთი, რა საჭიროა ამაზე აქცენტირება, როცა შენ ხელშია ბერკეტები და უნდა იზრუნო მთავრობასთან ერთად, რომ ეს არ მოხდეს და ვერ გააკეთე, ამის ნაცვლად ყველაზე იოლი გზა იქნა მოძებნილი ასეთ სიტუაციაში, როცა მთავრობის უმთავრესი ინსტიტუტი გამოდის დესტრუქციულ როლში. 2016 წლისთვის რა უნდა იყოს სახეირო, სიმართლე გითხრათ, კარგად არ მესმის.

**— ამ ფონზე მოსალოდნელია სოციალური ბუნტი?**

– არ არის მოსალოდნელი, ჯერჯერობით ამის არანაირი ნიშანი არ არის, უბრალოდ, ქართველების უცნაური ბუნებიდან გამომდინარე. ქართველს არ აწუხებს მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა, ქართველს აწუხებს ბელადის უქონლობა, ახლა არის ახალი ბელადის ძიება, ამიტომ ვამბობ, რომ 2016 წელს არაფერი შეიცვლება. მე ველი, როცა უკანასკნელი ილუზიებიც გაქრება, ვითარება უკეთესობისკენ წავა. მაგრამ უახლოესი მომავლისთვის არაფერს კარგს არ უნდა ველოდეთ. თუ ეკონომიკური ზრდა არ იქნება და არ შეიქმნა სამუშაო ადგილები, ყველაფერი არის ნაცარქექიური განცხადება, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე ჩვენი ხეირი და რაღაც ზღაპრები... ეს არის უაზრო მოლოდინები... ასე, საკუთარი თავის წინააღმდეგ მუშაობდეს ხელისუფლება, ჯერ არ მინახავს. ბიძინა ივანიშვილს და მის ჯგუფს ხალხმა უმაღლესი ლეგიტიმაცია მისცა, ამის ნაცვლად როგორც მიხედეს საქმეს, კი ვხედავთ. ბიძინა ივანიშვილიც რომ ჩაუდგეს სათავეში სიას პირველ ნომრად „ქართულ ოცნებას“, მაინც ცოტა ხმას მიიღებენ. ისინი ნამდვილად მოუგებენ „ნაცმოძრაობას“, მაგრამ ეს არ იქნება ის დამოკიდებულება, რომელიც ხალხს „ოცნების“ მიმართ ჰქონდა 2012 წელს. პოლიტიკურმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ „კუმირები“ ქრებიან და მათ მიმართ იმედგაცრუება ემუქრება ხალხს. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს და მის გარემოცვას ტყუილად ჰგონია, რომ მათ მიმართ არის ჭარბი ნდობა. პოლიტიკა არ არის ბიძინა ივანიშვილის სფერო, ის აბსოლუტურად ვერ ერკვევა ადამიანებში, თუ ვისთან ერთად შეიძლება გააკეთო პოლიტიკა, ამიტომ თუ მობრუნდება ღიად პოლიტიკაში, ის უარესად წააგებს. „ქართული ოცნება“ – ეს არის საკმაოდ უპერსპექტივო პოლიტიკური გუნდი, რომელსაც არ აქვს განახლების უნარი, 2016 წელს ის სხვებთან ერთად შეინარჩუნებს პოზიციას, მაგრამ ადამიანები დაელოდებიან ისევ და ისევ უშედეგობას, რადგან ამ პოლიტიკურ ჯგუფში არ არიან ადამიანები, ვისაც შეუძლიათ, გარღვევა გააკეთონ და სახელმწიფო დონეზე რეფორმები გაატარონ და წარმატებებს მიაღწიონ. არც იმას ველოდები, რომ ხელისუფლებაში არჩევნებამდე ცვლილებები მოხდება, ხშირი ცვლილებები შეუძლია ძლიერ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელსაც აქვს ძლიერი რესურსები, ჩვენ ვხედავთ, მთავრობა არის სტაბილური, რადგან არა აქვთ ძლიერი საკადრო რესურსი. გაუგებარი სახეები მოჰყავთ სამინისტროებში, მათი პოლიტიკა არ იცვლება, რეფორმებს არ ახორციელებენ, არიან თვითკმაყოფილებაში და საარჩევნო პერიოდში რაიმე სერიოზულ რყევებს არ უნდა ველოდოთ.

**— თებერვალში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ქადაგიძეს უფლებამოსილება ეწურება, ეს ადამიანი ექვმიტანილია საბოტაჟში და ის წარმოადგენს „ნაციონალების“ ხმას. თქვენი აზრით, „ქართული ოცნების“ პროტეჟე ამ პოსტზე შეძლებს ვალუტის გამყარებას?**

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არჩევის საკითხს წყვეტს საბჭო და მისი შემადგენლობა ცნობილია, არ მგონია, რომ „ქართულ ოცნებას“ ექნება შესაძლებლობა, ამ საბჭოში თავის კანდიდატურა წარადგინოს, თუმცა ნამდვილად არ ვიცი, ვისზეა საუბარი და რამდენად შეძლებს ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი ეროვნული ვალუტის გამყარებას, ეს მის ცოდნასა და კომპეტენციაზე იქნება დამოკიდებული. გულწრფელად გეტყვით, რომ არც ეროვნული ბანკისგან ველი კარგს არაფერს 2016 წელს.

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირულობებთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის 1-ლი იანვრიდან 9 დეკემბრამდე პარტიებმა, საერთო ჯამში, 1 409 319 ლარის შემოწირულობა მიიღეს. აქედან ყველაზე მეტი შემოწირულობა მიღებული აქვს პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“. კერძოდ, საუბარია 536 355 ლარზე. აქედან ფულადი შემოწირულობაა 526 000 ლარი, არაფულადი – 10 095 ლარი.

შემდეგია „თავისუფალი დემოკრატები“ – 279 710 ლარი. ალასანიას პარტიამ მთლიანი თანხა ფულადი შემოწირულობის სახით მიიღო.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ შემოწირულობის სახით 260 240 ლარი მიიღო. „ნაცმოძრაობასაც“ აღნიშნული თანხა სრულად ფულადი სახით აქვს მიღებული. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ადგილები შემოწირულობის რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

„პატრიოტთა ალიანსი“ – 171 170 ლარი, „დევნილთა პარტია“ – 52 151 ლარი, „თავისუფალი საქართველო“ – 34 546 ლარი, „რესპუბლიკური პარტია“ – 29 368 ლარი (აქედან 27 ჩაუხრელად მზრუნველებს“ 40-40 ათასი ლარი შესწირეს.

მთლად ასეთი გულუხვობით არ გამოირჩევიან „ნაცმოძრაობის“ ტრფიალნი – გიორგი გაბაშვილს (სავარაუდოდ, საუბარია გოკა გაბაშვილზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ უკრაინული მედიის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში ძმას ეწუწუნებოდა, უკრაინაში ჩამოსასვლელი ფული არ მაქვსო) 10 ათასი ლარით შეუთხელებია საკუთარი ბიუჯეტი. სერგო რატიანს დედა პარტიისთვის 2346,5 ლარი გადაურიცხავს. ეს 50 თეთრი რატომ არ დაამრგვალა და „სტაიანშჩიკს“ თუ აჩუქა, ან რა ვიცით, გადარიცხვისაც ჩამოაჭრეს, ალბათ. დავით ბაქრაძეს კი დაუმრგვალებია და 3 ათასი ლარით წახმარებია პარტიის ბიუჯეტს. 3 ათასი ლარი აქვს შეწირული დედა პარტიისთვის გიგი წერეთელსაც. დავით კირტიკაძეს კი არ დაენანა და 5 ათასი ლარი გაუღია – უეჭველი ისესხა ან სამეზობლოში, ან რომელიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან, თორემ აბა, საიდან აქვს კირტიკაძეს ფული, ბაბაია?!

გიორგი ბარამიძის პარტიული შენატანი 5 ათასი ლარია, ასევე, ნუგზარ წიკლაურის, დავით დარჩიაშვილი კი 3 ათასი ლარით გაღარიბებულა. გოკა გაბაშვილს არ ჩამორჩა აკაკი ბობოხიძე – მანაც 10 ათასი ლარი ჩაურიცხა „ნაცმოძრაობას“.

„ქართული ოცნების“ დამფინანსებლებს შორის საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებში ყველაზე გულუხვები თინათინ ხიდაშელი და ნოდარ ებანოიძე არიან, რომელთაც 10-10 ათასი ლარი აქვთ გაღებული. მეორეა თამაზ თამაზაშვილი,

# ვინ აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს?

## აუდიტის სკანდალური დასკვნა





988 ლარი საწევროა), „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ – 23 360 ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“ – 14 120 ლარი, პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ – 2 875 ლარი, „კონსერვატიული პარტია“ – 1 320 ლარი, „ხალხის პარტია“ – 1 135 ლარი, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ – 1 107 ლარი, „ქართული პარტია“ – 1 000 ლარი, „ქართული დასი“ – 861 ლარი.

ჩვენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან უფრო დეტალური ინფორმაცია გამოითხოვეთ იმის გასარკვევად, ვინ რამდენს იმეტებს პოლიტიკური პარტიებისთვის, რომელთა უმეტესობას, პრინციპში, არც ფული აკლია და არც ფუფუნება.

საინტერესოა, რომ სიაში არ არის დასახელებული „ლეიბორისტული პარტია“, რომელსაც წელს 1 თეთრიც არ მიუღია მათ შორის, არც საწევროს სახით. ყოველ შემთხვევაში, აუდიტის დასკვნაში მსგავსს ვერაფერს გადავაწყდით. სხვა რა გზებითა და ხერხებით არსებობს პარტია, ამას უკვე ვერ გეტყვით.

სახელმწიფო აუდიტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, პარტიების ყველაზე მსხვილი „მფარველი ანგელოზები“ არიან:

30 ათასი ლარი აქვს შეწირული „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ ვინმე დავით ანდღულაძეს, 30 ათასი ლარი შესწირა ირაკლი ალასანიას პარტიას გია ხომასურიძემ. ასევე, 30 ათასი ლარი გაუღია „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ ვინმე ვახტანგ კურტანიძეს. 20 ათასი ლარით დაეხმარა ალასანიას ტრისტან ჯინჭარაძე.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ყველაზე გულუხვი დამფინანსებელი ყოფილა ილია კეჭაყმაძე, რომელსაც 60 ათასი ლარი გაუღია. 60 ათასი ლარით დახმარებია „ქართულ ოცნებას“ ვინმე აკაკი კორძაძე. 30-30 ათასი ლარი მიიღო მეოცნებეთა პარტიამ ეკატერინე მაჭავარიანისგან და ბესიკ შუბითიძისგან. 60-ათასლარიანი შემომწირველია ვინმე გიორგი ჯულელი, რომელსაც ცოტათი ჩამორჩება მარინა დოლიძე-კეჭაყმაძე – მის მიერ გაღებული თანხა 40 ათას ლარს შეადგენს. 50 ათასი ლარი არ დაენანა „ქართული ოცნებისთვის“ ბადრი არეშიძეს, შედარებით „იჟმოტეს“ ზვიად იმედიძემ და ნუგზარ დვალმა – მათ „საქართველოს აყვავებისთვის მუხლრომლის ანგარიშიდანაც „ოცნების“ ანგარიშზე ერთ ჯერზე 4600 ლარია გადანაცვლებული, შემდეგ კი – 2870 ლარი. „ფეისებში“ შემდეგია ვახტანგ ხმალაძე 6 ათასი ლარით, მას მოსდევენ ლევან და დავით ბერძენიშვილები 5-5 ათასი ლარით, რომელთაც ფეხდაფეხ მიჰყვება გიგლა აგულაშვილი 3 ათასი ლარით...

თუ ვინმე გამოგვრჩა „ქართული ოცნების“ წევრებიდან, იმედია, არ გვიწყენენ, ნამეტანი რთული მოსაძებნია უზარმაზარ სიაში მათი გულუხვობის მაგალითები.

**როგორც სახელმწიფო აუდიტის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა განგვიცხადა, შემომწირველთა შორის 40 საეჭვო ადამიანი გამოიკვეთა, რომელთა მიერ პარტიებისთვის გადარიცხული თანხები მათ შემოსავალს აღემატებოდა. შემდგომში მათი რაოდენობა 12-მდე შემცირდა და ეს 12 ადამიანი უწყებაშია დაბარებული:**

– სახელმწიფო აუდიტის სამსახური წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებდა პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობების შესწავლას. ჯამში, საეჭვოდ იქნა მიჩნეული და ინფორმაცია მოვიძიეთ 40-მდე შემომწირველის შესახებ. შემოსავლების სამსახურიდან მიღებული და სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებითი მონაცემების მოძიების აუცილებლობა გამოიკვეთა 12 შემომწირველთან დაკავშირებით. მონიტორინგის სამსახური მომავალ კვირაში გეგმავს აღნიშნული პირების გამოკითხვაზე დაბარებას, რათა მათ წარმოადგინონ შემოწირულების წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ მათ გადარიცხული თანხების წარმომავლობა ვერ განმარტეს, დაჯარიმდებიან გადახდილი თანხის ორმაგი ოდენობით, – ამბობს ზურაბ აზნაურაშვილი.

დაბოლოს, ძალიან კი გვეხამუშება და ვერ ვხვდებით, რატომ უნდა გადაურიცხო პოლიტიკურ პარტიას 60, 50, 40 ათასი, თუ მისგან ორმაგისა და სამმაგის მოლოდინი არ გაქვს?! არა, შეიძლება ვცდებით და ეს ადამიანები გაჭირვებულებსაც უანგაროდ უდგანან გვერდში, მაგრამ...

ჰო, ყველაზე მთავარი – 60 ათასი კი არა, 60 თეთრი რატომ უნდა გადაურიცხო პარტიას, რომელმაც ქვეყანა ფეხებზე დაიკიდა?!


გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# „უსუფაშვილი მართალია!“

## რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ღარიბაშვილი და უსუფაშვილი?



„მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მარეგულირებელ კომისიაში სხედან ბოროტი ადამიანები და მათ დაუკითხავად მისცეს თანხმობა ენერგოკომპანიებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხელისუფლების სინდისზეა“





„გადასახადი ყველასთვის უნდა იყოს ერთნაირი და მეორეც — თუ რამე შეღავათი წესდება, ეს უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული. ასე უფლება მომეცით, ვისაც მინდა, შევუმცირებ, არ გამოვა“

გასული კვირის განმავლობაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ორჯერ დაგვაბნია, ჯერ თქვა, ყველაფერი კარგადაა, რაც კი ეკონომიკური შოკები იყო, ლარის კურსში უკვე აისახაო, შემდეგ კი „დაგვამშვიდა“, ლარის გაუფასურება პიკს 2016 წლის პირველ კვარტალში მიაღწევსო. ეკონომიკის ექსპერტებმა კი ლამის ერთხმად დაასკვნეს, ქადაგიძე თებერვალში მიდის და ალბათ, რაღაცას კიდევ იმაიმუნებსო. ამასობაში ცნობილი ხდება, რომ პარლამენტის თავმჯდომარესა და მთავრობას შორის დაპირისპირებაა. ამბობენ, დაპირისპირება იმ ინიციატივას მოჰყვა, რომლის თანახმადაც, მთავრობას უნდა მიენიჭოს უფლება, საშემოსავლო გადასახადი კონკრეტულ პირებს საკუთარი შეხედულებისამებრ 3%-მდე შეუმციროს. თურმე დავით უსუფაშვილი ამტკიცებს, ეს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და გადამხდელთა თანასწორობის პრინციპსაც ლახავსო. გარდა ამისა, მთავრობისთვის ამ უფლების მინიჭება კორუფციული გარიგებების საფუძველი გახდებაო. ამ დღეებში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველ მეწარმეებს მიმართა, რომ დაიწყონ მზადება ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ამოქმედებასთან დაკავშირებით და დაინტერესდნენ ამ საკითხით. მისი თქმით, ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შედეგად საქართველო გახდება უნიკალური ცენტრი, რომელიც იქნება ბუნებრივი დამაკავშირებელი ევროპასა და აზიას შორის. ღარიბაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობით ჩვენ წვდომა გვექნება 1 მილიარდ 400-მილიონიან ბაზართან, რაც საშუალებას მოგვცემს, ქართული ნაწარმი ნულოვანი დაბეგვრით შევიტანოთ. კი, ბატონო, ერთი შეხედვით ეს ხმამაღალი ბაქიბუქი კარგია, მაგრამ რა ხდება რეალურად? როგორც ყოფილი პარლამენტარი და ეკონომისტი **ასლან ფაღავა** ამბობს „ქრონიკასთან“ საუბარში, თუ არ დაწესდა რაღაც კვოტები, მაშინ ჩინური ნაწარმიც ნულოვანი დაბეგვრით შემოვა საქართველოში და საერთოდ წაგვლეკავს:

**— ბატონო ასლან, მოდით, საუბარი დავიწყოთ ქადაგიძის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებით. მართალია, ეკონომიკის ექსპერტები ამ პერსონას სერიოზულად აღარ აღიქვამენ, მაგრამ ხალხი რომ ზარალდება, ეს ცხადია.**

– ქადაგიძე იმდენად პოლიტიზებულია, უკვე აღარ ვაკეთებ მის გამონათქვამებზე კომენტარებს, მაგრამ როცა ქვეყანაში გვაქვს დოლარიზაციის მაღალი დონე, შეიძლება ყველაფერს ველოდოთ. ჩვენში დოლარიზაციის დონე 78-80 პროცენტამდეც კი ავიდა. ლარის კურსის გაუფასურების გამო ძირითადი დარტყმა მიიღო იმ ხალხმა, ვისაც სესხი ჰქონდა აღებული დოლარში. ვისაც შემოსავალი დოლარში ჰქონდა, პირიქით, იმან იხეირა.

**— ასეთი ძალიან ცოტა უნდა იყოს...**

– დაახლოებით მილიარდნახევარი უცხოეთიდან შემოდის, ქვეყნიდან გასულები ან დოლარს აგზავნიან, ან კიდევ ევროს. კი, საიდანაც ძირითადად ფულს აგზავნიან, იმ ქვეყნებში სიტუაცია გაუარესდა, რუსეთსა და საბერძნეთში, თანხების გადმორიცხვაც შემცირდა, მაგრამ ლარის კურსის გაუფასურებამ უარყოფითად არ იმოქმედა. აქ სხვა პრობლემები გვაქვს, ვინაიდან ჩვენი ეკონომიკა დამოკიდებულია იმპორტზე და მიბმული ვართ სხვა ქვეყნებზე, სხვაგან გაუარესებული სიტუაცია აუცილებლად აისახება ჩვენს ფასებზე, რაც გამოიწვევს ინფლაციას და დაარტყამს მოსახლეობას. ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ლარის კურსის ვარდნა და ინფლაცია. საქართველოში ინფლაციის დონე, საშუალოდ, 5 პროცენტია და 6 პროცენტამდე უკვე დააფიქსირა ეროვნულმა ბანკმა. ეს ყველაფერი რომ ამით მთავრდებოდეს, თითქოს არ არის დიდი კატასტროფა, მაგრამ დაუკვირდით, ფასების ზრდა ძირითადად მიდის მედიკამენტებზე, რომლის მომხმარებელიც გახლავთ სოციალურად დაუცველი ფენა. ამ დროს სრულიად გაუგებარი იყო ხელისუფლების მოქმედება, როცა დასთანხმდა და ენერგოკომპანიებს გაზისა თუ დენის გაძვირების უფლება მისცა. ეს იყო აბსოლუტურად გაუგებარი რამ, იმ ქვეყნებში, საიდანაც ენერგომატარებლები შემოგვაქვს, დევალვაცია მოხდა, მაგრამ იქ გაზი და დენი არ გაძვირებულა. ასევე, ლარსა და მათ ვალუტებს შორის გაცვლითი კურსი არ შემცირებულა, ძირითადად ვგულისხმობ რუსეთსა და აზერბაიჯანს. ვიმეორებ, ამ ორ ქვეყანაში უფრო მეტი იყო ინფლაცია, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ თავიანთთვის არ გააძვირეს, მხოლოდ ჩვენ გაგვიძვირეს. ამ დროს პირიქით უნდა მომხდარიყო.

**— ანუ ისარგებლეს შემთხვევით და გვაჭამეს?**

– რა თქმა უნდა, ისარგებლეს შემთხვევით და გაზარდეს ფასი. კი, ბატონო, ჩვენ ელექტროენერგიას ვყიდულობთ რუსეთიდან, ამ ქვეყანაში გაძვირდა? არ გაძვირებულა. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მარეგულირებელ კომისიაში სხედან ბოროტი ადამიანები და მათ დაუკითხავად მისცეს თანხმობა ენერგოკომპანიებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხელისუფლების სინდისზეა.

**— ბატონო ასლან, რას იტყვით იმაზე, რომ მთავრობას სურს, თავის შეხედულებების მიხედვით დააწესოს საშემოსავლო გადასახადი და ზოგს შეუმციროს 3 პროცენტამდე? თურმე უსუფაშვილი თავს იგიჟებს, ეს კორუფციას გამოიწვევსო.**

– უსუფაშვილი მართალია... ჯერ ერთი, გადასახადი ყველასთვის უნდა იყოს ერთნაირი და მეორეც – თუ რამე შეღავათი წესდება, ეს უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული. ასე უფლება მომეცით, ვისაც მინდა, შევუმცირებ, არ გამოვა.

**— ვერ გავიგე, მე საშემოსავლო უნდა დამრჩეს იგივე და ვიღაცას შეუმცირონ?**

– რასაკვირველია, ესეც უნდა განსაზღვროს კანონმა. ამ შემთხვევაში უსუფაშვილი მართალია, ეს მართლა გახდება კორუფციის ბუდე და რომც არ გახდეს, აუცილებლად შექმნის არაჯანსაღ გარემოს. რაში სჭირდება ხელისუფლებას ასეთი ბერკეტი, თუკი მას არ აქვს რაიმე ისეთი განზრახვა? ხალხი უნდა იყოს კანონზე დამოკიდებული და არა ვიღაცის კეთილ ნებაზე.

**— პრემიერმა მეწარმეებს მოუწოდა, მოემზადონ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობისთვის. რა უნდა გააკეთონ, როგორ უნდა მოემზადონ?**

– ჩინეთი საერთოდ საინტერესო თემაა, თუ საკითხს მივუდგებით სახელმწიფოებრივად და ჩვენს ინტერესებზეც ვიფიქრებთ, კარგი რაღაცების გაკეთება შეიძლება. ჩინეთს ჩვენი ტერიტორია მაინც იმიტომ აინტერესებს, რომ მისთვის ევროპისკენ გამავალი რუსეთი მაინც ნაღმია, მაინც არასაიმედოა. შეიძლება რუსეთი ვიღაცაზე გაბრაზდეს და ყველაფერი გააფუჭოს, ამას წინათ ვუყურებდი, ევროპის მიერ დაწესებული სანქციების გამო როგორ გამოიტანეს პროდუქტები და როგორ დაწვეს. ბავშვთა სახლებისთვის მაინც მიეცათ, სადაც ხილი და ბოსტნეული ენატრებათ. ჩინელებმაც იციან, რომ რუსეთი არ არის ცივილიზებული პარტნიორი და ამიტომაც მიაჩნიათ მომგებიანად ჩვენი კორიდორი.

**— რას მოგვიტანს ნულოვანი დაბეგვრა, ეს უსაფრთხოა?**

– თავისუფალი ვაჭრობა ამას გულისხმობს, მაგრამ რაღაც კვოტებზეც თუ არ ვიფიქრეთ, ჩვენ შიდა წარმოება მოგვიკვდება. კი, ბატონო, შემოიტანონ ნულოვანი დაბეგვრით, რასაც ჩვენ არ ვაწარმოებთ, მაგალითად, ბრინჯი, რომელსაც ვერასოდეს მოვიყვანთ. ამას უნდა დაჯდომა, განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება. ჩინეთში ჩვენ შეგვიძლია ღვინის გატანა, ამის პერსპექტივა ნამდვილად არსებობს. ახლა ჩინელები არ არიან ფრანგები, უმაღლესი ხარისხის ღვინოებზე რომ ჰქონდეთ მოთხოვნა, ძალიან დიდი ბაზარია და ხარისხობრივადაც განსხვავებული. შეიძლება წყლის გატანაც, მაგრამ ეს ცოტა მძიმე თემაა, წყლის ბაზარი გაჯერებულია და მონოპოლია აქვთ აღებული ფრანგებს და იტალიელებს. ასევე, აქვთ მონოპოლია არაბულ ქვეყნებში, ჩვენ ამ ეტაპზე მათ კონკურენციას ვერ გავუწევთ. შეიძლება გავიტანოთ თხილი და საყურადღებოა ასევე ტურიზმი. აქ მთავარი ის არის, რომ ჩინეთთან ურთიერთობისას შესაძლებელია დაგეგმვა, არ იქნება ისე, როგორც რუსეთი აკეთებს ხოლმე, შეიძლება ერთ დღესაც სრული ემბარგო დაგიწესოს. ღმერთმა ქნას, ხვალ რუსეთი უფრო პროგნოზირებადი გახდეს, მაგრამ დღეს ამ მხრივ პრობლემებია. გარდა ამისა, უკვე ვთქვი, ჩინეთში ისეთი მაღალი სტანდარტები არ არის, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში. თუმცა იმას არ ვამბობ, რომ რუსეთის ბაზარი არ უნდა გამოვიყენოთ.

**— თქვენ გექნებათ ინფორმაცია, რა ხდება აჭარაში ციტრუსებთან დაკავშირებით, როგორც ამბობენ, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გაფუჭებამ რაღაც ხეირი მოგვიტანა და ჩვენს ციტრუსებზე მოთხოვნილება გაიზარდა.**

– კი, ამან სარგებელი ნამდვილად მოუტანა ჩვენს გლეხობას, ციტრუსებზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა, სტანდარტულ მანდარინზე უკვე 80 თეთრამდე ავიდა ფასი. არადა, წელს მოსავალი შარშანდელთან შედარებით ცოტაა. რა თქმა უნდა, ჩვენ მთელ რუსეთს ვერ მოვამარაგებთ, მაგრამ რაც ხდება, ესეც კარგია. კი დაიწყეს ჩვენში, სხვის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება არ უნდა ავაწყოთო, მაგრამ ეს უკვე გულუბრყვილობაა, რა ვქნათ ახლა, რაკი თურქეთს გზა გადაუკეტა რუსეთმა, ჩვენ აღარ შევიტანოთ? როცა საქმე ეხება ეკონომიკას, ბიზნესსა და პოლიტიკას, აქ სენტიმენტალობა არ გამოდგება.

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსა და საჯარო რეესტრის ხელმძღვანელ პაპუნა უგრეხელიძეს პროტესტის ნიშნად ქონება დაუყადაღეს!








**„ჩემი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ვაპირებ, ქონება დავუყადაღო დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელს!“**

წინა ხელისუფლების დროს მიღებული კაბალური კანონები დღესაც ძალაშია. იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის დროს მიღებული კანონით (2010 წლის იანვარი), ნებისმიერ პირს, სხვა ნებისმიერი პირის მიმართ, საჯარო რეესტრში დღესაც შეუძლია განაცხადი შეიტანოს და სწორედ ამ განცხადების საფუძველზე შეიძლება, რომ ამა თუ იმ პირის ქონება დაყადაღდეს.

ასეთი განცხადებები იმის საფუძველი გახლავთ, რომ ნებისმიერ ადამიანს სხვა ადამიანის ქონების დაყადაღება შეუძლია. სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ეს კანონი ბიზნესმენებზე ზეწოლის აპრობირებული მეთოდი იყო. ეს კანონი დღეს რატომ არ იცვლება? ვის ინტერესებში შედის სხვისი ქონების დაყადაღება?

არასამთავრობო ორგანიზაცია „საკუთრების უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელმა მამუკა ტუსკაძემ, წინა ხელისუფლების მავნე გადმონაშთი გააპროტესტა. მან საჯარო რეესტრს განცხადებით მიმართა. რითაც საჯარო რეესტრის ხელმძღვანელის, პაპუნა უგრეხელიძისა და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ქონების დაყადაღება მოითხოვა. უფლებადამცველს ეგონა, რომ პროტესტის ამ ფორმით იმ უწყებების ხელმძღვანელების ყურადღებას მიიქცევდა, ვისაც კანონის შეცვლა ევალება. მამუკა ტუსკაძეს ყურადღება მართლაც „მიაქციეს“ და ტუსკაძეს ახლობლების ქონება და პირადი მანქანა დაუყადაღეს.

**მამუკა ტუსკაძე:**

– ჩემი განცხადების საფუძველზე იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს და საჯარო რეესტრის ხელმძღვანელ პაპუნა უგრეხელიძეს ქონება დაუყადაღეს. თუ კიდევ არ მომაქცევენ ყურადღებას, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ვაპირებ, ქონება დავუყადაღო დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელს.

**— უფრო კონკრეტულად გვითხარით ამ აბსურდულ კანონზე?**

– საქმე ეხება საქართველოს კანონის საჯარო რეესტრის შესახებ 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებულებას, საჯარო რეესტრის წარმოების ინსტრუქციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ მოქალაქეს, ყადაღის წარმოშობის შესახებ, სასამართლოს განჩინების მიღებამდე უფლება აქვს, მხოლოდ განცხადების საფუძველზე, ამა თუ იმ პირს ქონება დაუყადაღოს. ეს არის აბსურდი და სწორედ ამას ვაპროტესტებდი.

**— თქვენ მოითხოვდით, რომ კანონში ცვლილება შესულიყო და ამ დროს ყადაღა დაადეს თქვენს ქონებასაც.**

– 2015 წლის 7 დეკემბერს, რატომღაც 2 წლის შემდეგ, გადაუხდელი ადმინისტრაციული ჯარიმებიც დამაკისრეს. ეს ჯარიმები ჩემი დამკვეთისაა, ვისი წარმომადგენელიც სასამართლოში გახლდით. აღსრულების ბიურომ კარგად იცოდა, რომ მე უქონელი ვიყავი. სააღსრულებოს წარმომადგენელმა, რომელიც მანამდეც ჩემს სახლში იმყოფებოდა, იცოდა, რომ ვერ შევძლებდი ჯარიმის გადახდას. რადგან ჩემს სახელზე არავითარი სახის უძრავი ან მოძრავი ქონება არ არის აღრიცხული. ამიტომაც ითვლება, რომ გადახდისუუნარო ვარ. ასე იყო 7 დეკემბრამდე. შემდეგ ჩემი ოჯახის მიმართ მორალური და ზნეობრივი სახის ზეწოლა დაიწყო. იმიტომ, რომ თეა წულუკიანსა და პაპუნა უგრეხელიძის ქონებაზე სრულიად კანონიერად მოვითხოვე ყადაღა – ამით მინდოდა, რომ სარეგისტრაციო კანონში ცვლილებები შეეტანათ. ასევე, სრულიად კანონიერად მოვითხოვე, მათი ქონების გაყიდვის შეზღუდვა და მისი იპოთეკით დატვირთვა. მეგონა, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება დაიწყებოდა. ადეიშვილი-მერაბიშვილის ხელისუფლების დროინდელ მორგებულ კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდოდა. ახალი კანონმდებლობა კი ხალხზე ორიენტირებული გახდებოდა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ წულუკიან-უგრეხელიძის დუეტმა უკანონო დევნა დამიწყო.

**— რა ზეწოლა განხორციელდა თქვენზე?**

– გეტყვით მხოლოდ იმას, რა დღეში ჩააგდეს მათი სამსახურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი. მას ჩემთან ურთიერთობა აუკრძალეს. ძალიან ბევრ მოქალაქეს, მათ შორის, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანებს ზიანი მიადგათ სწორედ ამ უკანონო კანონის გამო და პროტესტის გზით, მეგონა, იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს ჭეშმარიტებას დავანახვებდი. მათ ამის სანაცვლოდ ჩემზე ზეწოლა განახორციელეს. ჩამომართვეს მანქანა. გარდა ამისა, 2015 წლის 22 ოქტომბერს, როდესაც ორფეხამპუტირებული ბიძაჩემი, სრულიად უკანონოდ სახლიდან გამოასახლეს, მეც მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რაზეც ექსპერტიზა ჩავიტარე.

**— თავს დაგესხნენ?**

– დიახ, ასე იყო. მცემეს. ბევრი მცდელობის მიუხედავად, დღემდე ექსპერტიზის დასკვნა არ ჩამბარებია. მინდა მოვიწვიო ჟურნალისტები და დაინტერესებული პირები, ნახონ, რა პირობებში ვცხოვრობთ მე და ჩემი ოჯახი. ასევე, საბანკო და საკრედიტო ისტორიების გამომზეურებასაც ვაპირებ. რათა, ზოგიერთ გაბოროტებულ ადამიანს ეჭვები გავუქარწყლო.

**— თუ გქონიათ შეხვედრა თეა წულუკიანთან, ან პაპუნა უგრეხელიძესთან?**

– არა, მეგონა, მიმიწვევდნენ და დაიწყებოდა მსჯელობა ამ მახინჯ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად. როგორც კი გაიგეს მათი ქონების დაყადაღების ამბავი, ჩემს ახლობლებსაც დაუყადალეს ქონება. რაც შეეხება პაპუნა უგრეხელიძეს, მან დიქტატურა დაამყარა საჯარო რეესტრში. სხვათა შორის, მოვიძიე და აღმოვაჩინე, რომ პაპუნა უგრეხელიძეს ბევრად მეტი ქონება აქვს, ვიდრე თეა წულუკიანს. მინდია უგრეხელიძემ შვილს ქონება მხოლოდ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მისცა (ისიც ჩუქების უფლებით), რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ პაპუნა უგრეხელიძე ნარკოტიკების მოყვარულია. როგორც ჩანს, მამამ კარგად იცოდა, მისი შვილი ნარკომანი რომ იყო და ეშინოდა, ქონება არ გაეფლანგა. მიუხედავად იმისა, რომ თეა წულუკიანს დიდ პატივს ვცემ (მასთან ერთად ვმუშაობდი „სამართლიან არჩევნებში“), სამწუხაროა, რომ მან მახინჯი კანონმდებლობის შეცვლის აუცილებლობა ვერ დაინახა.

**— აცხადებთ, რომ გდევნიან, რა მოხდება, მას შემდეგ, როდესაც ყადაღის ვადა (30 დღე) ამოიწურება?**

– ერთი თვის წინ, ამერიკის ელჩთან შეხვედრა მოვითხოვე. მინდოდა მათთვის ამეხსნა ჩემი დევნის მიზეზები. მაგრამ საელჩოდან დღემდე არავინ გამომხმაურებია. არ მოახდინეს ჩემი დაკითხვა, ცემის ფაქტთან დაკავშირებით. აღსრულების პოლიციაში მოკალათებული ჯალათები დაუსჯელები დადიან... კანონმდებლობის მიხედვით, განცხადების წარმომდგენ პირს 30-დღიან ვადას აძლევენ, რომ სასამართლოს მეშვეობით მიიღოს ყადაღის ცნობა და იპოთეკით დატვირთვის ნებართვა. თუ პირი 30 დღეში ვერ მიიღებს განცხადებით მოთხოვნილი ყადაღის ცნობას სასამართლოდან, მაშინ ამა თუ იმ პირის ქონებაზე მაინც რჩება ყადაღა. 30 დღის შემდეგ ამ პირს კიდევ შეუძლია შეიტანოს განცხადება ყადაღის მოთხოვნით. ამ პერიოდში მესაკუთრე ქონებას ვერ დაარეგისტრირებს, ვერც გაყიდის. მოვუწოდებ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, 4 იანვრამდე შეცვალოს კანონი. თუ თეა წულუკიანი არ შეცვლის კანონს, მაშინ ისევ დავწერ განცხადებას და ისევ დაედება ყადაღა წულუკიანისა და უგრეხელიძის ქონებას. ამის შემდეგ ყადაღას ხიდაშელისა და უსუფაშვილის ქონებასაც დავადებ. 5 იანვარს კი, კანონის შეცვლის მოთხოვნით, იუსტიციის სამინისტროსთან შიმშილობას დავიწყებ!

**„კვირის ქრონიკა“ იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის პრესსამსახურის უფროსს მარიამ კილაძეს დაუკავშირდა და მინისტრის ქონების დაყადაღებაზე კომენტარი სთხოვა. როგორც პრესსამსახურის უფროსთან საუბარში გავარკვიეთ, მინისტრი საკუთარი ქონების დაყადაღების შესახებ ინფორმირებულია, თუმცა სხვა კომენტარის გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.**

**„კვირის ქრონიკა“, ასევე, დაუკავშირდა საჯარო რეესტრის პრესსამსახურს და პაპუნა უგრეხელიძის ქონების ყადაღის ირგვლივ კომენტარი სთხოვა. ვერც საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობისგან გავიგეთ, რას ფიქრობს პაპუნა უგრეხელიძე დაყადაღებულ ქონებაზე...**


ნინო სამხარაძე
599 71-14-22


# „ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრს უნდა აეტეხათ ერთი ამბავი! ეს იცით, რას ნიშნავს? რუსეთმა სერიოზული მუქარა შემოგვითვალა“

თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის ის გულწრფელი შანტაჟი, თუ საქართველოს ნატოში არ მიიღებთ, მაშინ ქვეყანაში პრორუსული ძალები მოვლენ და თუკი 2008 წელი განმეორდება, საქართველოში ჩვენ გმირულად დავიღუპებითო, – ნატო-მ ქალბატონ მინისტრს ეს განცხადება „გულუბრყვილობაში“ ჩაუთვალა, ნატო-ს გული არ აჩუყებია ხიდაშელის ემოციურ განცხადებაზე და ჩვენ კვლავ რუსეთთან პირისპირ დაგვტოვეს... ძალიან აგრესიული იყო თინა ხიდაშელი ზაფხულიდან მოყოლებული, აგვისტოში თავდაცვის მინისტრმა აშშ-ს მშვიდობის ინსტიტუტში საჯარო დისკუსიებისას განაცხადა, რომ რუსეთისთვის სანქციები სულერთია, რადგან ეს ხალხი ლენინგრადის ბლოკადის დროს ძაღლებისა და კატების ჭამას მიჩვეულები არიან... ექსპერტებმა მაშინვე იწინასწარმეტყველეს, რომ ხიდაშელის განცხადებებს აუცილებლად მოჰყვებოდა რუსეთის რეაქცია. მისი საომარი რიტორიკა ყველას ახსენებდა ირაკლი ოქრუაშვილის ომის გენერლობის პერიოდს, როცა თავდაცვის ექსმინისტრმა 2006 წელს განაცხადა, – რუსეთში ფეკალიებიც კი გაიყიდებაო, მაგრამ ხიდაშელი ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვან საკითხს შეეხო, მეორე მსოფლიო ომში რუსებთან ერთად ქართველებიც იბრძოდნენ და ყველაზე გმირულად სამამულო ომში ქართველები იღუპებოდნენ. ჩვენ ყველაზე დიდი დანაკლისი განვიცადეთ ჩვენი მცირერიცხოვანი ერიდან გამომდინარე, შესაბამისად, ხიდაშელის არაკორექტული განცხადება მტკივნეული აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვისაც. მმართველი გუნდის კულუარებში დიდი ხანია საუბრობენ, რომ გრძელვადიან პერიოდში თინა ხიდაშელის მინისტრობა ზიანის მომტანი იქნება, ის აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის აგრესიულ რიტორიკას რუსეთთან მიმართებაში, ვინ კი რა ჩიტიც დაიჭირა რუსეთთან ბრძოლაში, დოკუმენტურად უახლესმა პერიოდმა ეს დაგვანახა. ჩვენ არ ვართ ქვეყანა, რომელიც ფლობს ატომურ ბომბს, არ ვართ ნატო-ს წევრი და არ გვაქვს რესურსი, რომლითაც მონსტრ სახელმწიფოს დავუპირისპირდებით, ამიტომ ექსპერტები თვლიან, რომ თავდაცვის მინისტრი მოზომილი უნდა იყოს, ზედმეტი ბაქიბუქი, ცეცხლზე ნავთის დასხმა და ზღვარგადასული განცხადებები ამ ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება. ასეთ შეფასებებს უკვე მმართველი გუნდი აკეთებს... თინა ხიდაშელის არაკორექტულ განცხადებას ლენინგრადის ბლოკადასთან დაკავშირებით, ოთხი თვის შემდეგ მოჰყვა რუსეთის რეაქცია. ჟენევის ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლი კარასინმა პირდაპირ განაცხადა, რომ თავდაცვის მინისტრის განცხადება უკვე ყველა ზღვარს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბევრს ეცადა, ხიდაშელის გამოხტომა გაექარწყლებინა, ეს მაინც ვერ შეძლო. კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებისგან რბილ განცხადებებს არ უნდა ელოდოს, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრს მაინც არ სჯერა, რომ თავდაცვის მინისტრი ლენინგრადის ბლოკადაზე ასეთ განცხადებას გააკეთებდა და რა მივიღეთ თინა ხიდაშელის აგრესიული განცხადებების ციკლიდან? მივიღეთ ის, რომ რუსეთმა ორჯერ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე – 9 დეკემბერს და 10 დეკემბერს... და კიდევ, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ 11 დეკემბერს გააკეთა განცხადება: რუსული ატომური შეიარაღების 95 პროცენტი საბრძოლო მდგომარეობაშია მოყვანილი. რა იგულისხმა შოიგუმ? რა ხდება ჩვენ თავს, რატომ დუმს საქართველოს ხელისუფლება ცხინვალში ისკადრელების განთავსებაზე, რატომ არ აკეთებს განცხადებას თავდაცვის მინისტრი რუსეთის მიერ საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს თავმოყვარე თავდაცვის მინისტრის რეაქცია და გმირობის მაგალითი რა უნდა იყოს რუსეთის ასეთ ნაბიჯებზე და სადამდე მივყავართ თინათინ ხიდაშელს.

**სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში მოსალოდნელ საფრთხეებზე თავდაცვის მინისტრის განცხადებებზე და რუსეთის შემხვედრ ნაბიჯებზე საუბრობს:**

– მიჭირს, თავდაცვის მინისტრის განცხადება შევაფასო, რაც მან ლენინგრადის ბლოკადაზე გააკეთა. ის, რომ თინა ხიდაშელი კატეგორიულად ითხოვდა ნატოში შესვლას... მის სულისკვეთებას ვიზიარებ, ხოლო რაც შეეხება ლენინგრადის ბლოკადას, იქ ქართველებიც მონაწილეობდნენ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ მნიშვნელოვანი მსხვერპლი გავიღეთ მეორე მსოფლიო ომის დროს. ლენინგრადის ბლოკადა – ეს იყო კაცობრიობის წინააღმდეგ გენოციდი, ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის სხდომაზე ცალკე პუნქტად იყო ლენინგრადის ბლოკადა გატანილი. სასამართლო პროცესი ამ თემაზე რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ეს შეფასდა, როგორც ვანდალური აქტი. არ შეიძლება თავდაცვის მინისტრმა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა გააქილიკოს. თქვენ ყველაზე კარგად იცით, როგორი დამოკიდებულება მაქვს პუტინის მიმართ, აკრძალული მაქვს რუსეთში შესვლა, პერსონა ნონ გრატად ვარ გამოცხადებული, მაგრამ მე ვგმობ ასეთ განცხადებებს, რადგან ეს ჩვენი წინაპრების შეურაცხყოფაა.

— **თინა ხიდაშელი ნატო-ს კატეგორიულად სთხოვდა საქართველოს გაწევრიანებას, სხვა შემთხვევაში ის გულწრფელად აშანტაჟებდა, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ პრორუსული ძალები. ჩვენ ვნახეთ, რა რეაქცია მოჰყვა რუსეთის მხრიდან ნატოში მონტენეგროს გაწევრიანებას, ხოლო მის სამეზობლოში ნატო-ს ჯარს რომ არ დაუშვებს, ეს რუსეთს ათასჯერ აქვს დეკლარირებული. რას ვიღებთ ხიდაშელის განცხადებების საპასუხოდ?**

– გითხარით, რომ ხიდაშელის სულისკვეთებას ნატოსთან დაკავშირებით, ვიზიარებ. თუმცა შეიძლება სხვანაირი განცხადებები გაეკეთებინა ქალბატონ მინისტრს. ჩვენი ნატო-ში გაწევრიანება რუსეთის ფაქტორის გამო არ ხდება და ამას ახლა უკვე სხვა ფაქტორებიც დაემატა. მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში საქართველოსთვის ნატო-ს კარი დაკეტილი იყო იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებდა იმ პოლიტიკურ მოთხოვნებს, რაც ნატო-ს ჰქონდა. კერძოდ, ისინი მიგვითითებდნენ დემოკრატიული წესების დაცვისკენ. ნატო-ს ძირითად ღირებულებებს სააკაშვილის რეჟიმი არ ასრულებდა, იყო სხვა დამატებითი ფაქტორებიც, როგორიც არის – იარაღის უკანონო ვაჭრობა, ამერიკის დეპარტამენტის მიერ გაცხადებული იყო, რომ საქართველოზე გადის ნარკოტრანზიტი და ამის გამო მათ განგაშის ზარები ატეხეს. 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ამ მხრივ ვითარება გამოსწორდა, მაგრამ გაჩნდა სხვა ფაქ-





„გასაგებია, რუსეთის თვითმფრინავს ვერ ჩამოაგდებ იმიტომ, რომ თურქეთი არ ხარ, მაგრამ განცხადება მაინც ხომ უნდა გაეკეთო!..“








ტორები და უფრო მეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი. ეს პირდაპირ უკავშირდება რუსეთის გავლენების გაზრდას, დღეს საქართველო და უკრაინა ახალი რეალობის წინაშე დადგა, რიმლენდის ზონაში აღმოვჩნდით, რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების არეალად გადავიქეცით და ახალი ცივი ომის წინაშე ვართ. პლუს უკრაინაში არსებული ჰიბრიდული ომი, სირიის ომი, რომელიც ახალ ტრანსფორმაციაზე გადადის, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება ამერიკის ურთიერთობის გაუარესება, ამ ეტაპზე ნატოსთვის გაფართოების პოლიტიკა არ შეიძლება იყოს პრიორიტეტული ამ ფაქტორების გათვალისწინებით. აქამდე ნატო ძალიან მიზანმიმართულად ახორციელებდა გაფართოების პოლიტიკას. ჩვენ ვხედავთ, რომ ბალკანეთის საკითხი თანდათანობით იხურება, რჩება კი ჩვენთვის ნატოში ადგილი? აი, ეს არის გასაკვირი. გააგრძელებს თუ არა ნატო გაფართოების პოლიტიკას, გეოპოლიტიკური სურათი შეიცვალა. ასე რომ, მსოფლიო დღეს სხვა რეალობის წინაშეა.

— თინა ხიდაშელი პირდაპირ აცხადებდა, რომ საქართველო მაპ-ის სტატუსის გარეშე უნდა მიეღო ნატო-ს, გახსენდებათ პრეცედენტი, როცა მაპ-ის გარეშე რომელიმე ქვეყანა შეეყვანათ ნატო-ში?

— მაპ-ის გარეშე საქართველო ნატო-ში ვერ გაწევრიანდება. ამას სულ ვამბობდი და ვინ აღმოჩნდა მართალი? სამწუხაროდ, მინისტერიალის კომუნიკეში დაფიქსირდა, რომ მაპ-ის გარეშე საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება, ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანია მაპ-ს დავეუფლოთ. ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ მაპ-ისთვის, სწორედ თინა ხიდაშელის დაჟინებულმა მოთხოვნამ, რომ მაპ-ი არ გვინდა, გააჩინა კომუნიკეში ის ჩანაწერი, რაზეც უკვე გითხარით. არ მახსენდება პრეცედენტი, როცა ნატო-ს მიეღო ქვეყანა მაპ-ის გარეშე. ეს ეტაპი ყველამ გაიარა. მონტენეგროს 2009 წელს მიანიჭეს მაპ-ი და დღეს უკვე ნატოს წევრია. ამ კრიტერიუმის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაწევრიანდება...

**— და რა მივიღეთ თინა ხიდაშელის განცხადებების ციკლის საპასუხოდ?**

— მივიღეთ საკმაოდ სერიოზული საფრთხე, რუსეთმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში „ისკადრელ-ემ“ ტიპის სარაკეტო დამრტყმელი კომპლექსები განალაგა, ეს არის ძალიან დიდი შეშფოთების საგანი, ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს და პრემიერ-მინისტრს უნდა აეტეხათ ერთი ამბავი, ეს იცით, რას ნიშნავს? რუსეთმა სერიოზული მუქარა შემოგვითვალა, არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოსაც. კერძოდ, თურქეთს. „ისკადრელ-ემ“ — ეს არის ბირთვული შეიარაღების დამრტყმელი კომპონენტი. რუსეთმა, ფაქტობრივად, დაიწყო ტექნიკური ტიპის დამრტყმელი ბირთვული სარაკეტო კომპლექსების განთავსება, რომელსაც შეუძლია ბირთვული იარაღის გადატანა და „ისკადრელ-ემ“ ტიპის განთავსება ცხინვალის რეგიონში ნიშნავს, რომ ნატო კონტრზომებს მიიღებს. მას შეუძლია მიზანში ამოიღოს ცხინვალის რეგიონი, რუსეთმა, ფაქტობრივად, საქართველო უნებლიედ ჩაითრია, ბირთვული შეიარაღებისა და ბირთვული რბოლის ეტაპზე. რა უფლებით ათავსებს რუსეთი სხვის ტერიტორიაზე დამრტყმელი სტრატეგიული შეიარაღების ელემენტს, რომელსაც შეუძლია ბირთვული იარაღის გადატანა, ამაზე უნდა მოეთხოვოს მას პასუხი. რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება იყო ამ კონტექსტში გაკეთებული, მე ვფიქრობ დღეს მთავარი თემა უნდა იყოს ეს საკითხი, ვისაც კი ესმის, რასთან გვაქვს საქმე, მათთვის ეს რეალური შეშფოთების საგანი უნდა იყოს.

**— რა საფრთხე გვემუქრება, შეიძლება, საქართველო ბირთვულ ომში აღმოჩნდეს?**

— სწორედაც ბირთვულ ომში შეიძლება იყოს ჩათრეული საქართველო, მეტი საფრთხე რაღა გინდათ? რუსეთმა თურქეთსა და საქართველოს მუშტი მოუღერა, ბუნებრივია, ამოქმედდება ნატო-ს მე-5 პუნქტი, რაც ნიშნავს, რომ ნატო კონტრზომებს განახორციელებს. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ რუსეთმა სასწრაფო წესით გაიყვანოს ისკადრელის ტიპის რაკეტები ცხინვალის ტერიტორიიდან, რათა არ აღმოვჩნდეთ ჩათრეული ბირთვული რგოლის ციკლში. ეს არ გაუბედავს რუსეთს არსად, იყო პრეცედენტი, როცა რუსეთმა კუბაზე განათავსა თავისი ბირთვული დამრტყმელი შეიარაღება 1962 წელს, რამაც გამოიწვია კარიბის კრიზისი და იყო მეორე პრეცედენტი 1982-83 წლებში, როცა რუსეთმა ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის ტერიტორიაზე ოპერატიული ტაქტიკური ბირთვული დამრტყმელი სარაკეტო კომპლექსები განალაგა. შემთხვევითი არ არის ისკადრელის განთავსება ცხინვალის ტერიტორიაზე, რაც მიმართულია ნატო-ს წევრის თურქეთის წინააღმდეგ. ამას მოჰყვება აუცილებლად ბირთვული დაგეგმარების კომიტეტის ამოქმედება და შეიძლება დაცვის ეგიდით მათ ცხინვალის რეგიონში დარტყმა განახორციელონ. არ მესმის, რატომ დუმს ხელისუფლება, ეტყობა, ამ საფრთხეს ვერ აღიქვამენ, იმიტომ, რომ კომპეტენცია აკლიათ და ისე გათავხედდნენ რუსები, რომ ეს გაბედეს. რუსები არამარტო დამრტყმელი ბირთვული შეიარაღების ელემენტებს ათავსებენ ცხინვალში, არამედ უხეშად არღვევენ საქართველოს საჰაერო სივრცეს. თუკი აქამდე ამბობდნენ, რომ იმედია, ბირთვულ ომამდე არ მივა საქმეო, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა: რუსული ატომური შეიარაღების 95% საბრძოლო მდგომარეობაშია მოყვანილიო. „ისკადრელ-ემ“-ების განთავსება ამ სტრატეგიაში ჯდება. რუსეთმა, აგრეთვე, გადმოისროლა სხვადასხვა დამრტყმელი შეიარაღება, ყურადღება მივაქციე ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, ჟენევის ფორმატში იყო გაკეთებული განცხადება, რომ აფხაზეთში დისლოცირებული საარმიო დაჯგუფება შეიძლება გამოვიყენოთ აფხაზეთის ტერიტორიის გარე დაცვადო. ეს უკვე ნიშნავს, რომ რუსეთი ულტიმატუმის ენაზე გვესაუბრება, თურქეთმა დარდანელისა და ბოსფორის სრუტე რუსეთს, ფაქტობრივად, ჩაუკეტეს. მათ ახლა სჭირდებათ, გადაისროლონ თავიანთი დაჯგუფება სირიაში, მით უფრო კრიტიკულ ზღვარზეა სამხედრო ოპერაცია, რუსეთს სამხედრო საჰაერო ოპერაცია დღეში 8 მილიონი დოლარი უჯდება სირიაში. აქედან გამომდინარე, რუსეთს სჭირდება სატრანზიტო კომუნიკაცია, კერძოდ, სამხედრო სატრანზიტო გზა, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე გადის. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ ნატოს გაფართოება — ეს არის რუსეთისთვის სამხედრო საფრთხე, მეტი რაღა მუქარა გვინდა, სირაქლემის პოზაში როდემდე უნდა ვიყოთ?!. მე არ ვიცი, რას აკეთებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და დიპლომატები და რატომ ვერ ახდენენ მწვავე რეაგირებას, რაც ჩვენს თავს ხდება. გასაგებია, რუსეთის თვითმფრინავს ვერ ჩამოაგდებ, იმიტომ, რომ თურქეთი არ ხარ, მაგრამ განცხადება მაინც ხომ უნდა გააკეთო!..

**— როგორ ფიქრობთ, თინა ხიდაშელს თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადააყენებენ? ჩვენ ვხედავთ, რომ მისი განცხადებები ქვეყნისთვის უკვე სახიფათო ხდება. მმართველ გუნდში მას უკვე უპირისპირდებიან საომარი რიტორიკის შემცველი განცხადებების გამო...**

— მე არ ვიცი, ხიდაშელს გადააყენებენ თუ არა, ეს ქვეყნის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, მესმის თინა ხიდაშელის, როგორც პოლიტიკოსის, მესმის მისი მისწრაფება, სულისკვეთება და აღშფოთება, შეიძლება ამ ყველაფერმა გამოიწვიოს რაღაც პროცესების პროვოცირება და რუსეთმა, ვნახეთ, რომ თითზე დაიხვია ხიდაშელის განცხადება. ისინი მიზეზებს ეძებდნენ და მიეცათ მიზეზი, მაგრამ, ვიმეორებ, ხელისუფლების გადასაწყვეტია, რა გზას აირჩევენ — მიდიან რუსეთთან კონფრონტაციაზე თუ ლოიალობას ამჯობინებენ. ჩვენ ვნახეთ, რა მოიტანა ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებმა, რომელიც, ფაქტობრივად, ხიდაშელის განცხადებების კვალდაკვალ იყო. მან განაცხადა, რომ რუსები ფეკალიებსაც ჭამენო, თუმცა, ის არ შეხებია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, მაგრამ ამ განცხადებების ციკლი რითიც დასრულდა, 2008 წელმა დაგვანახა. თუ ხელისუფლება კონფრონტაციაზე მიდის, მაშინ ხიდაშელის განცხადებები გამართლებულია, თუმცა ეს ძალიან სახიფათო თამაშია.

---

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა ოპოზიციონერი დეპუტატის, აკაკი ბობოხიძის ინიციატივას, რომელიც მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებისა და „საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელის ხელფასების შემცირებას ისახავს მიზნად, მხარი დაუჭირა. კერძოდ, ოპოზიციონერი დეპუტატის მიერ შეთავაზებული პროექტები აღნიშნული პირებისთვის სახელფასო ჭერის დაწესებას და ხელფასის ოდენობის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლებთან გათანაბრებას ითვალისწინებს.

ბობოხიძის ინფორმაციით, „საპარტნიორო ფონდის“ მთავარი აღმასრულებლის ხელფასი 21 ათასი ლარით არის განსაზღვრული, კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ხელფასი 16 640 ლარია, სემეკის თავმჯდომარის პირველები არიან!..

როგორც თავად ბობოხიძე ამბობს და ისედაც ცნობილია, „საპარტნიორო ფონდის“ შეფის, ანუ დავით საგანელიძის ხელფასი 21 ათასი ლარია, ჩემო ბატონო, კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე ყოველთვიურად 16 ათას 640 ლარს იღებს — აბა, როგორ, რასაც ეგ არეგულირებს, ხომ უნდა დაუფასდეს, არა?!

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, ანუ სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა თვეში 12 ათას ლარს იღებს, კომისიის წევრები — 11 ათას 900 ლარს. ესენიც მარგად არეგულირებენ და იმიტომ.

ჰო, რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს,

# ესაა სიმართლე — ხალხი „ნაცებსაც“ ფეხებზე გკიდიათ და „ქოცებსაც“!!!



ხელფასი — 12 ათასი ლარი, ხოლო წევრების — 11 900 ლარი.

— თუკი გავითვალისწინებთ, რამდენად მაღალია მათი ხელფასები, შეუძლებელია არათუ კომიტეტის, ასევე, პარლამენტის მხრიდან მხარდაჭერა არ ჰქონდეს წარდგენილ ინიციატივას, — აცხადებს აკაკი ბობოხიძე.

დიდი ეჭვი გვაქვს და თითქმის დარწმუნებულები ვართ, როგორც ქუცნაშვილის კანონპროექტი ჩააგდო პარლამენტმა, ადგება და ბობოხიძის ინიციატივასაც „ევას პავაროტში“ გაისტუმრებს — სანაცნობო, სადაქალო, სანათესაოს ხელფასს ხომ არ მოაკლებს, აბა?!

ჰო, „ნაცები“ კვლავაც ჭკვიანურ პიარსვლებს აკეთებენ და ისეთ თემებზე ცდილობენ, აქცენტი შეაჩერონ, გამწარებული ხალხისთვის ყველაზე მტკივნეული რომ არის. ასეა ამ შემთხვევაშიც — ჩინოვნიკებს ხელფასები მოვაკლოთო, ბობოხიძე გულზე მჯიღებს იცემს, რამაც შესაძლოა, ნეიტრალურ ამომრჩეველზე „ნაცებისთვის“ სასურველი გავლენა მოახდინოს. აი, რაც შეეხება „ოცნებას“, ისინი ხომ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის კუთხით მსოფლიოში უდავოდ რომელთა ხელფასებსაც უნდა გაუთანაბრდეს ჩამოთვლილი პირების ყოველთვიური სარგო, 6 ათასი ლარია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეჭვი გვეპარება, ბობოხიძის ინიციატივა კანონად იქცეს და ამ ეჭვს ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტის ჩაგდებაც გვიმძაფრებს, მაგრამ პატივცემულო აკაკი, კაკო, კაკი, უაზროდ მაღალი ხელფასები მხოლოდ ამათ აქვთ? ეროვნული ბანკი და მისი პრეზიდენტი რატომ „დაგავიწყდათ“, ჭირიმე?!

გიორგი ქადაგიძის ყოველთვიური ხელფასიც საკმაოზე მეტად შთამბეჭდავია და 12 ათას 500 ლარს შეადგენს.

ჰოდა, ახლა აკაკი ბობოხიძეს ვეკითხებით, რატომ არ ითხოვთ, რომ ქადაგიძის ხელფასიც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ყოველთვიურ სარგოს გაუთანაბრდეს, რა, არ ეკადრება თუ „ნაშ სუკინსინ“ და რამე?!

აი, თქვენი — „ნაცების“ და რა თქმა უნდა, „ქოცების“ ადეკვატურობის, სამართლიანობის და ხალხზე ზრუნვის შუბა გავხიე!!!

**„ქრონიკა“**

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



ნინო ჩხობაძე, მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრები — საქართველოს“ თავმჯდომარე:
„ვერეს ხეობაში გააქტიურდა ძალიან ბევრი ახალი მეწყერი, რომელიც არ ვი-ცოდით, რომ გააქტიურდა... არ ვიც-ით, ისევ როდის მოხდება წყალდიდობა, მაგრამ რისკები არსებობს“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



გია ხუხაშვილი, ექსპერტი:
„იმ შემთხვევაში, თუ მურუსიძე მოსამარ-თლე გახდება, ეს იმის დადასტურება იქნება, რომ სისტემამ ხელისუფლება დაამარცხა. დღეს სისტემა ძალაუფლების ლეგიტიმურად აღდგენას უტიფრად ცდილობს. მართალია, კულისებში ამ ძალაუფლებას ისედაც ფლობდნენ, მაგრამ ამის ლეგალიზება სურთ“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



სოსო ჯაჭვლიანი, საპარლამენტო უმრავ-ლესობის წევრი:
„ადამიანის, მისი რელიგიის შეურაცხყოფა არ შეიძლება და თუ არ გწამს ღმერთის, მა-შინ უნდა იცოდე კანონის. როდესაც ადამიანი პირჯვარს იწერს, როდესაც ადამიანი მეჩეთში შედის და ლოცულობს, არ უნდა შეურაცხყო. არ შეიძლება ღორის თავის მიჭედება მე-დრესეზე, არ შეიძლება ჯვარზე ღორის გაკვრა“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



მიშა გომიაშვილი, მსახიობი:
„უკვე ზღვარს გადავცდნენ... ახლა უკვე პა-ტრიარქის გადაყენება მოინდომეს... ეს არ არის არც გაზის ფულის მოპარვა და არც მარჯვე-ნა საჭის აკრძალვა... თქვენთვის ძალიან სახიფ-ათო თამაში წამოიწყეთ, თქვენ ქართველი კა-ცის, მთლიანად საქართველოს უმრავლესობის, ძალიან უმრავლესობის სიწმინდეს შეეხეთ! ამას არავინ გაპატიებთ!“

# „მთავრობას მთელი საქართველო აქვს რასაც ვერ იყიდი ფულით, იყიდი დიდი ფულით...

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



**ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობიდან მახსოვს „მშრალ ხიდთან“, ტროტუარზე საქმიანი სახით მდგარი ადამიანები. მცირე ასაკის გამო, თავის დროზე, ამისთვის ყურადღება არასდროს მიმიქცევია, ვთვლიდი, რომ ასე იყო საჭირო, თუმცა, როცა წამოვიზარდე, თავისთავად მოვიდა ჩემამდე ინფორმაცია, რომ ისინი მაკლერები იყვნენ და მათი სამუშაო ბინების ყიდვა-გაყიდვას გულისხმობდა. საინტერესოა, როგორია, იყო პროფესიით მაკლერი?**

„მშრალ ხიდზე“ რესპონდენტის მოძებნა ცოტა გამიჭირდა, თავიდან ყველას რიგითი კლიენტი ვეგონე და ბინას ხომ არ ეძებთო, მეკითხებოდნენ (სხვათა შორის, მათ ნაწილს კისერზე „ბეიჯი“, ან უბრალოდ, თაბახის ფურცელი ჰქონდა ჩამოკიდებული, რომელზეც, ძირითადად, წერია: „ბინები; ყიდვა; გაყიდვა; დაგირავება; გაქირავება“)... უარყოფითი პასუხისა და ჩემი ნამდვილი მიზნის გაგების შემდეგ კი, ყველა მეცლებოდა. თუმცა ერთი მაკლერი მამაკაცი ჩემთან თავად მოვიდა, დაინტერესდა, რა მინდოდა და საუბარზეც დამთანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით – ნამდვილ ვინაობას კი გეტყვით, მაგრამ არ დაწეროთ და არც სურათი გადამიღოთო. დავთანხმდი და კარგიც ვქენი, რადგან ის მართლაც, ძალიან საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა... ჩვენი საუბარი, სხვა წინა ინტერვიუებისგან განსხვავებით, არაორდინარული გამოვიდა და ამიტომ მის ნათქვამს თანმიმდევრულად გადმოგცემთ.

– 49 წლის ვარ, თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ყოფილი მოჭიდავე გახლავართ... 1984-87 წლებში ავღანეთის ომში ვიყავი. ამას გარდა, როცა თბილისს უჭირდა და სხვადასხვა ჯგუფები ჩამოყალიბდა, მე ვიყავი პირველი ქართული „სპეცნაზის“, „ალფას“ „გრუპა ზახვატას“ უფროსი, ანუ ყოფილი „სპეცნაზელი“ ვარ. ყოფილია, დღევანდელი მთავრობა თუ რომელია, ამას არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, აპოლიტიკური ადამიანი გახლავართ, მაგრამ ვარ მეომარი კაცი, ყველა ომში მიმიღია მონაწილეობა, სამჯერ ვარ დაჭრილი... რა არის, იცით? უბრალოდ, ქართველი ვარ, ქრისტიანი და ყველაზე მეტად მტკივა ის, რომ ერი არ მრავლდება... ქუჩაში იშვიათად თუ დავინახავ ქართველ ფეხმძიმე გოგოს... მრავლდება სპარსი, ოსმალო და ასე შემდეგ, ჩემი ერი კი – არა... ჩემს ბებოს 9 შვილი ჰყავდა და ახლა ერთი შვილის მეტი იშვიათად ჰყავთ... ასე როგორ გამრავლდება ჩემი ერი? პოლიტიკას თუ გადავყევით და შევხედეთ, მე არც ძველის და არც ახლის მომხრე არ ვარ. კი, ძველმა ბევრი კარგი გააკეთა, ახალმაც გააკეთა რაღაც-რაღაცები, მაგრამ შეცდომა ყველას მოსდის. ელემენტარულად, ოჯახი არ არსებობს, სადაც შეცდომები არ ხდება, მაგრამ... ერთ ამბავს გეტყვით: 2013 წელი იყო, დასუფთავების სამსახურში მივედი, მძღოლად მინდოდა სამსახურის დაწყება. სამხედრო ბილეთი მომთხოვეს და რომ მივიტანე, გაეცინათ, ასეთი წარსულის ადამიანს აქ რა გინდათო? მოკლედ, არ მიმიღეს და იცით, რატომ? ასაკის გამო... გამეცინა და ვუთხარი – სამუშაოდ გინდივართ, თუ მოსახარშად-მეთქი?.. მანამდე კოჯრის ბატალიონის „სპეცნაზში“ მივედი, მნახეს, შემამოწმეს, მოეწონათ ჩემი მონაცემები, მაგრამ იქაც ჩემი წლოვანება არ მოეწონათ, არ მიმიღეს... არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ, თორელების წარმომადგენელი (დიდგვაროვან ფეოდალთა საგვარეულო 12-14 საუკუნეების საქართველოში. – ნ.ლ.), მებრძოლი კაცი ვარ და მტკივა, წლოვანებაზე რას მეკითხები? ნახე, რა შემიძლია!.. ასე დამიკიდა ამ მთავრობამ ფეხებზე.

**— და შემდეგ უკვე მაკლერობა გადაწყვიტეთ?**

– ჰო, რა მექნა? აქ ახლობლები, შინაურები არიან, ამ საქმეზე მუშაობდნენ და მეც ამ სამსახურში დავდექი, ორი კაპიკი ხომ უნდა ვიშოვო? ხუთი შვილიშვილი მყავს, მათ ხომ უნდა ვაჭამო?

**— როგორია თქვენთვის ეს პროფესია?**

– მიუღებელი! დიდი ბოდიში, შვილო, მაგრამ, როცა სულით მეომარი კაცი ხარ, გაყიდო-გამოყიდო... ეს ცოტა სხვა რამეა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს...

**— დღესდღეობით, ბინები რამდენად იყიდება?**

– არ იყიდება. ორ-სამ თვეში ერთხელ თუ გაყიდი ერთ ბინას, ეს არის მაქსიმუმი. აიღებ იქიდან 200-300 დოლარს, ისიც მაშინ, თუ კლიენტი შინაურია და მორჩა.

**— ბინის ფასები როგორია?**

– „კარგი“! სერიოზულად რომ გითხრათ, არც აწეულა, არც დაწეულა, დონე დონეზეა, უბრალოდ მიშას დროს უფრო იყიდებოდა, ვიდრე ახლა.

**— და რისი ბრალია ეს?**

– ახლა ხალხს ფული არ აქვს, მაშინ კი შედარებით ჰქონდა. მშენებლობები, კერძო აფთიაქები, კერძო მაღაზიები უფრო სისტემატურად მუშაობდა. არ იფიქრო, რომ ვიღაცის მომხრე ან მადლიერი ვარ, არა, შვილო, დამიჯერე, მიშას მადლიერი ჩემი მტერი იყოს, მაგრამ მის დროს ხალხი მუშაობდა მაინც... იცით, რა მინდა? 80-იანი წლებიდან მოყოლებული, სამი თაობა დაიკარგა და მინდა, თქვენ მაინც იყოთ ბედნიერები, შვილო. და კიდევ ერთს გეტყვით: მყავს, მინიმუმ, 50 ლომი ვაჟკაცი, სულით, სისხლით, გრძნობით ქართველები, რომლებსაც შეუძლიათ, ჩემი და სამშობლოს გულისთვის თავი გადადონ და წამომყვნენ, სადაც ვეტყვი. ჰოდა, მიმიშვით, რა, სამშობლოს სიყვარულში!

საუბრის ბოლოს, როდესაც დიქტოფონი გამოვრთე, სხვათა შორის ვკითხე, – ავღანეთში, ალბათ, ძალიან ბევრი მძიმე ამბის მომსწრე იყავით-მეთქი... წამში შეეცვალა მზერა – რამდენი ცეცხლმოკიდებული ბავშვი და ქალი მყავს ნანახი, რამდენი დაჭრილი პატარაო... და ზურგი მაქცია, რადგან ემოციები მოეძალა და არ უნდოდა, მენახა... მეც, რა თქმა უნდა, აღარ ჩავძიებივარ, საუბრისთვის მადლობა მოვუხადე და გადავწყვიტე, სხვა მაკლერთანაც ჩამეწერა ინტერვიუ. მივიხედ-მოვიხედე, ჩემგან ხუთიოდე მეტრში ერთი მამაკაცი იდგა, რომელიც ინტერესით მიყურებდა და გულმა მიგრძნო, რომ მასთან უნდა მივსულიყავი. ასეც მოვიქეცი და ჩემდა საბედნიეროდ, მორიგი რესპონდენტიც ძალიან საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა, თუმცა, სამწუხაროდ, მისი წინამორბედის მსგავსად, ფოტოს გადაღებისა და გვარის დაწერისგან თავი შეიკავა, მაგრამ მითხრა, – აქ ცეზარით მიცნობენ და შეგიძლიათ, ასე მომიხსენიოთო.



„მე ვიყავი პირველი ქართული „სპეცნაზის“, „ალფას“ „გრუპა ზახვატას“ უფროსი, ანუ ყოფილი „სპეცნაზელი“ ვარ... ახლა აქ „მშრალ ხიდზე“ ვდგავარ და ვმაკლერობ!“

**ცეზარი:**

**— რამდენი ხანია, რაც მაკლერობით ხართ დაკავებული?**

– 1991 წლიდან, ანუ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მაკლერები „ალექსანდროვის ბაღში“ იყვნენ. რაც ქვეყანა დაინგრა, მას მერე ჩამოვედი ჯარიდან, არაფერი სამსახური არ იყო, მაშინ ან უნდა გეყაჩაღა, ან რაღაც უნდა მოგეფიქრებინა და გეშრომა. გამოვედი „მშრალ ხიდზე“, დღემდე აქ ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ დღესდღეობით, ეს ჩემი პროფესიაა, სხვა დამატებითი შემოსავალი არ მაქვს.

გაგრძელება ოცდამეთერთმეტე გვ.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კონან დოილი. „... ძაღლი“
2. „პარმის სავანე“ ავტორი
3. ვულკანის ყელი
4. ნაგვის ასალები
5. დიდი, მსუქანი მუცელი
6. მან ეგოროვ-თან ერთად დროშა აღმართა რაიხს-ტაგზე
7. მსახიობი ედვარდ ...
8. ყველაზე მტკიცე მინერალი
9. ტაძარი რაჭაში
10. კონტი-ნენტი
11. ბრონტე. „ჯეინ ...“
12. ... არმსტ-რონგი, ასტრო-ნავტი. პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე
13. რეჟისორი ... იოსელიანი
14. ბოშათა საბჭოთა თეატრი
15. ბალერინა ნინო ...
16. პოეტი ... შევჩენკო
17. პირველი სამნიშნა რიცხვი
18. სათევზაო ნაქსოვი მოწყობი-ლობა
19. ბილი-არდის ჯოხი
20. ფან-ჯიკიძე. „თვალი ...“
21. სასმისი რქისგან
22. შვარცე-ნეგერი: რკინის ...
23. ჯუჯა ადამიანი
24. რაიონი ნიუ-იორკში
25. ძაღლის ჯიში
26. პურის დასაბრაწი ხელსაწყო
27. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
28. მსახიობი ... გიბსონი
29. იაპონური არაყი
30. შარდის ბუშტის ანთება
31. რთული მოსახ-ვევი
32. მომ-ღერალი ... გილანი
33. ქალაქი კოლუმ-ბიაში
34. იტალიელი მხატვარი
35. ყურძნის ჯიში
36. დაწმენ-დილი შაქარი
37. ტრამვაის მძღოლი
38. ღვთაება ინდუ-იზმში
39. მტაცებელი ცხოველი სავანაში
40. ქალაქი გერმა-ნიაში
41. დათვის ნაშიერი
42. ... გათეთრ-დების ყორანი
43. ოცკაპი-კიანი ძველად
44. საგა-ლობელი „...-მარია“
45. ყვავილი
46. მსახიობი ოსვალდო ...
47. შეხვედრა, ანუ ...
48. მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება როდოსის ...
49. მსახიობი კამერონ ...
50. ბედი
51. ფურცლის დაკეცვის იაპონური ხელოვნება
52. ახალი წელი გურიაში
53. მსახიობი სილვანა ...
54. საგაზეთო პუბლი-კაცია
55. შტატი აშშ-ში
56. მხ/ფ „...“, სრული სვლით“
57. ხელის საგრი-ლებელი
58. გოლიათი, რომელ-საც ნაცარ-ქექიამ აჯობა
59. მსახ. ... ლოლაშ-ვილი
60. ბოჭკო-ვანი მცენარე
61. ქირურგი, ანუ ...
62. აზროვ-ნების ორგანო
63. მო-ლუსკის ნიჟარის ფენა
64. იანის საპირის-პირო
65. ყველაზე კაშკაშა ვარსკ-ვლავი
66. მსახიობი ... ნოლტი
67. ეს-პანეთის დედაქა-ლაქი
68. ის-ტორიული ქალაქი ინდოეთში
69. სავარცხ-ლიანი ფრინველი
70. ფორტეს საპირის-პირო
71. ... ხაჩატუ-რიანი
72. კონტი-ნენტი
73. საზეიმო წვეუ-ლება
74. მწერალი ჟორჟ ...
75. ხელოვნური ენა
76. ნათება წმინდანის თავზე
77. „... და მშვიდობა“
78. მსახიობი ჟან ...
79. თურქული წითელი ქუდი
80. ძლიერი სიცხე, ხვატი
81. სახეში გაწნული ხელი
82. თათქარი-ძეების მოახლე გოგო
83. მო-სამართლე აღმ. ქვეყნებში
84. ჩაცუცქვა ცეკვის დროს
85. აირი დედამიწის ირგვლივ
86. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
87. ... ძედუნი
88. „... და ორმოცი ყაჩაღი“
89. ურჩხული ზღაპრებში
90. ფეხ-ბურთელი ... ანრი
91. მინდვრის ყვავილი
92. ჯუჯა კამეჩი
92ა. ... ვაიკულე
93. „მაუგლი“ მგელი
94. ოპ-ტიმისტის საპირის-პირო
95. თამაში: ...-პონგი
96. „... გრძელი წინდა“
97. ემინემის სიმღერის სტილი
98. ბურუსი
99. დოკუმენ-ტების საცავი
100. საველე სავადმ-ყოფო
101. ცხელი ალკოჰოლ. სასმელი
102. შვეი-ცარიის დედაქა-ლაქი
103. „შვლის ... ნაამბობი“
104. მწერალი ... ტოლსტოი
105. რა დაისმება წინადადების ბოლოს
106. ექს-პრეზი-დენტი ჰარი ...
107. მსახიობი ... პიტი
108. მსახიობი ... ჰარისი
109. ბერძნული ანბანის ასო
110. საქონლის ჯოგი
111. ინფექ-ციური დაავა-დება
112. ვაჟიშ-ვილი
113. თუ ... არ გიჭამია, პირი რად გიყარს
114. მიწა, ნიადაგი
115. რე-ჟისორი ... სკოტი
116. მომ-ღერალი ... ლავინი
117. ძიძა
118. საკერავი მანქანის ფირმა
119. ნაცია
120. ლონდონის საქმიანი ცენტრი
121. მსახიობი მარლენ ...
122. გამის ნოტი
123. მზის ღმერთი ეგვიპტეში
124. გამოცდა კითხვა-რებით
125. შხამიანი გველი
126. აშუღი ... გურჯი
127. მეტყვე-ლების ორგანო
128. ... ხაიამი
129. ფეხ-ბურთის „მეფე“
130. სიმინდის ყვავი-ლედი
131. მსახიობი ... ანდერ-სონი
132. აბატი ფარიას ციხე
133. თამაში: ...-ტაფელა
134. სომხური გვარის ნაწილაკი
135. დუქინი, ანუ ...
136. სოფელი მცხეთის რაიონში
137. ...-კლარ-ჯეთი
138. სამ-შენებლო მასალა
139. ... ცეცხლს მუა
140. ამე-რიკელების მეტსა-ხელი
141. შინაური მტაცებელი ცხოველი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სოფელი დუშეთის რაიონში
2. მსახიობი ... გარდნერი
3. პლატონ სამანიშვილის მამა
4. ქალაქი აშშ-ში
5. მსახიობი ... ელიავა
6. მსახიობი ჯეკ ...
7. მე-ვიოლინე ლიანა ...
8. ფილოსოფოსი ემანუილ ...
9. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
10. ... ფიტც-ჯერალდი
11. დანიის დედაქალაქი
12. ბრონტე. „... ეარი“
13. მსახიობი ... გრანტი
14. მოძღვრება მშვენიერების შესახებ
15. დაბადების მოწმობა
16. თბილისის უბანი
17. ამ ქვეყანაზე გადის არხი
18. ექსტრასენსი ... დავითაშვილი
19. ჩაით გაშენებული ადგილი
20. უფლის სამოსი
21. ვაჟიშვილი
22. ლენინის ქვრივი
23. მწერალი ლუიჯი ...
24. ჯანი როდარის ზღაპარი
25. ვიოლინოს ჯოხი
26. სოკოს მიკროსკოპული ჩანასახი
27. დრამატურგი ... ბრეხტი
28. რადიოს იტალიელი გამომგონებელი გილიერმო ...
29. მეტროს მოძრავი კიბე
30. ტყის ფრინველი
31. ფოთოლი კანადის დროშაზე
32. მსახიობი ... ემე
33. მუსიკალური საკრავი
34. მომღერალი ფილიპ ...
35. ფეხბურთელი რობერტ ...
36. ყურძნის ჯიში
37. ქალაქი პოლონეთში
38. მწერალი ჟიულ ...
39. ტოტი
40. „მაუგლი“ პითონი
41. მოზარდი საბას განმარტებით
42. მომღერალი სელინ ...
43. შინაური ფრინველი
44. ... ძადუნი
45. მხატვარი ... იგნატოვი
46. ნახ. კუნძული აზიაში
47. ყვავილი
48. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
49. ... ნასრედინი
50. მომღერალი ... ჯონი
51. მსახ. ... ანჯაფარიძე
52. რეჟისორი ... რიაზანოვი
53. მსახიობი ... ფლინი
54. ფასდაკლება
55. სინთეზური ბოჭკო
56. ბოსტნეული
57. ცხენის კუდის ბალანი
58. ლუდის მასალა
59. გერდას მეგობარი ბიჭუნა
60. ჰანს-ქრისტიან ანდერსენი. „... ცერცვის მარცვალზე“
61. დიზაინერი ... კარდენი
62. მსახიობი ... ჯულია
63. ქალაქი პოლონეთში
64. ჩანთოსანი ცხოველი
65. მხ/ფ „შესანიშნავი შვიდეულის“ პერსონაჟი
66. მდ. სანკტ-პეტერბურგში
67. ჩანთოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
68. თავთხელი ადგილი, ანუ ...
69. ჩანთოსანი დათვი
70. მსახიობი ... წულაძე
71. მსახიობი ... რაიანი
72. ბუდისტ. მასწავლებელი
73. ავტორბოლა
74. გულსაბნევი
75. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
76. რუსი სელექციონერი
77. დაესმის არსებით სახელს
78. მისი დედაქალაქია რაბატი
79. სიმსივნის ფორმა
80. სატრფიალო პოეზიის მუზა
81. გიგანტ. ზომის ადამიანი
82. ტბა აფრიკაში
83. აიბოლიტის მტერი მეკობრე
84. ქალაქი სტავროპოლის მხარეში
85. ცხრაკაციანი ანსამბლი
86. ხმადაბალი ლაპარაკი
87. უბედურების სიგნალი
88. იაპონური თეატრი
89. დასარტყამი საკრავი
90. ქალაქი ავსტრალიაში
91. ბავშვის საჭმელი
92. მსახ. ... უიზერსპუნი
93. შაბათ-საღამო
94. ნიავი
95. აჭარული ცეკვა
96. მოუხარშავი
97. პროვინცია ესპანეთში
98. ... ხართან რომ დააბა
99. ... ხიდი გადევდი, რომ ზედ შემსა შვილიშვილმაც იაროსო
100. კატისებრი ცხოველი მადაგასკარზე
101. ოპერა „ქეთო და კოტე“ კომპოზიტორი ვიქტორ ...
102. პოეტი ... უკრაინკა
103. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
104. ქალაქი აშშ-ში
105. ქალაქი აფხაზეთში
106. ბერძნ. ანბანის მეორე ასო
107. ... ერთობაშია
108. სოლჟენიცინი. „არქიპელაგი ...“
109. ბურღულეული
110. შონ კონერი ფილმში
111. მსახიობი ... კილმერი
112. მტაცებელი თევზი
113. შინაური ცხოველი
114. აღმოსავლური საჭმელი
115. დასაძინებელი ნაყენი
116. კუნძული ეგეოსის ზღვაში
117. მოაჯირიანი ასასვლელი
118. მაიმუნის სახეობა
119. ალექსანდრე ..., მის ცხენს ბუცეფალი ერქვა
120. პიონერული ცეცხლი მინდორში
121. ბოსტნეული
122. პოლიტიკოსი ინდირა ...
123. მსახიობი ... ფიორენტინო
124. სტალინის დედა
125. ქიმიური ელემენტი
126. მაიმუნის სახეობა
127. საოცრება: როდოსის ...
128. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
129. გრძელი კარავი
130. მსახიობი ... ბესინჯერი
131. მამლის ჯიღა
132. „ბეჭდების მბრძანებ.“ ჰობიტი
133. შიფრი, პაროლი
134. ოთახი სასტუმროში
135. დაწესებულების მომმარაგებელი, ანუ ...
136. მსახიობი ჰოლი ...
137. ქალაქი რაჭაში
138. გამის ნოტი
139. ავსტრალიური ველური ძაღლი
140. რეჟისორი ... ვან სენტი
141. ზევსის მამა
142. ნამუსი
143. ერთ-ერთი მუშკეტერი
144. ... მურომეცი

პასუხები: 1. ბარისახო; 2. ავა; 3. ბეკინა; 4. ნიუ-იორკი; 5. ლია; 6. ნიკოლსონი; 7. ისაკაძე; 8. კანტი; 9. არამეული; 10. ელა; 11. კოპენჰაგენი; 12. ჯეინ; 13. ჰიუ; 14. ესთეტიკა; 15. მეტრიკა; 16. ისანი; 17. პანამა; 18. ჯუნა; 19. პლანტაცია; 20. კვართი; 21. ძე; 22. ონო; 23. პირანდელო; 24. „ჩიპოლინო“; 25. ხემი; 26. სპორა; 27. ბერტოლტ; 28. მარკონი; 29. ესკალატორი; 30. კოდალა; 31. ნეკერჩხალი; 32. ანუკ; 33. აკორდეონი; 34. კირკოროვი; 35. ლევანდოვსკი; 36. ჩხავერი; 37. კრაკოვი; 38. ვერნი; 39. რტო; 40. კაა; 41. ნინველი; 42. დიონი; 43. ციცარი; 44. მაო; 45. კოკა; 46. კორეა; 47. ია; 48. პლატონი; 49. მოლა; 50. ელტონ; 51. ვერიკო; 52. ელდარ; 53. ეროლ; 54. სეილი; 55. კაპრონი; 56. ისპანახი; 57. ძუა; 58. ალაო; 59. კაი; 60. პრინცესა; 61. პიერ; 62. ორმონდი; 63. ლოძი; 64. კენგურუ; 65. ბრიტი; 66. ნევა; 67. ოპოსუმი; 68. მეჩეჩი; 69. კოალა; 70. ბაადურ; 71. მეგ; 72. გურუ; 73. რალი; 74. ბროში; 75. პან; 76. მიჩურინი; 77. ვინ; 78. მაროკო; 79. მიომა; 80. ერატო; 81. გოლიათი; 82. ნიასა; 83. ბარმალეი; 84. კისლოვოდსკი; 85. ნონეტი; 86. ჩურჩული; 87. სოს; 88. კაბუკი; 89. დაირა; 90. ადელაიდა; 91. ფაფა; 92. რიზ; 93. კვირაძალი; 94. სიო; 95. ხორუმი; 96. უმი; 97. მალაგა; 98. ხარი; 99. ისეთი; 100. ლემური; 101. დოლიძე; 102. ლესია; 103. სალიერი; 104. ფილადელფია; 105. გაგრა; 106. ბეტა; 107. ძალა; 108. გულაგი; 109. მაკარონი; 110. „კლდე“; 111. ველ; 112. ბარაკუდა; 113. თხა; 114. შაურმა; 115. ბანგი; 116. კრეტა; 117. კიბე; 118. გიბონი; 119. მაკედონელი; 120. კოცონი; 121. კიტრი; 122. განდი; 123. ლინდა; 124. კეკე; 125. კალციუმი; 126. ორანგუტანგი; 127. კოლოსი; 128. ოლია; 129. სეფა; 130. კიმ; 131. ბიბილო; 132. ფროდო; 133. კოდი; 134. ნომერი; 135. მნე; 136. ბერი; 137. ონი; 138. სი; 139. დინგო; 140. გას; 141. კრონოსი; 142. სინდისი; 143. არამისი; 144. ილია. იკითხება: ალ პაჩინო.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



პატრულში დიდი ჩოჩქოლი იდგა: საგზაო მოძრაობის წესების ცვლილებასთან დაკავშირებით ტრეინინგები ტარდებოდა.
- უფროსო, როგორ გავარჩიო მარჯვენასაჭიანი და მარცხენასაჭიანი მანქანა ერთმანეთისგან,

კინაღამ გამრიცხეს მარჯვენას და მარცხენას რომ ვერ ვარჩევდი და რა ვქნა? - თქვა ერთმა

ეს იქნება მარცხენა-საჭიანი და ასე გაარჩევ.-ასწავლა მეორემ

ეს იქნება მარჯვენა-საჭიანი მარცხენა ხელზე საიწერი

- მე გასწავლი, მარჯვენა ხელზე დაიწერე





- ვაა, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე. მე კიდევ ზრდილობის წიგნიდან ვსწავლობდი- დანა მარცხენაში, ჩანგალი მარჯვენაში ახლა

სასწავლებლად მათემატიკის მასწავლებელთან დავდივარ.-მადლიერებით უპასუხა პირველმა

უწერია. -აღმოჩენით კმაყოფილმა თქვა მესამემ

- თქვენ რა გვარი ხართ? -ჰკითხა კმაყოფილმა უფროსმა პირველს.
-ოდიშარია.-უპასუხა ბეჯითმა პატრულმა.
-არ დაუჯეროთ, უფროსო, რვეულზე






-ოდიშარია, კატალიზატორზე რას მეტყვით?
-ჯერ მაგ სიტყვის დამახსოვრებაზე ვმუშაობ, უფროსო. იცით როგორ დავიმახსოვრე?

მთლად გამოიჩინა თავი ოდიშარიამ. უფროსი აღტაცებას ვერ მალავდა

ანუ, მართვის მოწმობაც ჩამოვართვა.
- ყოჩაღ, ოდიშარია! აი, ასეთი უნდა იყოს მომავლის პატრული! ახლა ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას ძაღლიც არ დაჰყეფს!

- 100 ქულიან ჯარიმებზე რაღას მეტყვით? -ჩაეძია უფროსი ოდიშარიას.
- აქაც ვნახე გამოსავალი. 100 ქულა ვითომ 100 ხინკალია. რამდენსაც დაამატებს, იმდენ ვითომ ხინკალს ჩამოვაწერ, ბოლოს კი შეიძლება



1. ვენესუელას დედაქალაქი
2. სამხედრო წოდება
3. იგავი „მგელი და ...“
4. ნაბიჯი ბალეტში
5. ძვ. თბილისური მიმართვა
6. ბიბლიური მთა
7. სასიამოვნო სუნი, გემო
8. მისი დედაქალაქია ჰავანა
9. მხატვარი სანდრო ...
10. მხ/ფ „... და ათი მცნება“
11. „... ვაზი ობოლი, მეტის ლხენითა ტირის“
12. მომღერალი ... კუტუნიო
13. მომღერალი ... მეფარიძე
14. ნაკრძალი ყირიმზე ...-ნოვა
15. მსახიობი ... ბროსნანი
16. დიუმა. „დედოფალი ...“
17. მსახიობი ... კრუზი
18. ტბა პერუში
19. ნიჭი
20. ოფისი, ანუ ...
21. ქალის სამოსი
22. ... მორჩილაძე
23. ... და პანტაგრუელი
24. „20000 ... წყალქვეშ“
25. მსახიობი ... პაპასი
26. სავანის ბინადარი ფრინველი
27. მდინარე იტალიაში
28. სოფელი მარტვილის რაიონში
29. ესპანეთის დედაქალაქი
30. შტატი აშშ-ში
31. ყაიმი
32. მოდელი ... კემპბელი
33. მგალობელი ფრინველი
34. სისხლძარღვი
35. ჟან-კლოდ ... დამი
36. საბჭოთა კლოუნი
37. გათბობის სისტემის ნაწილი
38. ბერძნ. ანბანის პირველი ასო
29. ... ხაჩატურიანი
40. მხ/ფ „... შემოდგომისა“
41. მოწონების შეძახილი თეატრში
42. კედლის მანდალი
43. ელვის ... პრესლი
44. რაჯ კაპური ფილმში
45. მტაცებელი ფრინველი
46. თეატრალური მაკიაჟი
47. „გაზაფხული დადგაო, ... წყალი ჩადგაო“
48. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
49. გამოუწვავი აგური
50. „... მიღმა გაზაფხულია“
51. მომღერალი ... კალასი
52. მსახ. ... მაკგრეგორი
53. ქალაქის პატარა ფრინველი
54. მსახ. ... ბერიკაშვილი
55. მდინარე ინდოეთში
56. რძის პროდუქტი
57. ბურთად დახვეული ძაფი
58. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
59. რომაელი იმპერატორი
60. ხორბლის საცავი შენობა
61. კომპოზიტორი ... კალმანი
62. მომღერალი ... ჯონი
63. პურის სოკო
64. საოპერო პარტია
65. მარჯნის კუნძული
66. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
67. ყვავილი
68. ახალი ზელანდიის მკვიდრი
69. რუკების კრებული
70. ავტონომია ჩინეთში
71. საღებავი ენდროს ფესვებისგან
72. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
73. შენობა. ინახავენ ფულს
74. ... ძიდუნი
75. კურორტი ბორჯომთან
76. დედნიდან გადაღებული პირი
77. ბრტყელი თონის პური
78. ბედი
79. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
80. მსახიობი ვივიენ ...
81. ალფონს დოდე. „... ტარასკონელი“
82. „ბერნარდა ალბას ...“
83. რეჟისორი ... კუროსავა
84. სანტა-კლაუსის მშობლ. მხარე
85. ციტრუსი
86. მსახიობი ... ვალონე
87. გემების სარემონტო ადგილი
88. თრითინა
89. ჰომეროსის პოემა
90. სამიანი ნარდში
91. „ჩემი ცოლის დაქალები“ პერსონაჟი
92. ყველაზე რბილი მინერალი
93. ... ჰო, ... არა
94. მონათა აჯანყების ხელმძღვანელი
95. რეჟისორი ... იოსელიანი
96. კინოფირი, ანუ ...
97. ნადირობა აფრიკაში
98. თითის დამცავი კერვისას
99. საღებავი, ჟანგმიწა
100. მსახიობი ჩარლი ...
101. ნეტარ ... მორწმუნენი
102. ცალთვალა გოლიათი ბერძ.მით.
103. ქალაქი იმერეთში
104. ჯიქანი
105. ნამცხვარი
106. იუპიტერის თანამგზავრი
107. ცეცხლის ენა
108. მწერალი ... ტოლსტოი
109. პატარა არია
110. იაპონური ანიმაცია

პასუხები: 1. კარაკასი; 2. მარშალი; 3. კრავი; 4. პა; 5. ტო; 6. არარატი; 7. არომატი; 8. კუბა; 9. ბოტიჩელი; 10. ეშმაკი; 11. ბაღში; 12. ტოტო; 13. აჩი; 14. ასკანია; 15. პირს; 16. მარგო; 17. ტომ; 18. ტიტიკაკა; 19. ტალანტი; 20. კანტორა; 21. კაბა; 22. აკა; 23. გარგანტუა; 24. ლიე; 25. ირენ; 26. მარაბუ; 27. პო; 28. ბანძა; 29. მადრიდი; 30. არიზონა; 31. ფრე; 32. ნაომი; 33. მოლალური; 34. არტერია; 35. ვან; 36. კარანდაში; 37. რადიატორი; 38. ალფა; 39. არამ; 40. მზე; 41. ბის; 42. ბრა; 43. აარონ; 44. „ავარა“; 45. ძერა; 46. გრიმი; 47. ხეში; 48. მედინა; 49. ალიზი; 50. დარაბებს; 51. მარია; 52. ევან; 53. ბელურა; 54. გივი; 55. განგი; 56. დო; 57. გორგალი; 58. სერ; 59. ნერონი; 60. ბეღელი; 61. იმრე; 62. ელტონ; 63. ობი; 64. არია; 65. ატოლი; 66. კარატი; 67. ტიტა; 68. მაორი; 69. ატლასი; 70. ტიბეტი; 71. ალიზარინი; 72. პლატონი; 73. ბანკი; 74. მაო; 75. ლიკანი; 76. ასლი; 77. ლავაში; 78. სვე; 79. ახალუხი; 80. ლი; 81. ტარტარენ; 82. სახლი; 83. აკირა; 84. ლაპლანდია; 85. ფორთოხალი; 86. რაფ; 87. დოკი; 88. სინდიოფალა; 89. „ილიადა“; 90. სე; 91. ნინა; 92. ტალკი; 93. ან; 94. სპარტაკი; 95. ოთარ; 96. ფირი; 97. საფარი; 98. სათითე; 99. ოხრა; 100. შინი; 101. არიან; 102. ციკლოპი; 103. ხონი; 104. ცური; 105. შუ; 106. იო; 107. ალი; 108. ლევ; 109. არიოზო; 110. ანიმე. იკითხება: ბავშვობაში ბაღიდან. მ. მ. ღერძულა ხაზების. გეომეტრია. კატა ლიზას ტორავს. თეფშიც.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ლორწოსგან დამზადებული საკრავი
2. გამომცხვარი ცომი ყველის გულით
3. მომღერალი ნატო ...
4. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
5. მკერდის კორექციის მასალა
6. ჩეხეთის დედაქალაქი
7. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი
8. მისი დედაქალაქია ბეირუთი
9. ტროპიკული ნაყოფი
10. აქლემის ნაშიერი
11. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
12. მდინარის პატარა თევზი
13. ჩანთოსანი დათვი
14. ტბა დუშეთის რაიონში
15. ქალაქი კანადაში
16. მხ/ფ „სინიორ ...“
17. მსახიობი ... სარაჯიშვილი
18. ტორეადორი, ანუ ...
19. მსახიობი ბენისიო ... ტორო
20. მსახიობი ... ნოლტი
21. მოსკოვის ტელე-ანძა
22. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე
23. მხატვარი კობა ...
24. ოპტიმისტის საპირისპირო
25. კოჭლი ფეხბურთელი
26. ... ფონ ბისმარკი
27. ცალთვალა რუსი მხედართმთავარი
28. ჩოგბურთელი ... ნოა
29. მსახიობი ჰარი ...
30. ქალაქი კანადაში
31. ძლიერი სიცხე, ხვატი
32. ოჯახის უმცროსი შვილი
33. „... ოკეანის საიდუმლოება“
34. „ოტელო“ პერსონაჟი
35. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
36. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
37. მდინარე რომში
38. ნაჯახი
39. მწერალი მაქსიმ ...
40. დამფინანსებელი, ანუ ...
41. ანდაზა: ... მონას-ტერი
42. ...-ანჯელესი
43. უძველესი აკადემია კახეთში
44. ვიეტნამის დედაქალაქი
45. რომის იმპერატორი
46. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
47. მაღაზიის გამყიდველი
48. ხელსაწყო მაგნიტური ისრით
49. გემი, რომლითაც ჩარლზ დარვინმა იმოგზაურა
50. მარინა ვლადი ფილმში „ჯადოქარი“
51. უნგრელი კომპოზიტორი
52. ფრანგი პოლიტიკოსი, მოკლულს აბაზანაში
53. წარჩინების სამკერდე ნიშანი
54. ცისარტყელასებრი ზოლი, ანუ ...
55. დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი
56. რიცხვი 3,14
57. თევზების სპეციალისტი
58. ბოსტნეული
59. მტაცებელი ფრინველი
60. სამად დასაკეცი ხატი
61. ცხენების რბოლა
62. მსახიობი მეგ ...
63. ... გათეთრდების კორანი
64. თანავარსკვლავედი
65. ჯეკ ლონდონი. „მარტინ ...“
66. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
67. მომღერალი დიმა ...
68. „ნატვრის ხე“ მღვდელი
69. სისხლძარღვი
70. სამკურნალო მცენარე
71. პატაკი (მოძვ.)
72. დიდი ფორმატის ფურცელი
73. დამუხტული ნაწილაკი
74. საქონლის გულღვიძლი
75. ბუნებრივი ვენტილაცია
76. პერიოდული საგაზეთო გამოცემები
77. რგოლებიანი პლანეტა
78. დეპი ფილმში „... სიზმრები„
79. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
80. ჰოლანდიელი ფერმწერი
81. ძველი დოკუმენტების საცავი
82. ქალღმერთ ათენას ეპითეტი
83. ნელი, მძიმე ტემპი მუსიკაში
84. მარიო პიუზოს „ნათლია“ დონ ...
85. წყლის სავალი თხრილი
86. სიო
87. ნაგვის ასაღები
88. ნავთობის საზიდი გემი
89. სახსრების დაავადება ... ქარი
90. მწერალი ვიტალი ...
91. სანჰიგიენო დაწესებულება
92. მსახიობი ... ისტვუდი
93. შინაური პირუტყვი პერუში
94. რკინის სახეხი ძელაკი
95. გათვლა: ... ბენვისიკლისა
96. პოეტი ... ახმადულინა
97. შარდის ბუშტის ანთება
98. სულხან-საბა ...
99. მთრიმლავი ნივთიერება
100. მხ/ფ „... მოჩვენება“
101. თაღი
102. მუზეუმი მადრიდში
103. დიზაინერი ... სენ ლორანი
104. სოფელი რაჭაში
105. გამის ნოტი
106. მორღნელი ცხოველი დედოფალა
107. დე ნირო და რენო ფილმში
108. ბრტყელი თევზი
109. ელვის ... პრესლი
110. ლეონარდო და ვინჩი „მადონა ...“
111. მაროკოს დედაქალაქი
112. ბერძნული ცეკვა
113. კუს ჯავშანი
114. მსახიობი ... როკი
115. ნუშის ლიქიორი
116. ჩილეს დედაქალაქი
117. კოსმოსური კვლევის ცენტრი აშშ-ში
118. არგენტინული ცეკვა
119. ნივრების ასხმა
120. ჩეხური გამათბობლის ფირმა
121. ტბა აფრიკაში
122. პირის ნაცვალსახელი
123. საზოგადოების ნაღები ფენა
124. მექსიკური სიმღერა „... მუჩო“
125. აქსპრეზიდენტი აბრაამ ...
126. ხარებთან ბრძოლა
127. მომღერალი ... ჯაგერი
128. რუსი ილუზიონისტი
129. კრემიანი ფუნთუშა
130. ...-ვეგასი
131. ვულკანი სიცილიაზე
132. შხამიანი მწერი
133. მღვდლის სამოსი
134. ... პუგაჩოვა
135. ალაოზე დამზადებული სასმელი
136. მსახიობი ვივიენ ...
137. მიწის ფართობის ერთეული
138. მდინარე კახეთში
139. მცენარე ვენახში
140. მსახიობი ... გიუნტერი
141. ქალაქი ავსტრალიაში
142. დღის დასაწყისი
143. ცხენის ნაშიერი
144. შენობა, დგამენ სპექტაკლებს
145. ლაშქარი
146. ბალეტ „ჟიზელის“ კომპოზიტორი
147. თანხმობის ფორმა
148. მდინარე საფრანგეთში

პასუხები: 1. სალამური; 2. ხაჭაპური; 3. მეტონიძე; 4. თარი; 5. სილიკონი; 6. პრაღა; 7. აბატი; 8. ლიბანი; 9. ანანასი; 10. კოზაკი; 11. სპიდომეტრი; 12. ღორჯო; 13. კოალა; 14. ბაზალეთი; 15. ტორონტო; 16. რობინზონი; 17. ნანული; 18. მატადორი; 19. დელ; 20. ნიკ; 21. ოსტანკინო; 22. აბორიგენი; 23. გურული; 24. პესიმისტი; 25. გარინჩა; 26. ოტო; 27. კუტუზოვი; 28. იანიკ; 29. ოლდმენი; 30. ვინიპეგი; 31. პაპანაქება; 32. ნაბოლარა; 33. ორი; 34. იაგო; 35. გაბროვო; 36. ოსირისი; 37. ტიბრი; 38. ცული; 39. გორკი; 40. სპონსორი; 41. აირია; 42. ლოს; 43. იყალთო; 44. ჰანოი; 45. ნერონი; 46. არისტოტელე; 47. ნოქარი; 48. კომპასი; 49. „ბიგლი“; 50. ინგა; 51. ლისტი; 52. მარატი; 53. ორდენი; 54. სპექტრი; 55. დრამერი; 56. პი; 57. იქთიოლოგი; 58. ნიორი; 59. ქორი; 60. ტრიპტიქი; 61. მარულა; 62. რაიანი; 63. არ; 64. ორიონი; 65. იდენი; 66. მექა; 67. ბილანი; 68. ოხროხინე; 69. ვენა; 70. ასკილი; 71. რაპორტი; 72. თაბახი; 73. იონი; 74. ჯიგარი; 75. აერაცია; 76. პრესა; 77. სატურნი; 78. არიზონას; 79. როკ; 80. რემბრანდტი; 81. არქივი; 82. პალადა; 83. გრავე; 84. კორლეონე; 85. არხი; 86. ნიავი; 87. აქანდაზი; 88. ტანკერი; 89. ნიკრისის; 90. ბიანკი; 91. აბანო; 92. კლინტ; 93. ლამა; 94. ქლიბი; 95. ენკი; 96. ბელა; 97. ცისტიტი; 98. ორბელიანი; 99. ტანინი; 100. ოპერის; 101. არკა; 102. პრადო; 103. ივ; 104. ირი; 105. სი; 106. სინდიოფალა; 107. „რონინი“; 108. კამბალა; 109. აარონ; 110. ლიტა; 111. რაბათი; 112. სირტაკი; 113. ბაკანი; 114. კრის; 115. „ამარეტო“; 116. სანტიაგო; 117. ნასა; 118. ტანგო; 119. გალა; 120. „კარმა“; 121. ნიასა; 122. მე; 123. ელიტა; 124. ბესამე; 125. ლინკოლნი; 126. კორიდა; 127. მიკ; 128. კიო; 129. ბლითი; 130. ლას; 131. ეტნა; 132. კელა; 133. ანაფორა; 134. ალა; 135. ლუდი; 136. ლი; 137. აკრი; 138. ალაზანი; 139. ვაზი; 140. ანი; 141. სიდნეი; 142. დილა; 143. კვიცი; 144. თეატრი; 145. სპა; 146. ადანი; 147. კი; 148. რონა. იკითხება: „ვენერას დაბადება“.

ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა



**კახა ძაგანია**, „მემარცხენე ალიანსის" ლიდერი:

„სამწუხაროდ, პარტიული დისციპლინა მორყეულია კოალიცია „ქართულ ოცნებაში", რაც პირდაპირ აისახება ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზე და ამიტომაც არის, რომ ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ამდენი ადამიანია, ამდენი მათხოვარია, ამდენი ბავშვია მშიერი, ხალხი შიმშილით იხოცება... ამიტომაც ივანიშვილი უნდა იყოს პასუხისმგებელი ქვეყანაში მიმდინარე შედეგებზე, არა კეთილი ნების გათვალისწინებით, არამედ კანონის თანახმად".

ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა



**პეტრე მამრაძე**, „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის" ხელმძღვანელი:

„რაც შეეხება პოლიტიკაში ივანიშვილის ღიად მოსვლას, თუ ის ჩაითრია „ოცნებამ" თავის პრობლემებში, დღეს ისეთი განწყობაა მოსახლეობის დიდ ნაწილში, ისეთი მაღალია გაწბილების დონე, რომ ხალხი უყურებს ივანიშვილს, რომელმაც დანაპირები არ შეასრულა... მოკლედ, ასეა თუ ისე, გაწბილების ხარისხი არის ძალიან მაღალი და ამ ეტაპზე შეუძლებელია, მას ჰქონდეს მაღალი მხარდაჭერა".

ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-



**შალვა ხაჭაპურიძე**, იურისტი:

„ფაქტია, ვერ იმუშავა ბიძინა ივანიშვილის თეორიამ, სახელგატეხილი ჩინოვნიკები განსხვავებულ პირობებში უკეთესად იმუშავებენო. არ არის ასე, ამ ქვეყანაში ავს რომ ავი არ ეწოდა, ამიტომაც მივიღეთ სრული დომხალიზაცია".

ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-



**მამუკა არეშიძე**, ექსპერტი:

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბიძინა ივანიშვილის გაღიზიანება უკვე გადასულია აგრესიაში ნარმანიას მიმართ, მან კიდეც განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ნარმანია თბილისის მერობის კანდიდატად წარადგინა".

***მეთვრამეტე გვერდიდან***

**— როგორ შეაფასებთ იმ ათეულობით წელს, რაც ამ საქმეში ხართ?**

– ჩემთვის ეს დაკარგული წლები და დაკარგული ახალგაზრდობა. არ ვწუწუნებ და ვტირი, უბრალოდ, პროფესიით მშენებელი ვარ და შეიძლებოდა, სხვა რამ გამეკეთებინა, რაღაც მუშაობა, მაგრამ დღესდღეობით, აღარ არის და არც მგონია, რამეს ეშველოს, რადგან... პოლიტიკური განცხადება არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ შევარდნაძის მთავრობა არსად წასულა და არც წავა, სააკაშვილის მთავრობაც არსად წასულა და არც წავა და ეს მთავრობაც არსად წავა. ფარსია ყველაფერი, ამ მთავრობას მთელი საქართველო აქვს გადანაწილებული. მოისყიდეს ერთმანეთი და რასაც ვერ იყიდი ფულით, იყიდი დიდი ფულით. ხალხისთვის არაფერი, მაგათთვის – ყველაფერი. 43 წლის ვარ და ასეთი არაფერი მინახავს, ფაქტობრივად, გაჩერებულია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა.

# გადანაწილებული... მოისყიდეს ერთმანეთი და ხალხისთვის არაფერი, მაგათთვის — ყველაფერი"




უძრავი ქონების ყიდვა გამართლებული აღარ არის. უახლოესი ორი წლის პროგნოზი შემიძლია, დავდო – უძრავ ქონებაზე ფასების დაბლა დაწევა არ იქნება.

**— მაგალითად, სტანდარტული ერთოთახიანი ბინის ფასი, დაახლოებით, რამდენია დღეს? მესმის, რომ უბნებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც, საშუალოდ რომ მითხრათ?**

– დოგმა ფასი არსად არის. დღეს თბილისში ბინის ფასი არც ძვირია, არც – იაფი, ვისაც როგორ ეჩქარება, ყველაფერი იმის მიხედვით იყიდება. დღეს ფასს გამყიდველი კი არა, მყიდველი ადგენს. ამას დაემატა ისიც, რომ დოლარი გაფუჭდა, კრედიტებით ბინებს ვერ ყიდულობენ, არადა, ბინებს ასეც ვყიდდით (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის მომხრე ვიყავი). დღესდღეობით, ხალხი შეშინდა, ზოგმა სხვის შეცდომებზე ისწავლა ჭკუა, ზოგმა ფუნდამენტში ჩადო ფული და დაკარგა. ამიტომ ადრე რომ იყო წინასწარ ფულის ჩადებები, ეგეთი რაღაცები უკვე აღარ ხდება. უცხოეთში წასული ახალგაზრდობის 70% (თუ იქაც დაიწია ბინის ფასმა), ცდილობენ, იქვე დარჩნენ, იქ იყიდონ ბინები, ანუ თბილისში ბინის ყიდვა პოპულარული უკვე აღარ არის... მთავრობამ ხალხი ყველა საქმეში, ყველა სფეროში ჩაძირა და ძალიან რთული სიტუაციაა. არაფერი წინსვლა არ არის, ყოველ შემთხვევაში ჩვენთან ასეა და ირგვლივ რასაც ვუყურებ, შემიძლია ვთქვა, რომ ყველგან ასეთი ვითარებაა.

**— თქვენი შემოსავალი როგორია ხოლმე? მაგალითად, ერთი თვის განმავლობაში რამდენი შეიძლება გამოიმუშაოთ?**

– ეს სტაბილური სამსახური არ არის და არც არასდროს იყო, უბრალოდ, მე დიდი ხანია, ამ სფეროში ვარ და ნაცნობობით, ასე თუ ისე, მაინც ვმუშაობ. შეიძლება, თვე გავიდეს და 500 დოლარი გავაკეთო, შეიძლება, გაგიმართლოს და 1 500 გააკეთო. იყო შემთხვევები, თვეში 2000-2500 დოლარსაც ვაკეთებდით, თუმცა ახლა ასე აღარ ხდება. ამაზე ზოგი ამბობს, – რადგან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვამ ინტერნეტში გადაინაცვლა, ასე იმიტომ ხდებაო, მაგრამ არ დავეთანხმები. ინტერნეტში ჩვენც გვაქვს ჩვენი ვარიანტები გაშვებული, მაგრამ მყიდველი არ არის, რადგან საშუალო ფენა გააქრეს: მდიდარს ყველაფერი აქვს და ჩვენ არ ვჭირდებით, ღარიბს კი ფული არ აქვს, რომ ჩვენამდე მოვიდეს. რაღაც პერიოდი ოფისიც გვქონდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ოფისს თავისი გადასახადები აქვს, ხარჯი ბევრია და დღეს ისევ ქუჩაში გვიწევს მუშაობა. მე იმას კი არ ვთაკილობ, რომ ქუჩაში ვდგავარ, აქ ბევრი უმაღლესდამთავრებული, ბევრი პროფესორი, 88-90 წლის ადამიანი დგას და მუშაობს, უბრალოდ, ფაქტობრივად, ტყუილად ვდგავართ უკვე.

**— დღის რა პერიოდში ხართ ხოლმე აქ?**

– თუ რაღაც ჩემი ოჯახის საქმე არ მაქვს, ზამთარ-ზაფხულ, ყოველდღე აქ ვარ, უბრალოდ, აგვისტოში ყოველთვის გავდივარ ქალაქიდან. ჩვენს საქმეს არც დრო აქვს და არც გრაფიკი.

**— მოდით, ჩვენი საუბარი ცოტა შევამსუბუქოთ ახლა და იქნებ, რამე უჩვეულო, ან კურიოზული შემთხვევები გაიხსენოთ? ბინის მყიდველებს რამე უცნაური თხოვნები ხომ არ ჰქონიათ?**

– (იღიმის)... კლიენტს, მაგალითად, ასეთი თხოვნა შეიძლება ჰქონდეს: აქვს 5 000 დოლარი და გეუბნება: სოფელში სახლი გავყიდე და თბილისში მინდა ვიყიდოო, ანუ განსხვავებას ვერ ხედავს, რომ ეს თბილისია და ის რაიონი. კი არ დავცინი ასეთ კლიენტებს, უბრალოდ, რახან მკითხეთ, ეს გამახსენდა... ერთი კურიოზული შემთხვევაც მახსენდება: ადრე ორი ქალბატონი მოვიდა აქ, ერთ-ერთი იძახდა, – დავიღალე ბინის ძებნით, რასაც მეუბნებიან თავიდან, ბინაში მისვლისას სხვა სიტუაცია მხვდებაო და ისეთ ბინაში წამიყვანეთ, რომელიც ნანახი გექნებათ და გეცოდინებათ, როგორიაო. ადრე აქ ერთი ადამიანი მუშაობდა, მაკლერად, რა თქმა უნდა, და იმან უთხრა, მე ვიცი მასეთი ბინაო. ეს ქალბატონი ეკითხება – ალალად, პირდაპირ მითხარი, რამე არის მაგ ბინაში გაკეთებულიო? და მაკლერი ეუბნება – კი, ორი აბორტიო... ექიმი გინეკოლოგის ბინა ყოფილა და (იცინის)...

**— ძალიან ენაკვიმატი მაკლერი ყოფილა (მეც ვიცინი)... მოდით, ჩვენი საუბრის დასასრულს, კიდევ მითხარით, თუ რაიმეს თქმა გსურთ.**

– რა გითხრათ... შეიძლება, ძალიან მძიმე თემებზე გვიწევს ახლა საუბარი, მაგრამ ადამიანი უკან რომ მოიხედავ და სიცარიელეს ხედავ, ძალაუნებურად, გული გტკივა... არ ვართ იქ, სადაც უნდა ვიყოთ, რა. სამწუხაროდ, ძალიან ცუდია ის, რომ ყველა მთავრობის მოსვლამ, ყველა სამსახური, საქმე, ყველა ადამიანი უკან დაწია და უკვე ყელში ამოვიდა. პესიმისტი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტიაო, ჭკვიან კაცს აქვს ნათქვამი და ამაზე კარგად ვერაფერს ვიტყვი. მე ქუჩაში დგომით მგლობას მივეჩვიე და არ დავეცემი, მაგრამ... ჩვენი პროფესიის ხალხი უცხოეთშიც ცხოვრობს და ეს მათი არჩეული პროფესიაა, აქ კი ისეთი რაღაცებიც ხდება, რომ ზოგს ზემოდან გადმოუხედავს ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ეს უცდია და ვის მივეცით ამის უფლება და ვის – არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ყველასთან გიხდება იმის დამტკიცება, რომ შენ ადამიანი ხარ. კი, ნებისმიერ პროფესიაშია ცუდი და კარგი – მედიცინაშიც, პარლამენტშიც და სხვაგანაც, ჩვენს საქმეშიც შეიძლება იყოს ვიღაც უვარგისი, მაგრამ იმ ერთეულების გამო, ყველა მაკლერი ერთი ხელის მოსმით გალანძღო და ზემოდან გადმოხედო, ასე არ შეიძლება.

მაგრამ არ ხდება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. თუ რამე ცუდი შეიძლება ახლდეს ამ ქუჩას, განვლილ პერიოდს, იგივე თბილისის სამოქალაქო ომი, „მხედრიონი" ავიღოთ, – ყველაფერი ქუჩაში გადავიარე. ერთადერთი, რითაც ეს ყველაფერი შეიძლება, გადაფარო, არის ის, რომ ფული გააკეთო და ფული კიდევ აღარ კეთდება.

**— რატომ?**

– იმიტომ, რომ ჩვენ ვემსახურებოდით საშუალო ფენას, რომელიც აღარ არსებობს, გააქრეს. არსებობს მდიდარი და ღატაკი, უკვე ღარიბიც აღარ არის. ჩვენ რა ფენაშიც გავდივართ, ალბათ, მიხვდებით. ისევ ცოცხლები რომ ვართ და აქ ვდგავართ, ამას არაფერი ჰქვია. ადრე იყო

**— რატომ გაჩერდა? ბინის ფასებია გაზრდილი, თუ რა მიზეზებია?**

– დღეს მყიდველს აქვს კომერციული გათვლები. დღესდღეობით, კომერციული კუთხით, საქართველოში და თბილისში ფულის ჩადება უკვე არავის აღარ უნდა, ყველა ყველაფერს „გადაგდებულ" ფასში ეძებს, რადგან ფასები მიდის მაღლა და ამიტომ, კომერციული კუთხით

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რატომ დაუბრუნა ღირსების ორდენი პრეზიდენტ მარგველაშვილს ნოდარ ნათაძემ?



**„მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ შეიქმნას ფართო ეროვნული კოალიცია, რომელიც ამ ორივე ყალბ პარტიას, „ნაციონალურსა“ და „ქოციონალურს“, პანღურს ამოჰკრავს ერთ ადგილას! ამათაც უნდა გადააფსან ერთმანეთს“**

**„ნახეთ, რუსებმა 2016 წელი რატომღაც გამოაცხადეს რუსთაველის წლად, იმიტომ კი არა, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ მოსწონთ, მაგათ სხვა გათვლები აქვთ, უკვე ვჭირდებით“**





**„პოლიტიკაში ვერაფერს ვერ გააკეთებ, თუ არც ფული გაქვს და არც ტელევიზია. მე არც ერთი არ მაქვს“**

7 დეკემბერს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თბილისის საკრებულოში გამართულ ღონისძიებაზე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში შეტანილი ღვაწლისთვის, პირველი მოწვევის პარლამენტის სამი დეპუტატი — **ნოდარ ნათაძე**, მზექალა შანიძე და გიორგი ხოშტარია ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ 25 წლის წინათ, უსახური მმართველობიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იყო, საქართველოს პარლამენტი პირველად შედგა და შემდეგ ბუნებრივად ჩამოყალიბდა ისე, როგორც ქართულ ხასიათს შეესაბამება. ამ ღონისძიებაზე მოხდა ერთი ფაქტი, რომელიც არსად გახმაურებულა — როგორც კულუარულად მითხრეს, საზეიმო კულმინაციის ბოლოს თბილისის საკრებულოს დარბაზი სხვებზე ადრე დაუტოვებია ღირსების ორდენით ახლად დაჯილდოებულ ბატონ ნოდარ ნათაძეს. გასასვლელში „ზეიმით“ გაკვირვებულ ერთ-ერთ თანამონაწილეს უკითხავს: მიბრძანდებით, ბატონო ნოდარ, მოგილოცოთ?.. ბატონ ნოდარს უთქვამს, მე ორდენი უკან დავუბრუნე პრეზიდენტს, დამარცხებული ქვეყნის ჯარისკაცები ჩინმედლებსა და ორდენებს არ იკიდებენ-თქო. ბატონმა ნოდარმა „ქრონიკასთან“ საუბარში „არდაკიდების“ ფაქტი დაადასტურა:

**— ბატონო ნოდარ, ხალხი ქვეყანას იკიდებს და თქვენ რომ „ღირსების ორდენი“ დაგეკიდებინათ, ვითომ რა მოხდებოდა?**

– მე პრეზიდენტს იმიტომ კი არ დავუბრუნე, რომ პირადად რაღაც პრეტენზია მქონდა... არც ბრალდებები წამიყენებია ხელისუფლების რომელიმე შტოსთვის. მე ჟანრობრივად არ მეკუთვნის, ეს ორდენი მომცეს საპარლამენტო მოღვაწეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პირადად ვმონაწილეობდი საპარლამენტო საქმიანობაში, საერთო ჯამში, ეს ყველაფერი მაინც დამარცხებად მიმაჩნია. 25 წლის განმავლობაში პარლამენტმა ვერ დაიცვა საქართველო თავისი კანონმდებლობით – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შესახებ კრინტი არ დაუძრავს, ყარსის ხელშეკრულებაზე კრინტი არ დაუძრავს, აზერბაიჯანსა და სომხეთს რომ აქვთ ჩვენი ტერიტორიები, ამაზე ხმა არ ამოუღია, სოჭი რომ აქვს რუსეთს წაღებული, არც ეს გახსენებია ვინმეს. ამიტომ მე არ ვარ ისეთი ჯარისკაცი, რომელიც წაგებული ბრძოლისთვის მიიღებს ორდენს.

**— კი, მაგრამ ეს ხომ პიროვნული ღირსებისთვის მოგცეს?**

– რა შუაშია პიროვნება, როცა საპარლამენტო საქმიანობისთვის მომცეს? პარლამენტმა, უკეთეს შემთხვევაში, დეზერტირობა ჩაიდინა.

**— როგორც ვიცი, მაგ დროს ერთჯერად თანხასაც აძლევენ ხოლმე, 500-1000 ლარს, გააჩნია, პრეზიდენტი როგორ ხასიათზე იქნება.**

– არ ვიცი, ჯანდაბას, გადააფსან ერთმანეთს.

**— თქვენ პირდაპირ მარგველაშვილს დაუბრუნეთ?**

– კი, მივედი და ჩემი მოტივი დავუსაბუთე.

**— მერე, რა თქვა?**

– რა უნდა ეთქვა, არაფერი.

**— მარტო თქვენ დააბრუნეთ, სხვებმა შეირგეს, ხომ?**

– არა, მარტო მე დავაბრუნე.

**— თქვენ ამჟამად რას საქმიანობთ, პოლიტიკას საერთოდ ჩამოსცილდით?**

– პოლიტიკაში ვერაფერს ვერ გააკეთებ, თუ არც ფული გაქვს და არც ტელევიზია. მე არც ერთი არ მაქვს, ვზივარ 24 საათი და ვმუშაობ პოლიტიკური მიმართულებით.

**— წიგნებს წერთ?**

– წიგნებსაც ვწერ და სტატიებსაც, ათასში ერთხელ ლექციების წასაკითხადაც მეძახიან.

**— თქვენი „სახალხო ფრონტი“ დაშლილია?**

– არა, ვმუშაობთ უფულოდ და უტელევიზიოდ.

**— 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობასაც ხომ არ აპირებთ?**

– კი, ვაპირებთ... მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ შეიქმნას ფართო ეროვნული კოალიცია, რომელიც ამ ორივე ყალბ პარტიას პანღურს ამოჰკრავს ერთ ადგილას!

**— ყალბი პარტიები რომლებია?**

– „ნაციონალური“ და „ქოციონალური“, ამათაც უნდა გადააფსან ერთმანეთს... ამ „ოცნების“ საქმე იცით, როგორაა? ერთი კაცი მივიდა ოპერაში, სოლისტად ამიყვანეთო. ხმა გაქვსო? არაო. სმენა გაქვსო? არაო. აბა, რა გაქვსო? დილიხორი მაქვსო! მარტო დილიხორით პოლიტიკაში ძრომიალი არ შეიძლება, კიდევ რაღაცა უნდა გქონდეს.

**— დილიხორს რომ ფული დავამატოთ, მაინც არაფერი გამოვა?**

– ფული დიდ რამეს ნიშნავს, მაგრამ სხვა რაღაცებიც არის საჭირო. ფულით და დილიხორით პოლიტიკაში რომ უნდა იყო, მე ბუნების ასეთ კანონს არ ვცნობ.

**— „ოცნების“ რა არ მოგწონთ? თქვენი აზრით, რა დააშავა?**

– შეინარჩუნა არჩევნების გაყალბების სუპერკომბინატი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა და დღესაც მუშაობს, არც ერთი გამყალბებელი არ დაუჭერიათ, არიან ადგილებზე და ისევ მუშაობენ, როგორც ეტყვიან, ისე იქცევიან. ამათ სისტემა აქვთ შემოღებული, არის ორი პარტია, ვითომ დაპირისპირებულები, ამას – 60 პროცენტი, იმას – 40 პროცენტი, მერე მეორე არჩევნებზე პირიქით გააკეთებენ. არ აღადგინეს სამართლიანობა, ზოგი ამბობს, დაგვიანდაო, დაგვიანება არ არსებობს, არ უნდათ და მორჩა. მაგალითად, სასამართლო არ იცვლება არა მარტო იმიტომ, რომ არ უნდათ, კადრებიც არ ჰყავთ. პრინციპში, ახლა სიტუაცია ძალიან იცვლება და რაღაც სასიკეთო ძვრებს უნდა ველოდოთ.

**— კონკრეტულად რა მხრივ იცვლება?**

– რუსეთი მარცხდება, თურქეთი მარცხდება, გეოპოლიტიკაში მიდის ცვლილებები, ჩვენ უკვე საჭირო ვხდებით. ნახეთ, რუსებმა 2016 წელი რატომღაც გამოაცხადეს რუსთაველის წლად, იმიტომ კი არა, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ მოსწონთ, მაგათ სხვა გათვლები აქვთ, უკვე ვჭირდებით.

**— სადღაც წავიკითხე, მგონი, პეტერბურგში შოთა რუსთაველის ძეგლსაც დგამენ.**

– საქართველომ რუსებს არ უნდა მისცეს ამის უფლება. მე არ მინდა, კაციჭამიების ქალაქში ჩემი პოეტის ძეგლი იყოს.

**— ბატონო ნოდარ, ამ ჩხუბითაც რომ არაფერი გამოგვდის?**

– რას ბრძანებთ, ბატონო გელა, ზოგი რუსეთს ფულის გულისთვის უჭერს მხარს, ზოგი ამისთვის, ზოგი იმისთვის, მაგრამ იდეურ რუსეთუმეებს იმდენად მოკლე ჭკუა აქვთ, ვერ გრძნობენ, რომ რუსეთს პერსპექტივა არა აქვს. პუტინი რომ იბრიქება, მისი სჯერათ.

**— ესე იგი, პუტინი ტყუილად იბრიქება?**

– რა თქმა უნდა... დღესაც გამოვიდა და იბრიქებოდა, სამხედრო თვალსაზრისით იბრიქებოდა. ახლა რუსეთზე მიდის შეტევა გარკვეული მოსაზრებით, პუტინს ბირთვული იარაღი უნდა დააყრევინონ, უნდა ჩაადენინონ რაღაცა უდიდესი დანაშაული. ამიტომ მე მეშინია, რომ საქართველოში რუსეთი რამდენიმე ბირთვული ბომბის ჩამოგდებას მოასწრებს.

**— ვა, ჩვენს ტერიტორიაზე უნდა დააყრევინონ? წეღან არ თქვით, ვჭირდებითო?**

– რუსეთის ობიექტური ინტერესია, რომ საქართველო მოისპოს. იმიტომ კი არა, რომ ბოღმაზეა, არა, ასეთი დილიხორი აქვს.

**— თურქეთი რატომღა მარცხდება?**

– თურქეთის სიტუაცია სულ სხვაა, ამ ქვეყანას 600 ათასი კაცი ჰყავს ჯარში, ყველაზე დიდი არმია ჰყავს ევროპაში, მაგრამ მაგათი ეკონომიკა ძალიან არის დამოკიდებული რუსულ ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია, მაინც რუსეთის გადაბმული ძმაა. ეგენი უმოკლეს დროში შერიგდებიან, ცალ-ცალკე ვერაფერს ვერ მოიგებენ. ჩვენ რომ ვვარგოდეთ, ახლა შეგვიძლია, მოვიგოთ ყველა თამაში.

**— მაგალითად, რა თამაში?**

– შეგვიძლია, აღვადგინოთ ჩვენი ტერიტორია. ჩვენ უნდა ვაიძულოთ მოკავშირეები, რომ გვაღიარონ დამოუკიდებელ ძალად, რომელსაც ხელში უჭირავს კავკასიის გასაღები. როდესაც გეუბნებიან, მომეციო, იმის თავი უნდა გქონდეს, რომ უთხრა: მოიცა, შენ რას მაძლევ სამაგიეროდ? ამის თქმას ერთი ადგილი უნდა, ან ორი ადგილი. თუ ერთი ან მეორე გაკლია, ვერ იტყვი. დღეს ხელისუფლებაში ვინც სხედან, ამის სურვილი არც ერთს არ აქვს.

# რატომ რჩებიან სკოლის დირექტორებად შაშკინისდროინდელი მანდატურები?




**ნუკრი ქანთარია: „ვიცი პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებულების შესახებ, ჩემთან მოდიან ეს ადამიანები და დახმარებას მთხოვენ... მაგრამ, ეს მოხსენი და ეს დანიშნე, ასე არ იქნება“**









ნინო ზამთარაძე
599 02 06 87


რა შეიცვალა განათლების სფეროში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ოცნების“ მთავრობა მოვიდა? კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა სკოლებში წინა მთავრობის დროს, როცა შაშკინმა მანდატურებს მაკონტროლებლის ფუნქცია მიანიჭა. ისინი შიშის ზარს სცემდნენ მასწავლებლებსა და დირექტორებს. ჟურნალებსაც კი ამოწმებდნენ. შეიქმნა ერთგვარი დასმენის სისტემა. სქემა ასე იყო აწყობილი: ნაციონალი მანდატურები აბეზღებდნენ დირექტორებს, ყოველ წვრილმანზე სპეციალურ მოხსენებით ბარათებს წერდნენ. ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, და ასეთი ბევრი იყო, სხვას აწერინებდა. „მანდატურთუხუცესებს“ ეს ბარათები განათლების სამინისტროში მიჰქონდათ. შემდეგ სკოლაში გენინსპექცია შედიოდა დირექტორის ადგილის გასათავისუფლებლად. გამოთავისუფლებულ ადგილებზე კი ნაციონალი მანდატურები ინიშნებოდნენ. საინტერესოა, დღეს ის ხალხი მუშაობს გენინსპექციაში, ვინც ადრე მუშაობდა და ახლა რატომ არ შედიან სკოლებში დარღვევების გამოსავლენად? აბა, ხმა ვის ამოუღია და გაუპროტესტებია, უსერტიფიკატო მანდატური რატომ დაინიშნა დირექტორად? როცა მე სერტიფიკატი მაქვსო. ამას ვინ გაბედავდა? არადა, სკოლის დირექტორის სერტიფიკატის მქონე ადამიანების არმია იყო. სკოლებიდან კი უამრავი პედაგოგი გაათავისუფლეს, რომ „ნაცმოძრაობის“ წევრები და მათი მხარდამჭერები დაესაქმებინათ.

როცა გაქცეული შაშკინი საქართველოში დაბრუნდა. მისი ამ ქმედებებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. პირიქით, სხვადასხვა ტოქშოუებში იწვევდნენ და საათობით აყბედებდნენ. ჰქონდა მას სხვისი განკითხვის მორალური უფლება? მისთვის არ უკითხავთ, ადამიანებს თანამდებობებზე პოლიტიკური ნიშნით ვისი დავალებით ნიშნავდა, 2012 წლის დასაწყისში თბილისის პერიფერიის ყველა დიდ სკოლაში ნაცმანდატურები რატომ დაინიშნენ დირექტორებად, როცა სერტიფიცირებულები დაუსაქმებლები იყვნენ...

ამ ხელისუფლების პირობებში განათლების სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელმაც წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ, პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებული დირექტორებისა და პედაგოგების საქმე განიხილა. რეპრესირებულის სტატუსი ყოფილ დირექტორებსა და პედაგოგებს მიენიჭათ. გამოიცა მინისტრის შესაბამისი ბრძანებულება, რომ ეს ხალხი თანამდებობებზე აღედგინათ. რა მოხდა რეალურად? არც არაფერი... „ოცნების“ ხელისუფლების ეს განკარგულებაც ისეთივე ფარატინა ქაღალდი და სიცრუეა, როგორც სხვა ყველაფერი...

**ლალი ჯავახიძე, 28-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი:**

– ადგილობრივ არჩევნებზე ჩემი ბიძაშვილი ოპოზიციური პარტიიდან კენჭს იყრიდა. მე ერთ-ერთ უბანზე დამკვირვებელი ვიყავი. ეს მეორე დღეს უკვე იცოდა გამგებელმა. გამათავისუფლეს. ჩემს ადგილას ნაცკოორდინატორი, ბადრაგი დანიშნეს. როცა მთავრობაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, განათლების სამინისტროს მივმართე.

ჩემი საქმე შეისწავლეს და რეპრესირებულის სტატუსი მომენიჭა. ვარ სერტიფიცირებული პედაგოგი. სკოლის დირექტორის სერტიფიკატი ხელმეორედ ავიღე. სელექციისას შემარჩიეს. 172-ე საჯარო სკოლაში დირექტორობის ერთადერთი პრეტენდენტი ვიყავი. ამ სკოლის ყოფილმა დირექტორმა სამეურვეო საბჭო ჩემს წინააღმდეგ გამოიყენა. არ ამირჩიეს. არც დისკრეციის უფლებით დამნიშნეს. განათლების სამინისტროში ვის არ მივმართე, მეუბნებიან, დირექტორის ვაკანტური ადგილი არც ერთ სკოლაში არ არისო. ეს მაშინ, როცა მინისტრის შესაბამისი ბრძანებულება არსებობს, რეპრესირებულები დაუყოვნებლივ აღედგინათ თანამდებობებზე...

**არ ასრულდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დანაპირები, პედაგოგებს სკოლას დაუბრუნებდნენო. ყოფილი მანდატურ დირექტორები, რომლებმაც დირექტორის სასერტიფიკაციო გამოცდა ვერ ჩააბარეს, სასწავლო ნაწილის თანამდებობაზე აღმოჩნდნენ. რატომ? რა, მათ აქვთ პედაგოგიური განათლება? თუ კომპეტენციად დასმენა და პოლიტიკური ნიშნით თანამდებობის დაკავება ითვლება?**

ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა პედაგოგებს უთხრა იმ პიროვნების შესახებ, ვინც სასწავლო ნაწილად დანიშნა (ყოფილი მანდატურ-დირექტორი), წლების განმავლობაში სკოლის დირექტორად მუშაობდაო. არადა, შაშკინმა 2012 წელს პოლიტიკური ნიშნით დანიშნა და ახალი მთავრობის პირობებში კიდევ ორი წლით გაუგრძელდა თანამდებობაზე ყოფნა. ეს მაშინ, როცა სერტიფიცირებული პედაგოგი დამლაგებლად მუშაობს. დღესაც არის სკოლები, სადაც წინა ხელისუფლებამ მანდატურები სასწავლო ნაწილად დანიშნა და ისინი თანამდებობას ინარჩუნებენ.

**სკოლის პედაგოგი (გარკვეული მოსაზრების გამო სახელსა და გვარს არ ვასახელებთ):**

– ცხელ ხაზზე დარეკავ თუ შიდა მოკვლევის აუდიტის ნომერზე, არა აქვს მნიშვნელობა, გეუბნებინ: ქალბატონო, განათლების სამინისტრო რა შუაშია, თუ სკოლაში პრობლემაა. რა, თქვენ არ იცით, სამეურვეო საბჭოს რომ უნდა მიმათოთო. მათ რომ რამე შეეძლოთ, ხომ აქვე მოვაგვარებდი. მაგრამ არა. სელექციის დროს ჩვენი დირექტორი არ შეირჩა, მან სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგებს განუცხადა, არც ერთი პრეტენდენტი არ აერჩიათ. თავად, სამინისტროში ჩააწყობდა და დაგვიბრუნდებოდა. დანაპირები ვერ შეასრულა. სამეურვეო საბჭომ არც ერთი პრეტენდენტი არ აირჩია. მერე დისკრეციის უფლებით სულ სხვა დაგვინიშნეს. ახლა ნანობენ... სკოლებში მაგისტრი და ბაკალავრი პედაგოგის დიფერენციაცია არ ხდება. ეს საქმე დირექტორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. უფრო მეტიც, უამრავი უდიპლომო მასწავლებელი მუშაობს. ე.ი. მათ უმაღლესი განათლება არ აქვთ. მაგისტრები და სერტიფიცირებულები კი უმუშევრები არიან.

განათლების სამინისტრო ნაცელიტითაა დაკომპლექტებული. ახალმა ხელისუფლებამ ისინი სამსახურიდან არ გაათავისუფლა. ამბობენ, რომ წინა ხელისუფლების დროს პოლიტიკური ნიშნით დაწინაურებულ კადრებს ისინი მფარველობენ. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში შავით თეთრზე ეწერა, სკოლას პედაგოგები დაუბრუნდებოდნენ. სამართლიანობა აღდგებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა! როცა პედაგოგები უმუშევრები არიან, სკოლაში არაპედაგოგები რატომ მუშაობენ? ვინ მფარველობს მათ? ჩვენ ამ კითხვებით ელექტრონულად მივმართეთ განათლების სამინისტროს, მაგრამ არ გვიპასუხეს.

**კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ნუკრი ქანთარიას:**

– დღეს რამდენიმე სკოლაში (სამი თუ ოთხია) დაწინაურებული მანდატურები დირექტორის თანამდებობაზე მუშაობენ, რადგან თავის დროზე ექვსწლიანი შრომითი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული. ზოგს ახლა ვადა ეწურება. ასე რომ, ეს საქმე გამოსწორებადია. ხოლო რაც შეეხება ამ კატეგორიის მანდატურ-დირექტორების სასწავლო ნაწილის თანამდებობაზე დანიშვნას, ინფორმაციას არ ვფლობ. ისე, ადამიანის პოლიტიკური კუთხით წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს. აქცენტი შესაბამის განათლებასა და კომპეტენციაზე უნდა გაკეთდეს. თუ სადმე ვინმე უსამართლოდაა დანიშნული, მოვიკითხავ და გავარკვევ. რა ვქნა, არის დეტალები, სადაც კომპეტენტური ვერ ვიქნები. ვწუხვარ, თუ სერტიფიცირებული პედაგოგი დამლაგებლად მუშაობს. თბილისში მართლა არაა ადგილები, სოფლებში არის, მაგრამ არ მიდიან. ახალი კარიერული სქემა შემოდის და ყველაფერი დალაგდება... რაც შეეხება პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებულებს, ვიცი მათ შესახებ, ჩემთან მოდიან ეს ადამიანები და დახმარებას მთხოვენ. მაგრამ ეს მოხსენი და ეს დანიშნე, ასე არ იქნება. გასაგებია, ხალხი მოყვა უსამართლობაში ან ჰგონიათ, რომ მსხვერპლი არიან. მათ სასამართლოს უნდა მიმართონ. ხოლო რაც შეეხება ვინ ვის ლობირებს, მე მაქვს კომუნიკაცია მინისტრთან, მის მოადგილეებთან და განყოფილების უფროსებთან. ამ დონეზე ეს გამორიცხულია, რაღაც ბუდე არსებობდეს, არა მგონია. სამეურვეო საბჭოები ადრეა დაკომპლექტებული. დირექტორების არჩევის დროს რა ურთულესი პროცესები მიმდინარეობდა, ყველამ ვიცით. ზოგადი და უმაღლესი განათლების კუთხით მნიშვნელოვანი და სასიკეთო ცვლილებები მიმდინარეობს, შედეგიც მალე იქნება სახეზე.

# ვინ შეეწირება „ქართული ოცნებიდან“ „ელისაშვილის სკანდალს“?



**ალეკო ელისაშვილის სკანდალურმა განცხადებამ კვირის თითქმის ყველა თემა გადაფარა და მთავარი კითხვა გააჩინა — მოჰყვება თუ არა შესაბამისი რეაგირება ამ განცხადებას და ვინ შეეწირება „ქართული ოცნებიდან“ ამ სკანდალს.**

მოკლედ, ალეკო ელისაშვილი შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ზეწოლაზე ალაპარაკდა – „ქართული ოცნების“ წევრები მიმითითებდნენ, რომელი პატიმარი უნდა შემეყვანა შესაწყალებელ მსჯავრდადებულთა სიაშიო. ელისაშვილი ამბობს, რომ ამ საქმეში ჩართული კონკრეტული მაღალჩინოსნები პატიმართა ოჯახის წევრებისგან ასი ათასობით ლარს იღებდნენ, თუმცა მათ ვინაობას საჯაროდ არ ასახელებს და აცხადებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მან პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავარ პროკურორსა და მის მოადგილეს მიაწოდა.

**ელისაშვილის მსგავსი განცხადება გააკეთა შეწყალების კომისიის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემაც, რომელიც პროკურატურამ უკვე დაკითხა, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებს არ აკონკრეტებს.**

**— ბატონო ზვიად, ის მაინც რომ დავაკონკრეტოთ, რა კატეგორიის პატიმრებზეა საუბარი? მით უმეტეს, ითქვა, რომ 2 მილიონზე იყო საუბარი და რომელ პატიმარს აქვს იმის საშუალება, 2 მილიონი გადაიხადოს?**

– იცით, თვითონ მსჯავრდადებულები ისედაც რთულ ვითარებაში არიან, თავისუფლება აქვთ აღკვეთილი და ჩვენ დამატებითი პრესინგი არ უნდა ვაწარმოოთ იმით, რომ ამ ინფორმაციას ახლა გავავრცელებთ და მეტიც, მე შემიძლია პირდაპირ გითხრათ: ის პოლიტიკოსები, საჯარო პირები, ადვოკატები, რომლებიც პატიმრებს ცრუ იმედებს უჩენენ, ცრუ დაპირებებს აძლევენ და არწმუნებენ, რომ მათ მიმართ შეწყალების მექანიზმები იქნება გამოყენებული და როდესაც ეს ძალიან ხშირად მეორდება, ეჭვი მიჩნდება ამ ყველაფერში ანგარების საფუძვლის არსებობაზე. ეს ყველაფერი კი, ისევ მსჯავრდადებულებს აგდებს ძალიან რთულ ვითარებაში, რადგან მათ იმედი აქვთ და მიაჩნიათ, რომ, დიახაც, საქმეები ასე კეთდება.

**— ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ თანამდებობის პირებს ასი ათასობით ლარი ჰქონდათ აღებული პატიმრების ოჯახებისგან. თქვენთვის თუ შემოუთავაზებიათ შეწყალების სიაში კონკრეტული პატიმრის ჩასმის სანაცვლოდ გარკვეული თანხა?**

– არა, ასეთი ტიპის შემოთავაზებები არ ყოფილა, თორემ ამას აუცილებლად ვიტყოდი. რაც შეეხება კონკრეტულ ისტორიებს, რაზეც ბატონი ალეკო საუბრობს, რა თქმა უნდა, ეს ძალიან შემაშფოთებელია. თუმცა ინტერესი ამ საქმეების მიმართ მას მერეც არ განელებულა, რაც ბატონი ალეკო აღარ არის შეწყალების კომისიის თავმჯდომარე.

**— ბატონო ზვიად, კიდევ ერთი საკითხია საინტერესო — შეწყალების კომისიაში პატრიარქის წარმომადგენლის შეწყალების რეკომენდაციებზე უარი უთქვამს პრეზიდენტს?**

– საპატრიარქოს პოზიცია, როგორც ასეთი, ცალკე სიების სახით არ არსებობს. ქორეპისკოპოსი კომისიის სრულუფლებიანი წევრია და ბუნებრივია, იმ მსჯავრდადებულების საკითხების განხილვისას, რომლებიც არის კომისიის დღის წესრიგში შეტანილი, თავის მოსაზრებებს გამოთქვამს, ცალკე სიები კი, როგორც გითხარით, მისგან არ მზადდება.

**რაც შეეხება ალეკო ელისაშვილს, მან მოგვიანებით, საჯაროდ ასეთი კომენტარი გააკეთა:**

– შარს არ ვეძებ, თუმცა ამ ბოლო კვირის განმავლობაში ყველა გადავიმტერე, ვინც კი შეიძლებოდა... არ შემეძლო, დიდხანს მეყურებინა იმისთვის, რომ ყველაზე განსაკუთრებით ვინც აფუთფუთდა, იყვნენ ის პოლიტიკოსები, მმართველი ძალის ის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ შეწყალების კომისიაში ჩემი ყოფნის დროს ჩემზე ზეწოლის მოხდენას და პატიმრების განთავისუფლების მოთხოვნით ფულის კეთებას. მათ ახლა დაინახეს, რომ პატრიარქმა ემოციური განცხადება გააკეთა და არიქა, ისევ შეძლებდნენ ფულის კეთებას პატრიარქს ამოფარებულები... ზოგი იქ ისეთია, ძალიან პრაგმატული მიზანი აქვს, რომ ისევ განაახლოს პატიმრების გამოშვებით ფულის კეთება. ამაზე ყველა ლაპარაკობს გამორთულ კამერებთან, ყველა პოლიტიკოსი, „ქართული ოცნების“ ყველა ლიდერი, სახელებიც იციან და გვარებიც, მე არ ვიტყვი... შეწყალების წინ, ჩემთან კონკრეტული პოლიტიკოსების მხრიდან რამდენიმე პატიმართან დაკავშირებით, პირდაპირ მოთხოვნა ხდებოდა, ისტერიული მოთხოვნა, რომ „ეს ხალხი გაიტანეთ, ეს ხალხი გაიტანეთ კრიტერიუმების მიღმა განსაკუთრებული წესით“... ახლა ზუსტად ვიხსენებდი, წელიწად-ნახევრის წინათ, შარშან ზაფხულში პროკურატურას დავუსახელე მათი სახელები... ჯერ ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ვუთხარი... სულ მაწვალებდა განცდა, რომ რა უნდათ ამ ადამიანებს, რატომ ხდება კონკრეტულად ამ საქმეზე ზეწოლა? შემდეგ ძალიან სარწმუნო წყარომ (ის ადამიანი დღეს თანამდებობის პირია) მითხრა, რომ 200 ათასი ბე აქვთ აღებული კონკრეტული პატიმრების საქმეზე და ჯამში, მილიონ-ნახევარს აიღებენ, თუკი მოახერხებენ, რომ ეს ხალხი პრეზიდენტმა შეიწყალოს თქვენი მეშვეობითო. მე ეს ვუთხარი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმ წამსვე, ეს ვუთხარი უსუფაშვილს, პირადად ხიდაშელს, თუმცა რატომ ვერ გაიხსენა დღეს უსუფაშვილმა ეს ფაქტი, არ ვიცი... ვუთხარი ადამიანს, რომელიც ურთიერთობდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამართალდამცველ სტრუქტურებთან, ის ჩავაყენე დეტალურად საქმის კურსში. პრეზიდენტ მარგველაშვილს ვუთხარი და მესიჯები წავაკითხე, როგორი ისტერიული მესიჯები იყო კატეგორიული მოთხოვნით, რომ ეს საქმეები განგვეხილა და შემდეგ წავედი და მის კაბინეტში ველაპარაკე (სამი ადამიანი ვესწრებოდით ამ შეხვედრას) მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს და მის პირველ მოადგილე გიორგი გოგაძეს. ვუთხარი იმ პოლიტიკოსების სახელები, გვარები, ინფორმაცია ვინც მომაწოდა, ისიც ვუთხარი, რა თანხაზე იყო ლაპარაკი, ვინ იყო გადამხდელი და შემკვეთი და ვინ იყვნენ ის პატიმრები, ვისზეც იყო ლაპარაკი. ის ადამიანები ისევ ციხეში იმყოფებიან. მე დღეს საყვედურებს ვისმენდი, რა მტკიცებულებები გაქვსო? მე პროკურორი კი არ ვარ, ეს დალოცვილი? ვიყავი შეწყალების კომისიის თავმჯდომარე და ვარ საკრებულოს წევრი. არაფერი დაინტერესება არ მოჰყოლია ამას, ერთ ყურში შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს...

სკანდალურია ისიც, რომ ელისაშვილის ბრალდებებზე მარგველაშვილიც დუმს, უსუფაშვილიც, ბადაშვილიც, წულუკიანი კი რას ამბობს, თავადაც არ იცის! იუსტიციის მინისტრის თქმით, ალეკო ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, პროკურატურას მტკიცებულებებიც წარუდგინოს.

რაც შეეხება კითხვას, ჰქონდა თუ არა ამ დრომდე ინფორმაცია შეწყალების კომისიაში კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით, წულუკიანი ამბობს, რომ ამის შესახებ მედიისგან შეიტყო.

პროკურატურამ ელისაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე უკვე დაიწყო გამოძიება ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით.

ერთი კვირა გავიდა უკვე და არც პრეზიდენტს, არც პარლამენტის თავმჯდომარეს, არც ყოფილ პროკურორს ელისაშვილის ბრალდებებზე კრინტი არ დაუძრავთ. ეტყობა, ნამეტანი დაკავებულები არიან და ამ სკანდალისთვის დრო ვერ გამონახეს, თორემ ერთი პატარა განცხადების გავრცელებას წინ რა უდგას? არაფერი! მით უმეტეს, ისეთ თემებს ეხმაურებიან ხოლმე საკმაოზე მეტად აქტიურად და როგორ შეიძლება, ასეთი ამბავი ურეაქციოდ გაატარო?!

**„ალია“-„ქრონიკა“ ამ ხნის მანძილზე პერმანენტულად ცდილობდა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან კითხვებზე პასუხის მიღებას, თუმცა უშედეგოდ.**

რა გვაინტერესებდა, ჩემო ბატონო, და გვსურს, გავიგოთ, ნამდვილად ჩააყენა თუ არა საქმის კურსში ელისაშვილმა, როგორც თავად ამტკიცებს – პრეზიდენტი, მისი ადმინისტრაციის უფროსი და თუ ეს მართლა ასე მოხდა, რატომ დუმდნენ ამდენი ხანი და უფრო უარესი – რატომ არ ამბობენ არაფერს, როცა მთელი ქვეყანა ამ საკითხზე საუბრობს?! თქვენც არ მომიკვდეთ!

ვერ მოვიპოვეთ ვერც დავით უსუფაშვილის კომენტარი. რაც შეეხება ბადაშვილს, როგორც მისი ყოფილი მოადგილე გიორგი გოგაძე აცხადებს, რომელზეც ელისაშვილი ასევე ამტკიცებს, რომ ყველაფერი იცოდა ზეწოლის შესახებ, საკრებულოს დეპუტატის განცხადება სრული სიცრუეა:

– ალეკო ელისაშვილის განცხადება არის სრული სიცრუე. მე მას მართლაც შევხვდი, თუმცა ეს ეხებოდა მისი სკოლის მასწავლებელს თუ დირექტორს, რომელიც სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში იყო დაზარალებული და პროკურატურისგან კუთვნილი თანხის დაბრუნებაში ითხოვდა დახმარებას. ამ შეხვედრას ესწრებოდა იმ რაიონის პროკურორიც, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ზედამხედველობას ახორციელებდა. ასევე, ესწრებოდა ჩვენი სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. სხვა შეხვედრა ჩვენ მასთან არ გვქონია და შესაბამისად, მისი განცხადებები, რომ მოგვაწოდა რაიმე ინფორმაცია კონკრეტული სახელებისა და გვარების შესახებ, ან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც თავად საუბრობს, არის სიცრუე, – განაცხადა გოგაძემ.

მისივე თქმით, ალეკო ელისაშვილის განცხადების საფუძველზე დაწყებულია გამოძიება, რომელიც 339-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს.

ახლა დავუბრუნდეთ თეა წულუკიანს, რომელიც ჩვეულ სტილს არ ღალატობს და კვლავაც არაადეკვატურ შეფასებებს აკეთებს:

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, საქართველოში კორუფცია ვერ დაბრუნდებაო, რაშიც, სამწუხაროდ, ეჭვი გვეპარება! კორუფციაზე მეტი არ არის, როცა ჩინოვნიკები პატიმრების, თუნდაც უკანასკნელი გარეწრის, ბედით ვაჭრობენ და გამდიდრება სურთ?! არა, თუ ეს ასე არ არის და იგონებს ელისაშვილი, დაამტკიცოს გამოძიებამ და გახსნას ეს მორიგი ხმაურიანი დანაშაული, თუმცა ისე კი არა, როგორც აქამდე „ხსნიდა“ საქმეებს, რეალური შედეგები დადოს, მით უმეტეს, ელისაშვილმა გამოძიებას კონკრეტული გვარ-სახელები უკვე ოფიციალურად დაუსახელა!..

და ნაცვლად იმისა, რომ თეა წულუკიანი იმაზე საუბრობდეს და იმაში გვარწმუნებდეს, დამნაშავეებს ცხვირიდან ძმრად ადენს სახელმწიფო ყველაფერსო, ალეკო ელისაშვილს „პრავებს უკაჩავებს“, – მტკიცებულებები დადეო, ძმაოვო: „პროკურატურა ამ თემაზე მუშაობს. ბატონ ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, ყველა მტკიცებულება პროკურატურას მიაწოდოს...“

პროკურატურა სხვა ძალიან ბევრ საქმეზეც მუშაობდა, მაგრამ დღემდე გვაქვს რაიმე შედეგი?! არა! რამდენიმე ადამიანს „ნაცმოძრაობის“ მიერ წართმეული მანქანები დაუბრუნა და მორჩა. ჰოდა, რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინება? მით უმეტეს, რომ საუბარია „ქართული ოცნების“ ჩინოსნებზე და კიდევ უფრო მთავარი – ამას ამბობს არა მხოლოდ ალეკო ელისაშვილი, არამედ ზვიად ქორიძეც. პირველი – შეწყალების კომისიის ყოფილი, მეორე კი მოქმედი თავმჯდომარეა.

**„ქრონიკა“**

# „ალეკო ელისაშვილმა თქვა სიმართლე!“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რატომ არ მოჰყვა ალეკო ელისაშვილის მიერ შეწყალების კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას რეაგირება პროკურატურის მიერ? ვინ დაბლოკა გამოძიება? რა გამოცდას უწყობს ახალ მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს ბიძინა ივანიშვილი და რას ემსახურება შეწყალების კომისიასთან დაკავშირებული სპექტაკლი? რატომ უნდა დაინტერესდეს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის მიერ პრეზიდენტობის ბოლო ეტაპზე შეწყალებული 5 200 ყოფილი პატიმრის საქმით?**

**„კვირის ქრონიკას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**



## „პირდაპირ დავასახელებ, ვინ იგულისხმა ელისაშვილმა“





**„პასუხისგებაში მისაცემი ხალხი პარლამენტში ზის, მაგრამ არავინ არაა გამომძიებელი. ამის გამოძიება ნიშნავს ხელისუფლების რღვევას. ეს რომ იქნას გამოძიებული, მაშინ ხელისუფლება უნდა გადადგეს“**

– შეწყალების კომისია, რომ არსით კორუმპირებულია, ამაზე არავინ დაობს. სანამ დღევანდელობაზე ვისაუბრებ, მინდა გაგახსენოთ, რა ხდებოდა ამ მხრივ, როგორც ედუარდ შევარდნაძის, ასევე მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. შევარდნაძის დროს, შეწყალებასთან მიმართებაში არსებობდა დადგენილი თანხა – რა ღირდა ერთი წელიწადი. ეს არავისთვის არაა უცხო. მაშინ ამ საქმეში ჩართულები იყვნენ უშუალოდ შეწყალების კომისიის წევრები, მათთან დაახლოებული პირები, გარკვეული მაღალჩინოსნები, შეწყალების კომისიის წევრებთან დაახლოებული ადვოკატები და სასულიერო, მაღალი იერარქიის პირები. ეს იყო „სტანოკი“, რითიც კეთდებოდა საკმაოდ დიდი ფული. როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდა, პირველი, რაც გააკეთა, იყო შემდეგი რამ – ჯერ ხელში ჩაიგდო სასამართლო და პროკურატურა და შემდეგ შეცვალა შეწყალების კომისია მთლიანად და კომისიაში მოიყვანა მისთვის სასურველი ხალხი. ანუ ყველანაირი პირობა შეიქმნა, რომ უკვე „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკეთებინა ფული. მაშინ არსებობდა კონკრეტული „ხოდები“, როგორ უნდა მოხვედრილიყავი შეწყალების კომისიის „სასტავში“. თუ შევარდნაძის დროს უბრალო ადვოკატსაც კი შეეძლო კავშირზე გასვლა ისეთ ადამიანთან, რომელიც ქრთამს მიიტანდა შეწყალების კომისიასთან, სააკაშვილის დროს, ამ ყველაფრის „პრიხვატიზაცია“ მოხდა. ყველაფერი ავიდა ელიტარულ დონეზე და ეს ელიტური ხალხი იყო მიხეილ სააკაშვილთან, ზურა ადეიშვილთან და ახალაიებთან დაახლოებული ხალხი. იმ დროს, კომისიას ჰქონდა ფიქციური სახე – ანუ არსებობდა კომისია, მაგრამ ეს კომისია ვერაფერს აკეთებდა, იმიტომ, რომ სია იწერებოდა მხოლოდ მაღალჩინოსნების გემოვნების მიხედვით და აქცენტს აკეთებდნენ ისეთ ადამიანებზე, რომელთა აგენტად გადამზადებაც იქნებოდა მათთვის ადვილი. ეს იყო მანკიერი სისტემა და მთლიანად „ნაციონალურ მოძრაობას“ ემსახურებოდა.

ამავდროულად არსებობდა არასამოქალაქო არხი, ეს იყო ეკლესია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო, რომ საქმე გაკეთებულიყო 5-იანზე. ამიტომაც, ყოველთვის იყო ბრძოლები, ვინ უნდა მოეხვედრებინათ სიაში. ეს იყო ძალიან მაღალი დონის კორუფცია, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავები ვერ შეწვდებოდნენ.

სააკაშვილმა, თავისი „მოღვაწეობა“ 5 200 კაცის შეწყალებით დააგვირგვინა. ეს მოხდა მისი პრეზიდენტობის ბოლო წელს. მივმართავ მთავარ პროკურატურას, დაინტერესდეს ამ შეწყალებულთა საქმეებით, იმიტომ, რომ მე მაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილმა ამ პერიოდში შეიწყალა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში ბრალდებულები, რომლებმაც ციხეებიდან გამოიტანეს 5, 10 და 15 წლები. საგამოძიებო ორგანოს წინ უდევს ფაქტობრივი მასალა, რომ სააკაშვილმა ბოლო ერთ წელიწადში შეიწყალა 5 200 პატიმარი. უნდა დადგინდეს, რის საფუძველზე მოხდა მათი განთავისუფლება, გაიარეს თუ არა შეწყალების კომისია – თუ, უბრალოდ, მიხეილ სააკაშვილის ხუშტურებზე დაყრდნობით მოხდა მათი განთავისუფლება.

ახლა დავაკვირდეთ ერთ უცნაურ რამეს – მას მერე, რაც არსებული ხელისუფლება მოვიდა მთავრობაში, პირველი, რაც გააკეთეს, ეს იყო პოლიტიკური ამნისტია. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებამ პირადი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედა და შეიწყალა 197 პოლიტპატიმარი, მაშინ, როცა 500-ზე მეტი პოლიტპატიმარი გვყავდა. დანარჩენები ვერ მოხვდნენ პოლიტპატიმართა სიაში სხვადასხვა მიზეზების გამო.

**— რა მიზეზებს გულისხმობთ?**

– პირველი – შეწყალების კომისიაში მოხვდნენ პარლამენტის ის წევრები, რომლებიც ყოფილი ადვოკატები იყვნენ და დღეს უმრავლესობის დეპუტატები არიან.

„ოცნების“ ხელისუფლებამ რომ შეწყალების კომისია შექმნა, ამ კომისიაში მოხვედრაზე იყო ძალიან დიდი წეწვა-გლეჯა. დიდი ტაციაობა გაიმართა ხელისუფლების წრეებს შორის. ამ ტაციაობაში ის არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულები, რომლებიც დაახლოებული არიან პარლამენტის ზემოხსენებულ დეპუტატებთან და ის პარლამენტის წევრები, რომელთაც ყოველთვის აწყობილი ურთიერთობა ჰქონდათ პროკურატურასთან – ყველი და პურივით იყვნენ. ელისაშვილმა, როგორც კი გააკეთა განცხადება, რა ხდებოდა 2013-14 წლებში, მაშინვე წამოუხტნენ პარლამენტარები. დავაკვირდეთ, ვინ გააკეთა ეს განცხადებები – ელისაშვილის განცხადებას უმალვე მოჰყვა პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადება, – მე არ მახსენდება ელისაშვილთან ასეთი საუბარიო. ვის სჯერა ახლა იმისი, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ, მთავარი პროკურორი, ამ მისი მოადგილე მოკვლევას დაიწყებდა? ეს ხომ სპექტაკლია?!

ელისაშვილმა სიმართლესთან ახლოს მდგომი განცხადება გაკეთა. შესაბამისად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პარლამენტის დღევანდელი წევრები – პირდაპირ დავასახელებ, ვინ იგულისხმა ელისაშვილმა – ყოფილი ადვოკატები და დღეს პარლამენტში მყოფი მაღალი თანამდებობის პირები არიან გარეულები არ ელიტარულ შეწყალებებში. ასევე, პირები, რომლებიც პროკურატურასთან ძალიან დაახლოებულები იყვნენ შევარდნაძის დროს, ვინც ახლაც დაახლოებული არიან პროკურატურასთან და კბილებით იცავენ „ნაციონალ“ პროკურორებს... ესენი არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – დაწყებული პარლამენტის თავმჯდომარიდან, დამთავრებული ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიული კომიტეტით – თავისი შავგულიძით, ჩემდა სამწუხაროდ, ქალბატონი ბესელიას მოადგილე გედევან ფოფხაძით და მათთან დაახლოებული ორგანიზაციებით.

**— რომლებს გულისხმობთ?**

– გეტყვით. არსებობენ იურიდიული ბიუროები, რომლებიც ხელისუფლებასთან არიან პირდაპირ ასოცირებული. მუშაობს ბესელიას ბიურო, ასევე, მისი ბიძაშვილის ბიურო, ბესელიას დის ბიურო მუშაობს, ასევე მუშაობენ უსუფაშვილთან დაახლოებული ბიუროები, ამავდროულად მუშაობს ნარმანიას ძმის ბიურო, კობახიძის ბიურო ხომ მუშაობს და მუშაობს... ყველა ეს ორგანიზაცია, პირდაპირ ასოცირდება ახალ ხელისუფლებასთან. გადაავლონ თვალი იმ შეწყალებულ პირებს და თუ ეს პირები, ვისაც ეს ამნისტიები შეეხოთ, ამ ბიუროების კლიენტები იყვნენ, ყველაფერი ნათელი გახდება.

ელისაშვილმა თქვა სიმართლე და ისიც დაამატა, რაც მე ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. ელისაშვილმა თქვა – ეს ყველაფერი ბადაშვილს მოვუყევი, იქ იჯდა შოთაძეც, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლიაო.

**— რასთან გვაქვს საქმე?**

– საქმე გვაქვს ძალიან დიდ სამართლებრივ პრობლემასთან. წასასვლელად გამზადებულმა ძალიან ჭკვიანმა და ძალიან ბოროტმა ზურაბ ადეიშვილმა გადაალაგა თავისი კადრები სხვადასხვა სისტემაში, რომ სამართლიანობის აღდგენაში ხელი შეეშალათ. ეს კადრები განლაგებული არიან პროკურატურის მაღალ თანამდებობებზე, შესაბამისად, ელისაშვილის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას არ მოჰყვა რეაგირება. ორი ძირითადი ფაქტორია – პირველი ის, რომ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის დანაშაულებზეა საუბარი, რის გამოძიებაც არ აწყობს მთავარ პროკურატურას. ეს რომ გამოეძიებინათ, გამოაშკარავდებოდნენ – დეპუტატები, ადვოკატები, სხვა მაღალი თანამდებობის პირები. ყველა, ვინც ქრთამს იძიებს. ან ვინ გამოიძიებდა ამას – ბადაშვილი ან შოთაძე?! ამათ თავად აქვთ უამრავი დანაშაული ჩადენილი კეზერაშვილის დროს და ეს რომ აპატიეს, ამის მერე ხელის განმძრევი იყო ვინმე? ესენი სრულად მორჩილი ადამიანები არიან. რეალურად სახეზეა ფაქტი, სახეზე არიან დანაშაულის ჩამდენი პირები, ძალიან მარტივი მოსაძებნია ქრთამის მიმცემიც და მიმღებიც, პასუხისგებაში მისაცემი ხალხი პარლამენტში სხედან, მაგრამ არავინ არაა გამომძიებელი. ამის გამოძიება ნიშნავს ხელისუფლების რღვევას. ეს რომ იქნას გამოძიებული, მაშინ ხელისუფლება უნდა გადადგეს.

კიდევ ერთი ნიუანსია, რომლის თქმაც ვერც ერთმა პოლიტიკოსმა დღემდე ვერ გაბედა, მაგრამ მე გავბედავ და ვიტყვი – ამ საკითხთან დაკავშირებული შედეგებით, ერთი ძალიან მაღალი ადამიანია დაინტერესებული. ამ ადამიანმა გადაწყვიტა ხელისუფლების ძალიან მაღალი თანამდებობის პირების გამოაშკარავება. ემზადება 2016 წლის არჩევნებისთვის, რა დროისთვისაც ხალხმა უნდა იცოდეს ბევრი პოლიტიკოსის თაობაზე სიმართლე. დღეს პროკურატურა ბიძინა ივანიშვილთან გამოცდას აბარებს. თუ შოთაძემ ეს გამოძიება მიიყვანა ბოლომდე, ეს ადამიანი გამოცდას ჩააბარებს, თუ ასე არ მოხდება, მაშინ ამოქმედდება გეგმა „ბ“, რომლის თაობაზეც ოდნავ მოგვიანებით გეტყვით.

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**რატომ აგრძელებს შიმშილობას სკოლიდან განთავისუფლებული პედაგოგი დავით ფერაძე და რა მოტივით აპირებს სასამართლოს გზით ბრძოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან?**

**„კვირის ქრონიკას“ პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე, დავით ფერაძე ესაუბრა:**

– მოკლედ გეტყვით, რატომ შევწყვიტე შიმშილობის აქცია და მერე რატომ განვაახლე. როდესაც შიმშილობის აქცია მქონდა, იცით, რომ ამით სანიკიძის ქმედება გავაპროტესტე და კანონიერების აღდგენას ვითხოვდი. მეგობრები სულ მირჩევდნენ, რომ ამით მხოლოდ ჯანმრთელობას დავიზიანებდი და ეს ვილი, იყო, რომ პირად მეცადინეობას სასკოლო გაკვეთილების მერე ჩავუტარებდი. მაგრამ მოხდა ისე, რომ 30-მდე მოსწავლე, ჩემი არაერთი თხოვნისა და რჩევის მიუხედავად, გაკვეთილებზე არ შევიდა. ამას მოჰყვა მშობლების პროტესტი. ე.წ. დირექტორს იმდენად გაუფუჭდა სახელი, მისი დანახვაც არ სურთ. პირდაპირ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს შეხვდნენ და კატეგორიულად მოითხოვეს სხდომის ჩატარება და ჩემი საკითხის ხელახლა განხილვა. სამეურვეო საბჭომ კიდევ ერთხელ მოგვცა პირობა, რომ უახლოეს დღეებში გამართავდა საჯარო სხდომას. ამ პირობის მოცემის მერე დავითანხმე გაყინული მოსწავლეები, რომ სკოლაში შესულიყვნენ, თუმცა დღის ბოლომდე მე დამიმძიმდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. გულ-სისხლძარღვთა ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში მომათავსეს. შესაბამისად, ცოტა გამოვეთიშე აქტიურობას. რომ ზოგიერთმა დირექტორმა დაიბარა ასეთი მოსწავლეები და უთხრა, მოერიდეთ ფერაძესთან რეგულარულ კომუნიკაციას, პრობლემებს ნუ შემიქმნითო. აღარაფერს ვამბობ მასწავლებლებზე. ზედმიწევნით ხდება, რასაც ვიძახდი. ვამბობდი, 116-ე სკოლის დირექტორს, მეჭურჭლიშვილს გუშვებენ-მეთქი, გაუშვეს. მერე ჩემზე რომ თათბირი შედგა და გადაწყდა სიბინძურის შეკერვა, ეს ბევრმა არ დაიჯერა, მაგრამ ყველამ დაინახა, რაც მოხდა. ახლა ჯერი „არასანდო ელემენტებზეა“ და მასწავლებელთა ოლიმპიური დუმილის პირობებში, მალე ასეთებსაც შეუთითხნიან. აი, სადამდე მივყავართ დუმილს. საუბედუროდ, მასწავლებლები ვერ ხვდებიან, რომ პირიქით უნდა მოიქცნენ. მაგრამ საარჩევნო ყუთთან ხომ ვეღარავის

# „ტოტალიტარიზმი მძვინვარებს ქვეყანაში! სტალინი რომ რეპრესიებს ახორციელებდა და ოჯახის წევრები რეპრესირებულის დატირებასაც ვერ ბედავდნენ, მიმსგავსებული სიტუაციაა ახლაც!“



რელიგიურადაც გაუმართლებელია იყო. ვაღიარებ, რომ ეს უკიდურესი ფორმაა, მაგრამ სხვა რა გზაა ამ უსამართლო ქვეყანაში უსამართლობასთან საბრძოლველად?! შიმშილობის მესამე დღეს მშობლები გააქტიურდნენ. უამრავ უწყებას მიმართეს. სკოლის სამეურვეო საბჭომ მოგვცა პირობა, რომ ჩემი გაშვების კანონიერების საკითხს აუცილებლად განიხილავდა. ამის მერე შევწყვიტე, მაგრამ მივიღე ინფორმაცია, რომ სამეურვეო საბჭოს სხდომის გამართვა შეგნებულად იწელებოდა. ორჯერ გადავადდა.

**— რა მიზეზით იწელებოდა?**

– ე.წ. დირექტორი ამას ვერც მოიფიქრებს და ვერც გაბედავს. ცხადია, სამინისტროს ხრიკია. ამიტომ განვაახლე პროტესტი და გადავწყვიტე სკოლის მახლობლად კარვის გამართვა და მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ჩატარება.

**— თქვენ ხომ შეგიწყდათ ხელშეკრულება და ეს როგორ?**

– სკოლიდან ჩემი წასვლის მერე საგაკვეთილო პროცესები თითქმის პარალიზებულია. ფაქტობრივად, ისტორიის გაკვეთილები ვერ ტარდება ნორმალურად, განსაკუთრებით ჩემს კლასში. მოსწავლეები თანახმა იყვნენ, ისტორია ესწავლათ ჩემთან კარავში და ამით ერთგვარი პროტესტიც ეთქვათ იმ უსამართლობისთვის, რაც სკოლაში გაამეფა სამინისტროს მარიონეტმა ხელმძღვანელობამ. ჩემი სურ-

**— რა პოზიცია უჭირავთ პედაგოგებს?**

– ეს ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ დაატრიალეს, მათ დასანახად გაკეთდა. ტოტალიტარიზმი მძვინვარებს ქვეყანაში. სტალინი რომ რეპრესიებს ახორციელებდა, ოჯახის წევრები რეპრესირებულის დატირებასაც ვერ ბედავდნენ. მიმსგავსებული სიტუაციაა ახლაც. მართალია, სანიკიძეონოფრიშვილის ხროვა სხვაგვარ ომსაც არ ერიდება ჩემთან და ვიცი, რომ ფიზიკური ლიკვიდაციისთვისაც მზად არიან, მაგრამ ჯერ ვერ ახერხებენ ამას. მინისტრს, ისედაც ბევრ რამეზე მოუწევს პასუხისგება. ნეპოტიზმზე, დირექტორთა პოლიტიკურ დევნაზე, შეკერილ საქმეებზე, კორუფციულ სქემებზე, სიცრუეებზე, სკოლების საპატიმროებად გადაქცევაზე. აბა, შედით რომელიმე სკოლაში. როგორ გეკადრებათ, ჩიტიც ვერ შეფრინდება. სამაგიეროდ უკანონო დირექტივების შესრულება კონტროლზეა აყვანილი. ყველა რესურსცენტრი გააფრთხილეს და ახლაც აფრთხილებენ, რომ, თუკი ჩემდამი ოდნავი სოლიდარობის ნიშან-წყალი გამოჩნდება, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს ნაცნობ მოსწავლეებსაც კი უკრძალავენ ჩემთან კონტაქტს. მაქვს ინფორმაცია, დააშინებენ. აი, იქ დამთავრდება მათი საქმე და რომც არ დამთავრდეს, სულ სავარძლებში ხომ არ ისხდებიან, სულ მალულად ხომ არ ივლიან ამ პატარა ქალაქში...

**— რას აპირებთ?**

– სკოლასთან არსებულ შრომით დავაზე ამ კვირაში შემაქვს სარჩელი სასამართლოში. პარალელურად უნდა ჩატარდეს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომა. ვალდებულია, რომ ჩატარდეს, თუ ისევ გადაიდო, ან კვორუმი რამდენიმეჯერ ვერ იქნება, მაშინ სამეურვეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხიც ძალაუნებურად დადგება.

სამინისტრო ცდილობს ხელის შეშლას, მაგრამ არ გამოვა. ზოგადად კი ვფიქრობ ადრე ნათქვამის რეალიზაციას, ბრძოლის პოლიტიკურ პლატფორმაზე გადატანას. ვაკვირდები პოლიტიკურ ძალებს, ვისთან შეიძლება თანამშრომლობა. მეტ-ნაკლებად ღირსეული ადამიანი და ნაცნობი თითქმის ყველა პოლიტიკურ წრეში მყავს, მაგრამ ვინც განათლების პრიორიტეტულობაზე აქცენტირებს, მათთან თანამშრომლობას ვფიქრობ, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მარტო მოვემზადო არჩევნებისთვის. სანიკიძის ხროვის მხილებას კვლავაც ვაპირებ და მეტი აქტიურობით. არ გამოვრიცხავ რაღაც ეტაპზე ჟურნალისტურ საქმიანობასაც დავუბრუნდე. მოკლედ, სიმართლის მსახურებისთვის ყველა ზნეობრივ გზას გამოვიყენებ.

ნანა სულავა
599 07-01-89

ბოლო დროს ქალაქის ცნობილ კლინიკებში ტრაგედიები ხდება, ზოგი პაციენტი ფანჯრიდან ხტება, ბევრი არასწორი მკურნალობის გამო იღუპება... შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკაში“, ე.წ. ინგოროყვას კლინიკაში კი ასეთი რამ მოხდა: პაციენტი, არც მეტი, არც ნაკლები, ექიმებს კარგა ხანს ჰყავდათ „დაპატიმრებული“ და რომ არა „კვირის ქრონიკა“, ვინ იცის, ავადმყოფი რამდენ ხანს ეყოლებოდათ გამოკეტილი. ეს სტატია დაახლოებით ორიოდე თვის წინ უკვე დასაბეჭდად იყო მზად, მაგრამ პაციენტმა მთხოვა, წერილი არ გამომექვეყნებინა, სანამ საქართველოს საზღვრებს არ დატოვებდა...

ინგოროყვას კლინიკის პაციენტმა, საბერძნეთის მოქალაქემ, 35 წლის კონსტანტინე მურადოვმა, მობილურზე დამირეკა, გატეხილი ქართულით თავისი გასაჭირი მომიყვა და დახმარება მთხოვა:

**— როგორც კი საქართველოში ფეხი დავდგი, იმდენი უსამართლობა ვნახე, კიდევ რას მომწევენ, არ ვიცი. ავარიაში მოვყევი, ერთი თვეა საავადმყოფოში ვმკურნალობ, თანხის უქონლობის გამო კი საავადმყოფოდან არ მიშვებენო...**

**მივაშურე ინგოროყვას კლინიკას... საავადმყოფოს შესასვლელში პაციენტის ახლობლები და ნათესავები შეკრებილიყვნენ. ახალგაზრდა ქალბატონი, ალიონა მურადოვა როგორც ავად**მყოფის და, ისე გამეცნო:

– ჩემს ძმას 24 საათი ვყარაულობ, ამ შენობიდან ფეხი არ მომიცვლია, თავს მოვიკლავო, მეუბნება. ეს არის დანაშაული, რასაც ამ საავადმყოფოს ექიმები სჩადიან და პასუხი უნდა აგონ...

ამ საუბარში მეოთხე სართულზე ავედით... პალატაში შეშლილი თვალებით იყურებოდა კონსტანტინე მურადოვი, მას სახე არ უჩანდა, მთლიანად დაბინტული იყო. ის იყო, უნდა გავსაუბრებოდი, რომ თავზე თეთრხალათიანი კაცი დამადგა, უხეშად მითხრა, პალატა დატოვეთო. პალატა ისე დამატოვებინეს, პაციენტთან გასაუბრება ვერ მოვასწარი.

ეტყობა, საავადმყოფოში ელვის სისწრაფით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟურნალისტი მივედი... რაღა უნდა მექნა, საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან მოვითხოვე გასაუბრება. ყველა ერთსა და იმავეს მპასუხობდა, – არ არიანო. ვერც კლინიკის მენეჯერი ვნახე, რომ გამეგო, სინამდვილეში რა ხდებოდა პაციენტთან დაკავშირებით. ყველა მხრიდან მითვალთვალებდნენ და სანამ შენობას დამატოვებინებდნენ, მყუდრო ადგილას გვერდზე გავიყვანე პაციენტის და ალიონა მურადოვა და მისი საუბარი ჩავიწერე:

– ჩემი ძმა საბერძნეთიდან სტუმრად ჩამოვიდა, ჯერ იყო და საბაჟოზე გააწვალეს, მერე ფეხით მიმავალს იმ დღესვე მანქანა დაეჯახა, თურმე მძღოლი სამანქანო გზიდან გადავიდა და ჩემი ძმა სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. დამნაშავე ერთ-ერთი ფირმის მძღოლი აღმოჩნდა, მომაკვდავისთვის უთქვამს, – მკურნალობის ხარჯებს მე დავფარავო, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ ის არავის გვინახავს. შემთხვევის ადგილზე დროულად მისულა სასწრაფო დახმარების მანქანა, ასევე, რუსთავის საპატრულო პოლიცია და ამის შემდეგ აღმოჩნდა ჩემი ძმა ინგოროყვას კლინიკაში.

**— შესაბამისი მკურნალობა თუ ჩაუტარდა თქვენს ძმას, დიაგნოზით რა დაუდგინდა?**

– მას ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, სახის ძვლის მოტეხილობა, გულ-მკერდის დახურული ტრავმა, მუცლის ღრუს ტრავმა დაუდგინდა, ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა, ამოაჭრეს ელენთა. მკურნალობის მხრივ უკმაყოფილო არ ვართ, ჩვენ იმაზე ვდაობთ, რომ მკურნალობის შემდეგ ჩემი ძმა „დააპატიმრეს“ და არ უშვებენ. მკურნალობის თანხამ 5000 ლარი შეადგინა, რადგან ამხელა თანხის გახადა ვერ შევძელით, ეს თანხა 8500 ლარამდე გაიზარდა. ამიტომ კლინიკიდან ჩემს ძმას არ წერენ... ჩვენს ოჯახს ძალიან უჭირს, ჩემს ძმას მცირე დანაზოგი ჰქონდა, როცა საქართველოში მშობლების სანახავად ჩამოვიდა. ახლა ისეთი ფსიქიკური აშლილობა აქვს, ამბობს, თუ აქედან არ გამიყვანთ, თავს მოვიკლავო. კლინიკის ქირურგიულმა ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ბაადურ მოსიძემ კატეგორიულად გვითხრა, – თანხა უნდა

# „როგორც კი საქართველოში ფეხი დავდგი, იმდენი უსამართლობა ვნახე, კიდევ რას მომწევენ, არ ვიცი. ავარიაში მოვყევი, ერთი თვეა საავადმყოფოში ვმკურნალობ, თანხის უქონლობის გამო კი საავადმყოფოდან არ მიშვებენ!“

**„ჩემს ძმას 24 საათი ვყარაულობ, ამ შენობიდან ფეხი არ მომიცვლია, თავს მოვიკლავო, მეუბნება“**



გადაიხადოთ. ეს კლინიკა ჩვენი საკუთრებაა, ჩვენი სახლია, ვერ გვაიძულებთ, რომ გემსახუროთ. სანამ ფულს არ მოიტანთ, არავინ გაგიშვებთ, ვისაც ფინანსური საკითხების მოგვარება ევალება, ის მართალიაო... რა ვქნათ, არ ვიცით, გვეშინია, ამასობაში ავადმყოფმა თავს არაფერი აუტეხოს. უკვე 10 დღეა, მკურნალობის კურსი დამთავრდა და გადასახადს დღითი დღე ემატება, ჯანმრთელი კაცი ინვალიდი დარჩა, ვისი მიზეზითაც ამ მდგომარეობაშია, პასუხისმგებლობა არ დააკისრეს.

შევეცადე, ავადმყოფის ახლობლები დამემშვიდებინა. ოფიციალური კომენტარი კლინიკის ხელმძღვანელებისგან ვერ მივიღე და კლინიკა დავტოვე. თუმცა, საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე დავუკავშირდი რუსთავის საპატრულო პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს მზია წიტაიშვილს და მომხდართან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვე, მან ამ საქმის გამომძიებელ თამაზ მინდიაშვილთან გადამამისამართა...

**თამაზ მინდიაშვილი:**

– სანამ გამოძიება არ დასრულდება, სასამართლოს არ გადაეცემა საქმე და მტყუანმართალი არ დადგინდება, უფლება არა გვაქვს, მძღოლს რაიმე სახის პასუხისმგებლობა დავაკისროთ... მძღოლმა თავისი სინდისით უნდა იმოქმედოს და არ უნდა მიატოვოს ავადმყოფი ამ მდგომარეობაში...

**ამბის გასარკვევად კომენტარისთვის ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს, ნინო მამალაძეს მივმართე:**

– „ინგოროყვას კლინიკა“ კერძოა, სამინისტროს ასეთი სახის პროგრამა არ გააჩნია, რომ უცხოეთის მოქალაქეს მკურნალობის თანხები დაუფაროს, ვწუხვარ, მაგრამ დახმარება არ შეგვიძლია....

**საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს ხელმძღვანელს, ნინო ბაქრაძეს დავუკავშირდი, — დახმარების გაწევა არ შეგვიძლია, საბერძნეთის საელჩოს მიმართეთო...**

საბერძნეთის საელჩოსაც მივმართე, საბერძნეთის კონსული შეწუხდა, ბოდიში მოიხადა, – თანხები არ გაგვაჩნიაო... ამ პასუხმა გამაოცა, რადგანაც საბერძნეთში გამგზავრებული ჩვენი თანამემამულეებისგან ვიცი, რომ 4000 აშშ დოლარის გადახდის გარეშე ვიზას არავინ აძლევთ საელჩოში და საინტერესოა, ეს თანხა სად ილექება?!.

ბოლოს, ისევ ინგოროყვას კლინიკის მენეჯერს, ნინო ფხალაძეს დავუკავშირდი მობილურზე, მან უხეშად მიპასუხა, – სანამ მკურნალობის ხარჯებს არ დაფარავს, ვერსად გავუშვებთო...

კლინიკის მენეჯერთან ნინო ფხალაძესთან სატელეფონო საუბრის შემდეგ და-ძმა მურადოვები დამიკავშირდნენ, თითქოსდა ციხიდან გაეთავისუფლებინათ და მომახარეს, – ქალბატონო ნანა, გაგვათავისუფლეს, თქვენ გაიხარეთო...

სამი დღეა, კონსტანტინე მურადოვმა საქართველოს საზღვრები დატოვა და ეს წერილიც, დაპირებისამებრ, ახლა მოვამზადე... გასაგებია, რომ ძალიან ცუდ სიტუაციაშია ჩავარდნილი კლინიკა, რომელიც კერძოა, კონკრეტული მომსახურება გაწია, ანაზღაურება ვერ აიღო და პრაქტიკულად ისიც დაზარალებულია და გარკვეულწილად დათმობაზე წავიდა, როდესაც პაციენტი ფულის გადახდის გარეშე გაწერა... მესმის ისიც, რომ გაჭირვებულ დღეში ჩავარდნილი პაციენტიც მსხვერპლია, ჯერ ფიზიკურად ავარიის და შემდეგ მორალურად – ფული რომ არ აქვს და პალატაში რომ იყო მიჯაჭვული. არ მესმის არც საგარეო საქმეთა სამინისტროსი და საბერძნეთის საკონსულოსი, რომელსაც სულ ცალ ფეხზე კიდია, ამ კაცს რა დაემართებოდა და ყველაზე მეტად სამარცხვინოა ძალოვანი უწყების დამოკიდებულება და მათი პოზიცია, რომ თურმე „სამართლიანი“ სასამართლო გადაწყვეტს, დაზარალებულ და ჯანმრთელობაშერყეულ, პირველი ჯგუფის ინვალიდს კონსტანტინე მურადოვს თანხის გადახდას დააკისრებენ თუ არა! არც ისაა გამორიცხული, ამ „სამართლიანი“ სასამართლოს გადაწყვეტილებით მურადოვზე საერთაშორისო ძებნაც კი გამოაცხადონ და ათენამდე არ ჩაჰყვნენ...



# ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



*ამ ყველაფრისთვის თავი გადავდეთ.*
*ცხოვრება მიდის, მიერეკება,*
*მუდამიც სწორედ არის ამაში,*
*კარგია, როცა მთავრობაში ხარ*
*და მადა მოგდის ხშირად ჭამაში“!*

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს აღსასრული, ანუ სოდომი და გომორი ახლოვდება, მაინც ვერ გავჩერდებით, ხელებს ვერ ჩამოვუშვებთ, სანამ ვართ, უნდა ვიბრძოლოთ – ნიორიც ვთესოთ, ძროხებიც ვწველოთ, ფულიც ვაკეთოთ და ვიქეიფოთ კიდეც. ვინაიდან, ჩვენი გამოსწორება აღარ იქნება, აეგრე ინერციით უნდა მივგორდეთ აღსასრულამდე. მოიცადეთ... იქნება და კესარია წინასწარმეტყველი ცდება? იქნება და ტყუილი დაწერა ვიღაცების ჯინაზე? მოდით, ერთ რამეზე კატეგორიულად შევთანხმდეთ: მართალია, სამყაროს ბომბი რომც არ დაეცეს და ცეცხლის წვიმაც არ მოვიდეს, ჩვენ არაფერი გვეშველება, მაგრამ იმედი მაინც შევინარჩუნოთ, თუ ეს იმედი მოსაკლავია, ბოლოს მოვკლათ! სწორედ ამასვე მოვუწოდებ პარაფსიქოლოგ მალხაზ გველუკაშვილს, რომელმაც ასეთი ლექსი დაწერა:

*„იქ, სადაც მონა ადგენს სამართალს*
*და კიდევ, ბრიყვი ქილიკობს ბრძენზე,*
*სადაც მაძღარი მშიერს წესს უგებს*
*დახარბებული მისაღებ ძღვენზე.*
*სადაც ლაჩარი გულში მჯიღს იცემს*
*და კაცს, ტრაკიანს, კაცური ჰქვია...*
*რაც ძვირფასია, საუცხოოა,*
*უშურველია მოძმისთვის ტყვია.*
*სადაც მამული მიწაა მხოლოდ*
*და არა ენის და სისხლის ძირი...*
*იქ ღმერთს ვერ ნახავთ — ულმერთობაა,*
*მძორებთან მხოლოდ ეშმაკს აქვს წილი“.*

ეეეჰ... ნათქვამია, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, როდესაც სამყაროს აღსასრულის შესახებ გავიგე, უცებ სურვილმა შემიპყრო, ამომეხსნა, რატომ დაგვემართა ჩვენ ასე... არა, მთელი დედამიწა კი ამყრალდა, მაგრამ ჩვენ მაინც ნამეტანი მოგვივიდა. ჰოდა, იცით, რა დასკვნამდე მივედი? ქართველებს სოციალიზმის პერიოდში ფიცი გვაქვს დადებული და ეს ფიცი გავტეხეთ. ა, ხალხო, თავად ნახეთ:

*„შხამად შეერგოს დედის რძე,*
*ცოფს ყრიდეს პირზიზღიანი,*
*დაეცეს, ხსნას არ ელოდეს,*
*ვერ მოირჩინოს ზიანი.*
*დაძრწოდეს, გზას ვერ*
*იკვლევდეს გახელებული, ზიანი,*
*მეწყერი წამოეწიოს,*
*დღე დაუბნელდეს მზიანი!*
*პურს ჭამდეს მიწა ეგონოს,*
*ყვავ-ყორნის ლეშად ქცეული,*
*წყალს სვამდეს სისხლი ეგონოს,*
*შხამგესლად ჩამოქცეული,*
*იწვოდეს, იტანჯებოდეს,*
*როგორც იუდა წყეული,*
*მშიერ მწყურვალი კვდებოდეს*
*მეზობლებს გამოქცეული!*
*ვინც უღალატოს სამშობლოს,*
*დიად საბჭოთა მხარესა,*
*მთაგორებს, ვეფხისტყაოსნებს,*
*მორთულ მოფარჩულ არესა,*
*ჩვენს მამულს შრომით აღდგენილს,*
*მშობლიურ მზეს და მთვარესა,*
*ჭერმაღალ ცას და ვარსკვლავებს,*
*მოკაშკაშ-მოელვარესა“!*

აჰა, ვინც დიად საბჭოეთს უღალატოს, დედის რძე შეერგოს შხამადაო, ცოფს ჰყრიდეს პირიდანაო, დაეცეს და ხსნას არ ელოდესო, ვერ მოირჩინოს ზიანიო, დაძრწოდეს და გზას ვერ იკვლევდესო... გეცნობათ, ზუსტად ამნაირი რაღაცები არ გვჭირს? ვააჰ, ფაქტიც გნებავთ? აი, მაგალითად, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, გურანდა გაბუნია თბილისის მერის მუშაობით კმაყოფილია და აცხადებს, რომ დავით ნარმანიამ არაერთი პროექტი განახორციელა. მეტიც, მას ამ ქვეყანაში არც ერთი ორმო არ უნახავს:

„მე არ მინახავს ორმო, სად არის ორმო? მითხარით, სად არის ორმო, წავალ და ვნახავ. ჩვენ ერთმანეთის ჭამა გვიყვარს და ეს ქართველების დიდი ტრაგედიაა. ერთმანეთს კი არ უნდა ჭამდნენ სხვა შეჭამონ. იუსტიციის სამინისტროს შენობა არასათანადოდ არის აშენებული, „ბლინჩიკებივით“ რომ არის შენობა და ქარი რომ არის და მიაქ და მოაქ ეს „ბლინჩიკები“. იუსტიციის სამინისტრო სულ გდია აქეთ-იქით, ცოდო არ არის, კაცო, ის „ბლინჩიკები“?

არა, მე მაინც მიყვარს ქალბატონი გურანდა, ნაღდი ქალია, პირდაპირი და მოურიდებელი, რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს. მართალია, ისეთი ფეხსაცმელებით დადის, საბჭოთა კაუჩუკის ძირები რომ აქვს და ორმოებს ვერ გრძნობს, მაგრამ სამაგიეროდ „ბლინჩიკებს“ ამჩნევს. გეფიცებით, ეს „ბლინჩიკები“ და ორმოები ნამდვილი პოეზიაა, როგორც ცხონებული ავლიპი იტყოდა, ბალეტია, ოღონდ პროზაულად ნათქვამი...

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ერო და ბერო, გამაგრდით, ახლა უნდა გაუწყოთ ძალიან სამწუხარო რამ: ესე იგი, როგორც კესარია წინასწარმეტყველის დავთარში წერია, ოდეს ველარ გავიგებთ, ვისი ვიოლინო ვის როიალში იქნება, ოდეს გურჯისტანში 75 ძროხას დანიის სამეფოდან ნახევარ მილიონ ლარად შემოიყვანენ და ერთ-ერთ ძვირად ღირებულ სასტუმროში ჩატარდება კონგრესი დევიზით – „ქართული ნიორი მსოფლიოს“, ოდეს დაიწყება ყვლეფა, გლეჯა, ღრენა და კბენა, მაშინ დადგება სამყაროს აღსასრული. აჰა, დადგა ეს დროც, ამ დღეებში უკვე ჩატარდა კონგრესიც, რომელშიც მონაწილეობდნენ მეწარმეები და სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლები მსოფლიოს 30 წამყვანი ქვეყნიდან. კონგრესი სიტყვით გახსნა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტკარაძემ და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ. მათი თქმით, მსოფლიო მეხაშეობის განვითარება წარმოუდგენელია ქართული ნივრისა და ლავაშის გარეშე. დიახაც, აჭარის მთავრობა გვპირდება, რომ სულ მალე ბათუმის ერთ-ერთ ძვირად ღირებულ სასტუმროში ხაშისა და ზედ ლავაშის კონგრესიც გაიმართება დევიზით: „ქართული ხაში მსოფლიოს“! აი, მე კი მზად ვარ, ამ კონგრესებს მივუძღვნა ჰიმნი (გერბზე სხვა მუშაობს):

*„ცხოვრება მიდის, მიერეკება,*
*ხვნა-თესვასა და განსჯა-დავაში,*
*ჩვენ გვაქვს ნიორი, პრასი და ხაში,*
*თუ გნებავთ, ზედაც კაი ლავაში.*
*ძროხები უკვე იწველებიან,*
*ლამის დაუსკდეთ თეთრი ცურები,*
*ეს ფულიც წვიმად მოედინება,*
*ვართ ტაშ-ფანდურზე გადასულები.*
*ციტრუსებს მალე დავაბინავებთ,*
*ჩვენ ეს პრობლემა აღარ გვადარდებს,*
*უმადურობა არ იყოს ოღონდ,*





**ცხოვრება მიდის, მიერეკება, მუდამიც სწორედ არის ამაში, კარგია, როცა მთავრობაში ხარ და მადა მოგდის ხშირად ჭამაში“!**



ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**პროდუქტები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დღითი დღე ძვირდება. საკვების გაძვირება კი ყველაზე მძიმე ტვირთად სოციალურად დაუცველ, გაჭირვებულ ადამიანებს დააწვა. გარდა პროდუქტებისა, ფასები მედიკამენტებზეც გაიზარდა. გაძვირებული პროდუქტებისა და წამლების ფონზე, თითქოს ჯიბრზე ახალი წელიც მოდის. ცხადია, ფასები კიდევ უფრო მაღლა აიწევს...**

**როგორ უმკლავდებიან გაჭირვებული ადამიანები წამლებისა თუ პროდუქტების გაძვირებას, როგორ ცხოვრობენ და აქვთ თუ არა რაიმე გამოსავლის იმედი?**

**ნათია, სოციალურად დაუცველი:**

– 108 ლარს ვიღებ სოციალურ დახმარებას, ამით რა უნდა ვიყიდო? წამლები თუ საჭმელი? ამ გაძვირებული წამლებისა და პროდუქტების ფონზე თავის გატანა ძალიან გვიჭირს. ბაზარში ვიყავი და რა ვიყიდე? ბავშვს ასთმა აქვს და წამლებში 40 ლარზე მეტი მეხარჯება. საკვებისთვის კი მცირე თანხა მრჩება.

**მაია, უმუშევარი:**

– ორი თვის წინ გულის ინფარქტი გადავიტანე. ამჟამად ძვირად ღირებულ წამლებს ვიღებ. გამგეობაში მივედი, განცხადება დავწერე და დახმარება მოვითხოვე. გამგეობისგან უარი მივიღე. შემდეგ ნათესავებმა წამლის ფული შემიგროვეს, იანვარში ისევ მჭირდება კურსის გაგრძელება, არ ვიცი, წამალს როგორ ვიყიდი.

**ნატა, უმუშევარი:**

– ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ, მართალია, ოპერაცია და ქიმიოთერაპია დამიფინანსეს, მაგრამ წამლებს უფასოდ ველარ ვიღებ. წინა ხელისუფლების დროს, წამლები უფასოდ მქონდა. რაც უფრო დრო გადის, მით უფრო რთულდება ჩვენი მდგომარეობა. ვერ წარმომედგინა, თუ ონკოლოგიურად დაავადებულ ადამიანებს სახელმწიფო უყურადღებოდ დატოვებდა.

**თათია გაბუნია, პენსიონერი:**

– არ ვიცი, როგორ დავხარჯო ჩემი პენსია, მერე შიმშილი მომიწევს. გადასახადებსა და წამალში ბევრი მეხარჯება. გამიხარდება, თუკი პენსიას მართლა მოგვიმატებენ, მეგონა, უკეთესობა იქნებოდა, მაგრამ როცა პროდუქტის ფასი იზრდება, რა მნიშვნელობა აქვს პენსიის მომატებას. გვპირდებიან, რომ პენსია 20 ლარით გაიზრდება. მანამდე მთელი წელია, 20 ლარით გვატყუებენ. **ტვინი გაგვიწყალეს, რომ თითქოსდა, 160 ლარი პენსიონერის არსებობისთვის საკმარისიაო. ამ დროს ჯიპებში გაჯგიმული პარლამენტისა თუ მთავრობის წევრები ოთხი თვის პენსიის ოდენ თანხას ერთ სადილში ხარჯავენ. პენსია უნდა გაუთანაბრდეს რეალურ საარსებო მინიმუმსო, მაგრამ რა? ჩვენ ვხედავთ, როგორ მდიდრდებიან მთავრობის წევრები და როგორ ღატაკდებიან ადამიანები. ეს უსამართლობა სადღაც ხომ უნდა დამთავრდეს?!**

**ნინო ჩიკვილაძე, სოციალურად დაუცველი:**

– ძალიან ბევრს დავდივარ იმისთვის, რომ შეღავათიან ფასებში ვიყიდო პროდუქტები, ბაზარი ძალიან ძვირია. ვისაც ფული აქვს, იმათთვის არ არის ძვირი. მაგრამ გაჭირვებული ხალხისთვის ძვირია. განსაკუთრებით ფასებმა რძის პროდუქტებსა და ხორცზე მოიმატა. ნიგოზი და თაფლიც ძვირია.

**მაია ფურცხვანიძე, სოციალურად დაუცველი:**

– სოციალურად მე და ჩემი შვილი შემწეობას ვიღებთ, მაგრამ ეს თანხა არსებობისთვის არ არის საკმარისი. რა მოხდება, რომ სოციალურად დაუცველებს შემწეობა საარსებო მინიმუმამდე გაგვიზარდონ? მაშინ ცოტათი მაინც ამოვისუნთქავთ. დენის გადასახადი გაძვირდა. ამიტომ 108 ლარი გადასახადებშიც და საარსებოდაც არ გვყოფნის.

**მანანა კარალაშვილი, უმუშევარი:**

– სოციალური მომსახურების სააგენტომ 103 ათასი სარეიტინგო ქულა დამიწერა და ფულადი დახმარება შემიჩერა. ჩემი ქონების დეკლარაციის შესავსებად აგენტი მოვიდა. რა ქონება დაინახეს? ერთი შვილი მყავს და ძაღლი, რომელიც უძრავ ქონებად ჩათვალეს. სხვადასხვა ფერის ლინელიუმი იატაკზე დავაფარე, ისიც მეზობლებმა მომცეს. აგენტმა ყველაფერი ფუფუნებად ჩათვალა. ორი დღის წინ შეტყობინებაც მომივიდა, რომ მერიის 10-თეთრიანი სამგზავრო ბარათი გამიუქმდა. მხოლოდ იმით ვსულდგმულობ, რომ უფასო სასადილოს საჭმელს ვჭამ. თუ ესეც არ წამართვეს. ვფიქრობ, ხელისუფლება არაფერს შეგვპირებია, უბრალოდ, გვითხრა, იოცნებეთო.

**კლარა, პენსიონერი:**

– ჩემთვის პროდუქტები ძალიან გაძვირდა. უმეტესწილად ბოსტნეულსა და ხილს ვყიდულობ. ფასები 1-2 ლარიდან იწყება. თუ ეგეც არ გაქვს, მაშინ სახლში უნდა გაიქცე. დეზერტირების ბაზარში გამოვდივარ, რომ ცოტა იაფად ავიღო. მართალია დეზერტირების ბაზარი დაანგრიეს, მაგრამ ქუჩაში იყიდება, სადაც პროდუქტებს იაფად ვყიდულობ. მაღაზიებში ბევრად ძვირია პროდუქტი, ამიტომ არ შევდივარ.

**ელისო, დიასახლისი:**

– გადახედეთ ბაზარს და პროდუქტი გაძვირდა თუ გაიაფდა, მიხვდებით. ახალი წელი მოდის და ფასებიც მაღლა იწევს. განსაკუთრებით გაძვირდა იმპორტირებული საქონელი. რადგან ლარის გაუფასურებამ პროდუქტებზეც იმოქმედა.

**არჩევნებამდე „ოცნების“ ხელისუფლება ადამიანებს დენისა და მასზე მიბმული ნაგვის გადასახადების განახევრებას ჰპირდებოდა. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლიდან მესამე „უკეთეს“ წელს, ფასები გაორმაგებულია: ელექტროენერგიაზე, წყალზე, გაზზე და დასუფთავებაზე. ამას ემატება ისიც, რომ დღითი დღე ცხოვრება ძვირდება. ამიტომაც, ისევე როგორც სოციალურად დაუცველებსა და პენსიონერებში, დასაქმებულ ადამიანებშიც უიმედო განწყობაა... ხელისუფლების ყველა შეპირება საშობაო ზღაპარივით გაქრა.**




## „ჩემი ქონების დეკლარაციის შესავსებად აგენტი მოვიდა! ერთი შვილი მყავს და ძაღლი, რომელიც უძრავ ქონებად ჩათვალეს და დახმარება შემიჩერეს!“







გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ალბათ, გახსოვთ, 2012 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ბიძინა ივანიშვილი ხშირად ამბობდა, საქართველოში ისეთი დემოკრატია დამყარდება, მარტო თქვენ კი არა, ევროპაც გაოცდებაო. მართალი ყოფილა ეს კაცი, არჩევნებიდან მესამე წელს ჩვენს ქვეყანაში უკვე ისეთი დემოკრატია დამყარდა, თქვენი არ ვიცი და, მე გაოცებისგან უკვე პირი მაქვს დაღებული. მართლა გეუბნებით, ფარულად იმნაირ ნიუანსებს ვაწყდები, მიმიქარავს დემოკრატიის შუქურა სააკაშვილი. მოკლედ, მოცალეობის ჟამს ძალიან მიყვარს საქართველოს პარლამენტის საიტზე ძრომიალი და რაღაცების ამოქექვა. ისეთი სასკანდალო საიტი, როგორიც ჩვენს პატივცემულ პარლამენტს აქვს, მეორეს ვერსად ნახავთ. დავიწყოთ თუნდაც სამივლინებო და სატელეფონო საუბრების ხარჯებით: 2014 წლის პირველ და მეორე კვარტალში დეპუტატებს ქვეყნის გარეთ დაუხარჯავთ 808 ათას 444 ლარი და 64 თეთრი (ეს 64 თეთრი რაღა ღორობაა?), ქვეყნის შიგნით – 4 ათას 767 ლარი და 64 თეთრი (ეს 64 თეთრი რაღა ღორობაა-მეთქი?). კი, ბატონო, ეს პირველ-მეორე კვარტალში, მაგრამ სად არის მესამე-მეოთხე კვარტალი? არსად, ანუ დოკუმენტებში არ იძებნება. არის თუ არა ეს დემოკრატია, როცა ოფიციალურ დოკუმენტებს სანახევროდ აქვეყნებ და არც კი გეშინია? დიახ, არის! სხვათა შორის, დაუკვირდით, ჩვენი დეპუტატები ქვეყნის გარეთ უფრო მეტს დაწოწიალობენ, ვიდრე ქვეყნის შიგნით. შეიძლება ზოგმა მითხრას, ქვეყნის გარეთ მოგზაურობა ძვირი ღირს, ვიდრე ქვეყნის გარეთ და ამიტომაც არის თანხებში ასეთი სხვაობაო. ესე იგი, ორ კვარტალში რომ ლამის 1 მილიონ ლარს ხარჯავ ევროპაში სამოგზაუროდ, ოთხ კვარტალში ხომ ეს დაახლოებით 2 მილიონი იქნება? ნუ, კაი, ორჯერ 64 თეთრზე არაფერს ვამბობ. ახლა იმაზეც ვთქვათ, საქართველოს ფარგლებში რომ 2 კვარტალში 5 ათას ლარამდე ხარჯავ, 4 კვარტალში დაახლოებით 10 ათასი არ იქნება? ჰოდა, ახლა შეადარეთ 10 ათასი და 2 მილიონი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა, ქვეყანას არ ეტყობა, ეს ჩვენი პარლამენტარები ძაღლებივით გარე-გარე რომ დარბიან და შიგნით რა ხდება, საერთოდ არ აინტერესებთ?! დიახ, ამას ადასტურებს სატელეფონო ხარჯებიც: მაგალითად, 2014 წლის პირველ-მეორე კვარტალში ჩვენმა დეპუტატებმა ტელეფონებით ქვეყნის გარეთ იმდენი ილაპარაკეს, რომ ჩვენი ჯიბიდან გადავიხადეთ 103 ათას 81 ლარი და 59 თეთრი (ეს 59 თეთრი რაღა ღორობაა?), ხოლო ქვეყნის შიგნით ლაპარაკისთვის გადავიხადეთ 52 ათას 390 ლარი და 84 თეთრი (ეს 84 თეთრი რაღა ღორობაა-მეთქი?). ზოგიერთი მეტყვის, ქვეყნის გარეთ საუბრები ძვირი ღირს, ვიდრე ქვეყნის შიგნითო. კი, ბატონო, ასეა, გეთანხმებით, მაგრამ ასეთი სხვაობა? რა ვიცი, კაცო, რა ვიცი, რომ ჰკითხო, ინგლისური ამათ არ იციან და რუსული, მაშინ სად ლაპარაკობენ ამდენს, ვის ელაპარაკებიან? მოიცადეთ, ესენი ინგლისურად ისე ნელა ლაპარაკობენ, სანამ „თუ-თუ-თუ“-ს დაამთავრებენ, ათასობით ლარი იწერება? ნუ, ახლა ამაში რომ არ დაგეთანხმოთ, ნაღდად შარზე უნდა ვიყო! აი, ამ შემთხვევაშიც არ გვაქვს ინფორმაცია, რამდენი გახარჯეს დეპუტატებმა ჩვენი ჯიბიდან 2014 წლის ბოლო 2 კვარტალში, ვითომც არაფერი, ვითომც არავის აინტერესებს, ვითომც არავინ მოიკითხავს, ვითომც არავის გაახსენდება და ჩაიფარცხება ეს საქმეც? არაფერიც, დაიდოს 2014 წლის ბოლო 2 კვარტალის მონაცემებიც, მაინტერესებს, რატომ ლაპარაკობენ დეპუტატები ქვეყნის გარეთ უფრო მეტს, ვიდრე სახლში, საკუთარ ცოლ-შვილთან თუ ქმარ-შვილთან? გასაგებია, მეგობარი ამათ აღარ იციან და ნათესავი, მაგრამ დავიჯერო, თავიანთი ოჯახის წევრებიც მოიძულეს? ან იქნებ უკვე ისე გაწუწკდნენ, რომ იქით ზარს უშვებენ და ეუბნებიან, გადმომირეკეო? არ იფიქროთ, ვხუმრობდე, დეპუტატებს, რომლებსაც პარლამენტის ბუღალტერიაში 5-ლარიან სარიტუალო თაიგულებზე განცხადებები აქვთ დაწერილი, აგვინაზღაურეთო, იმასაც იკადრებენ, ტელეფონში თანხა არ გვაქვს, გადმორეკეთო!

ახლა გადავიდეთ მეორე ფაქტზე, საიდანაც ჩანს, რა გასაოცარი დემოკრატიაა საქართველოში: მაგალითად, პარლამენტის საიტს აქვს ასეთი განყოფილება – „ლექსიკონები და ცნობარები“... აბა, ვცადოთ და შევიდეთ ამ განყოფილებაში. შევედით, აქ ვხედავთ ლექსიკონებისა და ცნობარების ფართო სპექტრს – ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, აბრევიატურების, აკრონიმების, სტენოგრაფიული, სლენგის ლექსიკონი, მრავალფეროვნების მართვის საფუძვლები, Основы управления многообразием (ქართულ და რუსულ ენებზე), იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (ინგლისურ ენაზე), საერთაშორისო სამართლის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი (რუსულ ენაზე), Краткий словарь терминов по международному праву, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის სააგენტოს ტერმინოლოგია, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოკლე საბანკო ეკონომიკური ლექსიკონი, საარჩევნო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ტერმინები, აბრევიატურები, ლათინური ფრაზები (ქართულ ენაზე), ორთოგრაფიული, განმარტებითი და სატელეკომუნიკაციო ლექსიკონი (ახლა ხვდებით, რატომ აერიათ ჟამკარი ჩვენს დეპუტატებს და რატომ ვეღარ ლაპარაკობენ ადამიანურ ენაზე? ამდენი წიგნი ლენინს რომ წაეკითხა, რევოლუციამდე მოკვდებოდა) და რაც მთავარია, საკანონმდებლო ორგანოს სამაგიდო ლექსიკონს წარმოადგენს „ლგბტ ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“. კეთილი და პატიოსანი, მოდით, დავაწკაპუნოთ „ლგბტ ლექსიკონზე“ და ვნახოთ, რას იზუთხავენ ჩვენი პარლამენტარები: ჰოი, მართლაც საოცრება, გაიხსნა... აქ ვხედავთ კიდევ ერთ განყოფილებას – „ჰომოფობიის ინდექსი“, ქვესათაური – „ამ ადამიანებმა თავი სიძულვილით გამოიჩინეს“. ამ სათაურების ქვეშ განთავსებულია პოლიტიკოსების ფოტოები, მათ შორის პარლამენტის წევრების: ზაქარია ქუცნაშვილის, გოგი ქავთარაძის, ომარ ნიშნიანიძის, კობა დავითაშვილის, ბიძინა გუჯაბიძის, ზვიად ძიძიგურის, სოსო ჯაჭვლიანის, ნუკრი ქანთარიას, გედევან ფოფხაძის, გოგი თოფაძის, გუბაზ სანიკიძის, დავით საგანელიძისა (ეს უკვე ყოფილი დეპუტატია) და ზაზა პაპუაშვილის. არა, აქ მთავარი ის კი არ გახლავთ, რა თქვეს ამ ადამიანებმა პედერასტებზე, ან რა ფორმით მოიხსენიეს სექსუალური უმცირესობები, არამედ ის, რომ „ელგებეტეებმა“ აიღეს და თავიანთი ე.წ. აფიშა პირდაპირ პარლამენტის საიტზე განათავსეს. მეტიც, საიტზე განთავსებულ ფოტოებს თანდართული აქვს ტექსტები, მაგალითად, აი, რას წერენ დეპუტატების შესახებ:

„საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე ჰომოფობია. მას აღიზიანებს „ლგბტ“ ადამიანები და ჰომოსექსუალობას „მეტრაკეობას" უწოდებს. კოალიცია „ქართული ოცნების" წევრი დეპუტატი „ლგბტ“ ადამიანების ქორწინების წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა“.

„საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ჰომოფობია. ის მომხრეა, რომ „ლგბტ“ ადამიანებზე ძალადობა არ ხდებოდეს, თუმცა აცხადებს, რომ „მამათმავლობა ცოდვაა". გარდა ამისა, ზაქარია ქუცნაშვილი „ლგბტ“ ადამიანების მიმართ ზიზღს ალვივებს“.

„პარლამენტის წევრი კოალიცია „ქართული ოცნებიდან" სოსო ჯაჭვლიანი ჰომოფობია. მას აღიზიანებს „ლგბტ“ ადამიანები და ებრძვის „ჰომოსექსუალობის პროპაგანდას". ჯაჭვლიანი მიიჩნევს, რომ „ლგბტ“ ადამიანები თავიანთ ორიენტაციას უნდა მალავდნენ და აღიარებას არ ითხოვდნენ“.

„ქართული ოცნების" წევრი ნუკრი ქანთარია ჰომოფობია. ის თვლის, რომ ჰომოსექსუალობა „გადახრაა".

„საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე ჰომოფობია. მას აღიზიანებს „ლგბტ“ ადამიანები და მიიჩნევს, რომ არ უნდა ხდებოდეს ჰომოსექსუალობის პროპაგანდა. თოფაძე მომხრეა, რომ „ლგბტ“ ადამიანებს ქუჩაში გამოსვლა აეკრძალოთ. გარდა ამისა, მას მიაჩნია, რომ ჰომოსექსუალობა „ავადმყოფობა და გადახრაა“. გოგი თოფაძე არ ესწრებოდა პარლამენტში სხდომას, რომელზეც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს“.

ყველა დეპუტატს, ვინც ამ ნომინაციაში მოხვდა, აქვს შეფასება და წაყენებული – ბრალდება. ისე, მიკვირს, რატომ არ გაამრავლეს „ელგებეტეებმა“ ეს აფიშები და თითოეულ მათგანს არ გაუკრეს სადარბაზოსთან? ახია თქვენზე, მოგიტ...ანთ გასაოცარი დემოკრატია!




## რა, ქვეყანას არ ეტყობა, ეს ჩვენი პარლამენტარები ძაღლებივით გარე-გარე რომ დარბიან და შიგნით რა ხდება, საერთოდ არ აინტერესებთ?!

### ახია თქვენზე, მოგიტ...ანთ გასაოცარი დემოკრატია!

„საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე ჰომოფობია. მას აღიზიანებს „ლგბტ“ ადამიანები და ჰომოსექსუალობას „მეტრაკეობას“ უწოდებს. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატი „ლგბტ“ ადამიანების ქორწინების წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა“.






„საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ჰომოფობია. ის მომხრეა, რომ „ლგბტ“ ადამიანებზე ძალადობა არ ხდებოდეს, თუმცა აცხადებს, რომ „მამათმავლობა ცოდვაა“. გარდა ამისა, ზაქარია ქუცნაშვილი „ლგბტ“ ადამიანების მიმართ ზიზღს აღვივებს“.

# კრიმინალური ისტორიები

# რომან გვენცაძე: „დღემდე ვერ მასვენებს

## „ამაზე დიდი „ჩაფლავება“ ბევრი

ქეთევან ჩემია
599 57 12 90

**შს მინისტრის, გენერალ-მაიორის, რომან გვენცაძის მონაყოლი კრიმინალური ისტორიების მიხედვით დაიწერა მწერალ გიორგი სანადირაძის ნაწარმოები „აკრძალული თამაშები“. თავად რომან გვენცაძემ დაწერა რომანი „საბედისწერო გასროლა“, რომლის მიხედვით ფილმიცაა გადაღებული. შემდეგ რომან გვენცაძემ კიდევ ორი წიგნი დაწერა და გაჩერდა.**

**— რატომ, ბატონო რომან, იქნებ, უკვე აღარ გახსოვთ გარდასული მოვლენები?**

– პირიქით, ყველაფერი კარგად მახსოვს, მაგრამ მე მილიციელად დავრჩი, რომელსაც ყველაზე კარგად ენაზე კბილის დაჭერა უნდა სცოდნოდა და ოპერატიული საქმე. ორივე კარგად ვიცი დღემდე. ტყუილის არც თქმა მინდა და არც დაწერა. როცა ამის შესახებ განვაცხადე ხალხმრავალ მიტინგზე, დამცინეს. ეგონათ, რომ ვიტრაბახე. არც ტრაბახი მჩვევია. რაც ძალიან ძნელი დასაჯერებელი. ხომ ასეა? ამიტომაც არ ვწერ, რადგან მიმაჩნია, რომ იმდენი დრო არ გასულა, რომ ყველაფერი გავამხილო, რაც საიდუმლოდ მიმაჩნია, რადგან ეს უკვე ველარაფერს შეცვლის.

**— ნარიყალაზე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის აღდგენაზე მომიყევით.**

– ბაიკალ-ამურის მხარეში „ყამირ მიწაზე“ ნამყოფი ბიჭები მეცამეტე საუკუნის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარის ალსადგენად ყოველ შაბათ-კვირას დავდიოდით. და თუ ამქვეყნად რაიმე კარგი გამიკეთებია, ალბათ, ეს არის. ბედნიერი ვარ, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია, გადავხედო და გავიხსენო იქ მუშაობისას განცდილი სიამოვნება.

**— „ოპერატივნიკი“ როგორ გახდით?**

– ჩემი და უფრო ადრინდელი თაობისთვის გამომძიებლობისკენ ბიძგის მომცემი იყო ჩვენი „კუმირი“ – შერლოკ ჰოლმსი. ჩვენი ბავშვობის გატაცება იმით დამთავრდა, რომ ბევრი ჩემი მეგობარი უკვე შს ორგანოებში მუშაობდა, მე სულ სხვა პროფესიას დავეუფლე, მაგრამ ღამეც გამოძიება და „ოპერატიული საქმე“ მესიზმრებოდა.

**— მანამდე როგორ ცხოვრობდით?**

– 19 წლის ასაკში ოჯახს მოვეკიდე. ეკონომიურად გვიჭირდა და რა ხელობაზე არ მიმუშავია, უკვე მქონდა გამოცდილება, მემუშავა ელექტროშემდუღებლად, ზეინკლად, ტრაქტორისტად, მშენებლობებზე ფიზიკურად. ყველა შრომა კარგია, მაგრამ გადამეტებული რომ არაფერი ვარგა, მას შემდეგ მივხვდი, როცა ამდენმა ფიზიკურმა და გონებრივმა შრომამ ერთად „მიწია“ და „მაჯობა“, თუმცა, ვაღიარებ, ყველა ხელობა გამომადგა ცხოვრებაში.

ნავთლუღში ვიზრდებოდი, ამ უბანში მუდმივად იყო ჩხუბი და აყალმაყალი. ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ბიჭები თავს ხომ არავის დავაჩაგვრინებდით, და როგორც კი „ბოქსი“ შემოვიდა მოდაში, დავიწყეთ სიარული და სულ მალე კარგად „ვურტყამდით“. შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემი ძმაკაცები, რომლებთან ერთადაც „შერლოკ ჰოლმსობაზე“ ვოცნებობდი, ოპერატიულ სამსახურში იყვნენ, მე კი, ვინც ნამდვილ „ოპერატივნიკად“ დაბადებულად მივიჩნევდი თავს – ზვერევის სახელობის ინსტიტუტში ვმუშაობდი. სამშენებლო მექანიკა და სეისმომედეგობის ამ ინსტიტუტში ოთარ კვიცარიძის ხელმძღვანელობით სამი წელი ვიმუშავე. მახსოვს, შს ორგანოებში ჩემი გადასვლის შესახებ რომ გაიგო, კინალამ გადაიყვნენ. ნეტარხსენებული მამაჩემი სიცოცხლის ბოლო წუთამდე მარიგებდა, ქრთამი არასდროს აიღო, სიღარიბეში ცხოვრება სჯობია „სინანულში“ ცხოვრებასო... სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების რიგითი ინსპექტორობით დავიწყე და მინისტრობამდე ყველა საფეხური გავიარე... როცა გამომძიებელი გავხდი, სისხლის სამართლის ყველა საქმის გახსნა მინდოდა, ახლა, უკვე კარგა ხანია შეხება არა მაქვს „ოპერატიულ საქმესთან“, მაგრამ როცა მძინავს, მაშინაც ოპერატიული საქმე მელანდება და მესიზმრება: კვლავ დანაშაულს ვებრძვით. როცა ვმუშაობდი, ლი და დაუსჯელი დაგვრჩა. შემდეგ, მოგვიანებით იყო ჩემი მეგობრის შვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვა. მართალია, უკვე ორგანოებში აღარ ვიყავი, მაგრამ პირადი კონტაქტებით ჩარევის შემდეგაც არაფერი გამოგვივიდა... უზომოდ ვწუხვარ ჩვენი მხრიდან გამოჩენილ უსუსურობას. ისევ ისე მტკივა და სანამ ცოცხალი ვარ, ასე იქნება.

**— რისი თქმა გინდათ, რომ** მემუშავა. როცა საქმე გამოძიებასა და ოპერატიულ საქმიანობას ეხებოდა, ზომაზე მეტად გაბედული ვიყავი, იღბალიც მწყალობდა, რადგან რამდენიმეჯერ მძიმედ დაჭრის მიუხედავად, ცოცხალი გადავრჩი, თუმცა ახლა გამიხსენა და საკმაოდ „მიშლის“ ნორმალურ ცხოვრებას, მაგრამ მაინც არაფერს ვნანობ. ახლა რომ თავიდან იწყებოდეს ყველაფერი, პირადად ჩემ მიერ ერხავს და ვირთხასავით გამძვრალა ამ მომცრო „ხვრელიდან“. ამაზე დიდი „ჩაფლავება“ ბევრი არ ყოფილა ჩემს პრაქტიკაში. მთელი ძალით ამუშავდა „ოპერატიული სამსახური“. მოკლე დროში მივიღეთ ინფორმაცია და დამნაშავე სამტრედიაში გაჩერებული „სატვირთო“ ვაგონიდან „ციმციმ“ ავიყვანეთ.

...ვმუშაობდი, როგორც შემეძლო, თავდადებული, მა-



**„მეტრო „დიდუბის“ მიმდებარედ მოკლული და გაუპატიურებული, 11 წლის გოგონას გვამი ვიპოვეთ, რომელსაც თავი ისე ჰქონდა გაბრტყელებული, რომ ექსპერტიზამ ფიზიკურად ტვინის არსებობის კვალს ვერ მიაგნო**

მერია კაცი, „რატომ მღალატობო“, ლამის იტირა. რკინაბეტონის კონსტრუქციებზე კი მქონდა გამოგონებები, მაგრამ ჩემი მისწრაფება საინჟინრო საქმე აშკარად არ იყო და მიუხედავად იმისა, რომ მოვალეობას ვასრულებდი და შესანიშნავად ვუძღვებოდი საქმეს: ლაბორატორიებში ცდებს ვატარებდი და გამოძიებაზე ვოცნებობდი. უყურა ჩემს „საცოდაობას“ ჩემმა მეგობარმა კარლო გაბუნიამ და პირდაპირ მილიციის განყოფილებაში ჯემალ მიქელაძეს მიმაყენა (რომელიც შემდეგ, ჩემი მინისტრობისას, ჩემი მოადგილე გახდა) და უთხრა, „ამას მილიციელობა უნდაო“... ეს იყო ჩემდამი გამოჩენილი ერთადერთი პატრონობა მეგობრის მხრიდან, სხვა პროტექტორი არასდროს მყოლია. მშობლები უპატიოსნესი ადამიანები შედეგებიც გვქონდა. ძალიან ბევრი „უიმედოდ“ ჩათვლილი საქმე გაგვიხსნია და მიგვიყვანია სასამართლომდე. მაგრამ დღემდე ვერ მასვენებს რამდენიმე კრიმინალური საქმე, დანაშაული, რომელიც დროულად ვერ გავხსენით, შემდეგ ისეთმა მოვლენებმა მოუსწრო, რომ ველარ მივუბრუნდით.

**— რომელი საქმეები?**

– რა დამავიწყებს, მეტრო „დიდუბის“ მიმდებარედ მოკლული და გაუპატიურებული, 11 წლის გოგონას გვამი ვიპოვეთ, რომელსაც თავი ისე ჰქონდა გაბრტყელებული, რომ ექსპერტიზამ ფიზიკურად ტვინის არსებობის კვალს ვერ მიაგნო. ვარაუდიც კი არ არსებობდა, რას და როგორ უნდა გამოეწვია ეს. ასევე, ვერ ვპატიობ საკუთარ თავს, რომ 11 წლის გაუპატიურებული გოგონას მკვლელი დაუდგენე-

**დანაშაული და დამნაშავეები დღესაც ისევე გაღელვებთ, როგორც თავის დროზე?**

– ასეა. მატერიალურ-ტექნიკური მწირი შესაძლებლობა და „ძალოვანი სტრუქტურისთვის“ სრულიად შეუფერებელი შენობები გვქონდა, ამჟამინდელი სრულად კომპიუტერიზებული პოლიციისგან განსხვავებით, მაშინ გამოძიებას ვაწარმოებდით საკუთარი ალღოს და მაღალი დონის ოპერატიულობაზე დაყრდნობით, თითქმის ცარიელი ხელებით... მოხდა ისე, რომ მილიციაში მუშაობის დაწყებისთანავე ჩემი დაწინაურება ისეთი სისწრაფით დაიწყო, ხანდახან შიში მიპყრობდა, ერთბაშად რომ „ამწიეს“, ასევე უცებვე არ „მომიქნიონ“ და ძირს არ დამანარცხონ-მეთქი, მაგრამ ეს სიფრთხილე ხელს არ მიშლიდა, თავდაუზოგავად განვლილ ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდი და ისევ ისე გავივლიდი იმ გზას, რაც გავიარე, ისევ ისე გავუძლებდი ყველაფერს და იმ საქმეებს მაინც ბოლომდე მივიყვანდი.

**— მაგრამ ხანდახან დამნაშავეები თქვენზე არანაკლებ რისკიანები ხომ აღმოჩენილან?**

– კი, იყო. ჯერ კიდევ რიგითი ვიყავი, როცა ერთმა ბოროტმოქმედმა ჩვენი თანამშრომელი მოკლა. საქმე ოპერატიულად გავხსენით, დამნაშავე ავიყვანეთ და „დროებითი დაკავების იზოლატორში“ მოვათავსეთ და შადურთან, მაშინ მინისტრის მოადგილე იყო, თათბირი დაიწყო თუ არა, მორიგემ გვაცნობა, „კაპეზედან“ პატიმარი გაგვექცაო. არ ვიცი, „სახეხელა“ ე.წ. „ნაჟოვკა“ როგორ ჩაიგდო ხელში, მაგრამ ცხადი გახდა, რომ რკინის ცხაური გადაუხგრამ იმიტომ კი არა, ვინმესთვის თავი მომეწონებინა სხვისთვის ტკივილის მიყენების ხარჯზე. ვასრულებდი მოვალეობას, ვებრძოდი დამნაშავეობას, თორემ ვინმეს პიროვნული ინტერესი არასდროს მქონია. ერთ მაგალითს ხშირად ვყვები ხოლმე, რადგან ცნობილ „კანონიერ ქურდს“ შეეხება, რომელსაც ნახევარი თბილისი იცნობდა და თქვენ წარმოიდგინეთ, პატივსაც სცემდნენ. რიგითი მილიციელი ვიყავი, როცა ჩვენი გზები გადაიკვეთა. მოხდა ისე, რომ ორივე შეიარაღებული ერთმანეთის პირისპირ ვიდექით. ჩემი ტაქტიკა თავიდანვე ასეთი იყო: რაც უნდა მომხდარიყო, სისხლი არ უნდა დამეღვარა. მიზანში ამოღებულს მესროდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიცია მეჭირა, ვერ მახვედრებდა. ნებისმიერი

# რამდენიმე კრიმინალური საქმე!“

## არ ყოფილა ჩემს პრაქტიკაში“





მუშაკი, ჩემს ადგილას, არ დაინდობდა – მოკლავდა. დამიზნებით არ ვესროდი, ველოდებოდი, ტყვია როდის გამოელეოდა, რომ შემდეგ უმტკივნეულოდ ამეყვანა. ასეც მოხდა, მაგრამ მან ბოლო ტყვია დაიხალა... ჩახუტებული ლამის კილომეტრი ვათრიე... სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანილსაც მე ვახლდი. ექიმებმა არც იცოდნენ, რომ დამნაშავე იყო და რადგან აუცილებლობა დადგა, ჩემი სისხლი გადაუსხეს. ყველაზე საინტერესო მისი ნარკოზიდან გამოსვლა იყო, თვალი გაახილა თუ არა, მე რომ დამინახა, კბილების ღრჭიალით მითხრა, გგონია, გადამარჩინე? ხომ კარგად იცი, რომ დამხვრეტენო... ამბავი, რომ მილიციელმა ქურდს საკუთარი სისხლი მისცა და სიკვდილს გადაარჩინა, მთელ საბჭოთა კავშირს მოედო და არ ვიცოდი, როგორ დამთავრდებოდა. მაინც გადავწყვიტე, დაწყებული საქმე ბოლომდე მიმეყვანა. მაგრამ მისთვის არაფერი მითქვამს... მაშინდელ მინისტრ კოტე კეთილაძესთან „ოპერატიულ თათბირზე“ გამოვცხადდი. მინისტრი საქმისადმი ჩემს თავდადებას აფასებდა და ძალიან ვუყვარდი. მოვუყევი, რაც მოხდა. იქ მყოფმა შადურმა მკაცრად მკითხა, რატომ გარისკე და არ ესროლე, ხომ შეიძლებოდა, ემსხვერპლეო. „ავუხსენი“: ძალიან ლამაზი ბიჭია და დამენანა, მინდოდა ეცოცხლამეთქი. „თავდადებად“ ჩამითვალეს და ჯილდოზე წარმადგინეს, თუნდაც საშიში დამნაშავის, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის. ვისარგებლე ამით და ყველაფერი გავაკეთე, „საქმე“ ისე შედგენილიყო, რომ მისთვის განაჩენი დახვრეტა არ გამოეტანათ. ასეც მოხდა, მაგრამ საკმაო ხნით პატიმრობა მეუსაჯეს.

**— ამბობენ შემდეგ ახლობლობა გაკავშირებდათ...**

– დიახ. მალე გოგონა შეეძინა.... ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნათელ-მირონი აკავშირებდა ჩვენს ოჯახებს. ამ ურთიერთობას ორივე ძალიან ვუფრთხილდებოდით... აქვს ამ ცისქვეშეთში ყველაფერს თავისი დრო.

**— ამბობენ, იმ დროს მომრავლებულ სხვა კრიმინალებსაც სწყალობდით, თურმე. მართალია?**

– ვერ ვიტყვი, რომ ვწყალობდი. დანაშაულს არავის ვპატიობდი და ვიბრძოდი, როგორც შემეძლო, მაგრამ ამ დროს არასდროს არავის პატივი და ღირსება არ შემილახავს, პიროვნულად შეურაცხყოფას არავის ვაყენებდი და უღირსად არავის ვექცეოდი. პირნათლად ვასრულებდი მოვალეობას, რომელიც ჩემთვის „წმიდათაწმიდა“ იყო, დაუმსახურებლად, რაიმე ახირების გამო, არასდროს არავინ დამისჯია. პასუხად, ჩემდამი ასევე ღირსეულ დამოკიდებულებას ვგრძნობდი.

**— ამბობენ, უფროსების მხარდაჭერით სარგებლობდით და ხანდახან კანონსაც არღვევდით.**

– შსს-ს პირველ პირებს შორის მხარდამჭერები მყავდა, მაგრამ მათი კეთილგანწყობით ბოროტად არასდროს მისარგებლია. მაგალითად, სანდრო კავსაძე, მინისტრობისას, ჩემი მოადგილე იყო. უკეთილშობილესი, ნიჭიერი და პატიოსანი კაცი, რომელიც ამ მხრივ არაერთხელ გვერდში დამდგომია. ხდებოდა ხოლმე, რომ „ადამიანურობის სახელით“ ცოტ-ცოტა „დახმარება გამიწევია“ დამნაშავეებისთვის, მაგრამ ეს თავის მართლების მეტი საშუალების მიცემას არ გასცილებია. ამ გზით ერთ-ერთი გადარჩენილი „დამნაშავე“ წლების შემდეგ რუსეთიდან გამდიდრებული ბიზნესმენად გაგვიბრუნდა და გამოჩენილი „გულისხმიერებისთვის“ პატივისცემის ნიშნად „ზაჟიგალკაც“ კი მისახსოვრა... კიდევ ერთი მახსენდება, საკუთარი მანქანით ნაქურდალის გადატანაში, ანუ „ქურდობის თანამონაწილეობაში“ ედებოდა ბრალი. ხელმძღვანელობას ვთხოვე, ნორმალური ცხოვრების შანსი მიეცათ და დამთანხმდნენ. „საქმეში“ შესაბამისი ჩვენება ჩავდეთ და სასამართლოსთვის გავამზადეთ. არ იცოდა იმ უბედურმა და როცა მასაც იგივე „ჩვენება“ დააწერინეს, ვერ მიხვდა, რომ უნდა გადაგვერჩინა, ეგონა, მაპატიმრებენ და ოჯახი უპატრონოდ მრჩებაო, სიკვდილი ამჯობინა და მესამე სართულიდან გადახტა. ბედად გადავარჩინეთ. მსგავსი შემთხვევა კიდევ ბევრი გვქონდა, მაგრამ ზოგადად დამნაშავეთა სამყარო მერიდებოდა. როცა ქალაქის სამმართველოს უფროსი გავხდი, თბილისში არც ერთი ე.წ. „კანონიერი ქურდი“ არ იყო. რადგან თავი აგვარიდეს და წავიდნენ, ვინც დარჩა, დავაპატიმრეთ კონკრეტულ დანაშაულზე და ფაქტზე და არა იმიტომ, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობას აღიარებდნენ. მათ ქრთამის მიცემის წაქეზებაზე, უფრო ხშირად თანხის გამოძალვის მიზნით ადამიანის მოტაცებაში ედებოდათ ბრალი. ამას არავის ვაპატიებდი. მით უმეტეს, ადამიანის გატაცების ფაქტი უკვე ათასობით იყო და ერთდროულად 30 მონაწილე, თუ თანამონაწილე დავაკავეთ, მათ შორის 8 „კანონიერი ქურდი“, რომელთა შორის ერთი მართლაც გამორჩეული იყო – გუჯა ბოჭორიშვილი – ტექნიკური უნივერსიტეტის „წითელ დიპლომზე“ კურსდამთავრებული, განათლებულ პიროვნებად მიმაჩნდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია დაპირისპირებულ მხარეებად დავრჩენილიყავით და ჩვენი რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ურყევად გვქონოდა. ზოგიერთთან საუბრები მქონია და დამირწმუნებია კიდეც, რომ მათ „საქმიანობას“ ჩვენთან „მომავალი“ არ ჰქონდა და აქედან სამუდამოდ წასულან, რითიც საკუთარი თავი გადაურჩენიათ და დღემდე მიხარია, რომ ეს ჩემი დახმარებით მოხდა.

როცა მიტინგები დაიწყო, მე თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი ვიყავი და მაშინ მომეცა ყველაზე მეტი საშუალება დავხმარებოდი ადამიანებს, რადგან ციხეს კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, როგორ „აფუჭებს“ ადამიანებს, ამიტომ ვცდილობდი, თუ ოდნავ მაინც იძლეოდა „საქმე“ ამის საშუალებას, ციხეში არ გამეშვა უფრო ხშირად ახალგაზრდები. მივიდოდი პოლიციის განყოფილებებში და გავხედავდი „საქმეებს“, ვარკვევდი, რომლისთვის შეიძლებოდა „შეღავათის“ გაწევა. უფრო „წვრილმან ხულიგნობას“ ვპატიობდი და დაუყოვნებლივ ვათავისუფლებდი. იყვნენ ვიღაცები, ჩემი უსაყვარლესი ადამიანებიც მათ შორის, ვინც მაშინ დასასჯელად ვერ გავიმეტე, ვინ იცის, იქნებ, მეშველა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელი. ვინ იცის, ესეც ბედისწერა იყო...

**— მილიციაში თქვენი მუშაობის ყველაზე რთული დრო მაინც როდის იყო?**

– 1989 წლის 9 აპრილი. იმ დროსაც მათთან ერთად ვიყავით. მაშინ თბილისის სამმართველოს უფროსი გახლდით. ნაბრძანები იყო, მომიტინგეების რაოდენობა რომ შეთხელდებოდა, მაშინ აგვეყვანა, ზოგი საავადმყოფოში და ზოგიც შინ გაგვენაწილებინა. მაგრამ იმ ღამეს საფრთხე იგრძნეს და ძალიან ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი მათთან. ღამის სამ საათზე მოვიდა რუსეთის არმია, რომელსაც საბჭოთა კავშირის თავდაცვის პირველი მოადგილე კოჩეტოვი და ამიერკავკასიის ჯარების გენერალი როდიონოვი ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც ჩვენთან შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. 9 აპრილის ის ღამე დღემდე კინოკადრებივით გამირბენს ხოლმე თვალწინ. დღემდე მახსოვს ზოგიერთი იქ დამსწრის სახელი და გვარი, პატარების თვალებში ჩამდგარი უსაშველო შიში. რამაც მე და ჩემი მოადგილე პარაპეტზე აგვიყვანა და იქიდან ვხელმძღვანელობდით ხალხის გასასვლელი დერეფნის შექმნას. საცობი რომ დაიშალა, უკვე შეიძლებოდა ჩვენი სახეზე ცნობა. ზოგი „ბიძია რომანს“ მეძახდა, ზოგი „ბატონო რომანს“. ყველა დახმარებას ითხოვდა. ხალხში გადასულებმა ბევრმა ჩვენგანმა იწვნია რუსის ჯარისკაცის „დუბინკების“ და ნიჩბების სიმწარე. რომ არა ჩვენი მილიციის მიერ გამოჩენილი გმირობა, რომელიც ყველასთვის ცნობილია და კიდევ ერთხელ უბრალოდ გავიმეორებ, რომ ჩვენი ახალგაზრდების დიდი ნაწილი სწორედ ჩვენ გადავარჩინეთ, თორემ ის ბოროტი „ღონისძიება“ ისე იყო დაგეგმილი, ბევრად მეტი ადამიანი დაიხოცებოდა. ხალხისთვის დახმარების გაწევისას ზოგიერთი ჩვენი თანამშრომელი მძიმედ დაიჭრა. მეც კარგად ვიყავი ნაცემ-ნაბეგვი. იმ ღამეს ნაბრძანები გვქონდა უიარაღოდ გამოვცხადებულიყავით, თვით „ხელჯოხების“ გარეშეც.

**— ცნობილია, რომ არც იარაღის ხმარების უფლება გქონდა.**

– ჩემი მინისტრობა 1992-93 წლებს დაემთხვა, როცა ხალხი ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავდა. იარაღის „გამოყენების უფლება“ ხალხმრავალ ადგილებში არ გვქონდა. ხელჯოხებიც იმ დროს მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა, რადგან არასდროს გამოუყენებია მილიციას. თუმცა მისი გამოყენება შეგვეძლო, მაგრამ ხალხის მიმართ მორიდება გვქონდა, ვუფრთხილდებოდით, ყველა ღონის მივმართავდით, რომ შეტაკება, შეხლა-შემოხლა და გზების გადაკეტვა თავიდან აგვეცილებინა.

**— ბევრჯერ ხართ დაჭრილი, ყველაზე „შთამბეჭდავი“ რომელი იყო?**

– იმ დროს შს მინისტრი დილარ ხაბულიანი იყო და საავადმყოფოში მოხვდა. მის მოვალეობას ვასრულებდი. ამჟამინდელი პარლამენტის შენობის პირველ სართულზე გვქონდა შტაბი, როცა გვაცნობეს, რომ ოპოზიციის და ხელისუფლების დაპირისპირებას აქვს ადგილიო. მხარეების დასაშორიშორებლად პარლამენტის წინ პიკეტის მოწყობა განვიზრახეთ. ხელისუფლების მომხრეებმა სროლები წამოიწყეს, საპირისპირო მხრიდანაც „ცეცხლით“ უპასუხეს. მათ შორის ვიდექი, ორივე კიდურში დავიჭერი. მაგრამ ეს პირველი დაჭრა არ იყო და უკვე მერამდენედ სასწაულებრივად გადავრჩი. სიკვდილს ბევრჯერ გადავურჩი ხუთი ნატყვიარი მაქვს. საავადმყოფოში უგონოდაც მივუყვანივართ. მაგრამ გადავრჩენილვარ. შეიძლება შემშლია, მაგრამ შეგნებულად ბოროტება არასდროს ჩამიდენია...





– მამიკო, მამიკო, გაიხედე ფანჯარაში – გვერდით კორპუსში ვიღაცა ბიძია ვიღაცა დეიდას ხერხავს...
– გამოდი, კაცო, დააცადე ხალხს, სექსით დაკავდეს... მოიცა, მართლა ხერხავს, ეს შობელძაღლი, პატრულში დარეკე! ჩქარა!!!

*****

– ექიმო, ჩემი ცოლი გაუთავებლად ახველებს და ახველებს. რა წამალი აღარ ვსინჯეთ, მაგრამ უშედეგოდ!
– და ბალახი არ სცადეთ?
– ვცადეთ – ახველებს და კვდება სიცილით...

*****



– როგორც იქნა, გავარკვიე, რატომ ვარ ასეთი დაუდევარი და რატომ ვვარდები ყოველწამს!
– რატომ?
– რატომ და იმიტომ, რომ ფეხებზე 10 თითი მაქვს!
– ჰო, მაგრამ ფეხებზე ყველას 10 თითი აქვს.
– მართლა? 7 ერთზე და 3 მეორეზე?!

*****

– წიგნი „ხელჩართული ბრძოლა" ძალიან ბევრ კითხვაზე გაპოვნინებთ პასუხს. მაგალითად: „ოე, ჩვენი ძმა, რა უბნელი ხარ?", „სიგარეტი რატომ არ გაქვს?" და ყველაზე პოპულარული: „როგოოორ?!"

*****

შეკითხვა სომხურ რადიოს:
– რა საერთოა მინი კაბასა და ჩადრს შორის?
– ერთიც და მეორეც შეუხედავ ქალებს სახის დამალვის საშუალებას აძლევს!

*****

სასწორიდან ჩამოსულმა ქერამ აღფრთოვანებით შესძახა:
– რა მაგარია ეს ინტელექტის განვითარების კურსები: ბოლო თვეში ჩემი ტვინი კილო-ნახევრით დამძიმებულა...

*****



– მივლინებაში წასვლის წინ, ცოლს გავეხუმრე, რომ საძინებელში ვიდეორეგისტრატორი დავამონტაჟე... დაბრუნებულს სამზარეულოში მაგიდა დამხვდა დამტვრეული...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ,*
*დავით ახობაძის ნახატები*

# 14–20 დეკემბრის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04

**სიყვარული** – არც ისე კარგი დროა საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობისთვის. რადგან უკან დახევა, კომპრომისზე წასვლა არ გიყვართ, კონფლიქტები სწორედ ამ მიზეზით წარმოიქმნება. ნუ გექნებათ იმედი, რომ ვინმე გაგიგებთ – ასეთი პერსპექტივა უბრალოდ, არ არსებობს. რაც შეეხება სადღესასწაულო დღეებს, თქვენს ოჯახს სიმტკიცის გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

**სამსახური** – შესანიშნავი დროა წარსულში დასახული მიზნების განხორციელებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 15, 16 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 დეკემბერი.

### კურო 22.04-21.05

სიყვარული – ბოლოს და ბოლოს, თქვენი დროც დადგა. შეეშვით სამსახურს სრულყოფილი სიყვარულისა და დასვენების ხათრით. დროა, გაემგზავროთ რომანტიკულ საახალწლო მოგზაურობაში – ფერადი შთაბეჭდილებებისა და სასიამოვნო ნაცნობობის შესახვედრად. მთავარია, საჩუქრები არ დაგავიწყდეთ. ახლა ზუსტად ის დროა, როცა გულუხვობა არის გასაღები, რომლითაც ყველას გულს გააღებთ.

**სამსახური** – ძალიან წარმატებული მომენტია საზღვარგარეთ მივლინებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 14, 17 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 დეკემბერი.

### ტყუპები 22.05-21.06

**სიყვარული** – ახალი წლის დღეებში ბევრი ქეიფი და გადაჭარბებული მხიარულება თქვენთვის არასასურველია, რადგან შესაძლოა, საკმაოდ არასასიამოვნო სიტუაციის მოწმე ან მონაწილე გახდეთ. აქედან გამომდინარე, სჯობს, სადღესასწაულო დღეებში სიფხიზლე და გონიერება შეინარჩუნოთ. რომანტიკა დროებით დაივიწყეთ.

**სამსახური** – ბიზნესს შესაძლოა, საფრთხე შეექმნას. ნუ მიიღებთ სარისკო გადაწყვეტილებებს.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 16 დეკემბერი.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**სიყვარული** – პარტნიორული ურთიერთობები უახლოეს მომავალში პირველ პლანზე გადავა და სხვა დანარჩენს დაჩრდილავს. თითქმის ყველაფერი მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული. შეეცადეთ, შერიგებისთვის საჭირო სიტყვები გამონახოთ – ახლა სჯობს, უკან დაიხიოთ, ვიდრე შეუტიოთ. იყავით ყურადღებიანი თქვენი პარტნიორის მიმართ, შეეცადეთ, არ გაალიზიანოთ. უკეთესი იქნება, თუ სადღესასწაულო დღეებს დიდ კომპანიებში გაატარებთ.

**სამსახური** – არ ღირს ხანგრძლივი შეთანხმებებისა და მსხვილი კონტრაქტების გაფორმება. ჯერჯერობით თქვენი დრო არ დამდგარა.

**სასიკეთო დღეები:** 18, 19 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 დეკემბერი.

### ლომი 23.07-22.08

**სიყვარული** – სამწუხაროდ, ამ პერიოდში მატერიალური პრობლემებია მოსალოდნელი. წინასაახალწლო ხარჯები გამოგაცარიელებთ, არადა, ვალებიც გასასტუმრებელია. ეს ყველაფერი კი განწყობაზე დადებითად რაღა თქმა უნდა, ვერ იმოქმედებს.



ცოტა ხნით უნდა დაივიწყოთ სიყვარულით, თუნდაც ეს ძალიან რთული იყოს თქვენთვის. სამაგიეროდ, თუ უქმად არ დაჯდებით, სულ მალე ისეთ შედეგებს მიიღებთ, თავადაც გაიხარებთ და პარტნიორსაც გააბედნიერებთ.

**სამსახური** – გარკვეული დროის მანძილზე ხელქვეითის როლს უნდა შეეგუოთ, რაც საკმაოდ გიმძიმთ. უკეთესი იქნება, თუ საქმეებს ცოტა ხნით საერთოდ ჩამოშორდებით.

**სასიკეთო დღეები:** 18, 19, 20 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** არ გექნებათ.

### ქალწული 23.08-22.09

**სიყვარული** – ქალწულებს ახლა აუცილებლად გაუმართლებთ – როგორც სიყვარულში, ისე სხვა დანარჩენშიც. ახლა თქვენი დროა, განსაკუთრებით, ახალი ნაცნობობის კუთხით. კლუბებში, რესტორნებში, კონცერტებსა და სადღესასწაულო ღონისძიებებზე პარტნიორთან ერთად სიარული ურთიერთობაზე შესანიშნავ გავლენას მოახდენს. თუ თავს შემოქმედებითად გამოიჩენთ, რჩეულს ძალიან გაახარებთ.

**სამსახური** – თუ თქვენი სამუშაო კრეატივსა და შემოქმედებით მიდგომას უკავშირდება, ამ კვირაში ძალიან დიდი წარმატება გელით.

**სასიკეთო დღეები:** 16, 17 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 დეკემბერი.

### სასწორი 23.09-22.10

**სიყვარული** – ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის მიმდინარე კვირა მოწყენილობისა და საოჯახო პრობლემებში ჩაფლობის დროდ იქცევა. სამწუხაროდ, მოდუნებას ვერ შეძლებთ, თუ არ ჩავთვლით საახალწლო ღამეს. სამაგიეროდ, მომდევნო დღეები შესანიშნავია სახლში ფუსფუსისთვის, ავეჯის შეძენისთვის. ასევე, უამრავი სასიამოვნო წვრილმანისთვის. მორთეთ სახლი სადღესასწაულოდ და უფრო გამხიარულდებით.

**სამსახური** – ბიზნესში სასურველი შედეგის მიღება გაგიჭირდებათ.

**სასიკეთო დღეები:** 15, 16 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 დეკემბერი.

### მორიელი 23.10-21.11

**სიყვარული** – გაქვთ მშვენიერი შესაძლებლობა, გაიჩინოთ ახალი ნაცნობები. ერთ ადგილზე ჯდომა არაფრით შეიძლება. გაეშურეთ საახალწლო და საშობაო ტურებში, იარეთ სადღესასწაულო ღონისძიებებზე. რაც უფრო გახსნილი იქნებით ურთიერთობისთვის, მით მეტი შანსი გაქვთ, პირადი ხასიათის საკითხები წარმატებით მოაგვაროთ.

**სამსახური** – რეალურ ნაყოფს მხოლოდ საქმიან პარტნიორებთან პირადი შეხვედრები გამოიღებს.

**სასიკეთო დღეები:** 14 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 დეკემბერი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული** – ახალი წელი უკვალოდ არ ჩაივლის. თუ შეძლებთ და ახლობელ და საყვარელ ადამიანებს საკადრისი საჩუქრებით გააბედნიერებთ, ისინიც ნამდვილ დღესასწაულს მოგიწყობენ. გულუხვობის გამო ჭარბად დასაჩუქრდებით სითბოთი და გულწრფელი ემოციებით. მიმდინარე პერიოდი ასევე შესანიშნავია იმისთვის, რომ თქვენთვის საინტერესო ადამიანზე შთაბეჭდილება მოახდინოთ.

**სამსახური** – ზუსტად ახლაა დრო ბიზნესში სერიოზული ინვესტირებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები**: 18 დეკემბერი.

### თხის რქა 22.12-19.01

**სიყვარული** – თქვენი გამორჩეული უნარი, მიაღწიოთ სასურველს, რეალურ შედეგებს მოგიტანთ. წარმატება გელით საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში – მუდმივად ყურადღების ცენტრში იქნებით. მთავარია, რომ ცოტა ხნით საქმეები გვერდზე გადადოთ და დრო პირად ცხოვრებასაც დაუთმოთ. ურთიერთობის სიმტკიცე ახლა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ხართ მზად, სიყვარულისთვის იბრძოლოთ.

**სამსახური** – საჭიროა სამომავლო სტრატეგიის შემუშავება და მიზნების დასახვა. ახალი პროექტების სტარტის დროა.

**სასიკეთო დღეები:** 19 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 დეკემბერი.

### მერწყული 20.01-18.02

**სიყვარული** – არ ღირს, მერწყულებმა სადღესასწაულო დღეები აქტიურად გაატარონ – ამის გამო თავადვე ინანებენ. მოიკრიბეთ ძალები, მოიხმეთ გონიერება და სიმშვიდესა და სიჩუმეში დაფიქრდით ადამიანზე, რომელიც თავადაც გაინტერესებთ და არც ისაა გულგრილი. შეიმუშავეთ მასთან ურთიერთობის სტრატეგია, გადადგით ისეთი ნაბიჯი, რომელიც შემდგომში სანანებელი არ გაგიხდებათ.

**სამსახური** – ახალი პროექტების წამოწყება უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება. ბიზნესში გარკვეული შეფერხებებია მოსალოდნელი.

**სასიკეთო დღეები:** 17, 19, 20 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 14 დეკემბერი.

### თევზები 19.02-20.03

**სიყვარული** – თუ ახალ წელს მეგობრების წრეში გაატარებთ, ძალიან დიდი ალბათობით, ახალ ურთიერთობას გააბამთ. მზად იყავით მოულოდნელობებისთვის, შემთხვევითი შეხვედრებისთვის და პაემნებისთვის. ეს ყველაფერი ახლა სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან დადგა დრო, პირად ცხოვრებაში რამე შეცვალოთ.

**სამსახური** – კარგს იზამთ, თუ მეგობრებისა და კომპანიონების აზრს გაითვალისწინებთ – ახალი იდეები თქვენთვის ჰაერივით საჭიროა.

**სასიკეთო დღეები:** 14 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 დეკემბერი.

ანომალიები



# რა უნდა უპასუხოთ კითხვაზე: როგორ ხარ? — უარყოფითი ზეგავლენისგან რომ დაცული იყო?

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ მიზანს, ბედნიერებას, და რა არის ჩვენს ბედისწერაში დამნაშავე? გვესაუბრება პარაფსიქოლოგი ნინო ვარსიმაშვილი:**

– ოდითგანვე ნათელხილვის უამრავ საშუალებას მიმართავდა ადამიანი მომავლის შესაცნობად და აწმყოს პრობლემებში გასარკვევად. უხსოვარი დროიდან დღემდე, წინასწარმეტყველების ერთადერთ, განსაკუთრებულ საშუალებად საინფორმაციო ველში შესვლა ითვლებოდა წმინდა სანთლების დახმარებით. დანარჩენი აქსესუარები, როგორიცაა ბანქო, ტაროს კარტი, მხოლოდ დამხმარე საშუალებებია წინასწარმეტყველების პროცესისთვის. ჩემს პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დაუსვამთ კითხვა, რომ საუბარს დამაჯერებლობა აკლია, თუ არ მიდევს წინ ყავის ფინჯანი, როგორც ზემოთ ვახსენე – ტაროს კარტი, ან ის ატრიბუტიკა, რითაც მკითხავები დამაჯერებლობას სძენენ თავიანთ საუბარს. გამოგიტყდებით, რომ ნამდვილი ნათელმხილველისთვის ეს დამხმარე ატრიბუტიკა არაფერს წარმოადგენს, რადგანაც არანაირი კავშირი არ აქვს ამ საგნებს ადამიანის საინფორმაციო ველში შესაღწევად. მთავარია, ნათელმხილველს შეეძლოს პირველი კოსმოენერგეტიკული დიაგნოსტირება, შესაძლოა, სამარჩიელო ატრიბუტებმა და მარჩიელის არასწორმა ინტერპრეტაციამ, რაც ძალიან ადვილად შეიძლება მოხდეს, თვითონ მარჩიელი და მის წინ მჯდომი ადამიანი შეცდომაში შეიყვანოს. ამიტომაც კარგია, თუ შენთან დახმარებისთვის მოსულმა ადამიანმა გააცნობიეროს და გითხრას, რა სურს მიიღოს შენგან. მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან კარგად ვხედავ, თითოეულ მათგანს რა სურს, ძალიან საჭიროა იმის გაცნობიერებაც, რომ ჩამოყალიბებული ჰქონდეს, რა რჩევები მიიღოს არა მარტო შენგან, არამედ რა სურს, მიიღოს თავისი ბედისწერისგან. პირველ რიგში, ჩემთან მოსულ ადამიანს ვეკითხები, – რა არის შენთვის ყველაზე ფასეული და რა გჭირდება ცხოვრებისგან. სანამ ადამიანი ამას მეტყვის, საკუთარ თავთან უნდა გააცნობიეროს, თუმცა გაცნობიერება და სურვილები საკმარისი არ არის მიზნის მისაღწევად. ყველა ადამიანი არ არის განებივრებული ბედისწერის ან სურვილის შესრულებით. ვიღაცას უმართლებს, ვიღაცის ცხოვრებაში უიღბლობის პერიოდი დგება. სანამ მეცნიერულად ჩამოვაყალიბებთ, რა არის ამა თუ იმ ადამიანის უიღბლობის გამომწვევი მიზეზი, ერთი ზოგადი რჩევა მინდა მივცე ყველას, ვისაც სჯერა პარაფსიქოლოგიისა და ზოგადად, იდუმალების სამყაროსი. ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ, რადგან არ უმართლებს, ის ჯადოს სამიზნეა. მოგიწოდებთ თითოეულ თქვენგანს, თუ ბედისა და იღბლისგან განებივრებული ხართ, ნუ იტრაბახებთ და თქვენი წარმატებით ნუ გააღიზიანებთ ხელმოცარულ და წარუმატებელ ადამიანებს, რადგან ნებისმიერი წარმატების მიღწევა და მწვერვალების დაპყრობა შეიძლება დროებითია და დაქადნებად არ ღირს არაფერი. ყველას ჯვარი სწერია, მაგრამ ბევრი ადამიანი სწორედ იმ დროს დასრიალებულა დიდების კვარცხლბეკიდან, როცა ეგონა, რომ ყველაზე ბედნიერი იყო. გათვალვა და სხვა ადამიანებისთვის თქვენი წარმატება შესაძლოა, სულაც არ არის სასიამოვნო და ბედნიერების მომგვრელი, ყველა არ ცხოვრობს სხვისი სიხარულით და წარმატებით მოზიარე არ ხდება, ამიტომაც, მაქსიმალურად მოერიდეთ თქვენი წარმატებულობისა და იღბლიანობის აფიშირებას. შესაძლოა, სწორედ ეს ტენდენცია გახდეს თქვენი მომავალი უიღბლობის მიზეზი. ჩემთან მოსული ბევრი ადამიანი ჰყვება, რომ ნაშთი ძველი დიდებისა აღარა აქვს შემორჩენილი და ერთ დროს წარმატებული და ფინანსურად აყვავებული ოჯახი გაცამტვერდა. ეს მე არ მიკვირს, რადგანაც ჯადოს, გათვალვასა და შურს, ყველა იმ ნეგატიურ პროგრამას, რაც კი არსებობს, სწორედ წარმატებული ადამიანები იმსახურებენ ავის მოსურნეთაგან. ძალიან ბევრი ასეთი ადამიანებიდან ღმერთის სამართლიანობას ეჭვქვეშ აყენებს. მათ გასაგონად და დასამშვიდებლად ვიტყვი, – ღმერთი გვიშლის ამპარტავნებას, ხიბლში ყოფნას და ხაზგასმით წარმოჩენას საკუთარი უპირატესობებისა სხვასთან შედარებით. თავმდაბალი ადამიანები ნაკლებად იწვევენ ხელმოცარულ ადამიანებში გაღიზიანებას, ნაკლებად ხდებიან შურის ობიექტები. თავმდაბლობა ერთგვარი დაცვაა ავი ენერგიის მიღებისგან... და თუ მაინც იგრძენით, რომ თქვენ არ დაგიმსახურებიათ შური, ბოროტება და უბრალოდ, თქვენი ბედნიერებით ტკბობის დამალვა არ შეგიძლიათ, აუცილებლად გირჩევთ კოსმოენერგეტიკულ გაწმენდას. რადგან წარმატებულ და ბედნიერ ადამიანად მიიჩნევთ თავს, არ შეიძლება, ამ პერიოდმა დიდხანს გასტანოს, რადგან ის ნეგატიური ინფორმაციები, რაც შეუძლებელია, არ მზადდებოდეს თქვენთვის, სანამ დამანგრევლად აისახება თქვენს მდგომარეობაზე, ჯობია თავი დაცულად იგრძნოთ. ჩემი პრაქტიკიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, როცა ბედნიერების მწვერვალზე მყოფი ადამიანები განადგურდნენ და გაცამტვერდნენ და მათთვის მიმითითებია საშიშ პერიოდებზე, ისინი ჩემთან, ასე ვთქვათ, პრობლემების გამო კი არა, უბრალოდ, გასართობად მოსულან, ხვალინდელი დღის შესაცნობად და მოსალოდნელ საფრთხეებზე რომ მიმითითებია, როგორც წარმატებულ ადამიანებს სჩვევიათ, გაღიმებიათ და ისე ყველაფერი კარგი აგიხდათ, სიტყვასიტყვით აცხადებიათ ჩემი წინასწარმეტყველება. კარმული დიაგნოსტიკის დროს, რაც ჩემთან შეხვედრისთანავე ხდება, ჩანს ადამიანის მდგომარეობა დროის სამივე განზომილებაში, შეიძლება ადამიანის აწმყო უნუგეშოა, მაგრამ ვხედავ პრობლემის გამოსწორების გზებსა და საშუალებებს და მას აქვს არაჩვეულებრივი მომავალი, ან პირიქით, აქვს წარმატებული აწმყო და რისკ-ფაქტორებს ვხედავ სამომავლოდ. ამიტომაც უფრო დადებითად უნდა მოვეკიდოთ პარაფსიქოლოგთან ვიზიტს და არა მხოლოდ გასართობად და სამკითხაოდ, როგორც ამას ბევრი ადამიანი აკეთებს. ადამიანთა დიდი ნაწილის ბედი კარმულად არის წინასწარ გადაწყვეტილი, ეს კარგად აისახება მის ციფრულ მონაცემებში. ადამიანთა დიდი ნაწილი მძიმე კარმით იბადება, ამას ემატება ისიც, რომ ადამიანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, მრავალ ცოდვას სჩადის. ადამიანის კარმულ დიაგნოსტიკაში ჩანს, რატომ ეღობება საფრთხე მის დაოჯახებას, რა არის ბედჩაკეტილობის გამომწვევი მიზეზი, რატომ არ არის მასზე დაშვებული წარმატებული კარიერა განათლებულობისა და ინტელექტუალობის მიუხედავად, რატომ არ უჩნდება ამა თუ იმ ადამიანს შვილი, რომელსაც ბიოლოგიური მონაცემები აბსოლუტურ წესრიგში აქვს. პრობლემა თავისთავად არ განეიტრალდება თუ ის გამომწვევი მიზეზი არ აღმოიფხვრება, რაზეც ბევრ ადამიანს წარმოდგენა არ აქვს. მძიმე კარმის შემსუბუქება შესაძლებელია, ისევე როგორც თანდაყოლილი რაიმე ნაკლისა, რომელსაც ექიმები ოპერაციული ჩარევით აგვარებენ, მაგრამ მხოლოდ პარაფსიქოლოგის ძალისხმევა ვერაფერს შეცვლის, თუ გაწმენდილ ბიოველსა და აურას ადამიანი თავისი ცხოვრების წესით არ გაუფრთხილდა. ბევრს არ სჯერა, რომ მის ბედ-იღბალზე შეუძლია, გავლენა მოახდინოს, ერთი შეხედვით, ისეთმა წვრილმანებმა, როგორიცაა საცხოვრებელი გარემო, მის გარშემო მყოფი ფერები, ტანსაცმელი, რომელსაც ატარებს, ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, წარმოადგენს გარკვეულ ენერგიათა ერთობლიობას და ადამიანის გონება ჯერ კიდევ უმწიფარია იმ პროცესების აღსაქმელად, რაც მის გარშემო ხდება, რადგანაც ჩვენზე მოქმედებს არა მარტო ხილული სამყარო, არამედ თვალით შეუმჩნეველი სუბსტანციები. ბევრი არ იჯერებს ჯადოს არსებობას, ეს ხელსაყრელი მომენტია ბოროტი ადამიანისთვის, რადგანაც ჯადო თავისთავად არ გაივლის, ჯადოზე არანაკლებ საშიშია და საშინელი შედეგების მომტანი ნეგატიური პროგრამა, რომელსაც გათვალვას ვეძახით. ამიტომაც, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მაქსიმალურად არ უნდა გადაუშალოთ გული იმ ადამიანებს, ვის კეთილ განწყობაშიც ბოლომდე არ ხართ დარწმუნებული. ბევრი ადამიანი არც არის დიდების მწვერვალზე და ასეთი ილუზიის შექმნა გარშემომყოფებთან სჭირდება და იძულებულია, თავი დაიმკვიდროს თვალთმაქცობით, წარმოაჩინოს თავისი სრულყოფილება, ბედნიერება, რითაც გააღიზიანებს ე.წ. მტრებს. მათ გასაგონადაც ვიტყვი, არასოდეს იქცევა მათი ოცნებები რეალობად, თუ თავისი ბედნიერება სხვის გასაღიზიანებლად და გასაბოროტებლად სჭირდება და ამით თვითონვე იზიდავს ოცნებისა და სურვილების დაბლოკვას. პარაფსიქოლოგია იმის ქადაგებაა, რომ ადამიანმა ორიენტირი გააკეთოს ყოველგვარ პოზიტიურზე და ავი ფიქრები გულს არ მიაკაროს, მაგრამ სხვათა გასაღიზიანებლად კი არა, საკუთარ თავთან ურთიერთობისთვის. იოცნებეთ ძალიან ბევრი, ვიზუალიზაციით წარმოიდგინეთ ის, რის მიღებაც გინდათ ცხოვრებისგან, მაგრამ ამაზე ხმამაღლა ნუ ილაპარაკებთ, მით უფრო იმ ადამიანებთან, ვისაც არ უნდა თქვენი ოცნებების ფრთაშესხმა, ნურც წუწუნით დაღლით თანამოსაუბრეს და ნურასოდეს მოგინდებათ, რომ თანაგრძნობა მიიღოთ თქვენი გაჭირვებისა და ხელმოცარულობის გამო, რადგან ეს ტენდენციაც აბრკოლებს წარმატების მოზიდვას და მიზნების მიღწევას. აირჩიეთ ოქროს შუალედი, იყავით თავმდაბალი და როცა თქვენი მდგომარეობით დაინტერესდებიან და გკითხავენ, მხოლოდ ერთი მარტივი ფრაზით შეგიძლიათ უპასუხოთ, – მადლობა უფალს, არა მიშავს, ნორმალურად... ასეთი პასუხით თქვენ შეძლებთ იყოთ დაცულიც და „შეიარაღებულიც“... ძალიან მიხარია, როცა წარმატებული ადამიანთა გარემოცვაში ვარ, ბედნიერ და ღიმილიან სახეებს როცა ვუყურებ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელებაა, როცა ასეთი ადამიანების საინფორმაციო ველში ცუდ და საშიშ მომავალს ხედავ. თუ დღეს თავს კარგად გრძნობს და წარმატებულია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ეს მუდმივია და ერთ დღეს მისი მძიმე კარმა არ ამოქმედდება. იგივე მინდა ვთქვა შეჭირვებული და ღარიბი ადამიანების გასაგონად, ბევრ მათგანს ისეთი მომავალი ჰქონია, როგორზე ოცნებაც ვერ გაუბედავს. ასე რომ, არასდროს შეწყვიტოთ ლოცვა და უფალთან ურთიერთობა, თუ არაფერი გაწუხებთ. შეეცადეთ, გაარკვიოთ თქვენი კარმული მდგომარეობა და არ შეეგუოთ უიღბლობის გამომწვევ მიზეზებს, რადგან მძიმე კარმით დაბადების მიუხედავად, თითოეულ ადამიანს აქვს ბედნიერებისა და წარმატებულად ცხოვრების შანსი და ეს აუცილებლად ჩანს მის საინფორმაციო ველში.

> **„ადამიანის კარმულ დიაგნოსტიკაში ჩანს, რატომ ეღობება საფრთხე მის დაოჯახებას, რა არის ბედჩაკეტილობის გამომწვევი მიზეზი, რატომ არ არის მასზე დაშვებული წარმატებული კარიერა განათლებულობისა და ინტელექტუალობის მიუხედავად, რატომ არ უჩნდება ამა თუ იმ ადამიანს შვილი, რომელსაც ბიოლოგიური მონაცემები აბსოლუტურ წესრიგში აქვს“**







> **„იოცნებეთ ძალიან ბევრი, ვიზუალიზაციით წარმოიდგინეთ ის, რის მიღებაც გინდათ ცხოვრებისგან, მაგრამ ამაზე ხმამაღლა ნუ ილაპარაკებთ“**

ცოდნა



# როგორ გახდა „ციყვი“ „ფეისბუკპოსტების უმაღლესი მთავარსარდალი“?



ლაურა აბრამია
591 97-67-09



**დათო გოგიშვილი, მეტსახელად „ციყვი“, ცოტამ თუ იცის, რომ პროფესიით ისტორიკოსია, ბაკალავრი გახლავთ. ახლა ბლოგერობს და პოლიტიკურ განცხადებებსაც კი აკეთებს... რა მოხდა მის ცხოვრებაში, რამაც ასე რადიკალურად გადაასხვაფერა?**

– სხვადასხვა ასაკობრივი ზღვარის პირობებში სხვადასხვა გატაცება მქონია, უზომოდ მიყვარდა თევზაობა, დღე და ღამე მდინარეში ვიყავი, ამიტომ, ალბათ, ჩემი ჰობი არის თევზაობა და მოგზაურობა. პირველი თევზი დავიჭირე, როცა დაახლოებით მესამე კლასში ვიყავი, მანამდე დიდ კაცებს დავყვებოდი სათევზაოდ მდინარეზე და მერე გავბედე და ანკესით მე წავედი. ისეთი კივილი მოვრთე სიხარულისგან, მთელი სოფელი შეიყარა ლამის, ეგონათ, რომ რამე ცუდი შემემთხვა. ჩემი კივილი ანგრევდა იქაურობას. სახლში რომ მივედი, ლამის მიმტყიპეს, მთელი სოფელი პანიკაში ჩააგდეო, იმის მერე კაი ხანი აღარ მიშვებდნენ მდინარეზე, სანქციები დამიწესეს მშობლებმა. ნადირობას რაც შეეხება, გარდა იმისა, რომ ცოტა ბრაკონიერობის რისკებს შეიცავს, ასევე, სიცივესთან ასოცირდება, ზამთართან, მე არ მიყვარს სიცივეში გარეთ სიარული, თორემ ძალიან აზარტულია ნადირობაც.

**— შენ საზოგადოებამ გაგიცნო როგორც კომიკური ჟანრის მსახიობი სახელით „ციყვი“... ახლა კი გამოდიხარ და სერიოზულ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებ, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში ასე რადიკალურად?**

– სამტრედიაში დავიბადე, 90-იანებში ჩამოვედი და ჩავაბარე ისტორიის ფაკულტეტზე, მიუხედავად იმისა, რომ იყო ცუდი წლები, საკმაოდ მოტივირებული სტუდენტი ვიყავი, თუკი სადმე შეიძლებოდა სტუდენტს თვითდამკვიდრების მიზნით აქტიურობა გამოემჟღავნებინა, შანსი არ გამიშვია ხელიდან, ყველაფერში ვმონაწილეობდი, ვიყავი ყველა სტუდენტური ინტერმედიის და ა.შ. აქტიური მონაწილე, ყველა სამეცნიერო კონფერენციის, მესამე კურსზე, ანუ 20 წლის ასაკში, დიდ კავკასიურ ომზე იმამ შამილზე გავაკეთე სრული, ამომწურავი ანალიზი, და მახსოვს მაშინ მერაბ კოსტავას სახელობის პრემია მომანიჭეს, ეს პრემია თვით ოლღა დემურიამ გადმომცა, ეს საკმაოდ ამაღელვებელი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში... და ეს ყველაფერი არ არის. ასე რომ, „ციყვის“ იმიჯი წარსულს ჩაბარდა. ამას თავისი ისტორია აქვს, „კავეენშიკი“ ვიყავი მანამდე და ყველა ის ადამიანი, ვინც ჩართული იყო იმ ამბებში, დღეს ყველა დიდი მეგობარია ჩემი. კი, ალბათ, ჰობი იყო კომიკურ ჟანრში მუშაობა... პოლიტიზებული ბავშვობიდან ვარ, ეს მეორე ეტაპია გატაცებების, მამაჩემი გაგანია კომუნისტების დროს, „თავისუფლებას“ უსმენდა რადიოთი და მეც მასმენინებდა, ასევე, პრესა... ფლაგმანი რაც იყო იმჟამინდელი პრესის, ყველაფერს იწერდა და ვკითხულობდით. იქიდან მოყოლებული ჩართული ვარ, 13 წლის ვიყავი ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, მუშტშემართული შუბლზე შავი ლენტით სიარული ძალიან მიზიდავდა, ეს სერიოზული გატაცება იყო და ჯოსსს!!!! ძახილით მხრებ-ის ამოგდება სრულიად საქართველოში, აღფრთოვანებული ვიყავი და ასაკიდან გამომდინარე, როგორც მეძლეოდა საშუალება, ისე ვმონაწილეობდი, ზვიად ძიძიგური იყო მაშინ სამტრედიაში ლიდერი და იდეალი... მერე ბევრი გამოუსწორებელი შეცდომა იქნა დაშვებული მაშინ, მაგრამ არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი.

**— კარგი, და კითხულობდი ლექციებს, რამდენადაც მახსოვს, ეთნიკურად ჩასახლებულ რეგიონებში, ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა ამ პერიოდიდან?**

– კი, ეს იყო უნივერსიტეტის ფილიალი მარნეულში არაქართველებისთვის. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების აქტიური ძალისხმევით გაუქმდა ეს ფილიალები, დაახლოებით რვა წელი ვიმუშავე, ვკითხულობდი საქართველოს ისტორიას, კავკასიის ხალხთა და რელიგიის ისტორიას. მახსოვს, პირველად რომ ჩავედი, ჩემებურად ვიოხუნჯე და აზერბაიჯანელ სტუდენტებს შევპირდი, საქართველოს ისტორიას თუ კარგად ისწავლით, „ჰაჯი“ რომ იქნება, მექაში წაგიყვანთ-მეთქი, ეს მათი მთავარი რელიგიური დღესასწაულია, და მართლაც ხშირად მახსენებდნენ ხოლმე, – დაპირებულიო? ყველაზე ტკბილად მახსენდება, ასევე, თბილისში რომ ჩამოვიყვანე არაქართველი სტუდენტები ორჯერ ექსკურსიით, ზოგი მათგანი პირველად იყო და პირველი, რაც მომთხოვეს, იყო სამების ტაძრის ნახვა. მეგონა, მათი პირველი სურვილი მეჩეთის მონახულება იქნებოდა, ეს მათი ღირსებისა და ჩვენდამი, ჩვენი რელიგიისადმი პატივისცემის გულწრფელი გამოხატულებაა. მახსოვს, შეიძინეს რუსულ ენაზე მართლმადიდებლური სალოცავი ლიტერატურაც, ამიხსნეს, რომ მათ რეგიონში არის სასწაულის მატარებელი მართლმადიდებლური სალოცავები, და მითხრეს, რომ ისინი პატივს სცემენ ამ სალოცავებს. ასე რომ, ამ ტერორიზმისა და ისლამური სახელმწიფოს მზარდი საფრთხის ფონზე ეს ნიშანდობლივი განცხადება იყო, ისე არ წვიმს როგორც ქუხს, ისლამსა და ქრისტიანობას ძალიან ბევრი შეხების წერტილები აქვს, როგორც ორ კლასიკურ რელიგიას და ორივე სიყვარულისა და კაცთა შორის სათნოებისა და მშვიდობის რელიგიაა. რადიკალური ისლამი არის გარკვეული გეოპოლიტიკური ცენტრების დაკვეთით შექმნილი საშიში ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტულ მიზნებს ემსახურება და რა მიზნებს, ამის შესახებ ძალიან მალე გახდება ნათელი მთელი მსოფლიოსთვის.



**„მამაჩემი გაგანია კომუნისტების დროს, „თავისუფლებას“ უსმენდა რადიოთი და მეც მასმენინებდა, ასევე, პრესა... ფლაგმანი რაც იყო იმჟამინდელი პრესის, ყველაფერს იწერდა“**



**„ისეთი კივილი მოვრთე, მთელი სოფელი შეიყარა ლამის, ეგონათ, რომ რამე ცუდი შემემთხვა. ჩემი კივილი ანგრევდა იქაურობას. სახლში რომ მივედი, ლამის მიმტყიპეს, მერე სანქციები დამიწესეს მშობლებმა“**

**— მივყვეთ შენს ჰობთა ნუსხას როგორც ახსენი ასაკობრივი ზღვარის მიხედვით, შემდეგი ეტაპი იყო ე.წ. „კავეენი“?**

– სტუდენტობის დროს ბავშვობაში ნანახი კავეენის ქუთაისელი „შარახვეტიების“ და გეპეის „შერეკილების“ მსგავსის განხორციელების ახალმა იდეამ შემიპყრო და ბევრი რომ არ გავაგრძელო, როცა მაღალ კლასებში ვიყავი, უკვე ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა სტუდენტობის პერიოდში, გარდა იმისა, რომ წარმატებით უნდა მესწავლა, თუ რა მიმართულებით წარვმართავდი ჩემს მიდრეკილებებს. პირველ კურსზევე სტუდკავშირში მივედი, ირაკლი გოგავა იყო თავმჯდომარე, შემდეგში პარლამენტარი, და პირდაპირ შევთავაზე ჩემი იდეა. ასე შეიქმნა მაშინდელი მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. დათო გოგიჩაიშვილი, წამყვანი – შალვა რამიშვილი, გოჩა თანდარაშვილი, ზვიო, გიგა ნასარიძე და სხვები, ეს იყო გატაცება, მაგრამ დაუვიწყარი. შემდეგ, როდესაც მათ ეკრანზე დაიმკვიდრეს თავი იუმორისტულ სფეროში, მეც მიმიწვიეს, რა თქმა უნდა, ეს იყო 2003 წელს... საერთოდ, საქართველოში იუმორი ასოცირდება ტინგიცობასთან და ცანცარობასთან, რაც ასე არ არის, იუმორი არის ღრმად ინტელექტუალ, გემოვნებიან ადამიანთა პრივილეგია და ფუფუნება, ჭეშმარიტ იუმორს ვერ მოიფიქრებს, რბილად რომ ვთქვათ, დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანი. იუმორი არის უმნიშვნელოვანესი კაცობრიობისთვის და მე უზომოდ მიყვარს ის. ახლა როდენის მოაზროვნესავით ვერ გარდავიქმნები, ბუნებრივია, რადგან იუმორი ჩემი თანამდევია, ჰაერივითაა... „ფეისბუკზე“ სოლიდურ პოსტსაც რომ ვწერ, იქ სადაც მაძლევს საშუალებას თემა, ვცდილობ, ოდნავი დოზით ჩავდო ხუმრობა, ირონია, ცოტა სარკაზმი და ა.შ... მე ვხუმრობ ხოლმე, რომ ვარ ფეისბუკპოსტების უმაღლესი მთავარსარდალი... ნიკა გრიგოლია ხშირად ხუმრობს ხოლმე ჩემზე, როცა ციყვი ხალხთან ურთიერთობს, ახალი ლაყუჩი ეხსნებაო, ანუ სასუნთქი ჟანგბადი, მერე რა რომ ვიღაცები მლანძღავენ, მე ნერვული სისტემა ატროფირებული მაქვს, რაც არ უნდა მაკადრონ, მე შევაგებებ ოლიმპიურ სიმშვიდესა და ღიმილს...



# „ახლობლის სახლში ვიყავი და კედლები სისხლისფრად ილებებოდა. თურმე იმ დროს, როცა სიზმარს ვხედავდი, ის ადამიანი, ვისი ოთახიც დამესიზმრა, სიკვდილს ებრძოდა და იმ ღამეს გარდაიცვალა“

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**რუბრიკის სტუმარია რეჟისორი, გიორგი შალუტაშვილი. მის სახელს 50-მდე სპექტაკლი და 20-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი უკავშირდება. ამჟამად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორია და დრამის ფაკულტეტის დეკანი. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს, გამოშვებული ჰყავს 5 სამსახიობო ჯგუფი, საყურადღებოა, რომ მის შემოქმედებაში იგრძნობა რეჟისორის დაინტერესება მისტიკითა და იდუმალების სამყაროთი. სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ ვესტუმრეთ ბატონ გიორგის.**

> **„ჩემი სპექტაკლების ფინალებს ძალიან ხშირად სიზმარი მკარნახობს, ზოგჯერ სიზმრის მიხედვით გადამიწყვეტია დასასრული“**

– დედაჩემის ოჯახს მღვდლიაანთს ეძახდნენ. ნინო მაყაშვილი იყო ჩემი ბებია, პაპაჩემი გახლდათ რეპრესირებული ოჯახიდან, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ კოტეტიშვილის ძმა – ლადო კოტეტიშვილი. ლადო კოტეტიშვილი იყო ქართული მედიცინის ისტორიის ფუძემდებელი, ტექსტოლოგი, ძველი ხელნაწერის გამშიფრავი და აკადემიურად გამომცემელი. მის სახელს უკავშირდება „იადიგარ დაუდი“, „წიგნი სააქიმონი“ და „კარაბადინი“. ამავდროულად გახლდათ მაღალი რანგის პროზაიკოსი, თუმცა მისი მაღალმხატვრული ნაწერები ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა, რადგან ეპოქა, რომელშიც ლადო კოტეტიშვილი მოღვაწეობდა, არ აპატიებდა მას იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ძმის, ვახტანგ კოტეტიშვილის გზას გაუყენებდნენ. ლადო კოტეტიშვილი დაინტერესებული გახლდათ მისტიკით, მან გამოიკვლია და შეისწავლა საეკლესიო და მაგიური მედიცინა, სწორედ ლადო კოტეტიშვილის მამა გახლდათ სასულიერო პირი, მამა ილია, რომელსაც გარეგნობითაც და თვისებებითაც ძალიან ჰგავდა ბიძაჩემი, ვახუშტი კოტეტიშვილი. პაპაჩემმა „ვეფხისტყაოსანი“ საექიმო თვალსაზრისით შეისწავლა და გამოაქვეყნა კიდეც „საექიმო თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის მედიცინის მიღწევებისა“. თვითონაც რენესანსული ტიპის კაცი იყო, არც მამაჩემი ალეკო შალუტაშვილი იყო რწმენასთან და კალამთან მწყრალად, პროფესიით თეატრმცოდნე გახლდათ. მშვენიერი მოთხრობების ავტორი, მას ებარა დრამატული თეატრის განყოფილება. ის პირველი ადამიანი იყო საბჭოთა კავშირში, რომელიც ხმას იმაღლებდა ქვემო ქართლის ისტორიული ძეგლების აფეთქების წინააღმდეგ. ეს ხდებოდა პირველ ყოვლისა მართლმადიდებელი რწმენის გამო და საკუთარი ხელით ჰქონდა გადაწერილი ლოცვანის წიგნი და „სახარება“.

**— რეჟისორობა მამის გავლენით გადაწყვიტეთ?**

– რეჟისორობაზე მეტად გეოლოგობა მინდოდა, დედა გეოლოგი გახლდათ, ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერი ელისო კოტეტიშვილი. მას 5 წლიდან დავყავდი ექსპედიციებში. წარმოიდგინეთ, 5 წლის ბავშვი დავყვებოდი დედას აფხაზეთსა და რაჭაში, სადაც გაქვავებულ ცხოველებს ვეძებდი, იკვლევდნენ დინოზავრების ეპოქას. ქვათა ფენებში იმდენივე ნიჟარას ვხედავდი, რამდენიც შეიძლება ოკეანის ფსკერზე იყოს. აქ, ამ საოცარ გარემოში, პატარა ბავშვის ცნობიერ და ქვეცნობიერ სამყაროში იშლებოდა უზარმაზარი და უკიდეგანო ფანტაზია და თვალწინ მიდგებოდა ის ყველაფერი, რაც ამ ადგილებში მილიონი წლის წინათ ხდებოდა, როცა ეს ადგილი წყლით იყო დაფარული, თუმცა გამოხდა ხანი და იდუმალმა სამყარომ იმ საოცარ სამყაროში მიმიყვანა, რასაც კინო და თეატრი ერქვა.



**— იღბალზე რას იტყვით?**

– იღბალი ბედისწერის ნაწილია...

**— როგორ ფიქრობთ, ადამიანი თვითონ არის საკუთარი ბედის მწერალი თუ ღმერთი განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესს?**

– ღვთის უნებურად არაფერი ხდება, ბედისწერას მიჰყავს ადამიანი მის გასავლელ გზაზე, რაც წინასწარაა გადაწყვეტილი. მაგალითად, არ ვირჩევთ მშობლებს, არ ვირჩევთ ქვეყანას, სადაც დავიბადეთ, გარემოებებს, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ბევრ რამეზე არჩევანს თვითონ ვაკეთებთ და თავისუფალი ნებაც გვაქვს უფლისგან ამ არჩევანის... ხელმოცარულ ადამიანებს უყვართ, წარუმატებლობა ბედისწერას დააბრალონ. ჩვენზე რომ არ იყოს დამოკიდებული ცხოვრების წესის არჩევანი, მაშინ არც არავინ მოგვთხოვდა პასუხს ჩვენი ცოდვამადლისთვის. ჩემს ბებიას, ნინო მაყაშვილს 37 წელში ორი ძმა, ბიძა და მაზლი დაუხვრიტეს. ეს მათი ბედისწერა იყო, რომლებიც ვერ ასცდნენ მოსალოდნელ უბედურებას, მაგრამ არ შეიძლება ადამიანი არ იბრძოდეს უკეთესი ხვალინდელი დღისთვის და მხოლოდ ბედს მიანდოს თავის ცხოვრება. ცხოვრება ბრძოლაა და მიზნის მისაღწევად აუცილებლად უნდა იბრძოლო.

**— რა არის თქვენთვის ბედნიერება?**

– ბედნიერებაა, როდესაც აღმოაჩენ, რომ მარტო არ ხარ და ვიღაცას ესმის შენი, გვერდით მეგობრები და თანამოაზრეები გეგულებიან, გიყვარს ოჯახი, სადაც ყოველდღე მიდიხარ, ზრდი თაობებს, რომელიც საინტერესო პროფესიას ეუფლება და შენ თვალწინ იზრდება. ბედნიერებაა, როცა უცხოეთში შენს დადგმულ სპექტაკლებს ლოტაცებაში მოჰყავს მაყურებელი და შენი ქვეყნის კულტურით ინტერესდება. მაგრამ ტრაგედიაა ის, რომ ეს ყველაფერი უცილობლად წარმავალია და შენი ბედნიერების შეგრძნება ერთ მშვენიერ დღეს დამთავრდება.

**— გიფიქრიათ რა დაიწყება ამ დღის შემდეგ, როცა ეს ყველაფერი დამთავრდება?**

– არავის არ უნდა დასასრულზე ფიქრი, ამიტომაც ადვილად იჯერებ, რომ დედამიწა არ არის სამოთხე, რადგან ეს არის ადგილი სამოთხიდან გამოძევებისა და იმ დასასრულის მერე ზესთა სოფელი გელოდება, იმ ცოდვა-ბრალისა და დამსახურების მიხედვით, რაც ამ სოფელთან გაკავშირებს...

**— რეჟისორებს ძალიან მოგწონთ აჩრდილებისა თუ სულების სცენაზე გაცოცხლება. თუ გიცდიათ გარდაცვლილის სულთან, როგორც ცოცხალთან, ისე საუბარი და მისი პასუხი თუ მიგიღიათ?**

– მე მყავდა თანაკლასელი გოგო, რომელიც ორ შვილთან და დედამთილთან ერთად უბედური შემთხვევის დროს გარდაიცვალა, ეს გოგო თავისი ოჯახთან ერთად ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის. ერთხელ, მეგობრები ტაქსით ავედით მის საფლავზე, დავლიეთ შესანდობარი, ვუყურებდი ზეცაში და როგორც ცოცხალს, ისე ვეუბნები, ვიცი, რომ სამოთხეში ხარ, მაგრამ მაინც მიჩნდება კითხვები, მომეცი ნიშანი, რომ კარგად ხარ... საღამოა, ბინდდება, ცა იჭედება ვარსკვლავებით და უცებ მოდის წვიმა, მაგრამ აწვიმს მხოლოდ საფლავის ადგილს და ორი მეტრის მოშორებით ციდან ერთი წვეთიც არ ვარდება. ეს ხომ სასწაულია? სასწაული, რომელიც გამშვიდებს. მარტო იმ დღეს კი არა, საერთოდ, ვრწმუნდები, რომ სულ უმნიშვნელო მანძილია რეალურსა და უხილავ სამყაროს შორის და შენ „იქ“ ხმის მიწვდენა შეგიძლია.

**— ყველა ოჯახს აქვს თავისი მითი და ლეგენდა, რაც მისტიკას უკავშირდება. ალბათ, არც თქვენი ოჯახია გამონაკლისი...**

– მამაჩემის დედას, ოლღა გელაშვილსა და მის დედას აგრაფინა გველესიანს ჰქონდათ ხილვები და გამოცხადებები, ჯერ აგრაფინას სასწაულს გიამბობთ: მოკლედ, მას გამუდმებით ეცხადებოდა ვიღაცა და აფრთხილებდა, რომ ცოლ-ქმრის სარეცელი იმ ოთახში არ ყოფილიყო, სადაც ჰქონდათ. ბებიაჩემი მიზეზით დაინტერესდა, სიზმარშივე გაიგო, რომ ის ოთახი, სადაც მისი და მისი მეუღლის საწოლი იდგა, ეკლესიის ქვებით ყოფილა ჩაშენებული. ბებიაჩემმა იცოდა, რომ ზოგჯერ სიზმარი ბოროტი ძალისგან მოდის საცდუნებლად. ერთხელ, მაზლისთვისაც მოუყოლია ბებიას სიზმარშივე ამ გამოცხადების შესახებ. არსებობდა ასეთი ტრადიცია, ავ სულთა გამო ხანჯლით ჰაერის გაკაფვისა. ჰოდა, პაპაჩემსაც ჰაერის გაკაფვა დაუწყია, ვითომ ბოროტი ძალის შესამუსრად. იმ დღეს წყალი სისხლისფრად შეღებილა და ოჯახში სიკვდილიანობა და უბედურება დაიწყო. ამ ამბიდან ძალიან მალე ამ სახლში ორი ახალგაზრდა ვაჟი დაიღუპა, ჩემი დიდი ბაბუა კი დახვრიტეს. ბებია აგრაფინა ამ შემთხვევამ ღრმადმორწმუნე ადამიანად აქცია.

> **„იმ დღეს წყალი სისხლისფრად შეღებილა და ოჯახში სიკვდილიანობა და უბედურება დაიწყო. ამ ამბიდან ძალიან მალე ამ სახლში ორი ახალგაზრდა ვაჟი დაიღუპა, ჩემი დიდი ბაბუა კი დახვრიტეს. ბებია აგრაფინა ამ შემთხვევამ ღრმადმორწმუნე ადამიანად აქცია“**



**— ბებია ოლღასთან დაკავშირებული სასწაულიც გაგვიმხილეთ...**

– პაპაჩემის გარდაცვალების დღეს ერთი მტრედი მოფრინდა და 40 დღე არ მოშორებია ბებიაჩემს, მხოლოდ 41-ე დღეს გაფრინდა და მოფრენილი აღარავის უნახავს. ბებიაჩემი ბორჯომში ცხოვრობდა, რომანოვების სასახლესთან ახლოს. იქვე გარდაიცვალა და მისი სასაფლაო ბორჯომშია. წლისთავზე, აღდგომა დღეს, ვერ მოვახერხეთ მის სასაფლაოზე წასვლა, ამჯერად თბილისში თეთრი მტრედი ისევ მოფრინდა და აივნის მოაჯირზე კვერცხი დადო ჩემი მამიდაშვილის სახლში. ზუსტად იგივე განმეორდა მეორე წლის აღდგომა დღეს. არა მგონია, ეს უბრალო დამთხვევა იყოს, მხოლოდ ბებიასგან მინიშნებად ჩავთვალეთ, იმის შემდეგ რაც არ უნდა მნიშვნელოვანი საქმე გვქონდეს, არ ვლალატობთ ტრადიციებს, ოლღა ბებიას საფლავზე ავიდეთ, შენდობა ვუთხრათ და სანთლები ავუნთოთ.

**— სიზმრებს თუ აქცევთ ყურადღებას?**

– ჩემი სპექტაკლების ფინალებს ძალიან ხშირად სიზმარი მკარნახობს, ზოგჯერ სიზმრის მიხედვით გადამიწყვეტია დასასრული, თუმცა ამას მაინცდამაინც მისტიკით არ ვხსნი, რადგან ტვინის იმ უბანს, რომელიც პასუხს აგებს შემოქმედებით პროცესზე, არ უყვარს მოდუნება და ძილშიც კი საქმის მოწყვეტა. ერთი უცნაური სიზმარი მახსენდება, ვითომ, ერთი ახლობლის სახლში ვიყავი და კედლები სისხლისფრად ილებებოდა. თურმე იმ დროს, როცა სიზმარს ვხედავდი, ის ადამიანი, ვისი ოთახიც დამესიზმრა, სიკვდილს ებრძოდა და იმ ღამეს გარდაიცვალა.

**— არსებობს აზრი, რომ რეჟისორები ტელეპათიის განსაკუთრებული უნარით გამოირჩევით და შეგიძლიათ, ადამიანების აზრის წაკითხვა... თქვენს ამ იდუმალ ნიჭზე წერდნენ 2012 წლის მსოფლიო თეატრალური ფესტივალის მონაწილე თქვენი უცხოელი კოლეგები.**

– მეტსაც გეტყვით, არათუ ეუფლებიან ტელეპათიურ უნარს, მე ჩემს სტუდენტებს ვასწავლი აზრების კითხვას, ეს ბევრი რეჟისორის, მათ შორის დიმიტრი ალექსიძისა და მიშა თუმანიშვილის ხელწერა გახლავთ, მაგრამ ეს ხედვა სტანისლავსკის თეორიის საწინააღმდეგოა და ღიად ამაზე არ ვსაუბრობდით, მაგრამ რეჟისორებს ნამდვილად გვაქვს ზემგრძნობიარე ხედვა და ჩვენ წინ მდგარი ადამიანების აზრების წაკითხვა შეგვიძლია. ეს მათ მანერებზე არ არის დამოკიდებული. ჩემმა სტუდენტებმა მეორე კურსიდან უკვე იციან უსიტყვო საუბრის ენა და ყოველთვის იგებენ იმ სიტყვას, რითაც უნდა დაიწყოს საუბარი მისმა პარტნიორმა, მათ არამარტო უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის სათქმელი, ასევე ენერგიათა გადაცემის ხელოვნებასაც ფლობენ. ეს მართლაც ამოუცნობი პროფესიაა, მაგრამ არსებობს და ამ უნარის გარეშე აქტიორული ხელოვნება პირადად მე, ვერ წარმომიდგენია. მაგალითისთვის მოვიყვან ერთ ასეთ შემთხვევას, ერთი სტუდენტი არის წრეში, მის გარშემო არის ათი, ამას ვაძლევ დავალებას, რომ მოკლან წრეში მყოფი უსიტყვოდ და უმოქმედოდ. ისინი ენერგიას უგზავნიან და წრეში მყოფი ისე რეაგირებს მათ იმპულსებზე, რომ მართლაც მომაკვდავს ემსგავსება. ერთხელ მითხრა კიდეც ამ დავალების შესრულებისას სტუდენტმა, ერთი წუთითაც რომ გაგეგრძელებინათ რეპეტიცია, აქედან გავიქცეოდიო. ეს ქმედება უსიტყვო და უხილავია, მაგრამ კონტაქტი ხდება. მსახიობი მხოლოდ პარტნიორს კი არა, დარბაზის ენერგიასაც გრძნობს და თითოეული მაყურებლიდან გადმოცემულ ემოციას აღიქვამს. ეს დიდი საიდუმლოა და ამ მაგიურ ძალას გრძნობს თეატრი თავისი ახსნილი და ამოუხსნელი საკრალურობით.



– მამიკო, მანქანა რატომ არ გვყავს?

– იმიტომ, შვილო, რომ დედაშენი ქურქში უფრო თბილად გრძნობს თავს!..

*****

– დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და:

1. მუდმივად ვიბან ხელებს!

2. ვიცი, რომ მოვკვდები და მესმის, რომ ამას ვერაფრით შევცვლი...

3. ვიცი, საიდან და როგორ ჩნდებიან ბავშვები!

4. პრაქტიკულად, არ არსებობს ისეთი თემა, რომელიც მადას დამაკარგვინებს!

5. ძალიან მეშინია ექიმების! განსაკუთრებით, ჩემი თანაკურსელების!!!

*****



– ჩემი ცოლი სულ ალენ დელონს მადარებს.

– ჰო, მაგრამ საერთო არაფერი გაქვთ და...

– ჰოდა, ისიც სულ ასე მეუბნება ხოლმე!

*****

– სურენჩიკ, ეს 8 მარტი ვინ გამოიგონა?

– რა ვი, გონი, კლარა ცეტკინმა.

– და რათა?

– ეგ აღარ ვიცი. ალბათ, ყვავილებსა ყიდდა...

*****

ახლომხედველობის მქონე ჯალათი სიკვდილმისჯილს:

– კაცურად, ერთი დაუსტვინე რა, ცუდად ვხედავ...

*****



– შვილო, ნუ დადიხარ ყოველდღე დისკოთეკაზე, თორემ დაყრუვდები!

– მადლობა, დედა, უკვე ვისადილე!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები...

## სოციალურ ქსელში ბრძნული ციტატების მოყვარულები სულელები არიანო




სოციალურ ქსელში ყველას ჰყავს, ერთი ცოტაა, რამდენიმე ისეთი მეგობარი, რომელიც ხშირად წერს ბრძნულ გამონათქვამებს. ექსპერიმენტმა კი დაამტკიცა, რომ ღრმა ნააზრევის მოყვარული და ამით ხშირად თავმომწონე ადამიანები ინტელექტის დაბალი დონით გამოირჩევიან და პარანორმალური თეორიებისაც უფრო ხშირად სჯერათ.

სტატიაში, სათაურით „ფსევდობრძნული სისულელეების აღქმა და აღიარება“ ექსპერტები შეეცადნენ, ისეთ კითხვებზე გაეცათ პასუხები, როგორიცაა – არიან თუ არა ზოგიერთები უფრო მგრძნობიარეები ბრძნული ციტატებისადმი, ვიდრე სხვები. ექსპერტებმა 845 მოხალისეს ღრმა აზრები წააკითხეს („რამდენადაც ძლიერი იქნება შენი შემდეგი ნაბიჯი, იმდენად ბრძენი ხარ შენ“, „გარეთ არსებული ქაოსის დროს, შეინარჩუნე სიმშვიდე შენ შიგნით), ამ აზრებს დაუმატეს ყველასთვის ცნობილი, აშკარა განცხადებები, მაგალითად, „ახალშობილს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება“, „ადამიანთა უმრავლესობას მუსიკა მოსწონს“.

აღმოჩნდა, რომ ნამდვილ და ფიქციურ სიბრძნეებს ადამიანები ვერ არჩევენ და „სიბრძნის შკალაზე“ ერთი და იმავე მაღალი ქულით აფასებენ. შემდეგ კი ექსპერიმენტის მონაწილეებს სთხოვეს, შეევსოთ ტესტი, სადაც პირადი შეხედულებების შესაბამისად სცემდნენ პასუხებს. 27 პროცენტი „ფსევდოსიბრძნის მოყვარული“ აღმოჩნდა, მათ არ აქვთ შინაგანი ინტუიცია, ნელა ფიქრობენ და წყვეტენ ამოცანებს, ხშირად იცავენ რელიგიურ რწმენასაც და ცრურწმენასაც, სჯერათ პარანორმალური მოვლენებისა და შეთქმულების თეორიების.

მოკლედ, ისინი აბსოლუტურად დამოკიდებული არიან სხვის ნათქვამსა და ნააზრევზე. ამიტომაც ხშირად იყენებენ სხვათა სიბრძნეებს საკუთარი უვიცობის გადასაფარავად.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები...

## სუპერმენზე შექმნილი პირველი კომიქსი რეკორდულ ფასად გაიყიდა




ზუსტად 1,5 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა უცნობმა კოლექციონერმა 1938 წელს გამოცემულ კომიქსში, რომელიც ამერიკელების საყვარელ პერსონაჟზე – სუპერმენზე შეიქმნა.

საინტერესოა, რომ, როცა 1938 წლის ივნისში „ექშენ კომიქსის“ სერია დახლებზე გამოჩნდა, ის სულ რაღაც... 10 ცენტი ღირდა!

სულ რამდენ ეგზემპლარად გამოიცა პირველი კომიქსი სუპერმენზე, ან რამდენია შემორჩენილი დღემდე, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა ის კი ცნობილია, რომ ერთ-ერთი მათგანი მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს 1 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.

ამერიკელი ბიბლიოგრაფების საოცნებო საპილოტე ნომრის ყდაზე აღბეჭდილია ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი სუპერმენი, რომელსაც ხელში მწვანე ფერის ავტომობილი უკავია.

დასასრულ გეტყვით იმასაც, რომ სულ რამდენიმე თვის წინ უცნობმა კოლექციონერმა ასევე საკმაოდ ცნობილ პერსონაჟზე – ბეტმენზე შექმნილ კომიქსში თითქმის 1,6 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა.

*factroom.ru*

საინტერესო ამბები...

## ზოოპარკმა ჯამბაზი მაიმუნების... გასართობად დაიქირავა



თუკი აქამდე ფიქრობდით, რომ მაიმუნები ართობდნენ ადამაინებს და მათი განწყობის ამაღლებაზე ზრუნავდნენ, გერმანელებს სულ სხვაგვარი აზრი მოუვიდათ და გადაწყვიტეს, ახლა უკვე ადამიანს გაეხალისებინა მაიმუნები.

ჰოდა, სწორედ ამ მიზნით გერმანიის ერთ-ერთ ზოოპარკში, რომლის სახელწოდება რატომღაც, არ ზუსტდება, 45 წლის ჯამბაზი, კრისტინა პიტერი დაიქირავეს. მისი თქმით, ცხოველებისთვის ყოველდღე ახალ-ახალი წარმოდგენების გამართვა უწევს, თუმცა მთელი ეს პროცესი იმდენად ხალისიანია, რომ ზოოპარკის ამ უცნაური იდეით ძალიან კმაყოფილია.

რაც შეეხება თავად ზოოპარკის ადმინისტრაციის პოზიციას, როგორც ამბობენ, ცხოველები ხშირად ძალიან იღლებიან ადამიანებისგან. ჰოდა, დასვენება და გახალისება მათაც სჭირდებათ.

*mainfun.ru*

საინტერესო ამბები...

## ციხეში უკანანოდ შეტანილ მობილურებს ძაღლი ყნოსვით პოულობს



სხვადასხვა ნივთიერების მოძიება რომ შეუძლია ძაღლს, ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესო უნარით ყოფილა გამორჩეული ნორვიჩის (დიდი ბრიტანეთი) ციხის მიერ გაწვრთნილი „ოთხფეხა ინტელექტუალი“, სახელად მერფი, რომელიც საკანში უკანონოდ შეტანილ მობილურ ტელეფონებს უპრობლემოდ პოულობს.

მერფის გასაწვრთნელად ციხის ადმინისტრაციას 7 თვე დაუხარჯავს, რა დროსაც ძაღლს 20-დან ერთ-ერთი სპეციფიური სუნის გარჩევა ასწავლეს, რომელსაც თურმე, მობილური გამოსცემს.

საინტერესოა, რომ მერფის იმდენად განვითარებული ყნოსვა ჰქონია, მცველების აპარატების სუნს არასოდეს ურევს ციხეში უკანონოდ მოხვედრილი აპარატების სუნში.

*vesti.ru*

საინტერესო ამბები...

## 9 საინტერესო ფაქტი მუსიკის შესახებ



მუსიკა ბევრს უყვარს, მაგრამ ცოტამ თუ იცის მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტები.

1. თხის რქების მაჩვენებელი ნიშანი, რომელსაც საჩვენებელი და ნეკა თითით გამოსახავენ, დიდი ხნის განმავლობაში მისტიკურ, ავი სულებისგან განდევნის ჟესტად მიიჩნეოდა. პირველად ის როკ-კონცერტზე მომღერალმა რონი ჯეიმს დიომ აჩვენა.

2. კონცერტების დროს ედიტ პიაფი ფოტოებს პატიმრებთან ერთად იღებდა. შემდეგ კი, პარიზში მათ სახეებს ყალბ დოკუმენტებში აკრავდნენ და ამით გაქცევაში ეხმარებოდნენ.

3. გამოთქმა „ჟოლოსფერი ზარი“ ბელგიის ქალაქის სახელწოდებიდან, მალინიდან მოდის. ეს ქალაქი ზანზალაკების მუსიკის ევროპულ ცენტრად მიიჩნევა.

4. სიტყვა „ნერვუს“ ერთდროულად ნერვსაც ნიშნავს და მუსიკალური ინსტრუმენტის სიმსაც. აქედან მოდის გამოთქმა – ნერვებზე დაკვრა.

5. ვირტუოზი მევიოლინე ჯოშუა ბელი მეტროში 45 წუთის განმავლობაში უკრავდა და ათასობით გამვლელიდან მხოლოდ 7-ის დაინტერესება მოახერხა.

6. 1977 წლის ზაფხულში, მთელ ნიუიორკში ქარიშხლის გამო შუქი გაითიშა. მაღაზიებიდან კი, ათობით დიჯეის მოწყობილობა გაიტაცეს. ასე აღმოცენდა ბევრი დიჯეი, რომლებიც ჰიპ-ჰოპის სტილში უკრავდნენ, რამაც ამ ჟანრის პოპულარიზაცია გამოიწვია.

7. ამერიკაში, ვირჯინიის შტატის ერთ-ერთ გამოქვაბულში 37 სტალაქტიტზე დამონტაჟებულია ორღანი, რომელზე დაკვრაც ჩვეულებრივი კლავიატურით არის შესაძლებელი.

8. ელვის პრესლის პროდიუსერმა დიდი ტირაჟით გამოუშვა ბროშები წარწერით – „ვერ ვიტან ელვის პრესლის“, რათა იმ ადამიანებისგანაც გამოემუშავებინა ფული, რომლებიც არასოდეს იყიდნენ მომღერლის ფირფიტებს.

9. ხორვატიის სანაპირო ქალაქ ზადარში შესაძლებელია ზღვის ორღანის მოსმენა, რომელიც 35 მილისგან არის შექმნილი. ჰაერი მილში ხვრელის მეშვეობით შედის და შედეგად ქარისა და ზღვის ქაოსური მოძრაობით გამოწვეულ ხმები მიიღება.

*factroom.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ 593 19-85-99**

## ლეიკემიით დაავადებულმა 4 წლის ბავშვმა მკურნალობის ფული თავად გამოიმუშავა



ანდრეი 4 წლის უკრაინელი ბავშვია, რომელიც ლეიკემიას ბელორუსის საავადმყოფოში ებრძვის. როდესაც პატარას დიაგნოზი დაუსვეს და მკურნალობისთვის საჭირო თანხა გააცნეს, ოჯახი უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა. ანდრეიმ კი გადაწყვიტა, თავად დახმარებოდა საკუთარ თავს და თოვლის კაცუნების კეთება დაიწყო. მას შემდეგ, რაც ინტერნეტში ამის შესახებ წერა დაიწყეს, ანდრეის პროდუქცია ძალიან პოპულარული გახდა. მეტიც, მის ხელნაკეთ ნივთებზე მოთხოვნამ მიწოდებას გადააჭარბა. სამკურნალო ფული კი თითქმის უკვე შეგროვებულია.

„ბოლო ორი ღამეა, მე და ჩემს ცოლს არ გვძინავს. მარტო გუშინ 1800 მესიჯი და 800 ზარი შემოვიდა. მიკავშირდებიან საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, დუბაიდან და თოვლის კაცუნებს ყიდულობენ, თანაც ტრანზიტის თანხასაც თვითონ ანაზღაურებენ. ვიღაცამ 100 დოლარის შეუკვეთა, ვიღაც კიდევ ამბობს, რომ საერთოდ არ უნდა თოვლის კაცუნა და უბრალოდ, ფულს გადმორიცხავს. სხვები კი მზად არიან, წლობით ელოდონ თავიანთ შეკვეთას", – ყვება პატარა შემოქმედის მამა და იმასაც ამბობს, რომ, თუ ფული დარჩებათ, სხვა ავადმყოფ ბავშვებს გადაურიცხავენ.

*factroom.ru*

## ამერიკელებმა შიზოფრენია დაამარცხეს?



არანაკლებ შესაცოდია ის, ვისაც შიზოფრენიკებთან უწევს ურთიერთობა, ვიდრე თავად შიზოფრენიის მსხვერპლი, ალბათ, დაგვეთანხმებით...

ასეა თუ ისე, გენეტიკური მუტაცია, რომელიც შიზოფრენიას უკავშირდება, არცთუ იშვიათი მოვლენაა და როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, მისი გაჩენის მიზეზი მეხსიერებაზე პასუხისმგებელ თავის ტვინის ორ სფეროს: ჰიპოკამპსა და წინაფრონტარულ ქერქს შორის კავშირის გაწყვეტა ხდება.

ამერიკელი მეცნიერების ინფორმაციით, მათი აღმოჩენა შესაძლებელს გახდის, შემუშავდეს ისეთი პროგრესირებადი თერაპია, რომელიც შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს სრულად განკურნავს.

– ამ დროისთვის უკვე არსებობს კონკრეტული მონახაზი, რომლის გამოცდები ადამიანებზე უახლოეს მომავალში დაიწყება, – ამბობენ კოლუმბიის უნივერსიტეტის სპეციალისტები, თუმცა თერაპიის თავისებურებების შესახებ ინფორმაციას კვლავ საიდუმლოდ ტოვებენ.

*myjane.ru*

## ბეჰემოტი ხორცისმჭამელი ცხოველი აღმოჩნდა

გამოდის, რომ ბეჰემოტები მტაცებლები არიან, თუმცა აქამდე ბალახისმჭამელ ცხოველებად მიიჩნეოდნენ – მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა განაცხადა, რომ ბეჰემოტი ხანდახან ხორცს ჭამს. დაკვირვე-



ბის დროს, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ჰიპოპოტამები ხანდახან ნიანგებს ჰპარავენ ნანადირევს და თავად მიირთმევენ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საქციელი მათთვის დამახასიათებელი არ არის, ფაქტს ვერსად წავუვალთ.

ექსპერტების თქმით, სწორედ მსგავსი რაციონის გამოა, რომ ბეჰემოტები ყველაზე ხშირად ავადდებიან ჩლიქოსნებისთვის დამახასიათებელი სენით. ამ ავადმყოფობის მიზეზი კი ავადმყოფი ცხოველების ხორცის ჭამაა და არა მხოლოდ ავადმყოფის, ბეჰემოტები ხანდახან მკვდარი ცხოველის ლეშსაც მიირთმევენ, რაც მათ ბეჰემოტ-კანიბალებად აქცევს.

„ჰიპოპოტამი ვეშაპის ყველაზე ახლო ნათესავია. ახლა კი მათ შორის უფრო მეტი საერთო ვნახეთ", – ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი, მარკუს კლაუსი.

*lenta.ru*

## სიგარეტის გადაგდება ჩაის ფილტრებით იქნება შესაძლებელი?



ჩინელი მკვლევარების ჯგუფმა სიგარეტის საკმაოდ სპეციფიკური ფილტრი შექმნა, რომელიც ჩაის ფოთლებისგანაა დამზადებული და როგორც მისი ავტორები ამტკიცებენ, ახალი ტიპის ფილტრი სიგარეტის გადაგდებაში ყველაზე სტაჟიან მწეველსაც კი დაეხმარება.

თურმე, ჩაის ფილტრი დიდი რაოდენობით ტეანინს გამოიმუშავებს, ნივთიერებას, რომელიც ადამიანს ნიკოტინზე დამოკიდებულებს არ ხდის და უფრო მეტიც - ე.წ. „ლომკისგანაც" ადვილად ათავისუფლებს.

ცნობილია, რომ ჩინელების ამ სიახლემ გამოცდები პეკინში უკვე გაიარა და 100-დან 70 მწეველს მავნე ჩვევაზე უარის თქმაში დაეხმარა.

გარდა ამისა, ვინც სიგარეტის გადაგდება ბოლომდე ვერ შეძლო, ჩაის ფილტრის დახმარებით, მან მოწევის სიხშირე საშუალოდ 43 პროცენტით შეამცირა.

დაბოლოს - აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ნივთიერება ტეანინი ხელს უშლის ნიკოტინს ფილტვების დაბინძურებაში და მის ნეგატიურ გავლენას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია.

დათანხმდა თუ არა ჩაის ფილტრიანი სიგარეტის წარმოებას რომელიმე კომპანია, ინფორმაზია ამ საკითხთან დაკავშირებით არ ზუსტდება და პრინციპში, მათი უარი გასაკვირი არც არავისთვის უნდა იყოს.

*factroom.ru*

## პედიატრმა ბავშვის მომენტალურად გაჩერების საიდუმლო გაამხილა



მშობლებს ხშირად ტრაგედიად აღიქვამენ პატარების ექიმთან მიყვანას, ვინაიდან ბავშვები ტირიან, მშობლებს კი განერვიულებული პატარას ყურება აღელვებთ.

რობერტ ჰამილტონი პედიატრია, რომელსაც თავის სფეროში გამოცდილების 30-წლიანი სტაჟი აქვს. მან ჩვილების დამშვიდების საიდუმლო გაამხილა. თურმე, ყველაფერი ძალიან მარტივია. დააწყობინეთ პატარას ხელები გულ-მკერდის არეში და ზევით-ქვევით ნაზად ამოძრავეთ. ბავშვიც მოულოდნელად ჩერდება და მშვიდდება.

გაითვალისწინეთ, პედიატრებო და მშობლებო.

*adme.ru*

## ხორცის მოყვარული მამაკაცები უფრო მიმზიდველები არიან, ვიდრე ვეგეტარიანელები



„ყმაწვილნ უხორცოდ დაზრდილნი რა ვაჟკაცობას იზამენ" – მთლად ვაჟას სიტყვები არ გამოუყენებიათ ექსპერიმენტში მონაწილე ქალებს, მაგრამ ვეგეტარიანელებს რომ ხორცისმჭამელ მამაკაცებს ამჯობინებენ, ფაქტია.

ექსპერიმენტში 50 კაცი მონაწილეობდა, რომელთა ნაწილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხორცი უნდა ეჭამა, ნაწილს – ხორცთან ერთად სხვა პროდუქტებიც, ხოლო ნაწილი ვეგეტარიანულ დიეტაზე დასვეს.

აღმოჩნდა, რომ რაციონიდან ხორცის ამოღებამ კაცები უფრო გაღიზიანა, ისინი სტრესს ებრძოდნენ და ქალებთან საკონტაქტო ენას ვერ პოულობდნენ. შედეგად კი, ქალებმა ვეგეტარინელები ყველაზე ნაკლებ მიმზიდველ კაცებად შეაფასეს.

იხარეთ ხორცის მოყვარულო კაცებო, თქვენია ბურთი და მოედანი.

*myjane.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



სიტუაცია ქუთაისის მარშრუტკაში:

გოგო ტელეფონზე საუბრობს: „ნესტან, გესმიიის? ტარიელი როგორაა, ავთანდილი რას შვრება, დღეს ფრიდონი ჩამოვიდა ინდოეთიდან..."

გვერდით გურული უზის და ეუბნება

– თუ შოთას ელაპარაკები, მომიკითხე, თუ ჩემი და ხარ!..

*****

– გოგონი, არ გინდათ, ჩემთან დაწვეთ?

– როგორ ამბობ ამას? როგორ მოგივიდა ასეთი რამ თავში? არა, მართლა, როგორ მიხვდი?

*****



განცხადება:

– ძვირფასო მეზობლებო, ჩვენს სადარბაზოში დამონტაჟებულია ეკონომკლასის ლიფტი, ანუ ლიფტი უნიტაზის გარეშე. ამიტომ... სახლამდე მოითმინეთ, თქვე ახვრებო!!!

*****

კოტეს ტყუპი დებიდან ერთ-ერთი უყვარს.

– როგორ არჩევ ხოლმე ერთმანეთისგან?

– უჰ, ძალიან იოლად! ჩემი შეყვარებული სექსის შემდეგ აუცილებლად ეწევა...

*****

ქუჩაში ორი მოხუცი მამაკაცი შეხვდა:

– მოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ, ქალებში წავიდეთ.

– წავიდეთ, მაგრამ უარი რომ გვითხრან, მერე რა ვქნათ?

– ეგ არც არის პრობლემა! პრობლემა ის არის, უარი თუ არ გვითხრეს!!!

*****



ამერიკელი რუსს ეკითხება:

– უკაცრავად, მაგრამ ასე მითხრეს, რუსები ყველაზე ბევრს სვამენო. თუ შეიძლება, მითხარით, დალევთ ერთ ჭიქა არაყს?

– რა თქმა უნდა?! ერთ მჟავე კიტრს მივაყოლებ და ეგ არის.

– და სამ ჭიქას?

– რა პრობლემაა?! სამ მჟავე კიტრს მივაყოლებ და მორჩა.

– და ას ჭიქასაც დალევთ?

– შენ რა, სულ გაგიჟდი?! რა შემაჭმევს ამდენ კიტრს?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*

ჩვენს პოლიტიკას უდგას მკათათვე
და კესარიაც მოდის ბალანსით,



თქვენ მის „კაცობას“
თუ ვერ გაიგებთ,
მაგ პარლამენტში
თავზე დაგაფსით.
სურამელაშვილს
მოაქვს პროგრამა,
უნდა „მოგვიხნას“ ხოდაბუნები,
ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
ვირებსაც ჰქონდეთ
თხილამურები.



ჩერნოვეცს ადგას
თავზე გვირგვინი,
არჩევნების წინ,
მგონი, წესია,
ხუთასლარიან
პენსიას გვაძლევს
და ის იქნება ჩვენი
მესია.
თბილისში დარგეთ თურმე ხეები,
სადღაც „მილიონ სხემტა“,
ავლიპის სული ეძახის დავითს:
„შემოიარე, ყმაწვილო, ჩემთან“!
დეკემბერია, არ მოდის თოვლი
და ვერც ორმოებს ავსებს ნამქერი,
როგორც ჩასვრილი გოგო-ბიჭები,
ჩვენ ევროპულ გზას ისე გავცქერით.



ხიდაშელს ისევ
ასტკივდა თავი
და რუსეთს
ბომბავს თავისი
სიტყვით,
დაამხობს
კრემლს და
დაამხობს
მოსკოვს,
ამაზე მხოლოდ
„პარადზე“ იტყვის.
ჩვენს პოლიტიკას უდგას მკათათვე
და კესარიაც მოდის ბალანსით,
თქვენ მის „ქალობას“ თუ ვერ გაიგებთ,
მაგ პარლამენტში თავზე დაგაფსით!

გელა ზედელაშვილი


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 435 553

„კვირის ქრონიკის“ რედაქტორი მანანა გიორგაძე

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.




პაციენტი ექიმს:
– ექიმო, სერიოზული პრობლემა გამიჩნდა: ერექცია აღარ მაქვს.
– არ ინერვიულოთ! ორი ვარიანტი გვაქვს. პირველი: ერთი ოპერაცია და ყველაფერი უცბად მოგვარდება. ღირებულება — 30 ათასი დოლარი. მეორე: ოპერაციების სერია თვის მანძილზე. ღირებულება — 10 ათასი დოლარი.
– ძალიან კარგი. უბრალოდ, ცოლს მოვეთათბირები და გადაწყვეტილებას ისე მივიღებ.
მეორე დღეს:
– აბა, რა გადაწყვეტილება მიიღეთ?
– (ოხრავს, ამოაყოლა მთელი გული) სამზარეულოს გარემონტება გადაწყდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

## ინტერნეტის ფოტოკოლაჟი




## ქირქილი



– თოკის რომელი ბოლო უნდა ესროლო დეპუტატს, რომელიც წყალში იხრჩობა?
– ორივე!!!

*****

მძღოლი „გაიშნიკს“ აღშფოთებული მიმართავს:
– ჰო, მაგრამ ამხანაგო სერჟანტო, აქ ხომ არის მარჯვნივ შესახვევი?
– არის, მაგრამ ფასიანია!

*****

– ...და ამ ყველაფრის შემდეგ, მეუბნება, ჯობია, მეგობრებად დავრჩეთო...
– ჰოო... იმედი მაქვს, ერთი გემოზე სთხლიშეთ სიფათში!!!
– უკაცრავად და თქვენ ნამდვილად ფსიქოთერაპევტი ხართ?!

*****

– ოფიციანტო, რომელ ღვინოს მირჩევთ, თქვენს საფირმო კერძს რომ მივაყოლოთ – მშრალს თუ ნახევრად მშრალს?
– ქალბატონთან ერთად ხართ?
– რა თქმა უნდა!
– რომელთან, ახლა რომ ადგა საცეკვაოდ?
– დიახ...
– მაშინ, არაყი შეუკვეთეთ!

*****

ტელეფონში ქალის განაზებული ხმა ისმის:
– კოტიკ, ჩემი დებილი ქმარი ორი კვირით მივლინებაში წაეთრა. როგორც კი განთავისუფლდები, ეგრევე ჩემთან მოქანდი... უი, უკაცრავად, მგონი, ნომერი შემეშალა...
– პრობლემა არ არის, ქალბატონო, მიკარნახეთ მისამართი!

*****

– ეს დაღლილობის საწინააღმდეგოა, ეს – ნერვული დაძაბულობის შესამცირებლად, ეს კი – დეპრესიის დასამარცხებლად!
– მადლობა, ექიმო, მაგრამ, ვისკის გარდა, სხვა არაფერი გაქვთ?

*****

– თუ დედა მიიჩნევს, რომ ბევრს ჭამთ და ძალიან დიდხანს გძინავთ, ის დედათქვენი არ არის, ის თქვენი ქმრის დედაა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატები*


ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2298-0016

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 23.45



სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან -ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.